ვასილ კიკნაძე

# მიახლოება საუკუნესთან

(უნივერსიტეტი - 90)

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი - 2013

რედაქტორი: **ნოდარ გურაბანიძე,** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ემერეტუსი

რეცენზენტები: **თამილა ქამუშაძე,** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი
**გიორგი ცქიტიშვილი,** ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი

კორექტორი: **მანანა სანადირაძე**

დამკაბადონებელი: **ეკატერინე ოქროპირიძე**

© ვასილ კიკნაძე
© Vasil Kiknadze

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრი“ 2013
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House “Kentavri”, 2013

ISSN 978-9941-9352-0-6

# წინათქმა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავირიცხე 1949 წელს, 1954 წელს დავამთავრე.

ათი წლის შემდეგ მიმიწვიეს ქართული თეატრის ისტორიის კურსის წასაკითხად.

ჩემმა პირველმა ჯგუფმა, თეატრის კრიტიკისა და თეორიის სპეციალობით, დაამთავრა 1986 წელს და მას შემდეგ წარმატებით მოღვაწეობენ.

1973-2005 წლებში ვიყავი ინსტიტუტის პირველი პრორექტორი სასწავლო დარგში.

უნივერსიტეტის პირველი კორპუსის კიბეებს რომ აუყვებით, დაინახავთ ათი რექტორის სურათს, აქედან ცხრა ჩემი რექტორი იყო და ერთი პრორექტორი (აკ. ფაღავა).

უნივერსიტეტი გახდა ჩემი ნახევარი საუკუნის საცხოვრისი...

უნივერსიტეტთან ერთად ვიცხოვრე დიდი ისტორიული ცვლილებების ეპოქაში. ერთად გადავიტანეთ მრისხანე სტალინის ეპოქის შემდეგ „დათბობის“, „უძრაობის“, „გარდაქმნის“, სსრკ-ის დაშლის და საქართველოს დამოუკიდებლობის მღელვარე წლები.

მოვესწარი დამოუკიდებლობის  სიხარულსა და ტკივილსაც.

ჩვენი უნივერსიტეტი საქართველოს მთავარ გამზირზე დგას. აქ ხდებოდა ყველა სასიხარულო და  ტრაგიკული მოვლენა. ისმოდა მღელვარე პატრიოტული შეძახილები: „საქართველოს გაუმარჯოს“! „ჯოს... ჯოს...“ „გაუმარჯოს“...

უნივერსიტეტი არ იყო გულგრილი მაყურებელი, მონაწილეობდა ყველა მოვლენაში, სიტყვითაც და საქმითაც.

ადვილი არ იყო ქვეყნის დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებების ეპიცენტრში ცხოვრება, მაგრამ უნივერსიტეტს არ შეუწყვეტია აქტიური სასწავლო-საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო მუშაობა.

ქართულ ხელოვნებას ყოველწლიურად ემატებოდა კურსდამთავრებულთა ახალ-ახალი თაობები, იგი იქცა კავკასიელი ხალხების თეატრისა და კინოს უნივერსიტეტადაც.

მიუხედავად ამისა, არც მოშურნეები მოჰკლებია შინ და გარეთ. რამდენჯერ დაემუქრნენ ხან დახურვით, ხან „სახელოვნებო

უმაღლესებთან“ გაერთიანებით, ხან გაყოფით, ხან „კოლეჯის დონეზე“ ჩამოლაბორანტებით“.

ოთხჯერ მომიწია მისი დაცვა პრესის ფურცლებიდან.

უნივერსიტეტი იზრდებოდა, მძლავრდებოდა და თავისი ღირსეული წვლილი შეჰქონდა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

ამიტომ იგი ღირსეულად ხვდება დაარსებიდან 90 წლისთავს.

ბედნიერი ვარ, რომ უნივერსიტეტს დღეს უკვე აღარაფერი ემუქრება, მჯერა მისი მომავლისა.

იმდენად მდიდარია უნივერსიტეტში ჩემი ცხოვრება, რომ შეუძლებელია მისი აღწერა, ყველაფრის გახსენება თუ კვლევა. მე ვერ დავწერ უნივერსიტეტის ისტორიას, ამ საქმეს ადამიანთა მთელი ჯგუფი უნდა. ყოველ ფაკულტეტს თავისი ღირსეული და წარმოსაჩენი ისტორია აქვს.

მე მხოლოდ ჩემს ცხოვრებაზე, ჩემს მუშაობაზე და იმაზე ვწერ, „რაც გამახსენდა“ (შ. დადიანი).

მადლიერი ვარ ყველასი, ვინც გვერდში მედგა, ვინც თუნდაც ერთი დღით მაინც მითბობდა გულს. ასეთები კი ყოველთვის ბევრნი არიან, როცა თანამდებობა გიკავია და ხალხს სჭირდები. ამ დროს ვერ გაიგებ, სად არის გულწრფელობა და სად სიყალბე.

ჩემი პრორექტორად მუშაობის წლებში უნივერსიტეტის თითქმის არცერთ ადამიანს არ მიუღია თანამდებობა ჩემი ხელდასმის გარეშე.

სამსახურებრივად მევალებოდა და ამასთანავე მსიამოვნებდა სიკეთის ქმნა და ვაკეთებდი, ბევრს ვახალისებდი და ვუმსუბუქებდი ცხოვრებას. მათაც სიხარულს ვანიჭებდი და მადლიერებაც ბევრჯერ გამოუხატავთ. არ მინდა ვიფიქრო, რომ ყველანი ნიღბებში იყვნენ და „ბერიკაობას თამაშობდნენ“. .

თუმც, ადამიანურ სისუსტეს ვერავინ გაექცევა!

ყველაფერი იყო, როგორც ეს დიდსა და რთულ, მაგრამ საოცრად სისხლსავსე ცხოვრებაში ხდება.

იყო ლხინიც და გაჭირვებაც, მაგრამ ერთად ვშრომობდით, ერთად ვავსებდით ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრებას, ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა.

წვლილი კი, დიდია თუ პატარა, მნიშვნელოვანია, რადგან „თაღი ჩამოინგრეოდა, ერთი ქვა რომ არ ამაგრებდეს მეორეს“ (სენეკა).

როცა პრორექტორად დავიწყე მუშაობა 181 სტუდენტი

სწავლობდა, მისაღები კონტიგენტი კი 32 იყო.

რექტორმა ე. გუგუშვილმა და მე გადავწყვიტეთ, გაგვეზარდა ინსტიტუტი, რადგან ზრდას მეტი სამუშაო ადგილებიც მოჰყვებოდა. მოდიოდნენ ახალი თაობები, ყველა თაობას თავისი ადგილი უნდა ჰქონოდა. თავს ვარიდებდით პედაგოგთა და მეცნიერ-მუშაკთა საკონკურსო დაპირისპირებებს, რასაც მეტი სიმშვიდე და სტაბილურობა მოჰქონდა. კონკურსები ხომ ამძაფრებენ კონფლიქტურ სიტუაციებს, მაგრამ ჩვენს ჩანაფიქრს თავისი ნაკლიც ჰქონდა. იცვლებოდა კრიტერიუმებიც, დუნდებოდა პასუხისმგებლობის გრძნობა, მაგრამ უნივერსიტეტის ზრდის ტენდენციას თან ახლდა ბევრი ახალი ვაკანსიის გაჩენა.

მადლობა ყველა რექტორს (ე. გუგუშვილი, გ. ჟორდანია, გ. ლორთქიფანიძე, გ. მარგველაშვილი), პრორექტორებს (შ. გაბელაია, ვ. ჭელიძე, თ. ქვარიანი, ნ. გურაბანიძე, შ. გოგიძე, გ. დოლიძე, ა. ბეროშვილი, ლ. ხეთაგური), თანამშრომლებს, რომლებთანაც ერთად მიხდებოდა მუშაობა. მადლობა ჩემს საყვარელ სტუდენტებს, რომლებიც მაძლევდნენ განახლების იმპულსს და ენერგიას.

მეამაყებოდა, რომ ისინი ჩემი სტუდენტები იყვნენ.

83 წლისთავს ლექციებზე შევხვდი!

რა დრო გასულა?!

სხვა რაღა დამრჩა?

„საუკუნო სიჩუმე მხოლოდ!“

# ბედნიერი შემთხვევა

საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე (1949) საბუთები შევიტანე თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ხონში, ჩემს სკოლაში უკვე ვითვლებოდი „რაიონული მასშტაბის“ ჟურნალისტად, ვწერდი სოფლის ცხოვრების თემებზე, მეჩაიეებზე, თავადაც ვკრეფდი ჩაის. 1941-1945 წლებში ყმაწვილმა იმდენი ვიმუშავე, რომ 1946 წელს დამაჯილდოვეს მედლით „1941-1945 წ.წ. დიდი სამამულო ომის წლებში მამაცური შრომისათვის“. გავხდი ომის ვეტერანი. ქართველ ხალხს ძალიან ძვირი დაუჯდა ფაშიზმის წინააღმდეგ ომი, თითქმის ყოველმა ოჯახმა გაიღო მსხვერპლი. ექვსასი ათასზე მეტი კაცი იყო ჯარში გაწვეული, აქედან სამასი ათასი ვერ დაბრუნდა. პროცენტულად საქართველომ უფრო მეტი დაკარგა, ვიდრე აშშ-ის მრავალმილიონიანმა ქვეყანამ. ჩვენი სოფლები შავ ძაძებში იყო გახვეული.

ვერც ერთი თაობა ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ საქართველოში ოდესმე სათავეში მოვიდოდა ისეთი მთავრობა, რომელიც ომში დაღუპულთა ხსოვნას შეურაცხყოფდა...

მაგრამ მოვიდა ე.წ. „ნაციონალური მოძრაობა“ (ცინიზმია, როცა ანტინაციონალურს–ნაციონალური მოძრაობა ჰქვია!), რომელმაც შეურაცხყო დაღუპულთა ხსოვნა, დაანგრია დიდების ძეგლები, გააუქმეს ომის ვეტერანების შეღავათები, დაიწყო ახალი თაობის ცნობიერებიდან კაცობრიობის ბოროტების – ფაშიზმის წინააღმდეგ ქართველთა დამსახურების დამცირების პროცესი, რომელიც ცხრა წელი გაგრძელდა.

ერთი სიტყვით, ავღანეთში საქართველოს მონაწილეობა ეროვნული ღირსებისა და საქართველოს ინტერესების საქმედ მიიჩნიეს, ხოლო ფაშიზმის წინააღმდეგ საქართველოდან ნახევარ მილიონზე მეტი კაცის მონაწილეობა და უდიდესი მსხვერპლი – რუსეთის საქმედ...

უვიცობა და ცინიზმი უფრო შორს ვერ წავა!

... უნივერსიტეტში ქართული ენა და ლიტერატურა წარმატებით ჩავაბარე, რუსულ ენაში ჩავიჭერი.

ძალიან განვიცადე ჩაჭრა, მაგრამ რა ვიცოდი, რომ თურმე ეს ბედნიერი შემთხვევა იყო, რომელმაც მთელი ცხოვრება თეატრალურ სამყაროსთან დამაკავშირა. დღეს ადვილია იმ შემთხვევაზე ლაპარაკი,

მაგრამ მაშინ სასოწარკვეთილებაში ჩავვარდი.

ვერ წარმომედგინა, როგორ უნდა დავბრუნებულიყავი რაიონში. მე ხომ საუკეთესო მოსწავლედ ვითვლებოდი. ვერ გავუმართლე იმედები ვერც ჩემს მასწავლებელს და ვერც – მეგობრებს. გამოდიოდა, რომ სულ „ბლეფი“ ყოფილა ჩემი სასკოლო წარმატებები. ერთი სიტყვით, უნივერსიტეტის ეზოდან გაბრუებული გამოვედი, ტრამვაის მოახლოება ვერ შევამჩნიე, კინაღამ გამიტანა, ვიღაცამ ხელი მკრა და ლიანდაგიდან გადამაგდო. ჩემი დის, ნინას სახლში რომ მივედი, თავი ვერ შევიკავე და ავტირდი. მას ვუთხარი, რომ თავს მოვიკლავდი, თუ უმაღლესში ვერ ჩავირიცხებოდი, რაიონში ვერ დავბრუნდებოდი.

ერთ დღეს შევხვდი პოეტ შალვა ლორთქიფანიძეს. მან გულთან ახლოს მიიტანა ჩემი გასაჭირი და  წამიყვანა რუსთაველის პროსპექტზე, ახლა რომ ჩვენი უნივერსიტეტია, იქ სარდაფში თეატრის მუზეუმი იყო, იქვე სარდაფში გუგული ბუხნიკაშვილი ცხოვრობდა. მე კარებთან გამაჩერა, თვითონ სახლში შევიდა, ათიოდე წუთს ველოდე, გაიღო კარი, სტუმარს გუგული ბუხნიკაშვილი აცილებდა. გავიგონე მისი ფრაზა: „თუ არ წერს, ნუ დაღუპავ“.

– საქმე კარგად არის, ნუ გეშინია, დახმარებას დამპირდა. ხვალვე შეიტანე საბუთები, – მითხრა შალვამ.

მიმღები კომისიის მდივანი იყო ყოფილი მსახიობი ლადო ადამიძე. რაიონის გაზეთის რედაქციაში გავგზავნე დეპეშა, მაგრამ სანამ ცნობას ფოსტით გამოაგზავნიდნენ, რამდენიმე დღე სჭირდებოდა, საბუთების მიღების ვადა კი იწურებოდა, ნეტა რა მრჯიდა, რას ვტრაბახობდი, ვიბეჭდებოდი-მეთქი. არავისთვის არ მოუთხოვიათ პრესაში თანამშრომლობის დოკუმენტი, რავა ყველაფერი მე უნდა დამემართოს, ვფიქრობდი.

ლადო ადამიძემ მითხრა, აკაკი ხორავა თუ მიბრძანებს, საბუთებს მივიღებო.

ბატონი აკაკი ინსტიტუტის დირექტორი (მაშინ ასე ერქვა რექტორის თანამდებობას) იყო, მისი სახელი საქვეყნოდ ქუხდა. დეპუტატად იყო არჩეული ჩვენი რაიონიდან, მაგრამ ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავდა. გადავწყვიტე მის კაბინეტში შესვლა, თითქოს რაღაც ძალამ ხელი მკრა და ხორავას წინ აღმოვჩნდი.

კაბინეტში ხორავა ლომივით იჯდა, დიდი მრისხანე, შუბლშეკრული სახით. მე ჭრელი, გვიშტიბის მაღაზიაში ნაყიდი სასაბნის პირისაგან

შეკერილი ,,სარო ჩკა'' მეცვა. ვიყავი გამხდარი, წვიმაში გაწუწულ წიწილასავით მობუზული, დასაცოდავებული ბიჭი. ჩემი შესვლა არც კი შეუმჩნევია ბატონ აკაკის. ერთხანს ვიდექი და ველოდი, როდის შემომხედავდა, მაგრამ რაღაცას გატაცებით წერდა.

მე, როგორც ახალგაზრდა ამომრჩეველი მოგმართავთ! — ვუთხარი ბ-ნ აკაკის.

ბატონმა აკაკიმ თავი მაღლა ასწია და რომ დამინახა, ისე გაებადრა სახე და ისე მოეწყო სკამზე, თითქოს რაღაც უჩვეულო კონცერტის ნახვას აპირებდა. (წარმომიდგენია რა სასაცილო ვიყავი)

— რაშია საქმე, დაწყნარდი და ისე მითხარი.

— გთხოვთ მიიღოთ ჩემი საბუთები.

— მერედა, რატომ არ იღებენ?

ხუთ წუთში გავაცანი მთელი ჩემი ბიოგრაფია. მედლის შესახებაც ვუთხარი. ისეთი ნათელი სახითა და ღიმილით შემომხედა, რომ ასე მეგონა, უკვე ინსტიტუტში ვიყავი მიღებული. ბატონი აკაკი თურმე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ასეთ ჯილდოებს, ამას მერე მივხვდი.

გამოუძახა ლადო ადამიძეს და საბუთების მიღება დაავალა.

# კურიოზები და სხვები...

საბუთების მიღება საგამოცდო დაბრკოლებათა ერთი ეტაპის გადალახვას უდრიდა. იწყებოდა მეორე და მთავარი — სპეციალობაში გამოცდები. თეატრის შესახებ მარტო ბატონი დიმიტრი ჯანელიძის „ქართული თეატრის ხალხური საწყისების“ წაკითხვა მოვასწარი. თბილისის თეატრების სპექტაკლები კი არ მენახა. ზაფხული იყო. ზეპირ გამოცდაზე კიდევ მოახერხებდა კაცი ლიტერატურის ცოდნის იმედით, მაგრამ წერითი გამოცდა?

დაიწყო წერითი გამოცდა. ერთ-ერთი თემა იყო, ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“ რუსთაველის თეატრის სცენაზე“.

პიესა წაკითხული მქონდა. იგი თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების საკითხს ეხებოდა. თემას კარგად ვიცნობდი გაზეთებიდან. წაკითხული მქონდა გრიგოლ აბაშიძის ლექსები „სამხრეთის საზღვარზე“ და  პოემა „ზარზმის ზმანება“. ამ ცოდნის იმედით ავირჩიე თემა. პიესა გავარჩიე, მაგრამ სპექტაკლზე რას ვიტყოდი, რაც არ ვიცოდი.მაგრამ გაჭირვება თურმე რას არ გააკეთებინებს კაცს. ერთ-ერთ აბიტურიენტს რუსთაველის თეატრის პროგრამა ჰქონდა, ვთხოვე, პიესის მოქმედ გმირებს ფრჩხილებში მსახიობების გვარები მივუწერე. რა ვიცოდი, ვინ იყვნენ მედეა ჩახავა, ვალიკო დოლიძე ან სხვები, რომლებიც წარმოდგენაში მონაწილეობდნენ. ჩამონაწერის მიხედვით კი ილუზია იქმნებოდა, თითქოს სპექტაკლი ნანახი მქონდა. ნამდვილი ხონური სვლა გამომივიდა. გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი, ბედი არასოდეს არ დაკეტავს ყველა კარს, ერთი გასასვლელი რომ არ დატოვოსო.

ალბათ მთავარია გასასვლელის მოძებნა!

ჰოდა, მეც ხონურად ვიპოვე გამოსავალი.

გავედი კიდეც, ზეპირ გამოცდაზე წერის ნიშანი გამომიცხადეს — ხუთი.

სიხარულისაგან ლამის ცუდად გავხდი.

საგამოცდო კომისიას ხელმძღვანელობდა პრორექტორი, პროფესორი აკაკი ფაღავა, წევრები: კონსტანტინე ანდრონიკაშვილი და დინიტრი ჯანელიძე.

ვცდილობდი, საუბარი ლიტერატურის განხრით წამეყვანა.

აკაკი ფაღავამ მკითხა:

— თეატრის შესახებ რა წაიკითხეთ?

— დიმიტრი ჯანელიძის წიგნი!

— თუ იცნობთ დიმიტრი ჯანელიძეს?

— არ ვიცნობ!

დავინახე,კომისიის ერთ-ერთი წევრი ისე გაღიმებული მიყურებდა, რომ თითქოს მეუბნებოდა, ეს მე ვარო. მე თავი ჩავღუნე. ფაღავამ მითხრა, აქ ბრძანდებაო. თითქმის მთავრდებოდა გამოცდა, რომ აკაკი ფაღავამ მკითხა:

— დამისახელეთ დავით კლდიაშვილის პიესები.

— „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“.

— კიდევ რომელი პიესა აქვს დაწერილი?

არ ვიცოდი, თავი დავხარე, მომესმა კონსტანტინე ანდრონიკაშვილის ხმადაბალი ნათქვამი — „უბედურება“. ავწიე თავი და ნაღვლიანი თვალებით შევხედე. დიმიტრი ჯანელიძე იღიმებოდა და თავს მიქნევდა. მაინც ვერაფრით მივხვდი, რომ „უბედურება“ პიესის სახელი იყო. „უბედურება“, „უბედურება“ — კვლავ ჩაილაპარაკა ბატონმა კონსტანტინემ, ოღონდ უფრო ხმამაღლა.

მეგონა რომ ჩემზე ამბობდა, გავბრაზდი, ვიფიქრე რას გადამეკიდა ეს კაცი-მეთქი. ფაღავამ დაყვავებით შემეკითხა: აბა, თქვი, რომელი პიესა ყოფილა? გონება გადამეკეტა, ვერ მივხვდი და ვერ ვუპასუხე.

მაშინ ბატონი კოწო მართლა გაბრაზდა და ხმამაღლა ხაზგასმით თქვა: „უბედურება“, ბიჭო, „უბედურება“!

ახლა კი დავრწმუნდი, რომ ჩემზე ამბობს — ეს რა უბედურებაოო და მეც გაბრაზებულმა მივახალე:

— რა ჩემი ბრალია, სოფლიდან ვარ!

სულ გადაირია ბატონი კოწო — რა შუაშია, ბიჭო, სოფელი, თქვა და დიმიტრი ჯანელიძისაკენ შებრუნდა, თითქოს ჩემი დანახვა არ უნდოდა.

ფაღავასა და დიმიტრი ჯანელიძეს სიცილი აუტყდათ, ხუთიანი დამიწერეს და გამომიშვეს. ფოიეში მელოდებოდნენ აბიტურიენტები, დამესივნენ, რა გკითხეს, რა ვერ უპასუხე?

— არ ვიცი, ერთი გამომცდელი გადამეკიდა, რაღაცა „უბედურებას“ იძახდა, მასთან ახლოს არ დაჯდეთ! — ვურჩიე ჩემი ჭკუით.

აბიტურიენტები ერთმანეთს ეკითხებოდნენ — მართლა რას ნიშნავს „უბედურებაო“ (როგორც ჩანს, არავის არ ჰქონდა წაკითხული).

გავიდა დრო. დიდი დრო გავიდა... ვფიქრობ, რამდენი რამ ხდება

ამ მისაღებ გამოცდებზე, როგორც არ უნდა ეცადო, მაინც ვერ ასცდები შემთხვევითობებს. ვიგონებ სტუდენტობის წლებს. მერვე აუდიტორიაში, სადაც ხშირად მისაღებ გამოცდებს ვატარებდით, ლექციებს დასავლეთის ლიტერატურის ისტორიაში გვიკითხავდა გიორგი ნადირაძე – შავგვრემანი, ლამაზი, მრგვალი პირისახის, ერუდირებული ლექტორი. სიუჟეტები ქუჩაში მოგზაურობენო – თქვა ერთხელ.

სიუჟეტები ინსტიტუტის დერეფნებშიც მოგზაურობენ!

დავდივარ დერეფნებში და სიხარულით ვისმენ ახალგაზრდულ ხმებს, თითქოს ჩემი დაკარგული ახალგაზრდობის ხმებიც ისმის...

ამ ხმების გარეშე არ შემიძლია სიცოცხლე!

თეატრალური ინსტიტუტი პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტთა რაოდენობით ყველაზე პატარა ინსტიტუტი იყო საქართველოში, მაგრამ რაღაც გამსაკუთრებული ინტიმი, განსაკუთრებული აურა ჰქონდა. ყველაფერი თბილი და მოალერსე იყო. თითქოს აუდიტორიებიცა და კედლებიც სუნთქავდნენ. პედაგოგთა და სტუდენტთა ერთმანეთთან სიახლოვე, ყოველდღიური თანაცხოვრების ატმოსფერო განუმეორებელ ხიბლს ანიჭებდა ინსტიტუტს. ჰყავდა თავისი კოლორიტული ადამიანები. ამ მხრივ გამოირჩეოდნენ ბიბლიოთეკის გამგე რუსუდან მიქელაძე და საშა კიკნაძე. რუსუდანი თავისი დახვეწილი, არისტოკრატიული მანერებით და ფაქიზი იუმორით, და სასწავლო ნაწილის გამგე საშა კიკნაძე კი მოჩვენებითი „ყვირილით“ და „სიმკაცრით“. პირველ მაისსა და შვიდ ნოემბერს საზეიმო დემონსტრაციაზე ინსტიტუტის წინ რომ ჩავივლიდით, ვყვიროდით: „საშა-ვაშა“, „საშა-ვაშაა“.

წარსულის ნოსტალგია ბუნებრივი, ადამიანური მოვლენაა. ყოველი ადამიანი ხომ თავისი ბიოგრაფიის ნაწილს ეთხოვება, ასაკითაც შორდება და ეს გარემოება უფრო მეტად ამძაფრებს ნოსტალგიის შეგრძნებას. მიხ. თუმანიშვილი ინსტიტუტის 70 წლისთავზე წერდა: „შუაგულ ქალაქში ყველაზე ლამაზ ადგილას განლაგებულია ჩვენი ხანდაზმული ინსტიტუტი. ძალიან მიყვარს იგი და ჩემი ეს სიყვარული უკვე ნახევარი საუკუნისაა. მე მახსოვს ჩვენი ინსტიტუტი აყვავებული, მშვენიერი! მის სათავეში – აკაკი ხორავა, უდიდესი პიროვნება. რაც დრო გადის, მით უფრო მეტად ვიხრი ქედს ამ პიროვნების თანდაყოლილი, განუმეორებლობის წინაშე. გიორგი სარჩიმელიძის გრიმის გაკვეთილები ჩვეულებრივ მარჯანიშვილზე

და ახმეტელზე საუბრებით მთავრდებოდა. მეტყველების ბრწყინვალე პედაგოგი ქლბატონი მალიკო მრევლიშვილი, ეს იყო მხატვრული კითხვის ნამდვილი სკოლა. ვისხენებ ჩვენს პედაგოგებს: ა. ფაღავას, საშა კიკნაძეს, შესანიშნავ მასწავლებლებს: ვ. ბერიძეს და ლ. რჩეულიშვილს, გრიშა კიკნაძეს და რევაზ ნათაძეს, შარლემანს, ახალგაზრდა, მომხიბვლელ ნ. შალუტაშვილს, ბრწყინვალე ფილოსოფოს შ. გაბელაიას. თეატრის უდიდესი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი გ. ტოვსტონოგოვი, უნიჭიერესი დოდო ალექსიძე, დიდად გამოცდილი კ. ანდრონიკაშვილი, ოდნავ ირონიული საშა მიქელაძე, კუკური პატარიძე... მე მიყვარს ინსტიტუტი. მისი კიბეები, აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, სცენა, მიყვარს ჩემი ნიჭიერი მეგობრებისა და არაჩვეულებრივი მასწავლებლების გახსენება“.

სიყვარულით გახსენებულ ამ ადამიანთა შორის ბევრს მეც მოვესწარი. როგორ დამავიწყდებიან ისინი და სხვებიც, ჩემი მასწავლებლები, ერუდიტი ა. გაწერელია, სპეციალობის ხელმძღვანელი რაინდული ბუნების დ. ბენაშვილი, საზღვარგარეთის ლიტერატურის ლექტორი გ. ნადირაძე, რომელმაც შესანიშნავი წიგნი დაწერა „რუსთაველის ესთეტიკა“, ახალგაზრდა, არისტოკრატი, კეთილმოუბარი ჯ. ჭუმბურიძე, ქართული თეატრმცოდნეობის მებაირაღე დ. ჯანელიძე, ჭკვიანი, მუდამ გაწონასწორებული ნ. ურუშაძე, მეგობრული და საიმედო ნ. შვანგირაძე, ენათმეცნიერი ი. მეგრელიძე, რომელიც იცავდა აკადემიკოს ნ. მარს, როცა მას სტალინი აკრიტიკებდა. მშვენიერი ნ. შალუტაშვილი, არ მავიწყდება ფართო დიაპაზონის, ღრმად მოაზროვნე მ. კვესელავას საუბრები ნიურბერგის პროცესზე, სადაც ის მონაწილეობდა. პედაგოგიური უნარითა და კეთილშობილებით გამორჩეული აკ. დვალიშვილი, მუშა ფუტკარივით მშრომელი გოგუცა აბაშიძე, კაცური კაცი პ. ზაქარაია, ფილოსოფიურად მოაზროვნე ე. თოფურიძე, ყველას ვერც ჩამოთვლი. ვერ შევეხები მათ ღვაწლსა და ამაგს, ყოველი მათგანის მოღვაწეობა სხვა საუბრებისა და სხვა სტილის წიგნისა თუ სტატიების თემაა.

რთულ და საოცარ სამყაროში, რასაკვირველია, სამოთხე არ იყო. უცნაურობებიც ბევრი ხდებოდა. სანამ პირადად არ შეგეხება, მანამდე ადამიანი ბევრ რამეს ვარდისფერი სათვალეებით უყურებს.

იმ უცნაურობებიდან მაგონდება რეპრესიების პერიოდის საშინელი ეპიზოდი.

ერთ დღეს ინსტიტუტში ხმა გავარდა, მეგრელებს იჭერენო.

დააპატიმრეს ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი მ. ბარამია, კომკავშირის ცეკას მდივანი მ. ზოდელავა, ნინო ჟვანია და ბევრი სხვა თანამდებობის პირი. დააპატიმრეს ჩვენი კათედრის გამგე, პარტბიუროს მდივანი ლიდა ბარამიაც (ცეკას მდივნის და იყო).

ლიდა ბარამიასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. კეთილი ქალი იყო, პატივსა ვცემდი. ისიც ყურადღებით მექცეოდა, გავოგნდი, როცა მისი დაპატიმრების ამბავი გავიგე. ოპერისა და ბალეტის თეატრის წინ ვდგავარ, ტრანსპორტს ველოდები, ვხვდები ინსტიტუტის პარტბიუროს ახალ მდივანს, რომელსაც პირდაპირ გულუბრყვილოდ მივახალე:

— არ მჯერა, რომ ამხანაგი ლიდა ბარამია აგენტი იყო!

— რაა?! — გაოცებით შემომხედა.

— რა და, არ მჯერა ქალბატონ ლიდას აგენტობა.

შემომხედა და გამეცალა.

მეორე დღეს პარტბიუროს სხდომაზე გამომიძახეს.

შევედი პარტბიუროს სხდომაზე. სხდომას მეტწილად ჩემი პედაგოგები ესწრებოდნენ. ოთახში მაგიდასთან იჯდა პარტკაბინეტის გამგე, შინაბერა ქალი, რომელიც გამოირჩეოდა პროლეტკულტელისებური იდეურობითა და „ბოლშევიკური პირდაპირობით“, ყველას ეშინოდა მისი.

დაძაბული სიტუაცია იგრძნობოდა. კარებთან, სადაც მე დავდექი, იჯდა ჩემი ახალგაზრდა, მშვენიერი პედაგოგი ნ. შალუტაშვილი. ეტობოდა, მან კარგად იცოდა ჩემი საკითხის ირგვლივ შექმნილი სიტუაციის სერიოზულობა და ჩუმად მითხრა, ნუ გაჯიუტდებიო.

— ამხანაგებო — თქვა პარტკომმა, - პარტიამ გამოაცხადა, რომ ლიდა ბარამია თურქეთის აგენტი იყო, ამხანაგ კიკნაძეს არ სჯერა პარტიის. თქვას, რა დოკუმენტები აქვს პარტიაზე მეტი?

ჩამოწვა საშინელი დუმილი.

— ამხანაგ ლიდას! — დავაპირე თქმა.

— ბრალდებულს, და არა ამხანაგს! — გამისწორა მან.

— ლიდა ბარამია მთელი დღე ინსტიტუტში იყო, ყველა აქებდა, ყველა თვალებში შესცინცინებდა. ყოველთვის მხარს უჭერდა პარტიის პოლიტიკას. მე სხვა არაფერი არ შემიმჩნევია.

— თქვენ, კომკავშირის მდივანს, პარტიისა არ გჯერათ? რაღაზე უნდა გელაპარაკოთ?

ამ დროს პარტკომის პოზიციის გასამაგრებლად წამოდგა

პოლიტეკონომიის ლექტორი ნიკოლოზ გვიშიანი და ისეთი რამ თქვა, რომ მეხივით გავარდა ბიუროს სხდომაზე. მან თქვა:

— ამხ. კიკნაძე ადრეც გვყავს შემჩნეული ანტიპარტიულ ქმედებაში. ამას წინათ განაცხადა, რომ გაზეთი „კომუნისტი“ ყველაფერს აქებსო. სტყუისო. „კომუნისტი“ ცეკას ორგანოა, ცეკა კი პარტიის დასაყრდენი. გამოდის, რომ ამხ. კიკნაძეს არ მოსწონს პარტიის ხაზი. გამოადგება ახლა ასეთი სტუდენტი საბჭოთა ხელისუფლებას? — არ გამოადგება! — კითხვას თავადვე უპასუხა ამაყად და დაჯდა.

— აბა, ამაზე რაღას იტყვით ამხანაგო კიკნაძე?

— ამხ. ნიკო ამხანაგ ლიდას უახლოესი ადამიანი იყო.

სიტყვის დამთავრება არ მაცალა ლექტორმა, წამოვარდა და უტიფრად განაცხადა, კიკნაძე სტყუის, ბრალდებული ლიდა ბარამია არასოდეს ყოფილა ჩემი მეგობარიო, კიკნაძე დემაგოგია! რა უნდა მაგას ინსტიტუტშიო.

— ამხანაგებო! — გაისმა „რკინის ლედის“ (რომელსაც კბილები ეშვებივით ჰქონდა წინ წამოწეული, ხოლო ფეხები ცხენზე მჯდომარესავით გაფარჩხული) მრისხანე ხმა — რას ვეფერებით კიკნაძეს, ხომ ხედავთ, პატიებასაც არ ითხოვს, უნდა გაირიცხოს ინსტიტუტიდან...

დოდო ალექსიძემ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ონ „ატლიჩნიკ“...

— რა თქვით? — იკითხა მრისხანე ოლღამ.

ბატონმა დოდომ ხმა ვერ ამოიღო. მაშინ ვერც ვერაფერს იტყოდი. კარგად უნდა იცოდეთ ის დრო, რომ გასაგები გახდეს, თუ რას ნიშნავდა ის ატმოსფერო, რომელიც სხდომაზე იყო გამეფებული. ყველას ეშინოდა. ყოველი ადამიანი ეჭვქვეშ იდგა. მე უკვე ვხედავდი, რომ ვერავინ დამიცავდა, განწირული ვიყავი, ინსიტუტიდან გარიცხვაზე ნაკლებად ვფიქრობდი. დაჭერის მეშინოდა. მოულოდნელად გამახსენდა ერთი კომიკური დეტალი ლიდასა და პოლიტეკონომიის ლექტორის ურთიერთობიდან. სხვა გზა არ იყო, უნდა მეთქვა.

— ამხანაგმა ნიკომ ლიდას მე-6 აუდიტორიაში ახალ კაბაზე აკოცა, დაიჩოქა და ემთხვია.

არ ვიცი, რამ გამახსენა. ეს ამბავი კი მართლა მოხდა. ჩვენ მე-7 აუდიტორიაში გვქონდა ლექციები. მე-7 აუდიტორიაში ისე ვერ შევდიოდით, თუ მე-6 აუდიტორიას არ გაივლიდით (დღეს იქ

სასცენო მეტყველების აუდიტორიაა). ადრე იქ ცხოვრობდა სანდრო ახმეტელი. ჩვენ მაშინ ახმეტელის სახელიც არ ვიცოდით. ვინ გვეტყოდა „ხალხის მტერზე“ რამეს. ამ ისტორიულ აუდიტორიაში ერთ-ერთ შესვენებაზე გამოიარა ლიდა ბარამიამ, შემთხვევით შეხვედრილმა ნიკომ ლიდას დანახვაზე გაშალა ხელები და უთხრა: ეს რა ლამაზად გამოიყურებით ახალ კაბაშიო და მის კაბას აკოცა. მეც დავინახე და სხვა სტუდენტებმაც. სიცილი აგვიტყდა სტუდენტებს ამ კომიკურ ჟესტზე, ეს ამბავი ვთქვი სხდომაზე.

— ვინ უფრო ახლოს იყო ამხანაგ ლიდასთან? — ვიკითხე მე.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე. პარტკაბინეტის გამგემ მკითხა:

— მართალია, რასაც ამბობთ?

— მართალია, სხვა სტუდენტებმაც ნახეს.

თურმე ცუდ ურთიერთობაში იყვნენ ნ.გვიშიანი და ოლღა ნადარეიშვილი. დრო იხელთა ოლღამ და სულ შეტრიალდა საქმე.

— ამხანაგებო! აქ სულ სხვა ახალი გარემოება გამოჩნდა. კიკნაძის საკითხი შემდეგი ბიუროსათვის გადავდოთ. ჩვენ ამხანაგ ნიკოს საკითხზე უნდა ვიმსჯელოთ.

გამომიშვეს. გადავრჩი. ამ ამბის მოსაყოლად წავედი კომკავშირის ცეკას მდივან გელა ბანძელაძესთან. ვთხოვე დახმარება. ბატონმა გელამ ჭკვიანური სვლა მოიფიქრა. ინსტიტუტს სთხოვა, რომ ჩემი საკითხი კომკავშირის ბიუროს განეხილა. ბატონმა გელამ მითხრა, რომ საყვედურს გამოგიტანენ ოქმში შეტანითო. იმასთან შედარებით რასაც ველოდი, ეს დიდი საჩუქარი იყო.

ვიცოდი, რომ კაბინეტის გამგე ოლღა ლიდა ბარამიას დიდი მეხოტბე იყო, მაგრამ ერთ-ერთ სხდომაზე ოლღამ ლიდა ბარამია „მკაცრად გააკრიტიკა“. სხდომას მეც ვესწრებოდი, როგორც სტუდენტების წარმომადგენელი. ნამდვილი აბსურდის თეატრი იყო. სხდომაზე ყველასაგან მოულოდნელად ოლღამ მთელი სერიოზულობით, მკაცრი გამომეტყველებით განაცხადა:

— ამხანაგო ლიდა! მეტს ვეღარ მოვითმენ, პარტიული სინდისი მავალებს პირდაპირ გითხრათ!

— ბრძანეთ. რაშია საქმე, ამხანაგო ოლღა?!

— ამხანაგო ლიდა!.. (პაუზა) გავიგეთ, რომ ამ დღეებში სტუდენტ გოგოსთვის კაბა გიჩუქებიათ. მეტისმეტად კეთილი ხართ. ზომიერებაა საჭირო... ასეთი გულუხვობა არ შეიძლება.

აქა-იქ გაისმა სიცილი, ლიდამ შვებით ამოისუნთქა და „მკაცრ კრიტიკას“ ღიმილით უპასუხა:

— ჰოო.. ქალბატონო ოლღა, თქვენ მართალი ხართ, მიყვარს გაჭირვებულების დახმარება. რა ვქნა, არ დავეხმარო?

— ზოგჯერ შეიძლება. თქვენ კი სულ სიკეთეზე ფიქრობთ...

ქათინაურის ამ ფორმამ გიგა ლორთქიფანიძის ერთ-ერთი საინტერესო ნაამბობი გამახსენა. თეატრალურ ინსტიტუტში გ. ტოვსტონოგოვი ასწავლიდა სტუდენტებს, მაამებლობა ისე გამოეხატათ, რომ ღირსების გრძნობა არ შელახოდა არც მას და არც ქათინაურის ადრესატს. იმავე დროს, — ქათინაური დამაჯერებელი უნდა ყოფილიყო. ტოვსტონოგოვს თურმე არ მოეწონა არცერთი ვერსია, რომელიც სტუდენტებმა გააკეთეს. მაშინ თავად უჩვენა, როგორ უნდა „ღირსეული მლიქვნელობა“. ინსტიტუტის ფოიეში გამოიარა დირექტორმა აკაკი ხორავამ, გიორგი ტოვსტონოგოვმა ხელი ჩამოართვა აკაკის, სახეში შეხედა და თანაგრძნობის კილოთი უთხრა:

— ბატონო აკაკი, დღეს რაღაც დაღლილი ჩანხართ!.. ეტყობა, ბევრი იმუშავეთ.

— ჰოო, მართალი ხარ, გოგა, დღეს ბევრი საქმე მქონდა...

შეხვედრით ორივე კმაყოფილი დარჩა.

სტუდენტობის წლებში დავიწყე სტატიებისა და წერილების გამოქვეყნება. მეტწილად ლიტერატურის შესახებ ვწერდი. სკოლაში ქართული ლიტერატურის მასწავლებლის, ჩემი ყველაზე საყვარელი მასწავლებლის — დადუ იოსელიანის წყალობით კარგად შევისწავლე ქართული ლიტერატურა. „ლიტერატურული გაზეთი“ ჩემი საყვარელი გაზეთი იყო. ბედად, რედაქტორი გიორგი ნატროშვილი აქტიურად მიჭერდა მხარს. ბ-ნი გიორგი ფართო ერუდიციის მწერალი იყო. შესანიშნავად წერდა. მის ნაწერებში იგრძნობოდა ენერგია, რიტმი, სიღრმე. ჩვენ დავმეგობრდით, მეგობრობა გაგრძელდა მის შვილთან, გამორჩეულად ნიჭიერ თამაზ ნატროშვილთან. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვკითხულობ ხოლმე მის ისტორიულ ნოველებს, მშვენიერ წერილებს შესანიშნავ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“.

ერთხელ, სტუდენტობის დროს, უცნაური სიზმარი ვნახე, მაშინ რედაქტორ გიორგი ნატროშვილთან ჯერ ახლოს არ ვიყავი, კრიტიკული წერილი მქონდა მიტანილი შ. ფორჩხიძის წიგნზე. ორ-სამჯერ მივაკითხე, მაგრამ მაცალეო, — მითხრა, ერთხანს აღარ

მივდიოდი. ჩავიქნიე ხელი, იმედი აღარ მქონდა, რომ დაიბეჭდებოდა სტუდენტის წერილი მწერალთა ორგანოში.

ვხედავ, სიზმარში გიორგი ნატროშვილი მეძახის: ტრიალი მინდორია. მივედი, წითელი ცხენი გვერდზე ედგა. ცხენზე უნდა შეგსვაო, — თქვა და მომკიდა ხელი. ამიყვანა და გაუხედნავ ცხენზე შემსვა. აღვირი მომაწოდა, მაგრად მოჰკიდე ხელი, არ უნდა გადმოვარდეო. ცხენს მათრახი დაჰკრა, ცხენი გაფრინდა, შევშინდი, მაგრამ აღვირზე ხელი მაგრად მოვკიდე...

წავედი ინსტიტუტში. პარასკევი დღე იყო. ჯიხურში „ლიტერატურული გაზეთი“ ვიყიდე. გადავფურცლე და რას ვხედავ, ჩემს დიდ სტატიას, მყვირალა სათაურით „საკოლმეურნეო სოფელი და ძველი წისქვილის იდილია“. წერილის სათაური ბატონი გიორგისა იყო. ბევრი რაღაცებიც ჩაემატებინა, უფრო გაემძაფრებინა წერილი. როცა წავიკითხე, შევშინდი. ინსტიტუტში მივიტანე გაზეთი, ერთი ამბავი ატყდა, როცა ნახეს სტატია. ჯგუფელმა თ. ჯანელიძემ თქვა: მწერალთა კავშირში წავიდეთ, ვნახოთ, როგორი რეაქციააო. წავედით ჯგუფელი ბიჭები: ნოდარ გურაბანიძე, ალეკო შალუტაშვილი, თენგიზ ჯანელიძე. კავშირის კიბის თავზე ორი კაცი იდგა და გაზეთს კითხულობდნენ, მსჯელობდნენ.

— გინდათ, ავტორი გაგაცნოთ? — უთხრა თენგიზ ჯანელიძემ.

— თქვენ ბძრანდებით?

— არა, აგერ დგას, — თქვა და ჩემკენ გამოიშვირა ხელი.

ერთ-ერთი ჭაღარა მწერალი ჩემსკენ წამოვიდა. მე შევშინდი.

— გამარჯობათ, მე შალვა ფორჩხიძე ვარ. — მითხრა და ხელი გამომიწოდა.

სიზმარმა მაუწყა, თუ რას ნიშნავდა გიორგი ნატროშვილის დახმარება, როცა ცხენზე შემსვა და მათრახიც შემოჰკრა. კრიტიკაში თუ „ცხენზე შეჯდები“, გადმოვარდნის არ უნდა გეშინოდეს.

ერთ დღეს ნაღვლიანად მხვდება დავით გაჩეჩილაძე.

— ვასო, შენ სიზმრებისა თუ გჯერა? — ისე მკითხა, რომ მივხვდი, ცუდი სიზმარი ჰქონდა ნანახი.

— სიზმრებისა კი არა, ცხადისაც აღარ მჯერა! რატომ მეკითხები?

— საოცარი სიზმარი ვნახე, ჩემი გონებიდან არ ამოდის, რაღაც უბედურება დამემართება.

— ახლა ცრუმორწმუნეობა დაიწყე?

— არა, არა, ბიჭო, ნამდვილად რაღაც საშინელება ვნახე. სადღაც შორს ვიყავი, მდინარის პირას. დიდი ტრიალი მინდორი იყო ირგვლივ. გარდაცვლილი დედა და მამა დავინახე, თითქოს მიიპარებოდნენ, ისე ფეხაკრეფით მიდიოდნენ, თან ჩემკენ იყურებოდნენ. არ მიღიმოდნენ, არც მიფრინავდნენ და არც მიწაზე ადგამდნენ ფეხს. მე ანკესით ვთევზაობდი, ხან ანკესისაკენ ვიყურებოდი, ხან მშობლებისაკენ, უცებ ანკესმა დაქაჩა, თითქოს დიდი თევზი წამოეგო, რამდენჯერმე ამოვქაჩე, მერე მაგრად მოვქაჩე, ანკესზე კიბორჩხალა იყო.

რამდენიმე თვეში ბატონი დავითი კიბოთი გარდაიცვალა.

შიშით ვუყურებდი ხოლმე ზურაბ ანჯაფარიძის შესიებულ ყბას, ყოველთვის დავით გაჩეჩილაძე მაგონდებოდა.

ზურაბიც სიმსივნით გარდაიცვალა.

დიდ ეპოქალურ ცვლილებებს მოვესწარი. სტალინის ეპოქა გამოირჩეოდა საოცარი სიმკაცრითა და ფანატიზმით. მასობრივმა რეპრესიებმა ისე დააშინა ხალხი, რომ თაობიდან თაობებში გენეტიკურად დაპროგრამდა შიშის სინდრომი. ლექტორები ხშირად ლექციებს დაწერილი კონსპექტებიდან გვიკითხავდნენ. დაწერილი ლექცია ცენზურა გავლილი იყო, კათედრა იხილავდა და ამტკიცებდა. თავის დაზღვევის მიზნით სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტიც კი დაწერილი იყო და შემოწმებული. როცა პრორექტორად დავინიშნე, პირველივე დღეებში შევეცადე, ლექტორები გამეთავისუფლებინა „შპარგალკებისაგან“. ვთხოვე, ლექციები წაეკითხათ ზეპირად, თავისუფლად, რათა მეტი უშუალო კონტაქტი ჰქონოდათ სტუდენტებთან.

სტალინის ეპოქაში ადამიანებს ბავშვობიდანვე კამიკაძისებური ფანატიზმით გვზრდიდნენ. 37 წლის რეპრესიებმა გატეხა ხალხი, დააშინა. სტალინის სიკვდილის შემდეგ გავიგეთ, თუ რა ხდებოდა ქვეყანაში. თურმე საქართველოში 250 ათასი ადამიანი იყო რეპრესირებული, როგორც ეს ითქვა 1955 წელს რკინიგზელების კლუბში გამართულ სასამართლო პროცესზე.

როცა სტალინი გარდაიცვალა, სტუდენტები შევიკრიბეთ მე-8 აუდიტორიაში. დიდი პატივით შემოვასვენეთ სტალინის სურათი, დავდექით საპატიო ყარაულში, მკლავებზე შავი ლენტი გვეკეთა. ოთხ-ოთხი სტრუდენტის მონაცვლეობით საპატიო ყარაულში დგომა საათობით გაგრძელდა. ჩვენ დიდ პატივად მიგვაჩნდა, რომ ბელადის სურათთან საპატიო ყარაულში ვიდექით. საღამოს ჯგუფის

მეგობრები მწუხარე სახით გავუყევით გზას ზემელისაკენ. კარგად მახსოვს ის ადგილი – იმელთან, სადაც ერთ-ერთმა მეგობარმა, ნიკოლოზ კვანტალიანმა თქვა, მამაჩემი მომკვდარიყო, ოღონდ სტალინს ეცოცხლაო... ჩვენ გაოცებულნი შევჩერდით, ნიკოს მთელი სერიოზულობით ვუთხარით: ნიკო! სტალინის სიცოცხლისათვის რა დიდი მსხვერპლია მამაშენის სიკვდილი?. .

– ჩემთვის დიდი მსხვერპლია!..

– არა, ნიკო, ოღონდ სტალინს ეცოცხლა და დავხოცილიყავით ჩვენ, ყველანი! – ვთქვი ერთგვარი სიამაყით. ასე ღირსეულად შევაფასეთ ბელადის სიცოცხლის მნიშვნელობა.

მოსკოვში სტალინის გასვენების დღეს ბევრი ადამიანი დაიღუპა.

მეორე მსოფლიო ომში ჯარისკაცები ტანკის ქვეშ ვარდებოდნენ შეძახილით: „სტალინისათვის!“... „სამშობლოსათვის“!..

ფანატიზმი ქმნის კამიკაძეებს!

სტალინის ეპოქაში სექსზე მინიშნებითაც კი არ შეიძლებოდა ლაპარაკი ფილმებსა და სპექტაკლებში. განსაკუთრებით სასწავლო-ახალგაზრდობით დაწესებულებაში. არამცთუ სექსზე, სამსახიობო ფაკულტეტზე სტუდენტთა პროგრამებში ეტიუდების შერჩევის დროს რეკომენდებული არ იყო კრიმინალური მოვლენების მაგალითებზე ეტიუდების აგება.

ყველაფერი, მით უფრო, სექსის ჩვენება კაპიტალიზმის იდეოლოგიის შემოჭრად ითვლებოდა. უცხოურ ფილმებში, რომელთაც საბჭოთა ეკრანზე უშვებდნენ, ამოჭრილი იყო კადრები, სადაც კოცნა და სექსი იყო. 60-იან წლებში თითქოს ცოტა იკლო პურიტანიზმმა, მაგრამ ინერცია მაინც დიდხანს გაგრძელდა. როცა დოდო ალექსიძემ ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ დადგა, საროსკიპოს სცენაში, მსახიობები მოკლე კაბებში გამოიყვანა. ატყდა ერთი ამბავი, ეს რა უზნეობააო, ამბობდნენ მორალისტები. მაყურებლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე კვლავ გაიჟღერა საყვედურმა. გაბრაზდა დოდო, გამოვიდა და განაცხადა: „მთელი დარბაზი ბოზებით არის სავსე და სცენაზე მოკლე კაბიან ქალებს აკრიტიკებენო“...

ჩემი სტუდენტობის დროს თეატრალურ ინსტიტუტში, სადაც თითქოს პიროვნების მეტი თავისუფლება უნდა ყოფილიყო, იგივე სიტუაცია იყო. გავიდა დრო, ერთხელ ხმა დაირხა, თითქოს ახალგარზდა რეჟისორ ი. კაკულიას დოდო ალექსიძის ჯგუფის

რომელიღაც სტუდენტთან რომანი გაეჩაღებინა. გაიმართა რექტორატის სხდომა, რექტორი იყო ძველი პარტიული მუშაკი ილია თავაძე, პრორექტორი – ეთერ გუგუშვილი. დოდო ალექსიძე კათედრას განაგებდა. სხდომაზე იმსჯელეს საბჭოთა მორალისათვის შეუფერებელი საქციელის შესახებ. სიტყვით გამოვიდა დოდო ალექსიძე.

– იურა! რას ჰგავს შენი საქციელი! თუ მართალია, რასაც ამბობენ, ნამდვილად აღმაშფოთებელია. რა მოგივიდა ბოლოს და ბოლოს, შეიკავე თავი, ახალგაზრდა პედაგოგი ხარ, ნიჭიერი... თუ მაინცდამაინც ვერ ითმენ უქენი ეთერი ნიკოლაევნას!.. თუ არადა, .ბოლოს და ბოლოს უქენი ილია ყაისაროვიჩს!.

– რას ამბობ, დოდო... – გაისმა ხმები...

დოდო ექსტაზში იყო შესული და უკან არ დაიხია:

– დიახ, დიახ... ოღონდ მოეშვი სტუდენტებს, ბოლოს და ბოლოს, მიქენი მე. მეტი რა გითხრა!

რექტორატზე ერთი აურზაური და სიცილ-ხარხარი ატყდა.

ვიდრე თეატრალურ ინსტიტუტში მიმიწვევდნენ ლექციების წასაკითხად, ცოტა ხნით ადრე სამხატვრო აკადემიაში დავიწყე თეატრის ისტორიის ზოგადი კურსის კითხვა. მანამდე ნინო შვანგირაძეს მიყავდა ეს კურსი. სწორედ მან გამიწია რეკომენდაცია ფერწერის ფაკულტეტზე (კათედრის გამგე უ. ჯაფარიძე) იყო სცენოგრაფიის განხრა, რომელსაც ფარნაოზ ლაპიაშვილი ხელმძღვაბელობდა. ფ. ლაპიაშვილი დიდი მასშტაბის ხელოვანი იყო. დიდი როლი შეასრულა სცენოგრაფიის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით აკადემიაში საუკეთესო სცენოგრაფისტები აღიზარდნენ. ლექციებს ვუკითხავდი სტუდენტებს – გ. გუნიას, თ. მურვანიძეს, მ. შველიძეს, უ. იმერლიშვილს, თ. ნინუას, გ. მღებრიშვილს, ი. ხუციშვილს, თ. გეინეს და სხვებს.

ბედნიერი ვარ, რომ პედაგოგიური კარიერის დასწყისშივე ბედმა საუკეთესიო ახალგაზრდებს შემახვედრა

# იწყებოდა ახალი ცხოვრება

რუსთაველის თეატრში და კულტურის სამინისტროში თითქმის ათ-ათი წელი ვიმუშავე.

1973 წელს, როცა კულტურის სამინისტროში თეატრების განყოფილების უფროსად ვმუშაობდი, ერთ „მშვენიერ“ დღეს გრიპით გავხდი ავად. ავადმყოფობა ერთი კვირა გამიგრძელდა. ცოტა რომ მოვკეთდი, სახლში გაისმა ტელეფონის ზარის ხმა.

— ვასო, რატომ არ მოდიხარ სამსახურში? — მირეკავს ეთერ გუგუშვილი. თან იცინის, კარგ ხასიათზეა, უკვე თეატრალური ინსტიტუტის რექტორია, მანამდე კარგა ხანს იმუშავა პრორექტორად.

უცებ გავღიზიანდი, ვიფიქრე, ეთერს ვინ ეკითხება, როდის მივალ სამსახურში.

— რა მოხდა, ჩემთან გაქვს საქმე?

— საქმის მეტი რა არის, დროზე გამოდი... დროზე... უკვე შენი უფროსი ვარ. — იცინის გულიანად.

ალბათ სამინისტროში გადმოიყვანეს, ვფიქრობ და ვეკითხები: რა, დაგაწინაურეს?!

— ვასო, ახლა გაიგე, რომ რექტორი ვარ?

— ვიცი, მაგრამ ვერ გავიგე, ჩემგან რა გინდა?

— არ იცი, ჩემს მოადგილედ რომ გადმოგიყვანეს? — კვლავ გულიანად იცინის, - ერთი სიტყვით — კაიფობს...

— მე არაფერი არ ვიცი, ვინ გადაწყვიტა ჩემი საქმე, არ უნდა მკითხონ?!

— „ტი ზნაეშ...“ უცებ გადაწყდა ზევით... ცეკაში... მდივანთან ვ. სირაძესთან ვიყავი. იქ იყო უმაღლესების განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძეც. შემომთავაზეს პრორექტორის კანდიდატურა, მე მისი წინააღმდეგი წავედი. ვთქვი, რომ მე მინდა მშრომელი კაცი და არა პრეზიდიუმებში გამოსაჩენი პიროვნება... შენი კანდიდატურა დავასახელე.

დაიწყო ჩემი ახალი ცხოვრება, ახალი იმედები, ახალი საქმე, ახალი ადამიანები.

მაინც რა საოცარია ადამიანის ცხოვრება. ვერსაოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ოდესმე დიდი მოღვაწის, აკაკი ფაღავას ადგილას დავინიშნებოდი. მის შესახებ მაშინ ძალიან ცოტა რამ

ვიცოდით. დაუმსახურებლად იყო მიჩქმალული მისი დიდი ღვაწლი, განსაკუთრებით სათეატრო განათლების საქმეში. იმდენად იყო ისტორია გაუკუღმართებული, რომ ინსტიტუტის დაარსების 30 წლის საიუბილეო საღამოც კი გაიმართა რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში. 1939 წლიდან დაიწყეს ინსტიტუტის წელთაღრიცხვა ანუ ინსტიტუტის აღდგენიდან და არა დაარსების დღიდან. ვითომ ამით აკაკი ხორავას ღვაწლი განადიდეს, რომელიც მას სრულიადაც არ სჭირდებოდა, თავისთავადაც დიდი მოვლენა იყო, ხორავასა და აკ. ფაღავას ძალისხმევით აღდგა ინსტიტუტი 1939 წელს.

აკაკი ფაღავა დიდი და რთული ბიოგრაფიის მოღვაწე იყო. ახალგაზრდობაში მოსკოვის სამხატვრო თეატრს დაუკავშირა ბედი. ღრმად შეისწავლა რეალისტური, ფსიქოლოგიური თეატრის პრინციპები და ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი რეჟისორი გახდა.

ჰქონდა საოცარო ორგანიზატორული ნიჭი. ცხოვრებაში იყო წესიერი, საქმიანი, უაღრესად პუნქტუალური შემსრულებელი. ამ მხრივ ნამდვილი ევროპელი იყო. უბრალო, სადა კაცი იყო, მაგრამ ძალიან მომთხოვნი. ა. ფაღავა თეატრმცოდნეებს მსახიობის ოსტატობის საფუძვლებს გვიკითხავდა.

უფროსი კურსის ზოგიერთი სტუდენტი მასთან ახლოს იყო და ფულის სესხებასაც კი უბედავდა. ასესხებდა, მაგრამ უბის წიგნაკში იწერდა, თუ რომელ დღეს და რომელ საათზე უნდა დაებრუნებინათ ვალი. გვიკვირდა მისი ასეთი უცნაური პედანტური სიზუსტე, მაგრამ შემდეგ მივხვდით, რომ ამით სიტყვის კაცობას გვასწავლიდა.

ჩრდილში დგომას არჩევდა. კულუარებში ჩურჩულებდნენ, ფედერალისტია და მენშევიკურ მთავრობასთან ძალზე დაახლოებული იყოო. 50-იან წლებში ეს ბრალდებასავით ჟღერდა.

აკაკი ფაღავა 1918-1919 წლებში მართლაც იყო დამოუკიდებელი საქართველოს ანუ „მენშევიკების ეპოქის“ პარლამენტის წევრი.

გავეცანი პარლამენტის სხდომების ოქმებს და იქიდან ჩანს აკაკი ფაღავას აქტიური მუშაობა კულტურის საკითხების გადასაწყვეტად.

იგი იგონებს: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის“ განათლების სამინისტროდან შემდეგი მიმართვა მივიღე: „ბ-ნ აკაკი ფაღავას! საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის ბრძანებით თქვენ ინიშნებით ბათუმში ქართული გიმნაზიის გახსნის

საქმის მოსაწერიგებლად, ამიტომ გთხოვთ წაბრძანდეთ ბათუმში“.

ეს იყო საოცრად რთული პერიოდი. „იმ დროისათვის ბათუმი და მისი ოლქი ოკუპირებული იყო ინგლისელების მიერ, რომელთა ხელშიც საერთო ზედამხედველობა და სამხედრო ძალა რჩებოდა. სამოქალაქო ძალაუფლებას კი დენიკინელები განაგებდნენ. მათ ხელში აღმოჩნდა სკოლებიც და ქართველი ბავშვები სკოლის გარეთ დარჩნენ“.

აკაკი ფაღავამ დიდი ორგანიზატორული მუშაობა გააჩაღა და შეძლო გიმნაზიის დაარსება, რომლის პირველი დირექტორიც გახდა.

აკ. ფაღავას ისტორიული დამსახურებაა 1920 წელს რუსთაველის თეატრის რეორგანიზაცია.

ამის გამო უშანგი ჩხეიძე წერდა: „ჩემი თაობის აქტიორთა პირველი ნაბიჯები თქვენ სახელთან არის დაკავშირებული 1920 წელს, როდესაც დაარსდა სახელმწიფო დრამა, რომლის ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი თქვენ იყავით. ჩვენ, ახალგაზრდა აქტიორებმა, პირველად შევდგით ფეხი მაშინ დიდ სცენაზე.

თქვენ იყავით პირველი ჩვენს რეჟისორებში, რომელიც ამხნევებდით და გაბედულად აწინაურებდით უნარის მქონე ყველა ახალგაზრდას.

თქვენ იყავით არა მარტო რეჟისორი-ხელმძღვანელი, არამედ აღმზრდელი და დამცავი ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გაუბედავი მომავალი ძალებისა. თქვენი ყველაზე უფრო არსებითი, შესანიშნავი თვისება, რომელიც დღემდე ახასიათებს თქვენს ბუნებას, ეს არის დიდი სიყვარული ახალგაზრდებისადმი. თქვენ რთული და უჩინარი გზა აირჩიეთ — ახალგაზრდობის აღზრდა! ჩემი აზრით კი, ერთი ნიჭიერი ადამიანის აღზრდა მრავალ ნიჭიერად დადგმულ პიესას აღემატება“.

მართლაც, სრულიად განსაკუთრებულია აკაკი ფაღავას დამსახურება სათეატრო განათლების საქმეში.

მან 1922 წელს შექმნა თეატრალური სტუდია, რომელიც 1923 წელს სათეატრო ინსტიტუტად გადაკეთდა. ბატონი აკაკი იყო მისი პირველი რექტორი.

მან სათეატრო ინსტიტუტში პედაგოგებად მიიწვია: კოტე მარჯანიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი შანიძე, გრიგოლ რობაქიძე და სხვა გამოჩენილი

მოღვაწეები, რომლებმაც ინსტიტუტში თავიდანვე უზრუნველყვეს სწავლების მაღალი ხარისხი.

ამ მტკიცე საფუძველზე აღზრდილმა კადრებმა განაპირობეს ქართული თეატრისა და სათეატრო მეცნიერების დონე.

სათეატრო ინსტიტუტის გარეშე, რომელიც ჯერ თეატრისა და კინოს ინსტიტუტად, შემდეგ უნივერსიტეტად გადაკეთდა, ქართული კულტურის განვითარება წარმოუდგენელია.

აკაკი ფაღავა დიდი პიროვნება იყო, ვიტყოდი, გამონაკლისი თვისებების მოღვაწე. მას 1923 წელს დადგმული ჰქონდა „ჰამლეტი", მაგრამ როცა 1925 წელს კოტე მარჯანიშვილმა დადგა „ჰამლეტი", ფაღავამ აღფრთოვანებული წერილი მისწერა: „ძვირფასო კოტე! არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ჩემი აღტაცება თქვენი „ჰამლეტით" გამოწვეული. ეს დადგმა ისეთი გრანდიოზული შემოქმედებაა, რომ ერთბაშად მისი ამომწურავად შეფასება შეუძლებელია.

რა სადა და სპეტაკია ვით ბავშვი ჩვენი უშანგი. იგი ხომ ნიჭიერი მსახიობი იყო. ახალგაზრდობის ყველა მეგობარი ვამბობდით მისი მოსვლის პირველ დღიდანვე, მაგრამ რომ ასეთი დიდი ინტუიციის პატრონი იყო, დღემდე არ ვიცოდით.

თქვენი „ჰამლეტის" ხასიათის ასეთი ინტერპრეტაცია არის პირველი. ყველა სხვა თეატრი დღემდე ჰამლეტს გმირად სახავდა და მისი გაადამიანურება თქვენს მეტს არავის უცდია.

ყველა, დაწყებული უშანგით და ვერიკოთი, როგორც სულისა და გულის ნათესავად მესახებოდნენ და მთელი საღამო ისე ვიყავი დაპყრობილი და დატყვევებული თქვენს მიერ, რომ ბავშვობის შემდეგ მე არ მახსოვს თეატრის ასეთი მოჯადოებული გავლენა...

გულწრფელი, მხურვალე მადლობა ყველას, განსაკუთრებით კოტეს. რომელმაც აიყვანა ჩვენი თეატრი ამ სიმაღლემდე და მოგვანიჭეთ თქვენ ესოდენ ბრწყინვალე გამარჯვება".

ეს არის ნიმუში დიდი კულტურისა და მაღალი პროფესიონალიზმისა. ერთი და იმავე პიესის დადგმის დროს ძალიან ძნელია აღიარო სხვისი უპირატესობა, თანაც დიდი უპირატესობა.

ინსტიტუტის ისტორია მრუდე სარკეში იყო წარმოდგენილი.

საქმე ისაა, რომ სათეატრო ინსტიტუტის დაარსების (1923) დროს ფაკულტეტებს სტუდიები ერქვა. ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულები იყო: დრამატული სტუდია, საოპერო სტუდია, აგრეთვე საოპერო კლასი.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს „ფაღავას სტუდიის“ კურსდამთავრებულებს ეძახდნენ და ისინი თავადაც ასე წერდნენ, რაკი ჯერ ფაღავას სტუდიაში სწავლობდნენ (1922), შემდეგ ინსტიტუტში ჩაირიცხნენ, მაგრამ ისევ დრამის სტუდიაში (ფაკულტეტზე). ინერცია ფსიქოლოგიურადაც და ზემოაღნიშნული მოტივებითაც დიდხანს გაგრძელდა.

ინსტიტუტში აღიზარდნენ: აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, სესილია თაყაიშვილი, პიერ კობახიძე, გოგუცა კუპრაშვილი, მალიკო მრევლიშვილი, ნიკოლოზ შენგელაია და სხვები. ისინი პირველ-მეორე გამოშვების კურსდამთავრებულები იყვნენ.

აკაკი ფაღავას ღვაწლი და ამაგი არა მარტო ისტორიას ეკუთვნის, არამედ ჩვენს თანამედროვეობასაც.

როცა პრორექტორად დავინიშნე, ე. გუგუშვილმა გამაფრთიხლა: ზემოთ, მთავრობაში, ყველაგნ მე წავალ, შენ მიხედე ინსტიტუტის საშინაო საქმეებს, სრულ თავისუფლებას გაძლევ.

მიუხედავად ამისა, კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა პირველი მოადგილეობა. იგი რექტორის საიმედო დასაყრდენიც არის და იმავე დროს პოტენციურ შემცვლელად მოიაზრება. ამიტომ ჩემგან განსაკუთრებული ტაქტი და სიფრთხილე იყო საჭირო. ყოველ ინსტიტუტში „წყლის ამღვრევებს“ რა გამოლევს. ისინი ადამიანურ ამბიციებზე და თავმოყვარეობაზე თამაშობენ, მაგრამ საბედნიეროდ, არც ჩემთან და არც რექტორებთან, არავის არაფერი არ გამოუვიდა. ვერც ერთ რექტორთან „წყალი ვერ ამიმღვრიეს“...

გულღია, გახსნილი ურთიერთობა მქონდა ყველა რექტორთან. საერთო პროფესიული ინტერესების გარდა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ზურგს უკან არაფერს უკადრისს არ ჩავიდენდი. ზოგჯერ ჩემი ინიციატივით გაკეთებულ საქმესაც კი მათ მივაწერდი ხოლმე. ჩემი ამოცანა იყო ინსტიტუტში ყოფილიყო მშვიდი, სტაბილური და საქმიანი ატმოსფერო. ნდობა და დამოუკიდებლობა არ დამეკარგა. ერთგულებით ვაღწევდი მიზანს. ვინც კარგად იცნობს ხელოვნების სამყაროს, მათთვის ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა რთულია დიდი ინდივიდუალობის მოღვაწეთა გვერდით მუშაობა. ყოველ მათგანთან განსაკუთრებული ფრთხილი დამოკიდებულებაა საჭირო. ზოგჯერ ერთი გადაბრუნებული ფრაზის გამოც კი იქმნება კონფლიქტური სიტუაცია. შემოქმედი ამბიციური ადამიანია.

ეთერ გუგუშვილი იმპულსური ხასიათის იყო, თანაც სიმართლის

მოყვარული, პირში მთქმელი, უფრთხილდებოდა რექტორის პრესტიჟს, ვაგლახად ვერავინ შებედავდა ვერც მას და ვერც მის ინსტიტუტს, როცა განრისხდებოდა, ზოგჯერ წონასწორობას კარგავდა, მაგრამ ბუნებით კეთილი იყო და მალე გადაუვლიდა ხოლმე მრისხანება. ამას მოსდევდა სინანულის პერიოდი. ჩემი ამოცანა იყო განაწყენებულთან ისე შემერიგებინა, რომ არც რექტორის პრესტიჟი შელახულიყო და არც ოპონენტი დარჩენილიყო გულნაკლული.

ბევრი ენერგია მოვახმარე დიპლომატიურ სვლებს, ამიტომ ნათელა ურუშაძე მეუბნებოდა, ცირკის ლომების მომთვინიერებელი ბუგრიმოვა ხარო.

მეცნიერებისათვის კარგად არის ცნობილი, თუ რა რთული ბუნება აქვთ ხელოვანების მოღვაწეებს. თუმცა მათი ილიასეული შეფასებაც საკმარისია: „არც ერთ ადამიანს ქვეყნიერებაზედ გრძნობა თაკილობისა ისე გაძლიერებული არა აქვს, როგორც ავტორსა, არტისტსა და ამისთანა ხალხსა, რომელთაც საქმე კაცის გონებასა და სულთან აქვს“. ხელოვანი „ყველას შეგინდობთ, ოღონდ ავტორობას, არტისტობას ნუ დაუწუნებთ“, მაშინაც კი ცამდე მართალიც რომ იყოთ. „რა გინდა სიმართლე გაიძულებდეთ“, რაც უნდა „სიკეთის სურვილით იყოს გამოთქმული კრიტიკა“, „სამწუხარო ის არის, რომ საწყენად და საფიქრელად ის კი არა აქვთ – საწუნარი რადა გვაქვსო და შემდეგისათვის როგორ მოვიშოროთო, არამედ ის, თუ რად შეგვნიშნეს, რად გაგვიმჟღავნეს იგი წუნიო“

ამ სპეციფიკური სიტუაციის გამო განსაკუთრებულია შემოქმედ ხალხთან სამსახურეობრივი საქმიანობა, მით უფრო ხელმძღვანელობა, რა ფორმისაც არ უნდა იყოს. „მისი სიტყვა და წუნის დადება უნდა აიწონ-დაიწონოს სიმართლის სასწორზე“.

თუ მეცნიერის იჭვიანობის ფაქტორსაც გავიხსენებთ და შემოქმედი სტუდენტების თავისებურებას, ადვილი წარმოსადგენი გახდება, რაოდენ რთული უნდა ყოფილიყო სასწავლო დარგის, თანაც პირველი პრორექტორის მდგომარეობა 32 წლის განმავლობაში. კულუარებში ჩემზე ამბობდნენ – „რუხი კარდინალიაო“, ზოგნი „ფაქტობრივი რექტორიაო“ და კიდევ ვინ იცის რას. ჭორს რა გამოლევს. ადამიანურ პატივმოყვარეობაზე ზემოქმედების ათასი ფორმა არსებობს და მეც განმიცდია ბევრი რამ. ახლა მიკვირს, როგორ ვკადრულობდი, როცა კადრების განყოფილების ნაცვლად ბრძანებების დიდ ნაწილს მე ვწერდი. ჩემი ტექსტი საქმეში იდებოდა,

როგორც საფუძველი.

ცენტრალიზაციის ამ ფორმას თავისი დადებითი მხარეც ჰქონდა, ობიექტურიც და სუბიექტურიც. ყველაფრის საქმის კურსში ვიყავი, ყველაფერს ჩემს ხელში უნდა გაევლო. ჩვენს ინსტიტუტში (და ალბათ საერთოდ საქართველოში!) თუ დაინახეს, რომ სხვისი საქმის გაკეთებაც შეგიძლია, მორჩა და გათავდა – აღარ მოგეშვებიან. ხშირად ერთი კაცი აკეთებს ათის საქმეს. აკეთებს პროფესიონალურად და კეთილსინდისიერად. თუ რაიმე ისე არ გამოვიდა, იმ ათ კაცს პასუხს არავინ სთხოვს, ისევ ის ერთი „მუშა კაცია“ დამნაშავე. ვიცოდი ეს „ქართული ფენომენი“ და ზოგადად ადამიანთა ეს სისუსტე, მაგრამ საქმის მაღალ დონეზე წარმოებისათვის, მაინც ვუშვებდი კომპრომისებს.

მთელ ამ პროცესში, გვერდით მედგა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სასწავლო სამმართველოს ხელმძღვანელი თამილა ქამუშაძე, რომელიც გამორჩეოდა რაციონალური აზროვნებით, საქმის ორგანიზაციის ნიჭით, ადამიანებისადმი კეთილგანწყობით და პირდაპირობით. ამბობენ, „საქმემან თქვენმან“ გამოგაჩინოსო და ჩვენც ორთავე საქმის გამო ვჩანდით „საჭირო ადამიანებად“.

ინსტიტუტის კათედრის გამგეების ძირითადი ნაწილი ხელოვანი ხალხი იყო. ყველა კათედრის დატვირთვებს თამილა ქამუშაძის სამმართველო აკეთებდა. კათედრებს მზამზარეული დოკუმენტაცია (მასალა) მისდიოდათ. ჩემსავით მასაც ჰქონდა „ცენტრალიზაციისაკენ“ მიდრეკილება და ამიტომ არავის აყვედრებდა, რომ მათ სამუშაოს ასრულებდა.

მუშაობის ჩემეული (და ასევე ქამუშაძის) სტილი არ იყო ყველაზე საუკეთესო, რადგან იგი სხვათა პასუხისმგებლობის მოდუნებას იწვევდა, მაგრამ ხელმძღვანელობისათვის მთავარი მაინც პროცესების მართვა იყო. ხელთ გვეპყრა სადავეები. თამილა ქამუშაძე ძალიან მეხმარებოდა კონფლიქტების რეგულირებაშიც. მას საათივით ჰქონდა აწყობილი თავისი საქმე.

დღევანდელი გადასახედიდან მიკვირს, საბჭოთა ეპოქაში როგორ ვახერხებდით ამდენი ეროვნული საქმის კეთებას, როცა მაშინ ყველაფერი მოსკოვში წყდებოდა. განათლების სისტემა მთლიანად ეფუძნებოდა რუსიფიკაციის პრინციპს. ყველაფერი ცენტრალიზებული იყო და კონტროლზე აყვანილი. განსკუთრებით სასწავლო გეგმები და სპეციალობები. საბჭოთა სისტემაში რესპუბლიკებს ერთიანი

გეგმით უნდა ემუშავათ. უფლება არ ჰქონდათ ახალი სპეციალობები გაეხსნათ, სასწავლო გეგმებიც მოსკოვიდან მოდიოდა. რესპუბლიკის სპეციფიკისათვის სამეცადინოდ გამოყოფილი იყო მიზერული საათები. თამილა ქამუშაძე ყველა საკითხს პირდაპირ მითანხმებდა, როგორც სასწავლო დარგის პრორექტორს და იმავდროულად მოქმედებდა სრულიად დამოუკიდებლად და თამამად, მაგრამ მისი სითამამეცა და დამოუკიდებლობაც ყოველთვის მოტივირებული და გონივრული იყო, ამიტომ ჩემგან მუდამ ჰქონდა სრული ნდობა და მხარდაჭერა. ბევრჯერ წავსულვართ რისკზე.

საკავშირო სტანდარტით სასწავლო გეგმაში რესპუბლიკის სპეციფიკისათვის გამოყოფილი იყო რაღაც 150-მდე საათი. ეს საათები უნდა გაგვენაწილებინა ქართული თეატრის, ქართული ლიტერატურის, ისტორიის, ქართული ცეკვებისა და ყველაფერი ქართულისათვის. ჩვენც ავდექით და რუსული და ზოგადი მნიშვნელობის დისციპლინების ხარჯზე ქართული ეროვნული სპეციფიკის საგანთა საათები ჯერ გავასამკეცეთ, მერე მეტიც კი მოგვივიდა, მაგრამ ვერც ერთმა გარედან მოსულმა რევიზიამ ოფიციალურად ვერაფრი გვითხრა.

მოსკოვის სასწავლო გეგმებში ეროვნული დისციპლინის საგნები სულ ბოლო კურსებზე იყო გადატანილი, როცა ლექციებზე სტუდენტის დასწრება მცირდება, უკვე პრაქტიკით არიან დაკავებული. სასწავლო სამმართველომ ისე შეატრიალა გეგმები, რომ ყველა ქართული ეროვნული საგანი პირველ და მეორე კურსზე გადაიტანა. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ბოლონიის პროცესის მცდარმა ინტერპრეტაციებმა ბევრი ზიანი მოუტანა უმაღლესებს. თ. ქამუშაძემ ღრმად შეისწავლა პრობლემა და მისი საკანონმდებლო საფუძვლები, სპეციალური კურსი მომზადა მაგისტრანტებისათვის და თავად კითხულობს ლექციებს.

1977 წელს თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილისგამგედ დაინიშნა თამილა ქამუშაძე. ინსტიტუტის ზრდასთან ერთად იზრდებოდა სასწავლო დარგის ფუნქციებიც. როდესაც ინსტიტუტი უნივერსიტეტად გადაკეთდა, სასწავლო განყოფილება სასწავლო სამმართველომ შეცვალა. ოცდაათი წელი ჩემთან ერთად მონაწილეობდა სასწავლო პროცესების მართვაში. რეფორმის შემდეგ ჯერ ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანი იყო, ამჟამად კი მაგისტრატურის და დოქტორანტურის

დეპარტამენტის ხელმძღვანელია. კითხულობს საგანმანათლებლო კანონმდებლობის საუნივერსიტეტო დისციპლინას მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში.

როცა ქართულ კინო რეჟისურაში გამოიკვეთა ახალი თაობის კინოს ლიდერების: რ. ჩხეიძის, თ. აბულაძის, ლ. ღოღობერიძის, ო. იოსელიანის, ე. შენგელაიას, გ. შენგელაიას, გ. კანდელაკის, გ. ჭუბაბრიას, ს. ჩხაიძის, ო. გვასალიას, ბ. ხოტივარის და სხვათა სახელები, დღის წესრიგში დადგა კინორეჟისორთა კადრების ადგილზე მომზადების საკითხი, საქართველოში უკვე იყვნენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები. კინორეჟისორთა ჯგუფის გახსნით განსაკუთრებით დაინტერესებული იყო „ქართული ფილმის“ დირექტორი რეზო ჩხეიძე და კინოკომიტეტის თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი. ამ საკითხის მოსაგვარებლად ინსტიტუტის რექტორი ეთერ გუგუშვილი შეხვდა ცეკას პირველ მდივანს ედ. შევარდნაძეს. მან მხარი დაუჭირა კინორეჟისორთა ფაკულტეტის გახსნის იდეას. ორგანიზაციული საქმის მოსაგვარებლად ქ-ნი ეთერი გაგზავნა მთავრობის თავმჯდომარესთან – ზ. პატარიძესთან, შედგა მთავრობის წერილი საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრ ა. ელიუტინის სახელზე.

ა. ელიუტინი ტიპიური რუსული, იმპერიული სტილის მინისტრი იყო, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა. ე. გუგუშვილი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის წერილით წარსდგა მრისხანე მინისტრის წინაშე.

შემდეგ მან დეტალურად მიამბო შეხვედრის ამბავი: მინისტრმა გულგრილად წაიკითხა წერილი, გვერდზე გადადო და თქვა: საქართველოს არ სჭირდება კინორეჟისურის სპეციალობა, არც კინომცოდნეობა. ბოლოს და ბოლოს, ერთი კინომცოდნეც გეყოფათ, ლიმიტებს მოგცემთ, ჩამოვიდნენ და აქ, მოსკოვში ისწავლონო.

ეთერმა უპასუხა: ჩვენ ადგილზე გვყავს პედაგოგები. სხვათა შორის, მეც მოსკოვში დავამთავრე. ცივად უყურებდა ელიუტინი, მან უცებ მოჭრით უთხრა: ეთერს: ნახვამდის! ლიმიტი 2-3 ადგილი იქნება.

ეთერმაც მიახალა: თქვენი ლიმიტები აღარ გვჭირდება!

ე. გუგუშვილმა ეს ამბავი შევარდნაძესა და პატარიძეს უამბო.

ინსტიტუტში კინორეჟისურის გახსნის იდეა არ გვასვენებდა. მოხდა, ისე, რომ მოსკოვიდან ჩამოვიდა კინემატოგრაფიის კომიტეტის

თავმჯდომარე (გვარად ერმაში). რეზო ჩხეიძემ და აკაკი დვალიშვილმა ინსტიტუტში მოიყვანეს. კინო „სპარტაკი“ დათვალიერებინეს. მე და ეთერი შევხვდით, გაგვაცნეს, როგორც წინასწარ იყო „ჩაწყობილი“. ეთერმა დაიწყო კინორეჟისორთა ფაკულტეტის გახსნაზე საუბარი. რეზომ და აკაკიმ აქტიურად დაუჭირეს მხარი. სტუმარი დახმარებას დაგვპირდა, მოვილაპარაკებთ მოსკოვშიო. ეთერი კვლავ ჩავიდა მოსკოვში. ახალი წერილი ჩაიტანა. მოსკოველმა მინისტრებმა მოილაპარაკეს და ერთჯერად მიღების ნება დაგვრთეს, რეჟისორის სპეციალობის შიფრით (0502), მოვიდა თანხმობა შესაბამისი დაფინანსებით.

ეს მოხდა 1974 წელს. გამოცხადდა კონკურსი. გეგმით დაგვიმტკიცეს 15 ადგილი. კონკურსი დიდი იყო, თანაც საუკეთესო ახალგაზრდობა მოვიდა. 15-ის ნაცვლად ჩაირიცხა-19. ამ ჯგუფს შემდეგ დაემატა გოდერძი ჩოხელი, რომელიც სხვა ფაკულტეტზე სწავლობდა.

დაიწყო ახალი 1975-76 წლის მიღებისათვის მზადება. დადგა ზემდგომ ორგანოებში ინსტიტუტში მისაღები გამოცდების განაცხადის წარდგენის დრო. ერთ დღეს, განაცხადის შესატანი პროექტის შედგენის მიზნით, შევხვდით მე და ეთერი, საუბარში უცებ დაგვებადა იდეა, ხომ არ გაგვერისკა და კვლავ ხომ არ წარგვედგინა კინოსარეჟისოროზე მიღება ისე, რომ საქართველოში წინასწარ არავისთან (სამინისტრო, საგეგმო კომიტეტი) არაფერი არ გვეთქვა. ჩვენი ვარაუდით, მოსკოვში ნებართვა რეზოლუციით „ერთჯერადი“ უკვე არქივში იქნებოდა გადაცემული. იქნებ არავის არ გაახსენდეს ის რეზოლუცია, როცა მოსკოვში, საკავშირო საგეგმო კომიტეტში საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების გეგმას განიხილავენ!

სპეციალობას თავისი შიფრი ჰქონდა, მაგრამ დაგვიმტკიცებენ მეორეჯერ მიღებას?

მაგრამ თუ ჩვენს ავანტიურას გაიგებენ, მაშინ რა გველოდება?

სხვადასხვაგვარი ვარაუდები გვქონა, პირველი – მთავრობის მოტყუების მცდელობისათვის თანამდებობიდან მოხსნა, მეორე – უპასუხისმგებლობისა თუ უყურადღებობის გამო სასტიკი საყვედური.

გავრისკეთ და 8 ადგილი მოვითხოვეთ.

მოხდა საოცრება. ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. დაგვიმტკიცეს

8 ადგილი. ჩაირიცხა 9 კაცი, ერთი გამსვლელი ქულით. ჯგუფის ხელმძღვანელად მოვიწვიეთ გამოჩენილი რეჟისორი ელდარ შენგელაია. ამ ჯგუფში იყვნენ: დ. ჯანელიძე, ო. შამათავა, დ. ცინცაძე, ნ. ერისთავი, ვ. კოტეტიშვილი, დ. გუგუნავა, ზ. მექვაბიშვილი, გ. ბარბაქაძე, ვ. მინდიაშვილი.

ჩვენმა რისკმა გაამართლა, მივიღეთ შესანიშნავი ახალგაზრდობა.

მესამე წელსაც, მივიღეთ უკვე უკვე სხვა პროფილით (მულტიპლიკაცია), რომელსაც წარმატებით უხელმძღვანელა გ. კანდელაკმა.

1977 წელს უკვე საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სასწავლო კინო სტუდია 72 შტატით.

აი, ასე უხმაუროდ გაკეთდა ეროვნული საქმე. საქართველოში გადაწყდა ქართული ეროვნული კადრების მომზადების ბედი. მსოფლიოს სხვადასხვა ფესტივალებზე ჩვენმა სტუდენტებმა იმდენი ჯილდოები მიიღეს, რომ ასეთი ფაკლულტეტით იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი უნივერსიტეტი.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, სხვა ბევრი სარისკო გადაწყვეტილებებიც მაგონდება: საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტროს დადგენილებით, უმაღლესი განათლების კურსდამთვრებულის ახალ სპეციალობაზე ჩარიცხვა შეიძლებოდა მხოლოდ მეორე კურსზე. ჩვენ, რადგან აჭარას კინორეჟისორი არ ჰყავდა, ზ. ხალვაში ჩავრიცხეთ მეოთხე კურსზე. რექტორმა განათლების მინისტრისაგან (დ. ჩხიკვიშვილი) მიიღო სიტყვიერი თანხმობა, მაგრამ თუ საქმე საქმეზე მიდგებოდა, დაგვსჯიდნენ, მაგრამ რისკი უანგარო იყო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინტერესებით მოტივირებული. ეს არ ვიკმარეთ. ჩემს არქივში არის კინო ფაკულტეტის დეკან გ. დოლიძის წერილი, რომელიც ოფიციალურად მწერს: „დიპლომანტ ზ. ხალვაშს – გამონაკლისის სახით, მიეცეს უფლება სადიპლომოდ გადაიღოს სამნაწილიანი მხატვრული ფილმი. ეს გამონაკლისი გამართლებულია იმით, რომ ზ. ხალვაში მიღებული იქნა მხოლოდ მეოთხე კურსზე. იგი უსათუოდ გაამართლებს ჩვენს იმედებს“ (14. III. 83).

ერთ დარღვეას მეორეც მივუმატეთ, რადგან უანგაროდ და საქმის ინტერესებით ვხელმძღვანელობდით. ამ საკითხში თითქოს ფილოსოფოს მ. მამარდაშვილის კონცეფციის მიხედვით ვმუშაობდით,

როგორც აზიელები. მ. მამარდაშვილს მიაჩნდა, რომ ევროპელისათვის კანონი არის უზენაესი. გილიოტინაა? – იყოს, ოღონდ კანონი შესრულდეს, აზიელისათვის კი – კანონისადმი დამოკიდებულებაა მთავარი ანუ ჩემეული ინტერპრეტაცია. ჩვენც ასე ვიქცეოდით.

ასე იყო თუ ისე, დღეს თავს ბედნიერად ვთვლი, რომ ადამიანების სიკეთისათვის, ქართული ეროვნული საქმისათვის ბევრჯერ გაგვიწევია რისკი. ეს ხდებოდა საბჭოთა სისტემაში. ასე და ბევრად უფრო მეტად რისკავდნენ წინა თაობები, რომ შეენარჩუნებინათ ეროვნული თვითმყოფადობა, შეექმნათ ეროვნული კულტურა. ისეთი რაიკომის მდივნები მახსოვს (მაგ. ახალციხეში, რუსთავში, ზუგდიდში და სხვა), რომლებიც თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ქართულ კულტურას – კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვინ და რა გამოავლენდა ერთი პატარა ქვეყნის, ქართველი ხალხის შემოქმედებით გენიას, რომელიც, მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქვეყანას გაეჯიბრებოდა. მაშინ ვიღა იტყოდა „ქართული თეატრის“, „ქართული კინოს ფენომენიო“?..

კი არ უნდა ვაგინებდეთ იმ წლების თაობებს, არამედ თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ მათ, რომლებმაც ურთულეს ისტორიულ ეპოქაში შექმნეს და დაიცვეს დიდი კულტურა.

დიახ, ქართველმა ხალხმა საბჭოთა ეპოქაში – რუსული გლობალიზაციის წლებში თავისი კულტურის შენარჩუნებისათვის დიდგორის ბრძოლა გადაიხადა.

ამ ბრძოლაში სიტყვითაც და საქმითაც თავისი ღირსეული წვლილი გაიღო თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმაც.

თბილისში არც ერთი დიდი ეროვნული აქცია არ ჩატარებულა, უნივერსიტეტს გარკვეული მონაწილეობა რომ არ მიეღო. მახსოვს, ქართული ენის დაცვის მღელვარე დღეებში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა აქტიურობა. მოვლენების ცენტრში ვიყავით 9 აპრილის ტრაგედიის დროს. მოიწამლა უნივერსიტეტის შენობა, იძულებულნი გავხდით შენობა დაგვეცალა და თავი შეგვეფარებინა ამჟამინდელი გერმანიის საელჩოს შენობაში (იქ მაშინ კინოკომიტეტი იყო).

რუსმა ჯარისკაცებმა ჩალეწეს ინსტიტუტის პირველი სართულის ვიტრინები, დაამტვრიეს სასწავლო ინვენტარი, როგორც ეს ბარბაროსებს სჩვევიათ, დასდევდნენ მომიტინგეებს და ყველას, ვინც თავის შესაფარებლად ინსტიტუტში შემოვარდა, „გაზის ტყვიები“

ესროლეს. შემდეგ შენობა რაღაც ქიმიური ხსნარებით დაამუშავეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ კულტურის სამინისტროდან მივიღეთ წერილი: „საქართველოს ჯანმრთელობის სამინისტრომ გვაცნობა (2. 06. 89 წ. № 356/ 05/51), რომ ინსტიტუტის შენობაში შეიძლება მუშაობა და მეცადინეობა, რადგან შენობის დამუშავების შემდეგ ლაბორატორიული კვლევისათვის განმეორებით აღებულ სინჯებში არ აღმოჩნდა ქლორაცეტოფენონი და „სი-ესი“. კულტურის მინისტრის მოადგილე ი. გამრეკელი“.

თუ მაშინ ჯანმრთელობის სამინისტრომ ეს კულტურის სამინისტროს 2 ივნისს აცნობა, გაუგებარი იყო, ამ უკანასკნელმა რატომ შეიკავა თავი ერთ თვეზე მეტ ხანს და ინსტიტუტს მხოლოდ 14 ივლისს გამოუგზავნა აღნიშნული წერილი. ინსტიტუტში მოიწამლა რამდენიმე ადამიანი. მათ შორის ე. გუგუშვილი საავადმყოფოშიც იწვა, ძლიერ მოიწამლა პრორექტორი შ. გოგიძე, რომელიც გარდაიცვალა ამ მოწამვლის შედეგად, რაც ოფიციალურად იქნა აღიარებული.

ი. გამრეკელის წერილს ე. გუგუშვილმა ასეთი რეზოლუცია წააწერა: „ამხ. ვ. კიკნაძეს. არ მჯერა, შეინახეთ ეს დოკუმენტი, გავა დრო და თუ ვიქნებით ცოცხალი, ვნახოთ. მე არ მჯერა! ე. გუგუშვილი. 18. VII.89“.

ე. გუგუშვილი, როგორც 9 აპრილს მოწამლული, გარკვეულ დახმარებას იღებდა, ამიტომ გასაგებია მისი სიფრთხილე და სკეპტიციზმი.

ცხრა აპრილის ტრაგედიიდან 20 წელი გავიდა... .მაგრამ მას შემდეგ კიდევ რამდენი ტრაგედია გადავიტანეთ? რამდენჯერ დაგვარბია გარეშე მტერმა და რამდენჯერ დავარბიეთ ქართველებმა ჩვენი ქვეყანა? თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებით უცხო და შინაური მტრები. აღარ მიკვირს, რატომ თქვა დიდმა პატრიოტმა გრიგოლ რობაქიძემ: ამბეობენ, საქართველოს ბევრი გარეშე მტერი ჰყავსო, მართალი არ არის, საქართველოს ჰყავს მთავარი მტერი – ქართველიო. გრ. რობაქიძემ სხვაზე ნაკლებად არ იცოდა საქართველოს ისტორია, გარეშე მტრებთან გმირული ბრძოლების ისტორიაც, მაგრამ ჩვენს მოურჩენელ უბედურებაზე გაამახვილა ყურადღება.

9 აპრილის შემდეგ საქართველო მხოლოდ ერთხელ იყო ბედნიერი, როცა დამოუკიდებლობა და თავუსფლება მიიღო, მაგრამ სიხარულის გრძნობაც კი ვერ შევირგეთ, ისე მალე დავერიეთ ერთმანეთს.

არ ვიცი, აფრიკის რომელიღაც ქვეყნის გარდა, მეოცე საუკუნის ბოლოს რომელი ცივილიზებულ ქვეყანაში მოხდა სამოქალაქო ომი? ეს იმდენად შემზარავი ფაქტია, რომ ხშირად გვინდა სიტყვა „ომი“ „სამოქალაქო დაპირისპირებით“ შევცვალოთ, ანუ შევარბილოთ, შევამსუბუქოთ ჩვენი დანაშაული. ზოგჯერ გვიკვირს კიდეც, ნუთუ ჩვენ ჩავიდინეთ ის, რაც მოხდა?

დიახ, ჩვენ ჩავიდინეთ!..

ილია რომ მოკლეს, ჯერ შოკში ჩავარდა მთელი საქართველო, მაგრამ მალე მთელი ყურადღება მკვლელებზე და ერთ პარტიაზე გადავიდა, როგორც დამნაშავეებზე, რადგან ამით ყველა სხვას ეხსნებოდა მორალური პასუხისმგებლობა, სინდისის ქენჯნა არავის არ აწუხებდა...

ყველას დაავიწყდა, რომ ილიას მკვლელობის სამზადისი ხალხის თვალწინ წლობით გრძელდებოდა.ამას ყველა ხედავდა და გულგრილად ქირქილებდა, ან ცეცლხზე ნავთს ასხამდა. როდესც მოკლეს, მერე ჩვენზე კარგად ვინ იგლოვებდა?! მხოლოდ მისმა სიკვდილმა გაგვაერთიანა.

9 აპრილის შემდეგ საქართველოს მშვიდ პირობებში აღარ უცხოვრია. მახსოვს, მთელი ორმოცი დღე ტიტებით გადაწითლებული მოედანი და რიტუალები, მერე ერთმანეთს გადაჯაჭვული პოლიტიკური, ეკონომიკური და მორალური კრიზისები. პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე მეტად ჩვენ ვხმაურობდით, ჩვენ ვანგრევდით წლობით აშენებულ ქვეყანას.

ოცი წელი ნგრევას უფრო მეტი დრო მოვახმარეთ თუ აღმშენებლობას? ვიცი, ბევრი რამეც გაკეთდა, წარმოიქმნა ახალი ტენდენციები, მაგრამ განა ამ წლებში არ ჩაქრა ათასობით კერა საქართველოში? განა ამ პერიოდში არ გაჩნდა მკვდარი ქალაქები? ჩვენ თვალწინ მოკვდა, გაუქმდა ბევრი სოფელიც, დაიცალა თუ დაიშრიტა ჩვენი ეროვნული ენერგიის განმაახლებელი მთავარი წყარო. არადა „ისტორია მარტო იმ ერს ეკითხება, რომელსაც მიწაზე ფეხი უდგას, თავდაპირველი შემოქმედი ეროვნებისა“ (ილია).

ბევრს ლაპარაკობენ ეროვნული ღირსების გრძნობაზე და ისე წარმოვიდგენთ მას, თითქოს ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფა მარტო გარეშე მტრისაგან ჩვენი ლანძღვა-გინება იყოს. თავისთავად ასეა, მაგრამ რამდენ რამეს ისეთს ჩავდივართ, რაც გვამცირებს, ღირსების გრძნობას გვიკარგავს. უბრალო ჩამოთვლითაც ვერ

ჩამოვთვლით, იმდენი დამამცირებელი რამ მოხდა ჩვენივე მიზეზით. ჩვენ გვიყვარს ჩვენი შეცდომების სხვებისთვის გადაბრალება. მეტი გონიერება რომ გამოგვეჩინა, არც 9 აპრილი იქნებოდა...

გარეშე მტერს იმიტომ ჰქვია მტერი, რომ მან უნდა დაგანგრიოს და დაგაქციოს, წაგართვას. ეს მისთვის ბუნებრივი მდგომარეობაა, მაგრამ ისიც ხომ უნდა გვახსოვდეს, რომ „მოყვარე მტერი“ მტერზე უარესია? „მოყვარე მტრის ცნებაში მარტო პიროვნებები კი არ იგულისხმება, არამედ უფრო ფართო სპექტრი.

9 აპრილის ტრაგედიაზე ლაპარაკის დროს იმაზე უნდა ვიფიქროთ, თუ რატომ დაგვემართა, რა იყო სხვა ათასი უბედურების მიზეზი – იქნება ეს სამოქალაქო ომი თუ რუსეთ-საქართველოს ორი ომი აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის“. ქვეყანა ვერ დამშვიდდა და წელში ვერ გაიმართა.

ხელთ მაქვს ოცი წლის წინანდელი ჩემ მიერ შედგენილი ოქმი (1989 წლის 13 აპრილი). მასში ჩანს, როგორი დაძაბული ემოციური ატმოსფერო იყო. ოქმი კარგად გამოხატავს მაშინდელი საზოგადოების განწყობას:

„სხდომაზე კინომცოდნე დოდო ოკუჯავამ განაცხადა: „სიტყვები არ მყოფნის მომხდარი ტრაგედიის შესაფასებლად. ალბათ, საჭიროა გავიდეს დრო, რომ ყველაფერი გაანალიზდეს, გაირკვეს, დალაგდეს, მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ სიმართლე. ამიტომ ჩვენ უნდა ვთქვათ სიმართლე და მივცეთ შეფასება მომხდარ მოვლენებს. ჩვენი მთავრობა დაიბნა, მოუმზადებელი აღმოჩნდა, იქნებ იმიტომ, რომ არ ელოდა ასეთ შედეგს? იქნებ მათ ზურგს უკან მოქმედებდა რაღაც ძალები? მთავრობამ დაკარგა ავტორიტეტი. ეს ჩვენი ისტორიის მწარე გაკვეთილია. აქტივმა, რომელმაც დასტური მისცა საგანგებო წესებს, პასუხი უნდა აგოს“.

კინომცოდნე გოგი დოლიძის აზრით: „მთავრობის ყველა წევრი უნდა გადადგეს, მხოლოდ ამ გზით შეიძლება მათი მორალური რეაბილიტაცია“.

ფილოსოფოსმა რეზო ბალანჩივაძემ აღნიშნა: „მსოფლიო ისტორიამ არ იცის მოშიმშილე ხალხის ხოცვა-ჟლეტა, მსოფლიო ისტორიამ არ იცის ეკლესიებში შევარდნა და მიდევნება გაქცეული ქალებისა, საქართველოში ამას არ აკეთებდნენ მონღოლები, თურქები. მთავრობამ უნდა აგოს პასუხი ყველაფერზე. ნაცვლად იმისა, რომ პატიოსნად აღიარონ თავიანთი შეცდომები და გადადგნენ, პროფესორ-

მასწავლებლებს აბრალებენ. როგორ, გამსახურდიამ გამოიძახა ჯარი?“.

სამეცნიერო დარგის პრორექტორმა  თამაზ ქვარიანმა განაცხადა: „დღეს მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა გლოვის დღე. დღეს ყველაზე დიდი სიცრუე გაჩნდა გაზეთში. რაც „ვრემიაში“ გუშინ ითქვა სრული სიცრუეა. ამის გამო მთავრობა უნდა გადადგეს“.

ბიბლიოთეკის გამგემ ლამარა მინდიაშვილმა თქვა: „ვრემიამ“ გამოაცხადა და მთელმა საბჭოთა კავშირმა გაიგო, რომ  თითქოს ჭყლეტის დროს დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები. სრული სიცრუეა! ამიტომ მთელმა კავშირმა უნდა იცოდეს სიმართლე, ფეხმძიმე ქალებიც კი არ დაინდეს!“.

ა. ბეროშვილმა დეტალურად ისაუბრა, თუ როგორ შემოცვივდნენ შენობში ჯარისკაცები და როგორ ამტვრევდნენ ყველაფერს,

ინსტიტუტის სასწავლო თეატრის დირექტორმა აკაკი შანიძემ, რომელსაც შვილი მოუკლეს 9 მარტს, მოითხოვა: „მთავრობის  და ბიუროს წევრები მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში“.

რეჟისორ დავით კობახიძის აზრით: „ტრაგედიიდან მესამე დღეა და ტელევიზია და რადიო, გაზეთები კვლავ ლაპარაკობენ სიცრუეს მომხდარ ტრაგედიაზე, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს მდგომარეობას“.

ჩემს გამოსვლაში შევეცადე გამეანალიზებინა მომხდარი ტრაგედიის მიზეზები. აზრი მუხლობრივად ჩამოვაყალიბე: „ყველანი შეძრულები ვართ მომხდარი ფაქტით. ტრაგიკულია ჩვენი ისტორიული ბედი და ახალი ტრაგედია დაგვემართა. რა მოხდა? შეიძლება ამ ცხელ გულზე ანალიზი? მიუხედავად ამისა, შევეცდები ჩამოვაყალიბო ძირითადი დებულებები:

1. ჩვენი ინსტიტუტის პოზიცია იყო პატრიოტული და გონივრული. ჩვენი სტუდენტები მონაწილეობდნენ მიტინგების მსვლელობაში, მაგრამ როცა გაისმა არარეალური ლოზუნგები, ისინი არ გაიზიარეს, რადგან ვიცოდით, რომ არარეალურ მოთხოვნებს პრაქტიკული განხორციელება არ ეწერა. ეს ვთქვი ჩემს გამოსვლაში სამი დღის წინაც, როცა შევიკრიბეთ სტუდენტებთან.
2. ყველაზე საბედისწერო შეცდომა ის იყო, რომ მთავრობამ დაიგვიანა აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტა. ხალხი აფხაზ ექსტრემისტებზე მთავრობის მკაფიო რეაქციას ელოდა ერთ. ორ, სამ, ოთხ  დღეს. მაშინ ხომ არ იყო მიტინგები? ნუთუ ასე

ძნელი იყო ადლეიბას განთავისუფლება? ეს რომ მომხდარიყო, ხალხი დაწყნარდებოდა.

3. ჩვენმა საინფორმაციო სამსახურმა ცეცხლზე ნავთი დაასხა თავისი სიცრუით, ტენდენციურობითა და ძველმოდური პრიმიტიული პროპაგანდით გააღიზიანა ხალხი და გაზარდა მთავრობისადმი უნდობლობა. ხალხი, რაკი ვერ მიიღო ნამდვილი ინფორმაცია, ქუჩაში გავიდა. რა სიმართლეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა არც ერთ ოფიციალურ დოკუმენტში აფხაზთა ჯგუფის საქციელს არ ეწოდა ექსტრემიზმი ან სეპერატიზმი, რაც სინამდვილეში იყო. უფრო მეტიც: ტელევიზიამ ადლეიბას განთავისუფლებაზე განაცხადა: შექმნილი სიტუაციის გამო თავისუფლდებაო. რა არის ეს? - ცინიზმი თუ უნიათობა? მთავრობის სახლთან წამოსროლილი ლოზუნგები ექსტრემიზმია და აფხაზთა ჯგუფის მოქმედება ექსტრემიზმი არ არის?
4. 8 აპრილის აქტივის კრება იყო პრელუდია 9 აპრილის ტრაგედიისა: აქტივი შეარჩიეს ისეთი ხალხისაგან, ვინც მონურად ყველაფერზე ხელს აუწევდა. აი, აქ გადაწყდა საგანგებო მდგომარეობის შემოღების საკითხი, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ თურმე. როცა მე აქტივის ერთ-ერთმა მონაწილემ ეს მითხრა, მე მას ვუპასუხე, რომ ბედნიერი ვარ იქ არ ვიყავი-მეთქი. თუმცა, რასაკვირველია მაშინ ასეთ ტრაგედიას ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ აქტივმა ჯ. პატიაშვილი წააქეზა, ამიტომ მთავრობამ და აქტივმა უნდა აგონ პასუხიც. იცოდნენ თუ არა, რომ დამსჯელ რაზმს იწვევდნენ? - აი ეს საკითხია გასარკვევი.
5. მე განმაცვიფრა დღევანდელმა პრესამ. რესპუბლიკის მთავრობის მიმართვაშიც წერია, თითქოს „ჭყლეტის“ შედეგად დაიღუპა ხალხი. ეს ხომ გაუგონარი სიცრუეა?! რატომ სჭირდება მთავრობას ასეთი ტყუილი? რისი და ვისი ეშინია? ხალხი ხომ უფრო ღელავს - ხოლო მთავრობა კიდევ უფრო კარგავს ავტორიტეტს.
6. გაზეთში წერია, რომ ახლგაზრდები ვერ აღზარდესო. პირიქით. ახალგაზრდობა ისე აღიზარდა, როგორც ცხოვრება ასწავლის და მათ დაიჯერეს, რომ ნამდვილად არის დემოკრატია, თუმცა კარგად არც იციან რა არის ეს დემოკრატია – მოზომილი, სანახევრო თუ მთლიანი. ყველაფერი ეს ფსიქოლოგიურად ძალზე რთული ამბავია და რატომ უნდა გაგვიკვირდეს, თუ

ახალგაზრდები ყველაფერში ერთბაშად ვერ გაერკვევიან?..

7. ყველაფერი, რაც მოხდა, იმაზე მოწმობს, რომ მთავრობას არ აღმოაჩნდა ძალა, მოქნილობა, ემართა პროცესი, რაც მოვლენას მშვიდობიანად დაამთავრებდა, ამიტომ მან დაკარგა ხალხის ნდობა. უნდა დამთავრდეს კომენდატის საათი და მერე მჯერა ყველას თავისი მიეზღვება.

ე. გუგუშვილი – საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ყველა ვეთანხმებით გამოთქმულ აზრს, მაგრამ გამიგეთ, მე პატიაშვილის მიმართ არ შემიძლია კატეგორიულად ვთქვა ცუდი, მან ბევრი გაუკეთა ინსტიტუტს. ამიტომ მის გადადგომაზე პირადად მე ხელს ვერ მოვაწერ, თუმცა ყველაფერი მესმის და გეთანხმებით. ვინ მივა მთავრობაში? ეს არის მთავარი. უნდა თანდათან დამყარდეს წესრიგი, დავიწყოთ სწავლა. პარტიული ორგანიზაციის აქტივთან ერთად ინსტიტუტს მიაჩნია, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობები არის სრულიად დეზინფორმაციული და არ შეესაბამება სიმართლეს, რაც იწვევს აღშფოთებას. მითუმეტეს, რომ ეს ინფორმაციები არის წყარო საკავშირო პრესისა.

მიგვაჩნია, რომ არსებული შემადგენლობით შეკრებილმა აქტივმა, რომელმაც 8 აპრილს, 4 საათზე მხარი დაუჭირა გადაწყვეტას საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, გამოიჩინა უპასუხისმგებლობა, საკითხისადმი ზერელე დამოკიდებულება, მიგვიყვანა სავალალო მდგომარეობამდე.

მთავრობამ გამოიჩინა მოუქნელობა, უნიათობა, ალღო ვერ აუღო შექმნილ სიტუაციას, არ გამოიყენა ყველა შესაძლო საშუალება დამსჯელ რაზმებამდე, რასაც მოჰყვა გამოუსწორებელი ტრაგედია, რის გამოც მთავრობა უნდობლობას იმსახურებს.

ინსტიტუტმა უნდა გაგზავნოს დეპეშა „ვრემიას“ და „პრავდის“ რედაქციებში, რათა შეწყდეს ტყუილი ცნობების გადაცემა.

ასე რომ, უნივერსიტეტი ცხოვრობდა თავისი დროის სისხლსავსე ცხოვრებით. თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადა 1978 წელს წელს ქართული ენის დაცვისათვის ბრძოლაში და 9 აპრილის ტრაგედიის დღეებშიც. სტუდენტები პროფესორ-მასწავლებლების გვერდით იდგნენ. უნივერსიტეტში მოეწყო მიტინგიც და ღია დისკუსიაც სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე.

# „უკანონობის მადლი“

დიდი პოლიტიკური ქაოსის დროს სასწავლო პროცესში ბევრი რამ გაურკვეველი და დაულაგებელი იყო. ისეთი ნორმატივები იყო, რომ არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარებოდა. გეგმიური მეურნეობის სისტემა და მკაცრი ნორმატივები ზოგჯერ აბსურდულ ხასიათს იძენდა. ზოგჯერ გამოსავალი მხოლოდ დაუმორჩილებლობაში ანუ კანონის დარღვევაში იყო. ამის ყველაზე ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. „შეთავსების“ ნორმების რეგლამენტაცია. ინსტიტუტს გამოყოფილი ჰქონდა ხან ორი, ხან სამი შტატის ლიმიტი შემთავსებლებისათვის. ამით შეგვეძლო მოგვეწვია მხოლოდ 4 სპეციალისტი ნახევარ განაკვეთებზე, რადგან ისინი ძირითადად თეატრებში, სტუდიაში ან სხვაგან მუშაობდნენ. ინსტიტუტს კი ფუნქციონირება არ შეეძლო სახელოვანი მოღვაწეების მონაწილეობის გარეშე. „შემთავსებელთა“ პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რომ არ შემიძლია მასზე საგანგებოდ არ შევჩერდე.

ეთერი გუგუშვილი თეატრალური ინსტიტუტის პატიოსანი და მებრძოლი რექტორი იყო. მან ბევრი რამ გააკეთა თეატრალური ინსტიტუტისათვის. მისი დამსახურებაა კულტურის სამინისტროს მთელი შენობა რომ ინსტიტუტს გადაეცა, კინო „სპარტაკის“ გადმოცემისათვის იმდენი იბრძოლა, რომ ბოლოს ცეკას მდივანმა ე. შევარდნაძემ თურმე ბიუროს სხდომაზე განცხადა – ან ეთერი გააჩერეთ, ან მიეცით „სპარტაკიო“. მას „სპარტაკისათვის“ ბრძოლაში მხარში ედგნენ რეზო ჩხეიძე და აკაკი დვალიშვილი.

მე და ეთერი სულ ვიბრძოდით, რომ კანონებსა თუ სხვა დოკუმენტებში გათვალისწინებული ყოფილიყო სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების სპეციფიკა. თავის წერილში, რომელიც ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნდა თ. ქამუშაძე იხსენებს ფაქტს, რომ ინგლისში მ. თუმნიშვილს, რ. სტურუას, გ. ჟორდანიას სპექტაკლების წარმატების გამო, ჩვენთან ჩამოვიდა ინგლისის სათეატრო განათლების ერთ-ერთი ხელმძღვანელი, რათა ენახა – „თუ როგორ მოხდა ამდენი მრავალფეროვანი კადრის აღზრდა ერთ უმაღლეს სასწავლებელში, სად იზრდებოდნენ ასეთი თვითმყოფადი, განსხვავებული სტილის მსახიობები. განა ეს საამაყო არ არის?“.

საამაყო იყო, რადგან მათ ასწავლიდნენ საუკეთესო

პედაგოგები.

ინსტიტუტისათვის საამაყო იყო მათი მუშაობა, მაგრამ ამით აშკარად ირღვეოდა სულელური კანონი. ვერაფრით ვერ ვიცავდით შემთავსებელთა ლიმიტის ნორმებს. სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით აუცილებელი იყო ბევრად მეტი შემთავსებლის მოწვევა, ვიდრე ამის უფლება გვქონდა. აშკარად ჩიხური სიტუაცია იყო. ზემო ინსტანციებში ვაგზავნიდით წერილებს, რომ მოწვეულთა გარეშე ვერ იარსებებდა თეატრალური ინსტიტუტი, ყველა შედიოდა ჩვენს მდგომარეობაში, მაგრამ ლიმიტების ნორმებს მაინც არ გვიზრდიდნენ.

და აი ერთ დღეს, მოვიდა ფინანსთა სამინისტროს მკაცრი რევიზია. დაიანგარიშეს ლიმიტის ნორმის ზევით მოწვეული პედაგოგების ხელფასები და გამოგვიცხადეს: ამდენი და ამდენი თანხის ზარალი მიაყენეთ სახელმწიფოსო, არამიზნობრივად დახარჯული თანხის გამო შეიძლება პასუხისგებაშიც კი მიეცეთო, „გვახარეს.

მშვიდად ვუყურებდი მოვლენების განვითარებას, თუმცა სასწავლო დარგის პრორექტორს უშუალოდ მეკისრებოდა პასუხისმგებლობა შეთავსების ლიმიტის ნორმების უხეში დარღვევის გამო.

გამოჩენილმა მოღვაწეებმა კანონიერად აიღეს ხელფასი ჩატარებული მუშაობისათვის, ჩვენ კი ამის გამო ვისჯებოდით. ვერაფრით ვერ ვიჯერებდი, თუ ასეთ უზნეობას ოფიციალური სახე მიეცემოდა. ამაში იყო ჩემი გულუბრყვილობა.

ბევრი რამ ვიცოდი საბჭოთა სისტემის პარადოქსებისა და ძალადობის შესახებ, მაგრამ ეს მეტისმეტი იყო.

გეგმიანი მეურნეობის სისტემას ბევრი უცნაურობა ახასიათებდა. რუსეთი ყველაფერს ჩრდილოეთის თარგზე ჭრიდა, ჯარშიც კი ერთდროულად გადადიოდნენ საზაფხულო ფორმაზე, მაშინ როცა ჩრდილოეთში ციოდა, სამხრეთში ცხელოდა, კანონი ერთი იყო, არავითარი სპეციფიკა. მაგონდება შემთავსებელთა ლიმიტების მსგავსი მოვლენა, რომელიც თეატრებში ხდებოდა. კანონის მიხედვით, ყოველ მსახიობს თავისი კატეგორია ჰქონდა და ამის მიხედვით იყო განსაზღვრული, თუ რამდენჯერ უნდა ეთამაშა თვეში. თეატრში გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში სხვაგან (მაგ. კინოში) გამომუშავებული ხელფასიდან ან ჰონორარიდან ექვითებოდა შესაბამისი პროცენტი მისი თეატრის სასარგებლოდ. მაგ. სსრკ სახალხო არტისტს აკაკი ხორავას ყოველ თვე რვაჯერ უნდა

ეთამაშა როლი,  თუ ოთხჯერ ითამაშებდა, ხელფასის ნახევარი კინოგადაღებებიდან ან სხვა შემოსავლებიდან უნდა გადაეფარა. მსახიობთა ნორმირების პრინციპი აბსურდული და არარეალისტური იყო, რადგან მსახიობზე არ არის დამოკიდებული როლების მიღება და კვირეული აფიშის შედგენა. როლებს რეჟისორი ანაწილებს. თუ რეჟისორმა როლი არ მისცა, როგორ უნდა შეასრულოს სცენაზე გამოსვლის ნორმა? ანდა როლებიც რომ ჰქონოდა, კვირის აფიშას დირექცია ადგენდა და ხომ შეიძლებოდა მისი სპექტაკლი კვირაში ერთხელ ან ორჯერ ეთამაშათ?. . .  ზოგიერთი კატეგორიის მსახიობს თვეში ნორმად ოცი სპექტაკლი ჰქონდა, ზოგჯერ მეტიც. ამით იმის თქმა მინდა, რომ არ შეიძლება შეფასების კრიტერიუმი იყოს სამართლიანი, როცა იგი არარეალისტურია.

მახსოვს, კულტურის სამინისტროს კოლეგიის ერთ-ერთი სხდომაზე განიხილეს ფინანსთა სამინისტროს წერილი, რომელიც მსახიობების მიერ დატვირთვის ანუ თამაშის ნორმების შეუსრულებლობას ეხებოდა. სიაში იყო შეტანილი აკაკი ხორავას გვარიც, მინისტრი ბ-ნი ოთარ თაქთაქიშვილი  აღშფოთდა ამის გამო: აკაკი ხორავას საკითხს მე ჩემს თავზე ვიღებო. მინისტრის პოზიციით შეგულიანებულებმა სიიდან ამოიღეს ეროსი მანჯგალაძის და ზოგიერთი სხვა გამოჩენილი მსახიობების გვარებიც.

ეს ისტორია იმიტომ გავიხსენე, რომ მსახიობთა თამაშის რაოდენობის საკითხს მაინც უფრო ადვილად მოევლო, მაგრამ ჩვენი ინსტიტუტის პრობლემას არაფერი ეშველა და აი, ერთ დღეს, დადგა ჩვენი განკითხვის ჟამიც და რექტორი და მე გამოგვიძახეს რაიკომში.

ბიუროზე ქ-ნმა ეთერმა მითხრა: ასეთ უმწეო დღეში მამაჩემის დაჭერის შემდეგ არ ვყოფილვარ, ან გადავდგები, ან არ ვიცი, რას მოვიმოქმედებო.

დაიწყო ჩვენი საკითხის განხილვა. ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა ჩვენ მიერ სახელმწიფოსათვის ვითომ მიყენებული ზარალის რაოდენობა. ამისათვის რექტორი უნდა დაისაჯოს და გადაიხადოს ერთი თვის ხელფასიო.

— რას ლაპარაკობთ, — იყვირა ეთერმა, რისთვის ვიხდი ჯარიმას, მე შევჭამე სახელმწიფოს ფული? ერთ მანეთსაც არ გადავიხდი. ყველამ იცის ჩემი პატიოსანი მუშაობის შესახებ, ეს რა ხდება ჩემს თავზე... — თქვა და ნერვებმა უმტყუნა, უმწეობისაგან ატირდა. —

თქვენც ვითომ კაცები ხართ, – თქვა რუსულად  და დაჯდა.

საშინელი დუმილი ჩამოვარდა.  არ ელოდნენ მოვლენის ასეთ განვითარებას. დაიწყეს გამოსავლის ძებნა. რევიზორი მე მომაჩერდა. ეთერმა ეს შენიშნა და მოულოდნელად თქვა: სხვათაშორის, ვასოს ეხება პედაგოგების მოწვევის საკითხი.

ყველამ ამოისუნთქა. გამოსავალი ნახეს.

– ამხანგი კიკნაძე დაჯარიმდეს ერთი თვის ხელფასით, – თქვა სარევიზიო ჯგუფის ხელმძღვანელმა.

ხმა არ ამომიღია. დამთავრდა სხდომა. ეთერმა დამამშვიდა, ნუ გეშინია, მაგათ თავისას არ გავატანინებო.

იმდენი იბრძოლა, რომ მართლაც არ გადამიხდია ერთი თვის ხელფასი. მაგრამ რისთვის ან ვისთვის იყო საჭირო ასეთი აბსურდული კანონები?

ეს ისტორია იმისთვის გავიხსენე, რომ ზოგჯერ კანონი და ცხოვრების რეალობა ორი პარალელური ხაზივითაა, ერთმანეთს არ ეხებიან.

საუბედუროდ, ამგვარი კანონები დღესაც შეგვახსენებენ ხოლმე თავს. დღევანდელი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაშიც ხშირად იჩენს ხოლმე თავს, ოღონდ უფრო ახლებურად და უფრო შეფარულადაც...

# სიმართლისა და კონფლიქტების სამყაროში

ბედნიერებაა დიდ ხელოვანთა გვერდით ცხოვრება. ვიცი, რომ დიდ შემოქმედს დიდი ამბიციებიც აქვს, მაგრამ მათთან ურთიერთობას ხომ სხვა ხიბლიც აქვს? მათი მოღვაწეობა უნივერსიტეტს დიდ ღირსებას მატებს. თუ გინდა მათ გვერდით მუშაობა, ადამიანური სისუსტეც უნდა მოითმინო. მით უფრო, ხელმძღვანელმა. ინსტიტუტი განებივრებული იყო გამოჩენილ ადამიანთა სიმრავლით. ვამაყობ, რომ მათ გვერდით ვცხოვრობდი და ხელს ვუწყობდი მათ მოღვაწეობას..

სხვადასხვა დროს ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) მოღვაწეობდნენ განსხვავებული თაობების ადამიანები. ყოველ თაობას ჰყავდა თავისი გამორჩერული ლიდერები, რომლებსაც „მიჰყავდათ“ ძირითადი სპეციალობები. კარგი იყო კათედრების სისტემა, რომლებიც სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს მართავდნენ. ბოლონიის პროცესმა მოშალა მართვის ეს სისტემა, გაამეფა „ქაღალდომანია“ და „თვითშემოქმედება“.

როცა უნივერსიტეტში გატარებულ წლებზე ვფიქრობ, სულ მინდა ყველა დავასახელო, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის უნივერსიტეტის ცხოვრებაში, მაგრამ გამომრჩება ვინმე და გათავდა...

მაგრამ მე ხომ უნივერსიტეტის ისტორიას არ ვწერ, ჩემს ცხოვრებაზე ვსაუბრობ და ამას საგანგებოდ შევახსენებ ხოლმე მკითხველს.

უნივერსიტეტში რთული მუშაობა უხდებოდათ დეკანებს, რადგან ცხრილი ისე უნდა შეედგინათ, რომ შემთავსებლების ძირითადი მუშაობისათვის უნდა გაეწიათ ანგარიში.

ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორი რთული იქნებოდა ძირითადი სამსახურების პარალელურად უნივერსიტეტში შეთავსებით მუშაობა. მათ ირგვლივ თავს იყრიდა ათასი შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და ორგანიზაციული პრობლემა. შემოქმედებით ადამიანებზე არანაკლებად ამბიციურები ვართ. „მცოდნეები“ ზოგჯერ ჩვენში უფრო ძლიერიც არის უმოტივაციო ამბიციები, მაგრამ რას ვიზამთ, უნდა მივიღოთ რეალობა ისე, როგორიც ის არის!

მაქსიმალურად ვცდილობდით შეგვენარჩუნებინა გამოჩენილი მოღვაწეები, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით უნდოდათ ინსტიტუტის დატოვება. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებ, რომელთა დოკუმენტებიც შემორჩა ჩემს არქივს.

1981 წლის 21 ოქტომბეტრს მიხ. თუმანიშვილმა მომმართა განცხადებით: „იმის გამო, რომ სამსახიობო ფაკულტეტის II ჯგუფის ახალგაზრდებს არ ძალუძთ სერიოზულად იმუშაონ და დაეუფლონ მსახიობის ხელოვნების საიდუმლოებას, მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს ტყუილად ვკარგო დრო, გთხოვთ გამანთავისუფლოთ ამ ჯგუფისაგან და დამტოვოთ მხოლოდ სარეჟისორო ჯგუფის პედაგოგად“. რესპუბლიკის სახალხო არტისტი, პროფესორი მ. თუმანიშვილი“.

დიდი მაესტროს ამ განცხადებამ შემაშფოთა. რა უნდა ვუთხრა სამსახიობო ფაკულტეტის იმ სტუდენტს, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის გაკვეთილებს აცდენს?! ნეტავ რამდენია ასეთი სტუდენტი? შეიძლება ერთი ან ორი, იქნებ სამიც. მიხეილ თუმანიშვილი კი ერთსაც არ აპატიებს, მაგრამ საქმე მარტო გაცდენებში არ არის. საკითხი ეხებოდა შემოქმედებით მხარეს. სტუდენტებს არ შეუძლიათ „სერიოზულად იმუშაონ და დაეუფლონ მსახიობის ხელოვნების საიდუმლოებასო“.

პროფესიისათვის თავდადების დეფიციტმაც იჩინა თავი, მაგრამ უდისციპლინობა, – ქართველების „აქილევსის ქუსლი“ მაინც უფრო შემაშფოთებელი იყო. ჩემს ჩანაწერში ჩანს, როცა სტუდენტები პირობას დებენ – „აღარ გააცდენენ“.

დღევანდელი გადასახედიდან თითქოს დაუჯერებელია, რომ მ. თუმანიშვილს, ზ. კვერენჩხილაძეს, გ. საღარაძეს და სხვებს თვით მათი საყვარელი სტუდენტებიც კი უცდენდნენ ლექციებს.

არც გამკვირვებია. უდისციპლინობის ქართული სენი მარტო თეატრში კი არა, – ყველგან იჩენს ხოლმე თავს. პრობლემა არ ახალია. ს. ახმეტელმა სიღრმისეულად განიხილა იგი ჯერ კიდევ თავისი სტუდენტობის წლებში სტატიაში „ჩვენი ახალგაზრდობა“, რომელსაც ცალკე შევეხები.

კ. მარჯანიშვილსაც და ს. ახმეტელსაც უცდენდნენ ხოლმე რეპეტიციებს, ისინი (უ. ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა და სხვები) შემდეგ დიდი მსახიობები გახდნენ, მაგრამ ეს ისტორიაა. ჩვენი ისტორიის მწარე შეცდომებს ჩვენთვის, ქართველებისათვის, მხოლოდ მშრალი ინფორმაციის მნიშვნელობა აქვს და არა ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილისა, მაგრამ ეს რიტორიკული აზრი ვერაფერს ვერ მიშველიდა, როცა სასწავლო პროცესი საფრთხეში იყო. მხოლოდ მ. თუმანიშვილისა და ზ. კვერენჩხილაძის მაგალითი გამოვყავი,

რაკი მათ დოკუმენტურად დააფიქსირეს თავიანთი გადაწყვეტილება. თუმცა ზინა მოერიდა სტუდენტებთან უშუალო დაპირისპირებას და განცხადებაში არ აღნიშნა, რომ სტუდენტების უდისციპლინობის გამო გადაწყვიტა ინსტიტუტიდან წასვლა. „ოჯახური პირობების გამო გთხოვთ გამანთავისუფლოთ ინსტიტუტიდან“.

დაწერა მოკლედ და კატეგორიულად.

ზინა ჩემი მეგობარი იყო. რუსთაველის თეატრში მუშაობის პერიოდში დავმეგობრდი მის ოჯახთან. კარგად ვიცოდი მისი მტკიცე, უკომპრომისო ხასიათი. სტუდენტებს უყვარდათ ზინა, მაგრამ მხატვრული მეტყველების გაკვეთილებს მასაც უცდენდნენ. არ გაწირა სტუდენტები და ინსტიტუტიდან წასვლა არჩია. ვიცოდი, რომ ადვილი არ იქნებოდა ზინას გადაწყვეტილების შეცვლა. შევხვდით და დიდხანს ვისაუბრეთ. მანამდე სტუდენტებს გავესაუბრე, „სინდისზე შევაგდე“, რადგან მათი მიზეზით მიდიოდა ზინა. სტუდენტებზე მორალურად ძალიან იმოქმედა ზინას გადაწყვეტილებამ, „არ ჩაუშვა“ და ისე მიდიოდა. ზინას ყველაფერი ვუამბე. დავარწმუნე, რომ სტუდენტებს ის ძალიან უყვარდათ. ჯერ ირონიულად მისმენდა. თანდათან გატყდა. მის განცხადებას პირველად წავაწერე: „არ შეიძლება!“. 15. II.82.“, ხოლო საუბრის შემდეგ: „ველაპარაკე ზინას, ვუთხარი, რომ სტუდენტებს უყვართ და დარჩა“.

1987 წლის 3 დეკემბერს, დღის ბოლოს კაბინეტში შემოვიდა ზინა კვერენჩხილაძე.

— ძლივს მარტო დაგიჭირე, ვასუკა (ასე მეძახოდა მეტწილად, ხანდახან ვასიკოსაც მეტყოდა) — კარგად მომისმინე. — მთელი ორი საათი მიკითხავდა შრომას „ჩემი ანტიგონე“.

ქართულ თეატრალურ ლიტერატურაში აკაკი ვასაძის შემდეგ თავისი როლის ასეთი ღრმა ანალიზი არავის არ გაუკეთებია. არსებობს მსახიობთა ბევრი მოგონება, მაგრამ ზინა კვერენჩხილაძის „ჩემი ანტიგონე“, რომელიც შემდეგ წიგნად გამოვიდა, მის დიდ ანტიგონესავით დარჩება ისტორიაში.

უნივერსიტეტში მუშაობის წლებში დავმეგობრდით მე და შალვა გაწერელია. მანამდის კარგი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ყოველ დღე ერთ ჭერქვეშ ყოფნა, საქმიანი ურთიერთობა მაინც სხვა არის. შალვა მსახიობის ოსტატობის მაღალი კლასის პედაგოგი იყო. მის რეჟისურაზე ბევრჯერ მაქვს დაწერილი და აღარ გავიმეორებ. იცოდა, რომ დიდ პატივს ვცემდი და შეთამამებული ვიყავით.

მკაცრი, მომთხოვნი პედაგოგი იყო, მაგრამ ხშირად ჭირვეულობდა, სულ უკმაყოფილო იყო თავისი სტუდენტებისა. სტუდენტებისა, რომელებიც მას ძალიან უყვარდა და არც სტუდენტები რჩებოდნენ ვალში, უყვარდათ და აფასებდნენ.

შალვა ხელგაშლილი, სუფრასთან მომლხენი კაცი იყო. კვირა არ გავიდოდა, რომ არ ეთქვა, – წავიდეთ, თითო ჭიქა დავლიოთო.

განსაკუთრებით უყვარდა მსახიობების პირველ და მეორე კურსელებთან მუშაობა. ხშირად მესამე კურსიდან მიდიოდა, თავს ანებებდა.

მეც მიყვარს პირველ და მეორე კურსელებთან ლექციების კითხვა და ამიტომ კარგად მესმოდა შალვა გაწერელიას სურვილისა, თუმცა გახსნილად არ ლაპარაკობდა ნამდვილ მიზეზებზე. ფსიქოლოგიურ ფაქტორს არც ახსენებდა. წასვლის მიზეზად სტუდენტების „უნიჭობას“ აბრალებდა. თუმცა, კარგად იცოდა, რომ მისი სტუდენტები უნიჭოები არ იყვნენ.

ერთ-ერთ დღეს შალვა განერვიულებული შემოვიდა ჩემს კაბინეტში.

– სულ წავალ. არ მინდა არაფერი, – წვერებზე ნერვიულად ისვამდა ხელს.

– ჩემი მეგობარი ხომ ხარ, უთხარი გოგი მარგველშვილს, პირველი კურსი მომცეს, ამათ თავს ვანებებ. უნიჭოები არიან, არაფერი გამოვა ამათგან.

– ვერ ვეტყვი გოგის. უნდა დაამთავრო ჯგუფთან მუშაობა.

– ვითომ რატომ ვერ ეტყვი?!

– იმიტომ, რომ პრორექტორი აღარ ვარ, არ მეხება ეგ საკითხი.

ვიცოდი, რომ გოგის სურვილი იყო,შალვა ბოლომდე დარჩენილიყო თავის ჯგუფთან.

შალვამ ნერვიულად გაიარ-გამოიარა ოთახში, ფანჯარასთან მივიდა, მოტრიალდა და უცებ სრულიად შეცვლილი ტონით, ღიმილით მითხრა:

– მოდი, დღესვე, ნუ გადავდებთ, გავიდეთ ქალაქგარეთ. მე გპატიჟებთ. შენ გოგის უთხარი, რომელ საათზეა თავისუფალი. გადაურეკე ბიჭებს – ნოდარს (გურაბანიძე) და გურამს (ბათიაშვილი).

– დღეს არ გამოვა, საქმე მაქვს.

— იყოს ხვალ, ნუ გადავდებთ!

— გავიდეთ, მაგრამ შალვა, რას ერჩი შენს სტუდენტებს, შესანიშნავი ახალგაზრდები არიან, მე ვუკითხავდი ლექციებს, შენ განსაკუთრებით უყვარხარ. თემები დავაწერინე ,,ჩემი უნივერსიტეტი", შენზე სიყვარულით დაწერეს...

— კარგი... კარგი... არ გინდა არტისტობა...

— აი, ნახე, კარადიდან გადმოვიღე სტუდენტთა რვეულების მთელი შეკვრა. ერთ-ერთ სტუდენტს მართლა ჰქონდა შალვაზე საქებარი სიტყვები დაწერილი: ,,ბედნიერებაა შალვა გაწერელიასთან მუშაობა, მკაცრია, მაგრამ სამართლიანიო". მოვძებნე შრომა და წავუკითხე.

შალვა რვეულისკენ გადმოიხარა და ჩახედა.

— არ გრცხვენია, შალვა? მამოწმებ? ტყულს გეტყვი?

შალვა უცებ მოლბა, ჩაქრა. სიამოვნებისაგან ნიკაპი მოიქავა, გამიღიმა.

— სხვათაშორის, ეგ არ არის ცუდი ბიჭი.

ვიხელთე დრო და ვითომ ძებნა დავუწყე სხვა რვეულებსაც.

— სხვებსაც უწერიათ. მარტო მაგას კი არა...

გავრისკე და გადავშალე ერთ-ერთი სტუდენტის რვეული და ვითომ სტუდენტს ეწერა, ისეთი რიხით წავიკითხე შალვას საქებარი სიტყვა.

დავხურე რვეული. დავიწყე სხვა რვეულების თვალიერება.

— კიდევ არის, გვარი არ მახსოვს. ვეძებ. შეიძლება ასეთი ჯგუფის მიტოვება?

— მართლა უნიჭოები კი არ არინ. პირველ კურსთან მიყვარს მუშაობა.

ჩემმა ,,ხონურმა" გაჭრა, შალვა დარჩა თავის ჯგუფთან.

სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენთა გონება პირველი ორი წელი სპეციალობაში სწავლების პროცესში თეთრი ფურცელივით არის. პედაგოგისთვის ერთგვარი აზარტია, ტკბობაა მათთან ურთიერთობა. პედაგოგი ყოველდღიურად ხედავს თავის ნაყოფს, როგორ იზრდება სტუდენტი, როგორ ივსება ,,თეთრი ფურცელი". სტუდენტი ამ წლებში უფრო უშუალოა, უფრო გულუბრყვილოც, ამიტომ პედაგოგს თვალებში შესცინინებს, ადვილად იჯერებ რასაც უყვება პედაგოგი. მესამე კურსზე სტუდენტი უკვე ბევრ რამეში ერკვევა. პროფესიული დაოსტატების პროცესში, ზოგ რამეს უკვე

ეჭვის თვალით უყურებს, ჩნდება სკეპტიციზმი და კრიტიკული დამოკიდებულება. ერთი სიტყვით, „ყამირი“ გატეხილია!

შალვა გაწერელიამ ბევრი გააკეთა „დავით კლდიაშვილის თეატრისა“ და საერთოდ ქართული თეატრის ისტორიაში. ვიცოდი მისი ფასი და ვუფრთხილდებოდი. გაგებით ვხვდებოდი მის ჭირვეულობას თუ პრეტენზიებს. მიუხედავად ამისა, ორჯერ მაინც დაწერა განცხადება უნივერსიტეტიდან წასვლის შესახებ. ის ნატვრაც აუსრულდა, რომ მეორე სართულზე ბევრი კაბინეტი მოიშალა და მისთვის მშვენიერი აუდიტორია გაკეთდა. ეს არის პატარა სასწავლო თეატრი, მის დერეფანს კი „შალვასტრიტს“ ვეძახდი. გოგი მარგველაშვილი ძალიან ხელს უწყობდა შალვას.

უნივერსიტეტში ხშირად იმართებოდა სპექტაკლების გულახდილი განხილვები, საუბრები სწავლების მეთოდოლოგიის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საუბრების დროს, აზრთა სხვაობის შედეგად, შალვა ზედმეტად აღელდა. მეორე დღეს განცხადება დაწერა (რატომღაც ორი), განცხადებაში წერს: „დაბეჯითებით გთხოვთ გამანთავისუფლოთ თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტიდან. ეს განცხადება დამაწერინა ღრმა რწმენამ, რომ ჩემი წასვლით ხელს შევუწყობ ინსტიტუტში მიმდინარე შემოქმედებით პროცესს“. შ. გაწერელია. 19. VI. 99“. განცხადებას ქვემოთ მიაწერა: „მეორე ანალოგიურ განცხადებას აქვე გაახლებთ“. მეორე განცხადებაში განთავისუფლების თხოვნაა, მხოლოდ მიზეზის დასახელების გარეშე.

შ. გაწერელიას განცხადებას ასეთი რეზოლუცია დავადე: „ბატონო შალვა! ჩემი ღრმა რწმენით ბევრი დააკლდება ინსტიტუტს თქვენი წასვლით, ისე როგორც დააკლდა მოზარდთა თეატრს. აჩქარებული კაცი ბრძანდებით, ჩემო შალვა. (8.VII.99)“.

დ. კლდიაშვილის გმირის ტექსტი გამოვიყენე. შალვას გავაცანი რეზოლუცია. ვისაუბრეთ და წავლა გადაიფიქრა..

გიგა ლორთქიფანიძე და ეთერ გუგუშვილი დიდი ხნის (მოსკოვში სწავლების პერიოდიდან) მეგობრები იყვნენ. იმპულსურობა ეთერივით არც გიგას აკლდა, მაგრამ აღელვება მალე გადაუვლიდა ხოლმე, გიგა ყოველთვის ცდილობდა შერიგებას. დიდი ბავშვივით იყო. წუხდა, თუ გაწყენინებდა. არ უყვარდა თანამშრომლის განთავისუფლება სამსახურიდან. ამაყობდა იმით, რომ არასოდეს არავინ არ გამითავისუფლებიაო. ამ პრინციპით იმუშავა მთელი ცხოვრება.

გიგა ლორთქიფანიძემ ორჯერ დაწერა განცხადება თავისი

მეგობრის ე. გუგუშვილის რექტორობის დროს. პირველად 1985 წლის 12 სექტემბერს: „გთხოვთ გამანთავისუფლოთ თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტიდან“. განცხადებას იმავე დღეს წავაწერე: „უარი ეთქვას – განცხადება დაწერა ემოციური აფეთქების დროს –უსაყვედურა ე. გუგუშვილს - რატომ გამიყვანეთ საბჭოდანო“.

მეორე განცხადება 1987 წ. 28 ოქტომბრით არის დათარიღებული. განცხადებას ახლავს ჩემი გადაწყვეტილება: „უარი ეთქვა წასვლაზე. კონფლიქტი მოუვიდა ეთერთან თეატრების გასტროლებთან დაკავშირებით, მაგრამ დღეს შერიგდნენ. მადლობა ღმერთს. 2. XI. 87“.

უნივერსიტეტში შეთავსებით მომუშავე რეჟისორები და მსახიობები, რომლებსაც აქვთ შემოქმედებითი და პედაგოგიური ავტორიტეტი, ადვილად წყვეტენ სამსახურიდან წასვლის საკითხს. მათ იციან, რომ უნივერსიტეტი ადვილად არ შეელევა მაღალი კლასის სპეციალისტს.

ამიტომ მივმართავდით ხან კონსენსუსის, ხან მობოდიშების ფორმას. ყველაფერს განსაზღვრავდა სტუდენტის ინტერესების უზენაესობის იდეა.

უნივერსიტეტში მუშაობდა ჩემი და ეთერის მეგობარი, ინტელიგენტი, გაწონასწორებული, იმპოზანტური, ყოველთვის კეთილგანწყობილი რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე. მის ერთ-ერთ საკურსო სპექტაკლს მეგობრული, მაგრამ საკმაოდ მკაცრი შენიშვნები მისცა რექტორმა. ანზორს არ მოეწონა მისი კრიტიკის ტონი. მეორე დღეს კანცელარიაში შემოვიდა ანზორის ოფიციალური განცხადება: „გთხოვთ გამანთავისუფლოთ თქვენდამი რწმუნებული ინსტიტუტიდან, ვინაიდან, როგორც ირკვევა, საჭირო არ ვყოფილვარ“. ა. ქუთათელაძე.7. III. 86“.

რექტორმა თავისი დასკვნის გარეშე გამომიგზავნა განცხადება. ეს იმას ნიშნავდა, რომ მე უნდა მომეგვარებინა კონფლიქტი. მე რეზოლუცია გავუკეთე: „არ იქნას განთავისუფლებული – განცხადება აღელვების შედეგია (ეთერმა გააბრაზა). ვ. კიკნაძე. 8. III.86.“

გიგა ლორთქიფანიძის რექტორად დანიშვნის პერიოდში პრესაშიც აღინიშნა და უნივერსიტეტშიც გახმაურდა, რომ გ. ჟორდანიას რექტორობის შემდეგ სასურველი იყო გ. მარგველაშვილის კანდიდატურა. როგორც კი გადაწყდა გიგას საკითხი, გოგი მარგველაშვილმა თავის მოვალეობად ჩათვალა გასცლოდა უნივერსიტეტს და განცხადება დაწერა: „სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით გთხოვთ

გამანთავისუფლოთ სამსახურიდან. გ. მარგველაშვილი. 25.VI. 99“. იმავე დღეს განცხადებას დავადე ასეთი რეზოლუცია: „ბატონო გიორგი! ინსტიტუტიდან თქვენი წასვლა არ შეიძლება! თქვენი შემოქმედებითი და პედაგოგიური ნიჭი, თქვენი პიროვნული თვისებები სჭირდება ინსტიტუტს და საერთოდ, ახალ თაობას“. ვ. კიკნაძე. 25. VI.99“.

გიგასთან შედგა ჩემი საუბარი. გიგამ დიდი სურვილი გამოხატა, რომ გოგი არ წასულიყო. ამის შემდეგ გოგი მარგველაშვილი დარჩა უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში ზოგჯერ იქმნებოდა ობიექტურად „ჩიხური“ სიტუაცია, როცა პედაგოგებიც მართლები იყვნენ და უნივერსიტეტის ხელმძღვანელებიც. ზოგჯერ კანონად ქცეული უსამართლობა უნდა დაგვეცვა, თუ რევიზია დარღვევებს აღმოაჩენდა. ასეთ დროს არსებითად ილახებოდა გამოჩენილ მოღვაწეთა პიროვნული ღირსებები. სწორედ ასეთი ფაქტი მოხდა ინსტიტუტში ზ. ანჯაფარიძისა და თ. აბულაძის მოღვაწეობის დროს.

ყველგან დიდია მოთხოვნილება კარგ პროფესიონლებზე, მაგრამ პედაგოგთა კადრებს მაინც სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სახელოვნებო სასწავლებლებში. ერთი ნიჭიერი ხელოვანის გამოვლენა და აღზრდა მთელი მოვლენაა.

მეტწილად ოსტატზეა დამოკიდებული მომავალი სპეციალისტის ბედი., ამირტომ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, ვისი „საფირმო მარკის გამოშვებაა“ მავანი და მავანი.

ერთხელ შალვა გაწერელიამ დიდი კმაყოფილებით და სიხარულით მითხრა: რობერტ სტურუა შემხვდა და ასე მითხრა: როცა გავიგებ, რომ ახალგაზრდა მსახიობი შენი მოწაფეა, სამსახურში პირდაპირ ვიღებო.

ბევრი სხვა მაგალითის დასახელება შეიძლება, მაგრამ საკითხი, ვფიქრობ, ისედაც ნათელია.

რთული ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეებისათვის უკეთესი პირობების შექმნის მიზნით თ. აბულაძეს პედაგოგიურ სტაჟში ჩავუთვალეთ რეჟისორული მუშაობა და შესაბამისი ხელფასი დავუნიშნეთ. ვიცოდით, რომ კანონს ვარღვევდით, მაგრამ თენგიზ აბულაძის დონის ხელოვანის პედაგოგად მოწვევა, კინორეჟისორების აღზრდა იმდენად საშური საქმე იყო, რომ გავრისკეთ.

ფინანსთა სამინისტროს რევიზიამ ეს დიდ დარღვევად ჩაგვითვალა

და რექტორს დაავალა, ზედმეტად გაცემული თანხები რეჟისორის ხელფასიდან დაეკავებინა.

რექტორის ბრძანებით ასეც მოხდა. ამის გამო ბ-ნი თენგიზი განაწყენდა და განცხადება დაწერა ინსტიტუტიდან წასვლის თაობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ეთერთან მეგობრობდა.

,,ვინაიდან თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვიმუშავებ თუ არა თეატრალურ ინსტიტუტში კინოსარეჟისორო სახელოსნოს ხელმძღვანელად, გთხოვთ გამანთავისუფლოთ ჩემთვის ამ მეტად საპატიო, სასახელო და სასიამოვნო მოვალეობის შესრულებისაგან. ჩემი წინამდებარე განცხადება ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენებთ, უსიამოვნო გრძნობებს აღგიძრავთ და დამატებით საზრუნავს გაგიჩენთ, კურსის ახალი პედაგოგის მოძებნის თვალსაზრისით და თუ ეს უკანასკნელი რატომღაც გაძნელდა, ან ვერ მოხერხდა, მე მზად ვარ ჩემს სტუდენტებთან მუშაობა მივიყვანო ბოლომდე, როგორც ეს გათვალისწინებულია სასწავლო პროგრამით, მხოლოდ არა როგორც თეატრალური ინსტიტუტის დოცენტის მოვალების შემსრულებელმა, არამედ უბრალოდ, როგორც კინორეჟისორმა და მოქალაქე თენგიზ აბულაძემ – თეატრალური ინსტიტუტის გარეშე და უსასყიდლოდ (ე.ი. უფასოდ). თ. აბულაძე. 5. III. 1978“.

ეთერს ძალიან ეწყინა, ბატონმა თენგიზმა ვერ გაუგო, რომ მას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო კანონის წინაშე. განცხადება მე დამაწერა: ,,ახია ჩემზე“...

ბატონი თენგიზის თხოვნა განთავისუფლების შესახებ არ დავაკმაყოფილეთ. ბევრი ვეფერეთ და როგორც იქნა, მუშაობა განაგრძო.

თ. აბულაძის განცხადებას მე დავაწერე: ,,ფინანსთა სამინისტროს განმარტებით, კინორეჟისორობა არ ჩაუთვალა უმაღლეს პედაგოგიურ სტაჟად. ამიტომ დაუკავეს ხელფასი. ამას ეხება თ. აბულაძის ეს განცხადება. ველაპარაკე თენგიზს“.

მსახიობთა აღზრდის სისტემაში დიდი მნიშვნელობა აქვს სტუდენთა მოძრაობისა და ცეკვის დისციპლინებს.. კათედრის გამგედ დიდხანს მუშაობდა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, ,,მოძრაობის“ ნამდვილი ოსტატი კოწო ბადრიძე. სტუდენტებს უყვარდათ, მომლხენი კაცი იყო. მეცადინეობებზე ჰქონდა საკმაოდ მკაცრი დისციპლინა, შესასრულებელი იყო რთული ილეთები. არასოდეს დამავიწყდება ჩემი სტუდენტობის დროს, მეორე აუდიტორიაში მეცადინეობა.

1975 წლის 24 სექტემბერს კ. ბადრიძემ მთხოვა კათედრის გამგის თანამდებობიდან განთავისუფლება: „სუსტი ჯანმრთელობის გამო გთხოვთ გამანთავისუფლოთ კათედრის გამგის თანამდებობიდან“.

ჯანმრთელობა მოიმიზეზა. ვერ იტანდა ონდავ კონფლიქტურ სიტუაციასაც კი. არ ეხარბებოდა თანამდებობას. „უარი ეთქვას“ –წავაწერე რეზოლუცია.

მეორე წელსაც (1975) გაიმეორა განცხადება. ისევ ჯანმრთელობის გაუარესება მოიმიზეზა. განცხადებაზე კვლავ უარი ვუთხარი: „უარი ეთქვას“.

1975 წლის 9 სექტემბერს რექტორს მიმართა ჯგუფმა, რათა კ. ბადრიძე დაებრუნებინათ მათ ჯგუფში: „მოგახსენებთ, რომ ჩვენს ჯგუფს III კურსზე სასცენო მოძრაობაში შეგვიცვალეს პედაგოგი კ. ბადრიძე ნ. იონათამიშვილით. ჩვენი საერთო თხოვნაა დაგვიბრუნოთ ჩვენი საყვარელი მასწავლებელი კ. ბადრიძე. 9. IX. 1977“. ხელს აწერს მთელი ჯგუფი.

კ. ბადრიძემ 1978 წელსაც გაიმეორა თხოვნა კათედრის გამგეობიდან განთავისუფლების შესახებ. რამდენიმე თვით ადრე გამაფრთხილა: „მომავალი სააწავლო წლისათვის 1978 წლის პირველი სემესტრიდან გთხოვთ განთავისუფლებული ვიქნე სასცენო მოძრაობის და ცეკვის კათედრის გამგის თანამდებობიდან. 22. V.1978“. მე წავაწერე: „უარი ეთქვას“.

აი, ასე ვუფრთხილდებოდით ინსტიტუტის კარგ სპეციალისტებს. ადვილი არ იყო მათი შენარჩუნება. რამდენი ძალისხმევა, ტაქტი და მოთმინებაა საჭირო. რას ვიზამთ, ხელმძღვანელს შესაფერი მოთმინება მართებს.

წარმოდგენილი განცხადებების უმრავლესობა კანცელარიაში რეგისტრაციაში არ გავატარე, რადგან არ მინდოდა ოფიციალური მსვლელობა მისცემოდა, უფრო გართულდებოდა საქმე. ზოგიერთს პირდაპირ ჩემთან შემოჰქონდა განცხადება. ახლა ვფიქრობ, რომ შეიძლება ზოგიერთი ამით ტაქტიკურ სვლას აკეთებდა.

გადაჭრით ვერ ვიტყვი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზოგჯერ განცხადება ხელმძღვანელზე ზემოქმედების მიზნითაც იყოს დაწერილი...

# უსამართლობისა და უმადურობის ტკივილი

ჩემი ცხოვრების დიდ გამოცდილებისა და საქართველოს ისტორიის გაკვეთილების მიხედვით, მე უკვე სადავოდ აღარ მიმაჩნია, რომ ქართველებს უმძიმეს ავადმყოფობასავით გვჭირს — უმადურობა, მივიწყება ადამიანთა დამსახურებისა. სხვა ხალხებს ალბათ სხვა ავადმყოფობა სჭირთ, მაგრამ ეს ჩვენთვის რა შეღავათია?

ფაქტები ბევრია. ისინი ჩემს სხვა შრომებში არაერთხელ დავასახელე და აღარ გავიმეორებ. ამიტომ მუდამ ვცდილობდი მოვფერებოდი უნივერსიტეტის ღვაწლმოსილ ადამიანებს.

აი ისე ფაქიზად, როგორც განცხადებებზე გაკეთებული რეზოლუციებია. ეს ხომ ფაქტებია, დოკუმენტებია.

იყო ბევრი სხვა შემთხვევაც.

ჩვენ დიდ მეცნიერს, ბატონ დიმიტრი ჯანელიძეს, რომელიც გამოირჩეოდა თავმდაბლობითა და კეთილსინდისიერებით, ბოლო წლებში არაერთხელ (ორჯერ თუ სამჯერ) განცხადებით მოუმართავს ინსტიტუტიდან წასვლის შესახებ: ვასო, ვეღარ დავდივარ... უხერხულია... გამანთავისუფლეთ — იტყოდა და ხელში ეჭირა განცხადება.

— სანამ მე ვარ, ეგ არ მოხდება, — ვეუბნებოდი და ვგრძნობდი, რომ სიამოვნებდა.

მსიამოვნებდა მეც, რომ მის მოწაფეს შემეძლო ეს მეთქვა.

ჩემი მასწავლებელი, კარგი სამეგობრო, თეატრმცოდნე ნ. შვანგირაძე წლობით ვერ მოდიოდა ინსტიტუტში ავადმყოფობის გამო, მაგრამ შევინარჩუნეთ. იყო ანალოგიური არაერთი სხვა შემთხვევაც (მაგ. კ. პატარიძე, ს. მიქელაძე, გ. აბაშიძე, ალ. კიკნაძე და სხვა).

რაღაც ბედისწერასავით დამყვა, რომ ხშირად უანგარო დახმარების შემდეგ მადლობის მაგივრად გულს მტკენდენენ, მაგრამ კვლავ და კვლავ ვაგრძელებდი დახმარებას, რადგან მენანებოდა წინა სიკეთის დაკარგვა, გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, იქნებ მეორე ან მესამე სიკეთის შემდეგ მაინც გაიღვიძოს მადლიერების გრძნობამ, თუმცა პრაქტიკულ ცხოვრებაში არ გაამართლა ჩემმა მეთოდმა. რას ვიზამ!

მართლაც უცნაურია. ერთი ტკივილი მიყუჩდება, — მეორე იჩენს თავს.მეორეს მესამე ცვლის და ასე გრძელდება სიკვდილამდე.

მე მაინც ასე მგონია, რომ მხოლოდ ჩემი ხასიათისანი არიან ამ ყოფაში, თორემ ვინ იცის, რამდენი კაცია ამ ქვეყანაზე ქუდბედიანი.

ასე მგონია, რომ თითქმის ყველა ნაკლს მივუტევებ ადამიანს, — უმადურობას კი ვერა. ძალიან ბევრი ვიწვნიე უმადურობის გამო და ამიტომ ყველაზე მეტად განვიცდი მას.

ერთხელ, ჩემს კაბინეტში შემოვიდა ინსტიტუტის სამეცნიერო დარგის პრორექტორი შოთა გაბელაია და თითქოს დიდი საიდუმლო უნდა გამანდოსო, ისეთი ტონით მითხრა:

— დაკეტე კარები, შენთან სალაპარაკო მაქვს!

ბატონი შოთა კეთილი და ნიჭიერი კაცი იყო. ურთიერთობაც კარგი გვქონდა. შოთა გაბელაიას სამეცნიერო დარგის პრორექტორად დანიშვნაში მეც მიმიძღოდა წვლილი. მანამდე ორივე დარგს მე ვხელმძღვანელობდი. რექტორმა ე. გუგუშვილმა და მე მოვილაპარაკეთ, გაგვეყო სასწავლო და სამეცნიერო დარგი. სამეცნიერო დარგისთვის შტატიც ვიშოვნეთ და ბატონი შოთა მოვიწვიეთ. ნეტავ რა საიდუმლო აქვს ჩემთან, კარებს რომ მაკეტინებს? — გავიფიქრე, რადგან მეტად სერიოზული სახე ჰქონდა.

— ვასო! რასაც გეტყვი, სხვანაირად არ გამიგო, შენთვის გეტყვი, უნდა დაიმახსოვრო.

— მითხარი, არ მეწყინება!

— გუშინ ხომ თითქმის მთელი დღე ვიჯექი შენს კაბინეტში.

— ასე იყო, მერე რა?

— ჰოდა, მარტო გუშინ, ერთ დღეში შვიდ ადამიანს დაეხმარე სხვადასხვა საქმეში.

— ადამიანს უნდა დაეხმარო, თუ შეგიძლია, აბა რა უნდა ქნა?

— მე გეუბნები, არ დაეხმარო-მეთქი? ეტყობა, კარგად ვერ გაიგე. ისეთი სიკეთე, რომელსაც შენ აკეთებ, ვერც შენ მოგიტანს სიხარულს და არც ის იქნება მადლიერი, ვისაც ეხმარები. მას ეგონება, რომ შენთვის ძალიან ადვილია რასაც აკეთებ. შენთვის თითქოს არაფერიც არ არის მისი დახმარება ბოლოს და ბოლოს, რატომ უნდა დაგიმადლოს? ასე მსუბუქად, იოლად თუ კეთდება საქმე, ერთს კი არა, ათასს მოგთხოვს, მერე აბა გაბედე და თუნდაცერთი თხოვნა არ შეუსრულო, — დაგემდურება, იტყვის, უბრალო რამე არ გამიკეთაო. ცხოვრებაში იმდენ უმადურობას შეხვდები, რომ ბევრჯერ გეტკინება გული. ტკივილის მიზეზი კი ისევ შენ იქნები. კი ბატონო, კაცმა ცუდი არ უნდა გააკეთო, ქენი სიკეთე, მაგრამ მან

უნდა იგრძნოს, რომ სიკეთის გაკეთება ცუდის გაკეთებაზე ბევრად უფრო ძნელია. შენ არა ხარ ვალდებული, დაკარგო დრო, მისთვის დაივალდებულო სხვა ადამიანები, მეტსაც გეტყვი, სიკეთის გამო შეიძლება გისაყვედურონ კიდეც. ასე რომ, სანანებლად ნუ გაიხდი სიკეთეს და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად დაუმატა: სიბერეს ჩაგიმწარებს ეგ შენი სიკეთე! მანამ ადამიანებს სჭირდები, ვერ იგრძნობ, მაგრამ როცა საჭირო აღარ იქნები, საშინელი განცდები გექნება, როცა სიკეთეს დაივიწყებენ. ახლა ყურადღებას არ აქცევ, რადგან ყველას სჭირდები.

ამ სიბრძნის დასადასტურებლად ტიპიური შემთხვევა გამახსენდა. ერთმა ახალგაზრდა რეჟისორმა, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, ერთ-ერთ აბიტურიენტზე მთხოვა, მისაღებ გამოცდებზე დავხმარებოდი. თხოვნა უანგარო იყო და არც შემოქმედებით სპეციალობაზე აბარებდა და დავეხმარე. სტუდენტს მადლობაც არ უთქვამს. დაამთავრა ინსტიტუტი, იმავე რეჟისორმა ისევ მთხოვა და სამუშაოდ მოვაწყვე პატარა ადგილზე, მადლობა არ უთქვამს. მერე მან თავის უახლოეს ადამიანზე მთხოვა დახმარება, – დავეხმარე. მადლობა არ უთქვამს. მერე მეორე ახლობელზე მთხოვა დახმარება, დავპირდი, მაგრამ შემაგვიანდა დახმარება. შემოვიდა ჩემს კაბინეტში და მითხრა:

– რატომ იგვიანებთ? მე ხომ არ შემიძლია ამდენ ხანს თქვენ გელოდოთ, ვნერვიულობ. თუ მიკეთებთ, დროზე გამიკეთეთ.

– გაეთრიე! – ვუყვირე. იტირა და წავიდა. ნახევარი საათის მერე შემოვიდა და ბოდიში მომიხადა.. რაღა ფასი ჰქონდა.

კიდევ უარესი. ერთ-ერთ ცნობილ კაცს, პროფესიაში გზააბნეულს, ხან ერთს მიკედლებულს, ხან მეორეს, მხარი დავუჭირე და ორჯერ დავაწინაურე, რადგან მეგონა, რომ შემეძლო მისი იმპულსური ხასიათის და კონფლიქტური ბუნების გაწონასწორება. ასაკის მიუხედავად თავის მასწავლებელს მეძახდა, ლექსებსაც მიძღვნიდა – „ჩვენო დიდი ხაზეინოო“, მერე, რაღაც ჩემთვის დღემდე გაუგებარი მიზეზის გამო, მადლიერების ნაცვლად გადამეკიდა. რას არ მოესწრება კაცი!

მე კიდევ ორიოდე მაგალითს გავიხსენებ, რომლებსაც ისტორიისა და საზოგადოებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს, თორემ უმადურობის ფაქტები, ალბათ, სხვებსაც ბევრი აქვთ.

სანდრო ახმეტელის რეაბილიტაციისათვის ბრძოლა 1956 წლიდან დაიწყო. მაშინ რუსთაველის თეატრში ახმეტელთან დაკავშირებით ათასი ჭორი, ტყუილი და მართალი ტრიალებდა.

რუსთაველის თეატრში მუშაობისას სცენის ძველი, ტექნიკური თანამშრომლები ლეგენდებს მიყვებოდნენ ახმეტელზე. ჩემს ფანტაზიას აცხოველებდნენ და რაღაც შეუცნობელ სამყაროში გადავყავდი. ღამეები არ მეძინა იმაზე ფიქრით, თუ როგორ უნდა მებრძოლა უსამართლოდ დახვრეტილი კაცის სახელის აღსადგენად. ათეული წლობით ხომ ყველგან და ყველაფერში მარტო მარჯანიშვილის სახელი ეკერათ პირზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს მარჯანიშვილი სულ ზეიმით და სიხარულით ცხოვრობდა. მარჯანიშვილი გენიოსი რომ იყო, ყველამ ვიცოდით. მას არაფრის მიმატება (ისიც სხვის ხარჯზე) არ სჭირდებოდა, მაგრამ 30-იანი წლების თეატრის ისტორია ტრაგიკული ბურუსით იყო მოცული და ბევრ რამეზე წარმოდგენაც კი არ გვქონდა, ხოლო ვინც სიმართლე იცოდა, დუმდა. ჩემი მთავარი მიზანი იყო, ახმეტელის სახელი დაბრუნებოდა ქართველ ხალხს და თავისი ადგილი დაეკავებინა ისტორიაში.

მისი ადგილი კი ისტორიიდან ამოღებული იყო.

„ხალხის მტრად“ მოიხსენიებდნენ. ეს იყო „მისი ადგილი“.

ს. ახმეტელის პიროვნების ოფიციალური რეაბილიტაცია კი ყველაფერს არ ნიშნავდა. მას უნდა მოჰყოლოდა შემოქმედებითი სახელის აღდგენა, ისტორიაში მისი საკადრისი ადგილის დამკვიდრება. საჭირო იყო საფუძვლიანი გამოკვლევის ჩატარება, წერილების გამოქვეყნება. მისი ნაწერების შეგროვება-პუბლიკაცია, მათი კომენტირება..

ახმეტელის თეატრის ევოლუციისა და ჩამოყალიბების მთელი პროცესის თავისებურების გარკვევას დიდი დრო სჭირდებოდა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახმეტელის რეაბილიტაცია ხდებოდა საბჭოთა სისტემაშივე, სადაც წუთითაც ვერ დაივიწყებდით იმ იდეოლოგიურ მოდელს, რომლის პირობებშიც ყალიბდებოდა ახმეტელის პოლიტიკური თეატრის ახალი ესთეტიკა. მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ სანდრო ახმეტელი, ვიდრე რეჟისორი გახდებოდა, პოლიტიკური მოღვაწე იყო ანუ „ანტიპარტიელი“, როგორც მას უწოდებდნენ საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბებისთანავე. მან ხომ 1923 წლამდე არ დაშალა თავისი პარტია?

რეაბილიტაციის პირველ პერიოდში ყველაზე ძნელი ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა იყო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ახმეტელის სახელის დაბრუნებამ თითქოს ყველანი შეაშინა – ბრალიანიც და უბრალონიც. შიშით ელოდნენ, თუ

რა მოხდებოდა. თითქოს ახმეტელის დამსახურება ქართულ თეატრში ვიღაცებს ჰქონდათ გადანაწილებული და ახლა უკან უნდა დაებრუნებინათ, ნაწილს კი იმის ეშინოდა, რომ მარჯანიშვილისა და ახმეტელის, ა. ხორავასა და ა. ვასაძისა და ახმეტელის კონფლიქტიდან ბევრი რამ ამოტივტივდებოდა. ერთი სიტყვით, ფსიქოლოგიური ფაქტორი ბევრად უფრო რთული დასაძლევი აღმოჩნდა, ვიდრე დღეს ამის წარმოდგენა შეიძლება. გარეგნულად კი თითქოს საკამათო არაფერი იყო. ყველას უნდა გახარებოდა უდანაშაულოდ დახვრეტილი კაცის სახელის დაბრუნება, მაგრამ საქმე ასე მარტივი არ აღმოჩნდა. მოულოდნელად თავი იჩინა ათასმა სიძნელემ.

როცა ახმეტელზე ვიწყებ საუბარს, იმდენი რამ მაგონდება, რომ შეუძლებლია ყველაფრის დაწერა, მაგრამ მიჭირს წერტილის დასმა. მხოლოდ ორიოდე მაგალითს გავიხსენებ, მარტო ჩემი კი არა, ახმეტელის ბედის მანიშნებელიც რომ არის. ერთხელ ბესო ჟღენტმა და ეთერ გუგუშვილმა წყნეთში თავიანთ აგარაკზე დაგვპატიჟეს. ანტონ წულუკიძე, ნოდარ გურაბანიძე და მე ვიყავით. ბესო არაჩვეულებრივი მასპინძელი იყო, ბრწყინვალე ორატორი. როცა გვაცილებდა, უცებ თქვა:

— ვასო, შენთვის ჯერ ვერ მოვიცალე, უნდა გაგაკრიტიკო. შენს წერილში ახმეტელი მარჯანიშვილის გვერდით გყავს მოხსენიებული. ეს როგორ შეიძლება?

ერთი სიტყვით, კარგად შემახურა. გავიდა ცოტა ხანი და თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ პლენუმზე ვერიკო ანჯაფარიძემ ახმეტელი გააკრიტიკა. პლენუმის შემდეგ იმდენი ვიმარჯვე, რომ ქალბატონ ვერიკოსთან ერთად წამოვედი, თავისუფლების მოედანზე, პუშკინის ბაღში რომ მოვედით, ქალბატონ ვერიკოს ვუთხარი: ხომ არ ჩამოვმსხდარიყავით?

— დაიღალე, ბიჭო?

— არა, ისე, სასაუბროდ!

მეამაყებოდა,რომ ბაღში გენიალური მსახიობის გვერდით ვიჯექი. თავი მომწონდა ჩემი მდგომარეობით.

— ქ-ნო ვერიკო! — დავიწყე ლუღლუღით.

— რა იყო, ბიჭო, — მითხრა და ისე შემომხედა, კინაღამ დავიბენი.

— ვიცი, რომ თქვენ და ახმეტელი ერთმანეთს ემდუროდით. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ახმეტელი ცოცხალი აღარ არის.

გთხოვთ, მის წინააღმდეგ საჯაროდ ნუღარაფერს იტყვით!

— რომ ვთქვა, შენ დამიშლი?

— არ გინდათ, თქვენ დიდი მსახიობი ხართ, თქვენ სიტყვას სხვა ძალა აქვს.

— მერე, ამიტომ უნდა გავჩუმდე?

— მაგიტომ არა, მე გამოუცდელი ახალგაზრდა კრიტიკოსი ვარ, შეიძლება ვერ მოვზომო და თქვენზე ისეთი ცუდი ვთქვა, რომ არ გინდათ, რა? გთხოვთ, ძალიან გთხოვთ!

— ვასო, რა უნდა თქვა ჩემზე ცუდი?

ტუჩები მოკუმა, უცებ საოცრად მრისხანე სახე მიიღო.

— რა უნდა თქვა ჩემზე?

— ვიცი, რომ  თქვენი და ახმეტელის კონფლიქტი ამხანაგურ სასამართლომდე მივიდა, თქვენგან დაიწყო „დურუჯის“ დაშლა.

სიტყვა აღარ დამამთავრებინა, უცებ შეიცვალა, გარდაისახა და საოცრად თბილმა ღიმილმა გადაუარა სახეზე.

— ვინ ჩაგიკაკლა ეგ ამბები? სად წაიკითხე? ახმეტელის არქივი განა არსებობს? მითხარი, სად წაიკითხე?

წინა დღეებში დოდო ანთაძემ სასამართლოს სხდომის ოქმი გადმომცა, მაგრამ ბატონ დოდოს ხომ ვერ დავასახელებდი.

— ქ-ნო ვერიკო,  რა მნიშვნელობა აქვს სად წავიკითხე, ხომ მართალს ვამბობ?

— მერედა შენ მაგას საჯაროდ იტყვი?

— თუ თქვენ ახმეტელზე ცუდს იტყვით, მეც ვიტყვი, — გაშინაურებულივით ღიმილით ვუთხარი.

— არ მეგონა, თუ ასე საშიში ბიჭი იყავი.

ისეთი ღიმილით და სიცილით მითხრა, უდიდეს კომპლიმენტად მივიღე. ვგრძნობდი, რომ ჩემი საქციელი შანტაჟს წააგავდა, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება არ მქონდა და ვერაფრით ვერ ვხსნიდი, ახმეტელისაგან რა ტკივილი დარჩა ისეთი, რომ ვერ აპატია?!

მარჯანიშვილის თეატრის ოთხი მსახიობი, რომლებიც კონფლიქტით წავიდნენ (1928) რუსთაველის თეატრიდან, ოცი წლის განმავლობაში რუსთაველის თეატრში აღარ ყოფილან. მარჯანიშვილსა და ახმეტელს არ უნახავთ  ერთმანეთის წარმოდგენები 1926 წლის შემდეგ.  მას შემდეგ შ. ღამაშიძემ პირველად  1954 წელს შემოდგა ფეხი რუსთაველის თეატრში „ესპანელ მღვდელზე“, წერილიც დაწერა. ჩემთვის გაუგებარი იყო ეს ყოველივე, გაუგებარი იმიტომ, რომ მაშინ კარგად არ ვიცნობდი და არც გააზრებული მქონდა ჩვენი

ქართული ხასიათის საშინელი სენი — რადიკალიზმი და გაუგებარი გულგრილობა. ამას მერე მივხვდი.

ამაოდ ვცდილობდი, გენიალური მსახიობი ვერიკო ანჯაფარიძე როგორმე გამომეთიშა ახმეტელის მოწინააღმდეგეებიდან, თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ შემდგომ ქალბატონ ვერიკოს საჯაროდ მართლაც აღარ გამოუთქვამს ახმეტელის საწინააღმდეგო აზრი.

განსაკუთრებით შეურიგებელი იყო ბესო ჟღენტი. რუსეთშიც იყვნენ ახმეტელის მოწინააღმდეგენი. ზოგჯერ ერთიანი ფრონტით უტევდნენ ქართველები და მოსკოველები „ნაციონალისტ ხალხის მტერს“. პროფ. ა. გოიანმა მოსკოვში წერილი გამოაქვეყნა ახმეტელის წინააღმდეგ. მე პასუხი დავწერე, მივიტანე „ლიტერატურულ გაზეთში“. დასაბეჭდად უკვე გამზადებული იყო, კორექტურა წავიკითხე სტამბაში, ნომერში მიდიოდა. პარასკევს გადავშალე გაზეთი და წერილი არ იყო დაბეჭდილი. გაირკვა, რომ მწერალთა კავშირის მდივნის ბესო ჟღენტის მითითებით არ დაუბეჭდავთ. ბატონ ბესოსთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ ახმეტელის თემა მისი სუსტი ადგილი იყო (შემდეგ გავიგე, რომ ახმეტელმა ბესოს ძალით ხელწერილი დაადებინა, რომ მის წინააღმდეგ არაფერს არ დაწერდა!), გავცოფდი. თეატრალური საზოგადოების პლენუმზე მკაცრად გავაკრიტიკე ამის გამო ბატონი ბესო. ბესოს გამოექომაგა თეატრალური ინსტიტუტის რექტორი ი. თავაძე. მან თქვა:

— კიკნაძე და შვანგირაძე ჩვენი საზოგადოებიდან კოსტუმის ღილებივით უნდა მოწყვიტო და გადაისროლოო.

— ვიცი, ამხანაგო ილია. თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, სიამოვნებით გააკეთებდით ამას, მაგრამ თქვენი დრო წავიდა, — ვუთხარი მე და ჩემს პასუხზე ილია პრეზიდიუმიდან წამოდგა და გავიდა. უფრო მკაცრადაც ვუთხარი სხვა რამეებიც, რადგან ნიკა აგიაშვილისაგან ვიცოდი, რომ ილია თავაძეს ცუდი როლი ჰქონდა შესრულებული ლადო ასათიანის პირველი წიგნის დაჭრასთან დაკავშირებით (მაშინ ცეკაში მუშაობდა).

ს. ახმეტელის წინააღმდეგ ბრძოლას ზოგი კულისებში ეწეოდა ფარულად, მეორე ნაწილი — აშკარად. მისი თაობიდან დამცველები თითქმის არავინ იყო. აკაკი ხორავა და აკაკი ვასაძე ხმას ვერ იღებდნენ, რადგან მათ ირგვლივ ცუდი ატმოსფერო სუფევდა. ხალხმა ერთმანეთში აურია 1935 წლის კონფლიქტი ახმეტელსა და ამ მსახიობებს შორის და 1937 წლის ტრაგედია. თითქოს 1935 წლის კონფლიქტის შედეგი იყო 1937 წლის ტრაგედია. საქმე კი არ იყო

ასე მარტივი და სწორხაზოვანი, მაგრამ მაშინ ყველაფერი ნათელი არ იყო. როცა დაინახეს, რომ უკომპრომისოდ ვიბრძოდი ახმეტელის დასაცავად, ვიღაც-ვიღაცებმა დაიწყეს წერილების გამოგზავნა. რას არ მწერდნენ. ზოგი მაქებდა და მოითხოვდა, მემხილებინა ახმეტელის დამღუპველები, ზოგი მემუქრებოდა (ყველაფერს ახლა ვერ მოვყვები). საოცრად რთული და მრავალპლანიანი იყო ახმეტელის ფაქტობრივი რეაბილიტაციისა და შემოქმედებითი ავტიორიტეტის დაბრუნების პროცესი. როდესაც ძალიან გაგვიჭირდა, მე და ნინო შვანგირაძემ მოვიფიქრეთ ვ. მჟავანაძემდე მიგვეტანა ახმეტელის იუბილეს საკითხი, რადგან იშლებოდა ახმეტელის იუბილე. ნინო შვანგირაძე შორეულად ენათესავებოდა ვ. მჟავანაძეს. გარისკა და მივიდა მასთან სახლში. უთხრა, რაც ახმეტელის ირგვლივ ხდებოდა. მჟავანაძემ შესაბამისი რეაქციაც მისცა. ერთ-ერთ თათბირზე თქვა, რომ ვინც ახმეტელს ებრძვის, მას ან სინდისი არა აქვს სუფთა, ან მისი დიდი სახელისა ეშინიაო.

მიუხედავად ამისა, იუბილეს საქმე წინ ვერ წავიდა!

ასე ბრძოლაში გავიდა წლები. ახმეტელის შესახებ გამოვაქვეყნე ხუთი წიგნი, დავბეჭდე ათობით სტატია, წავიკითხე ათეულობით მოხსენება, ბევრი რადიო და ტელეგამოსვლა მივუძღვენი ახმეტელს. და აი, მოვიდა ახმეტელის 100 წლის იუბილე. საჭირო დოკუმენტაცია მოვამზადე მთავრობაში გასაგზავნად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა საიუბილეო კომისია.

<u>ა. ახმეტელის 100 წლის საიუბილეო კომისიაში მე არ შემიყვანეს, არც ნინო შვანგირაძე იყო კომისიაში.</u> სამაგიეროდ კომისიაში იყვნენ ახმეტელის მოძულენი!.

რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ ფაქტს? უსინდისობა? უმადურობა? უვიცობა? ყველაფერი ერთად, თუ ამას საერთოდ სახელიც არ ჰქვია?!

საშინელი გულისტკივილი განვიცადე. ღამეები არ მეძინა. რატომ არიან ადამიანები ასეთი დაუნდობლები მკვდრებისა და ცოცხლების მიმართ, ვეკითხებოდით თავს და პასუხს ვერ ვპოულობდი.

მეორე ფაქტი. ბატონ დიმიტრი ჯანელიძეს ვუთხარი: ბატონო დიმიტრი! დადგა დრო, მეცნიერულად გაირკვეს რუსთაველის თეატრის დაარსების თარიღი. ვისაც როგორ უნდა, იმას წერს, ხან 1920 წელს წერენ, ხან 1921 წელს, ხან 1924 წელს, არადა, მისი დაარსების თარიღად ხომ 1879 წელი უნდა ვიანგაროშოთ?

— რასაკვირველია, მუდმივი თეატრიდან, — მითხრა და წინადადება შემომთავაზა, ერთად დაგვეწერა სტატია გაზეთ ,,კომუნისტში“. შევთანხმდით. მეორე დღეს ბატონმა დიმიტრიმ მითხრა, იქნებ სჯობდეს, ცალ-ცალკე გამოვაქვეყნოთო...

ასეც მოვიქეცით. წერილის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე დავიწყე პრაქტიკული მოქმედება. ჯერ დავურეკე ეროსი მანჯგალაძეს. მალე შევხვდით ერთმანეთს. ეროსის მოვუყევი თეატრის მთელი ისტორია.

— წყალი არ გაუვა, - მითხრა მან და მირჩია შევხვედროდი თეატრის დირექტორს აკაკი ბაქრაძეს, მენახა რობერტ სტურუაც. მალე შევხვდი ერთსაც და მეორესაც. მოიწონეს აზრი. შევთანხმდით. საჭირო იყო კულტურის სამინისტროს პრაქტიკული მოქმედება, სამინისტროშიც მოვილაპარაკეთ. მოვამზადე წერილი პირველი მდივნის ე. შევარდნაძის სახელზე. რამდენიმე დღის შემდეგ შემატყობინეს, რომ ცენტრალური კომიტეტი ითხოვდა დამატებით განმარტებებს, მოვამზადე სათანადო განმარტებანიც, დადებითად გადაწყდა რუსთაველის თეატრის 100 წლის იუბილეს საკითხი.

შეიქმნა საიუბილეო კომისია. <u>კომისიაში მე არ შემიყვანეს</u>!

ზოგს ჰგონია, რომ ადამიანები უცებ კვდებიან, ან მკვლელობა მარტო ტყვიით შეიძლება. უსამართლობა ადამიანის სულში ჯერ ერთ ნაწილს ჰკლავს, შემდეგ მეორეს და ასე ზეზეურად კვდებიან ადამიანები. კვდებიან სულიერი უსამართლობის გამო. . .

რუსთაველის თეატრის იუბილეს შემდეგ ბევრი დრო გავიდა და აი, მოულოდნელად რობერტ სტურუამ ერთ-ერთ ინტერვიუში (ჭიათურის გაზეთში) განაცხადა, რომ რუსთაველის თეატრის დაარსების თარიღი არ ვიცოდით, ვიდრე ვასო კიკნაძემ არ გვითხრაო. გამიკვირდა.

ხელოვანის გულახდილობა კარგია, მაგრამ მაშინ რატომ არ გაახსენდა, როცა იუბილე ტარდებოდა და კომისიაში არ ვიყავი?

ზემოთ ვთქვი, რომ უსამართლობის დროს ადამიანში რაღაც კვდება. ჯერ ერთი რამ მოკვდება, მერე მეორე, მესამე და შემდეგ რაოდენობა თვისობრიობაში გადაიზრდება. ყველაფერ ამას ძალიან მშვიდად უყურებს საზოგადოება. მას არ შეუძლია (ან არ სურს) ხმა აღიმაღლოს და აუტკივარი თავი აიტკივოს.

ახმეტელი და რუსთაველის თეატრის ისტორია მთელი ჩემი ცხოვრების უდიდესი ნაწილია. ორივეს რაღაც ღვაწლი ხომ დავდე, მაგრამ არავის გაახსენდა. სისტემატურად მახსენებს თავს შოთა

გაბელაიას სიბრძნე.

ჩემს არქივში ფილოსოფოს რევაზ ბალანჩივაძის პატარა წერილი ვნახე. რევაზი ათეული წლობით მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტში კათედრის გამგედ. ზუსტად არ მახსოვს კონკრეტული შემთხვევა, თუ რა კომისიაზეა ლაპარაკი წერილში და რის გამო მიხდის მადლობას, მაგრამ მომეწონა, გულზე მომხვდა მისი გულწრფელი ფილოსოფიური აზრი ადამიანის ბუნების შესახებ. მას გამორჩეულად დიდი დამსახურება აქვს ანთროპოლოგიური კვლევის საქმეში და ამიტომ ფასეულია მისი აზრი. ბ-ნი რევაზი მწერს: „ბატონო ვასო! სამწუხაროდ, ადამიანი ისეა მოწყობილი, ყველაფერი კარგი რაც მის ცხოვრებაში ხდება, მისი მონაპოვარი ჰგონია და პირიქით, რაც ცუდია – სხვას (ან გარემოებებს) აბრალებს. დღევანდელ კომისიაში ჩემი ყოფნა მეც ჩვეულებრივ ამბად მივიღე (ჩემგან დაუმსახურებლად), მხოლოდ ახლა გადავავლე თვალი კომისიას და მოვხვდი, რომ ცნობილ თეატრმცოდნეთა (და ერთი ხელოვნებათმცოდნის) გვერდით ჩემი ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ თქვენი დამსახურებაა. დიდად გიმადლებთ! დიდი პატივისცემით რევაზ ბალანჩივაძე. 19. VI. 95“.

რ. ბალანჩივაძის წერილმა ა. ჩხაიძის ერთ-ერთი პიესა („დილიდან საღამომდე“) გამახსენა. აღამსკომის თავმჯდომარესთან ხალხის რიგი იდგა. ყველას თავისი სათხოვარი ჰქონდა. ერთი კაცი დიდხანს იდგა რიგში. ბოლოს თავმჯდომარესთან მისი შესვლის რიგიც მოვიდა.

მთხოვნელებით გადაქანცულმა თავმჯდომარემ ჰკითხა: რა გნებავთ? რას მთხოვთ?

– არაფერს. მადლობის სათქმელად მოვედი. გთხოვეთ და უკვე დამეხმარეთ.

– აქ მადლობის სათქმელად არასოდეს არავინ არ მოსულა.

– მე მოვედი! - თქვა და წავიდა.. .

ერთი ასეთი ამბავი მეც შემემთხვა. ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა პრორექტორი აღარ ვიყავი. ამიტომ დამამახსოვრდა განსაკუთრებით. ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, კაბინეტში შემოვიდა ჩევნი თოჯინების ხელოვნების ოსტატი, მსახიობი და რეჟისორი შოთა ცუცქირიძე. არ ველოდი და უცებ წამოვხტი სკამიდან, შევეგებე, რადგან თავს დამნაშავესავით ვგრძნობდი, მეუღლე გარდაცვლია და არ ვიცოდი, ზედიზედ დიდი უბედურება დაატყდა თავს, ჯერ შვილი დაეღუპა, მერე მეუღლე. შვილის პანაშვიდზე ვიყავი, მივუსამძიმრე, მაგრამ მეუღლის გარდაცვალების ამბავი ვერ გავიგე. შოთას წვერი

ჰქონდა მოშვებული, რაღაც საოცრად სევდიანად მიყურებდა ღრმად ჩამჯდარი თვალებიდან. გული შემეკუმშა. უცებ გამახსენდა, როცა შვილის პანაშვიდზე მივედი, შოთა ცუდად იყო, მეორე ოთახში იწვა, თითქმის გათიშული, თვალები მილულული ჰქონდა. მოულოდნელი ტრაგედიისაგან ისე იყო გაოგნებული, რომ არავის აღარ უყურებდა. მიუხედავად ამისა, მისასამძიმრებლად მისული ხალხი მიცვალებულის კუბოსთან შემოვლის რიტუალის შესრულების შემდეგ შოთას საწოლ ოთახში შედიოდა და სამძიმარს ეუბნებოდა.

ბ-ნ შოთას მეუღლის გარდაცვალება მივუსამძიმრე. შვილის შესახებ მითხრა, რომ გარდაცვალების დღეს ამხანაგებთან ერთად ეზოში იდგა, მეც ეზოში ჩავედი, ჩემთან მოვიდა, მხარზე ხელი გადამხვია და ღიმილით მითხრა: მამა, მე მალე მოვკვდები, შენ უნდა იცოცხლოო. მხრიდან მოვიშორე მისი ხელები ცუდი ხუმრობის გამო.

იმ საღამოს გარდაიცვალა...

— ბ-ნო ვასო, დღეს მე სპეციალურად მოვედი თქვენთან, - მითხრა და მოსასმენად მოვემზადე.

— რამ შეგაწუხათ ბ-ნო შოთა?

— მადლობის სათქმელად მოვედი.

— რისი მადლობის, რა მადლობის.

— ორი რამისათვის მინდა გითხრათ მადლობა. ერთი დიდი ხნის ამბავია, სულ მინდოდა მეთქვა. მგონი 1971 წელი იყო. თეატრალური ინსტიტუტის რექტორის — ილია თავაძის კაბინეტში თათბირი გაიმართა, თქვენ მაშინ სამინისტროში მუშაობდით. ბ-ნმა ილიამ მე მახსენა, თქვენ ჩემსკენ მოტრიალდით და კეთილი ღიმილით გამიღიმეთ. მე ის ღიმილი არ დამავიწყდება.

გავოცდი: რას ამბობ, შოთა, რამ დაგამახსოვრა. ეგ რა არის. უბრალო დეტალია.

— ეგ არ არის უბრალო ამბავი, მე ძალიან ცოტა მყოფნის, ასეთი კაცი ვარ, ის ღიმილი მხარდამჭერი ღიმილი იყო.

— მეორე ამბავიც უნდა გითხრათ. თქვენი მემუარები ,,გამოთხოვება მოგონებებთან" შევიძინე. წავიკითხე, ძალიან მომეწონა, ადამიანებს ულიმით. ამ ამბის სათქმელადაც მოვედი.

წამოდგა და წავიდა. იმდენად მოულოდნელი იყო ყველაფერი, რომ დავიბენი. ვიგრძენი, თუ რა არის მაინც ეს ოხერი ტკბილი სიტყვა...

შოთა ცუცქირიძის მოსვლის წინ, ორი თუ სამი დღით ადრე,

გურამ ბათიაშვილმა დამირეკა - ვასო, შენი მემუარების ბეჭდვა უნდა დავიწყოთ, ორი-სამი თვე საკმარისია, ორი ნომრის მასალა ხომ მაინც უნდა მოამზადო.

— რას ამბობ, გურამ, რა დროს მემუარებია, მოგონებებთან კი არა, საერთოდ სიცოცხლესთან გამოთხოვებას ველოდები...

გურამი გამოცდილი რედაქტორი და მწერალია, იცის რომელ სუსტ ადგილზე უნდა „დააჭიროს“ ფეხი, რათა ავტორი დაითანხმოს. მართლაც, არ ვიყავი განწყობილი მემუარებისათვის.

— ვასო, შენს მემუარებს მკითხველი ჰყავს, რა კარგი გამოხმაურება ჰქონდა პირველ წიგნს, — მეუბნება და თანდათან ცეცხლს მინთებს. თითქოს ვჯიუტობ, წინააღმდეგობას ვუწევ, მაგრამ ისე მელაპარაკება, რომ ვგრძნობ, ჩემში როგორ აღვიძებს სურვილს, დავუბრუნდე მოგონებების მეორე წიგნის წერას. არ ვიცი, რა გრძნობა ჰქვია იმას, როცა გაქებენ და გსიამოვნებს? გინდათ თავმოყვარეობა დაარქვით მას, გინდათ, უბრალოდ, ადამიანური სისუსტე, იქნებ ეს არის პატივმოყვარეობა?

გურამი შემომიჩნდა პირველ წიგნზეც. მერე მეტად მადლიერი დავრჩი.

ადვილი არ არის მემუარების წერა. დიდმა პოეტმა ჰაინრიხ ჰაინემ ბიბლიას ქრისტეს მემუარები უწოდა. გონებამახვილურად არის ნათქვამი. ასე დიდია მემუარების მნიშვნელობაც.

და აი, რექტორმა გ. მარგველაშვილმა მთხოვა დოკუმენტების თანდართვით დამეწერა ჩემს ცხოვრებაზე თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. იმპულსი მომც,ა დავწერო უნივერსიტეტში ჩემი ნახევარსაუკუნოვანი ცხოვრების შესახებ. თამილა ქამუშაძემ კი მირჩია, იმ სტილით დამეწერა, როგორც დავწერე „გამოთხოვება მოგონებებთან“.

ერთმანეთშია შერწყმული უმადურობისა და მადლიერების გრძნობა. თუმცა საქართველოში უმადურობა მეტია. მე ასე ვფიქრობ და რა ვქნა?!

მგონი რაღაც წუწუნი გამომდის. ახალი არც არაფერი მომხდარა. დიდხანს სიცოცხლეს დიდი ტკივილიც თან სდევს.

# გამოთხოვების სევდა

უცნაური ბედი მხვდა წილად. ამ ხნის განმავლობაში ჩემი დაწერილი ნეკროლოგებით გავაცილე ათეულობით მოღვაწე, აკაკი ხორავადან დაწყებული, ვისზე არ დამიწერია. რექტორმა გიორგი მარგველაშვილმა რეჟისორ ლევან მირცხულავას გარდაცვალების შესახებ ნეკროლოგის დაწერა მთხოვა, მერე გურამ საღარაძეზეც დავწერე. უნივერსიტეტისა და საერთოდ ქართული თეატრის „ნეკროლოლოგი“ გავხდი. გ. მარგველაშვილს ვუთხარი – „წიგნად ხომ არ გამოვცე ნეკროლოგები?“

– ორიგინალური აზრია, საენციკლოპედიო წიგნი იქნება, – მიპასუხა იუმორით. მთელი ცხოვრების მეგობარმა ნოდარ გურაბანიძემ კი დიდი ხნის წინათ მითხრა: ვასო, ნუ შეაწუხებ ხალხს, ბარემ შენზეც დაწერე ნეკროლოგი და შეინახეო.

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის ამაყობდა დოდო ალექსიძისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელებით. სხვა განზომილების პედაგოგები იყვნენ. მათი გახსენება ყოველთვის ნოსტალგიას იწვევს. დ. ალექსიძე მჩქეფარე, ტემპერამენტიანი, ხალასი იუმორით სავსე იყო. ერთხელ აკ. ვასაძემ მითხრა: დოდოსნაირი ნიჭიერი რეჟისორი საქართველოში არ მინახავს, მაგრამ თავისი ნიჭის ფასი არ იცისო.

სულ სხვა ხასიათის კაცი იყო მიხეილ თუმანიშვილი. ჩაკეტილი, მაგრამ მუდამ მიზანდასახული, ფარდას ამოფარებული, ფანატიკურად მშრომელი. რეჟისორობის გარეშე თავისი ცნობილი სამი წიგნი რომ დაეწერა, მაინც დარჩებოდა ისტორიაში.

ორივე რეჟისორზე ბევრი მაქვს დაწერილი და აღარ გავიმეორებ. განსაკუთრებით ბევრი ვწერე დიმიტრი ალექსიძეზე, მეგობრები ვიყავით. ყოველთვის მხიბლავდა მისი გულწრფელობა, გახსნილობა და იუმორი. ხშირად იუმორს ავლენდა თავისთავისადმიც. ძალიან ვაფასებ, ვინც თავის თავზე მაღლდება და შეუძლია იუმორით თვითკრიტიკა. პირდაპირ ყელში ამომივიდა და თავი მომაბეზრეს ადამიანთა ამბიციებმა.

ასე რომ, საკუთარ თავზე ამაღლება ნიჭიც არის და ღირსების გრძნობაც. ყოველთვის გულღია ვიყავი დოდოსთან, მსიამოვნებდა მასთან ურთიერთიობა.

ერთ დღეს დოდო ალექსიძე მოწყენილი შემოვიდა ჩემს კაბინეტში, თეატრალურ ინსტიტუტში. რატომღაც დაჟინებით მიყურებს, თითქოს

რაღაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამ უნდა მითხრას. მერე მოწყვეტით ხელს ჩაიქნევს და თან დააყოლებს:

— ჯანდაბას!

— რა იყო, ბატონო დოდო? რაღაც ხასიათზე ვერა ხარ.

— საშას შემყურე რა ხასიათზე ვიქნები. დერეფანში შემხვდა, გული მომიკვდა. არა, მირჩევნია მოვკვდე, ვიდრე მაგ დღეში ჩავვარდე.

საშა მიქელაძესთან დაკავშირებით ერთი ამბავი უნდა გავიხსენო.

თითქოს ზამთრის ყინვისაგან დამზრალიყო, ისე საცოდავად გამოიყურებოდა საშა მიქელაძე, როცა ტროლეიბუსში შევხვდი.

— გამარჯობათ, ბატონო საშა! — ვუთხარი მე.

სათვალე მოიხსნა და გულგრილად მომესალმა. გამიკვირდა, უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

— ინსტიტუტში მიბრძანდებით?

— ჯერ არა, მერე შემოვივლი...

ეს ამბავი დილით მოხდა. დღის ბოლოს მართლაც შემოიარა ინსტიტუტში. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა, უცნაურად წრიალებდა.

— ბატონო საშა, ხომ არაფერი გნებავთ?

— არა!

— მობრძანდით, დაბრძანდით!

— დიდი მადლობა. დღეს მთელი დღე ვიჯექი.

მეუღლე ახალი გარდაცვლილი ჰყავდა. მინდოდა რაღაცით მეგრძნობინებინა სითბო, სრულიად უადგილო იყო, მაგრამ შევაქე მისი პედაგოგიური მოღვაწეობა.

— ყველაფერი ბითურობაა. სახლში ვერ ვჩერდები, მაინც ინსტიტუტში მოვედი, სხვაგან სად უნდა წავიდე? ისე გამოვიარე. დილით ვჯდები ხან ტროლეიბუსში, ხან ტრამვაიში და მთელი დღე ასე ვმოგზაურობ, არ ჩამოვდივარ, სულ დავდივარ.

გული მომიკვდა.

— ინსტიტუტში მობრძანდით, აქ იყავით.

— არა, ერთ ადგილას გაჩერება არ შემიძლია, ტრამვაი კი დადის, ვუყურებ სახლებს, ვხვდები ათასგვარ ხალხს, ვისმენ საუბრებს, გულს ვაყოლებ, დარდს მიმსუბუქებს, ასე ვხეტიალობ ყოველდღე მეუღლის სიკვდილის შემდეგ.

საშა მიქელაძეს საბჭოთა ხელისუფლებაზე ვერაფერს კარგს

ვერ ათქმევინებდი. ყველამ ვიცოდით მისი ხასიათი, მაგრამ მე და რექტორს, ეთერ გუგუშვილს მაინც დაგვემართა კურიოზული ამბავი. სამინისტროდან დაგვირეკეს, ხუთი პედაგოგი შეარჩიეთ, რომ სოცშეჯიბრში წარმატებისათვის სამკერდე ნიშნებით დავაჯილდოვოთო, რა შუაში იყო ლექტორი და სოცშეჯიბრი? მაგრამ კომუნისტებს უყვარდათ ათასნაირი ჯილდოების გაცემა ხალხის წასახალისებლად თუ ამბიციების დასაკმაყოფილებლად. შევარჩიეთ ღვაწლმოსილი პედაგოგები. გაიმართა საზეიმო ცერემონიალი სტუდენტების მონაწილეობით. სიტყვა წარმოთქვა რექტორმა, სამკერდე ნიშანი ჯერ ქალბატონ ნადია შალუტაშვილს გადაეცა. იყო დიდი ოვაცია. ბოლოს ბატონ საშას. როცა მოვიდა მისი რიგი, ქ-ნმა ეთერმა დიდის რიხით გამოაცხადა მისი გვარი და სამკერდე ნიშანი გადასცა, მიულოცა, აკოცა.

სიტყვა ითხოვა ბატონმა საშამ.

ჩვენ დიდი ამბით მოვემზადეთ ღვაწლმოსილი პედაგოგის სამადლობელი სიტყვის მოსასმენად.

— ამხანაგებო, მთელი ჩემი ცხოვრება ასეთ ბითურობას ვებრძოდი, რა არის ეს ჟეტონი? — თქვა და გაშალა მუშტი, რომელშიც სამკერდე ნიშანი იდო.

სტუდენტებში ატყდა სიცილი, ნირი წაგვიხდა, მაგრამ ჩვენც გავიცინეთ, იუმორად მივიღეთ. სიტუაციის გასამუხტავად და იმის შიშით, რომ სამკერდე ნიშანი დემონსტრაციულად უკან არ დაებრუნებინა, ეთერმა ხმამაღლა გამოაცხადა:

— ბატონი საშას ორიგინალური იუმორი ცნობილია, კრებას დამთავრებულად ვაცხადებ.

ხალხი აიშალა, მაგრამ საშა გაბრაზდა და იყვირა:

— არაფერი სასაცილო არ მითქვამს, მომაშორეთ ეს ჟეტონი, წაიღეთ უკან.

თაობების მონაცვლეობის პროცესი შემოდგომასავით ნაღვლიანია. იწყება გაყვითლებული ფოთლების ცვენა. ფოთლებიც კვდებიან და მიწაზე ეფინებიან. მაინც რა მიზიდულობის ძალა აქვს მიწას?!

„მიწა ხარ და მიწის შვილიო“ — ხშირად ამბობდა დედა.

მიხეილ თუმანიშვილი უკვე სასიკვდილოდ განწირული იწვა საავადმყოფოში. მე და გიზო ჟორდანია სანახავად მივედით, შევედით რეანიმაციაში. გიზომ მარჯვენა ხელზე აკოცა, მეც ვაკოცე, მიშას სახე გაუწითლდა, მომაკვდავი კაცის ღიმილმა გადაკრა სახეზე, მადლობის ნიშნად თავი შეარხია, გული მომიკვდა, როგორ უმწეოდ

იყო დარჩენილი სიკვდილის პირისპირ.

დიდი რეჟისორი კვდებოდა!

ათი წელი მის გვერდით ვიმუშავე რუსთაველის თეატრში, უფრო მეტი წლები კი —- ინსტიტუტში. რამდენი რამ ვიცი მის შესახებ, რამდენი რამ უამბნია გულახდილად. ის არასოდეს არ იყო მებრძოლი. ახლაც, სიკვდილის წინ ხელებჩამოყრილი უმწეოდ იწვა და სიკვდილს ელოდებოდა.

ვუყურებდი და ათასი ფიქრი, ასოციაცია ირეოდა ერთმანეთში.

ერთხელ რუსთაველის თეატრში დოდო ალექსიძემ თავის კაბინეტში მიშას უთხრა:

— მიშა, ერთად ვიყოთ, თორემ მსახიობები ორივეს გაგვასვენებენ, ჯერ მე და მერე შენ. სანამ მე ვარ, შენი რიგი არ არის. მე როცა წავალ, შენ დარჩები მათ პირისპირ...

— ყველაზე ცუდ ხასიათზე იცით როდის ვარ? — თქვა მიშამ.

— როდის?

— პრემიერის დღეს.

დოდოს გაეცინა - ეს რა, ორიგინალური ხუმრობაა?

— როცა პრემიერის ზეიმი დამთავრდება, ყველა თავთავის გზაზე მიდის, მე ვდგავარ თეატრის წინ. ჩემს თვალწინ მირბიან მსახიობები, ზოგი სად მიდის, ზოგი-სად, ვდგავარ და ვგრძნობ, რომ აღარავის ვახსოვარ, აღარავის ვჭირდები. აი, სულ სხვაა პიესის არჩევის დროს, ვიდრე როლებს გავანაწილებ, ყველანი ჩემს ირგვლივ ტრიალებენ, ყველა როლს ელის, მაშინ საჭირო ადამიანად ვგრძნობ თავს...

რამდენ ტკივილს უძლებს ადამიანი. როგორი გამწარებული და გაფითრებული სახე ჰქონდა, როცა ერთხელ კულტურის სამინისტროში ჩემს კაბინეტში შემოვიდა ბატონი მიშა — სკამიდან კი არ წამოვდექი, წამოვხტი, ისეთი გაფითრებული იყო.

— რა მოხდა? რა მოგივიდა? რაშია საქმე? — დავაყარე კითხვები.

— არ იცი? — საშინელი სევდიანი ხმით თქვა და ჩამოჯდა.

— არა, არაფერი ვიცი...

— მე მოვკალი სერგო? რას მაბრალებენ, ვასო, გაიგე?

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი. ვიღაც ავადმყოფმა მიშას კარებზე რომ წააწერა — მკვლელოო!.

არ გამომივიდა მიშასთან თამაში.

— ეგ ხომ ვიღაც არანორმალურის ნახელავია, ყურს რას უგდებ. შენ რა შუაში ხარ.

— არ ვიცი, რას მაბრალებენ. მე რა შუაში ვარ!

დავამშვიდე. მართლაცდა, რა შუაში იყო მიშა? ასე დაუნდობლად შეიძლება მოკლა ადამიანი? მერედა რისთვის?! — ვითომდა უკომპრომისო ბრძოლისათვის. უკომპრომისოდ მხოლოდ გიჟები ცხოვრობენ. მიშა არაფერ შუაში არ იყო, მაგრამ გულში ხომ დაჭრეს?

გულდაკოდილი ვუყურებდი მომაკვდავ რეჟისორს და ამაოდ ვეძებდი,თითოეული ჭრილობის კვალი დამენახა. სიკვდილი თითოეულ ჭრილობას ერთმანეთს აკავშირებს და ამთლიანებს.

ადამიანები თანდათან კვდებიან!

მძიმე შთაბეჭდილებით წამოვედი. ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. ამ შეხვედრამ დოდო ალექსიძესთან უკანასკნელი შეხვედრაც გამახსენა. ინსტიტუტში, ჩემს კაბინეტში შემოვიდა დოდო.

— მამიკო! — მომმართა დოდომ, — დავბერდი, აღარ შემიძლია, უკვე დროა! — მეტი არაფერი თქვა. კოცნა გამომიგზავნა და უკან გაბრუნდა. კარებთან შევაჩერე.

— სად მიდიხარ?

— „იქ მივდივარ“ — გამიღიმა და ხელი მაღლა ასწია.

— შენ ხომ ხუმრობის გარეშე არაფერს იტყვი!

— მე ვხუმრობ? ხარაშო, ხარაშო, ხარაშო. გახსოვს, რა კარგი დრო იყო?

სოხუმში ვიყავით გასტროლებზე. მე და ბატონმა დოდომ სანაპიროსკენ გავისეირნეთ. დოდომ ლამაზი გოგო დაინახა და დაიძახა — „ხარაშო“.

უცებ მეორე გოგო გამოჩნდა: ხარაშო, ხარაშო, მესამეც რომ გამოჩნდა: ხარაშო, ხარაშო, ხარაშო, სამჯერ ჩქარ-ჩქარა დავიძახეთ, აგვიტყდა სიცილი. მას შემდეგ პაროლივით გვქონდა ხარაშო, ხარაშო.

მაშინ მართლა ბედნიერი დღე იყო და ვერ ვგრძნობდით, ახლა კი რა ვიცოდი, რომ ბატონ დოდოს უკანასკნელად ვხვდებოდი. წინათგრძნობასავით იყო მისი სიტყვა — მივდივარ.

იმ დღეს გარდაიცვალა.

დოდოც და მიშაც სულში დაჭრილები წავიდნენ ამ გაუხარელი წუთისოფლიდან...

# მისაღები გამოცდების პარადოქსები

ნამდვილად ბედნიერებაა ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება. ჩემი აზრით, უმაღლესი განათლების რეფორმამ საერთოდ ვერ გაამართლა, მან დაანგრია უმაღლესებში საკმაოდ კარგად აწყობილი განათლების სისტემა, ხოლო სამეცნიერო დარგი მთლიანად გაანადგურა. ბოლო ცხრა წლის პრაქტიკამ დაადასტურა, რომ თავიდანვე, თურმე ასე იყო ჩაფიქრებული. განათლების რეფორმის არაერთი კომისიის მუშაობაში ვმონაწილეობდი, უმაღლესი სასწავლებელი (და საერთოდ განათლების სისტემა) ევოლუციური პროცესია და არ შეიძლება მისი ჩანაცვლება რევოლუციური რადიკალიზმით, თანაც „ევროპიზაციის“ შირმით. განა შეიძლება ნამდვილი სიღრმისეული რეფორმის გატარება მეცნიერების „მოკვეთით“?!.

ყბადაღებული რეფორმა წარღვნასავით დაატყდა თავს უნივერსიტეტებს და საერთოდ განათლების სფეროს, მაგრამ ამ საკითხს ცალკე განვიხილავ, როგორც ვთქვი, წარმატებული, ერთდაერთი გამონაკლისი ერთიანი ეროვნული გამოცდებია. მე ათეული წლობით ვიყავი დაკავშირებული მისაღებ გამოცდებთან და ვიცი, რაც იყო. გამოცდების შემდეგ „ბულდოზერგადავლილს“ ვგავდი (ასე მეძახდა რექტორი ეთერ გუგუშვილი).

რა ფორმები არ მოიგონეს, რათა თავიდან აეცილებინათ კორუფცია და პროტექციონიზმი. მისაღები გამოცდების ყველა ფორმაზე შეიძლება ცალკე საუბარი, მაგრამ ყველაზე დიდი სიძნელეები მაინც სახელოვნებო განათლების სასწავლებლებში იყო თავისი სპეციფიკის გამო. ჩარიცხვა ხდებოდა ქულათა ჯამის მიხედვით. მაგ. იმ შემთხვევაში, თუ სამსახიობო ფაკულტეტის აბიტურიენტი მისაღებ გამოცდებზე სპეციალობაში მიიღებდა (პირველ გამოცდას აბარებდა) ფრიადს, ხოლო მისი კონკურენტი სამიანს, არსებული სისტემის მიხედვით შეიძლებოდა სამიანის პატრონი ჩარიცხულიყო, თუკი ფრიადებს მიიღებდა თეორიულ გამოცდებში, ხოლო სპეციალობაში წარჩინებული – სამიანებს. ასე რომ, ნიველირებული იყო შემოქმედებითი ნიჭის თავისებურება. საბედნიეროდ, ეს გარემოება კარგად ესმოდათ ჩვენი უნივერსიტეტის თეორიული საგნების (ქართული ენა და ლიტერატურა, საქართველოს ისტორია) კომისიის წევრებს. მათ „სწორება“ ჰქონდათ სპეციალობის ნიშანზე.

სხვადასხვა დროს ქართული ლიტერატურის კომისიაში იყვნენ: გ. კიკნაძე, ი. მეგრელიძე, მ. აბულაძე, გ. ბარნოვი, თ. დოიაშვილი, ნ. ანდრონიკაშვილი, ზ. აბზიანიძე, მ. გოშაძე, ა. მირიანაშვილი. ცხრილის მიხედვით ისტორიის გამოცდა ბოლოს ბარდებოდა. მეტწილად გამოცდებს იბარებდნენ: ლ. სანიკიძე, რ. ბალანჩივაძე, მ. ნათმელაძე, ლ. კირვალიძე.

თანაბარი ქულის შემთხვევაში, კონტროლის პალატა აბიტურიენტების ჩარიცხვას შეცდომად არ გვითვლიდა, თუმცა მთავრობამ რა არ იღონა, რომ „თანაბარში“ უპირატესობის კრიტერიუმები შემოეღო. ბევრი ექსპერიმენტი ჩატარდა, მაგრამ შედეგი არ გამოიღო. კულტურის მინისტრი ო. თაქთაქიშვილი ხშირად თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას და თანაბარქულიანებს რიცხავდა. არ დავმალავ და ჩვენ გარკვეულად ვსარგებლობდით მისაღები გამოცდების „აქილევსის ქუსლით“. ზოგჯერ ძნელი იყო შემოქმედებით უნარ-ჩვევებში განსხვავებების დადგენა, ამიტომ ასეთ აბიტურიენტებს ჩვენ ვრიცხავდით. მისაღები კონტინგენტი დიდი არ გვქონდა, საშუალოდ ათამდე თანაბარქულიანი ირიცხებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ სამი პედაგოგის შტატი დაგვემატებოდა და ბიუჯეტიც შესაბამისად იზრდებოდა. საგეგმო კომიტეტისათვის მთავარი სტუდენტთა რაოდენობა იყო.

საქართველოში მისაღები გამოცდების „აქილევსის ქუსლი“ მაინც პროტექციონიზმი იყო. ქართული ხასიათის, ჩვენი ეროვნული მენტალობის ეს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, საუკეთესო და იმავდროულად სახიფათო თუ სადავიდარაბო თვისება პირდაპირ „იფურჩქნებოდა“ მისაღები გამოცდების დროს.

მე და რექტორებს (ე. გუგუშვილი, გ. ჟორდანია, გ. ლორთქიფანიძე) პრინციპად გვქონდა, ანგარიში გაგვეწია ჩვენი პროფესორ-მასწავლებლებისა და თანამშრომლებისათვის, იმ პირობით, რომ ნიჭიერი და „უპატრონო“ არ დარჩენილიყო უნივერსიტეტის გარეთ. მკაცრად იყვნენ გაფრთხილებულნი კომისიის თავმჯდომარეები, რომ დახმარება არ უნდა მომხდარიყო ნიჭიერის ხარჯზე. ამ ლავირების საშუალებისათვის პირდაპირ მისწრება იყო თანაბარქულიანები.

შეცდომებისაგან არავინ არ არის დაზღვეული, მაგრამ მჯეროდა, რომ კომისიები ზნეობრივ ნორმებს იცავდნენ.

როგორ გინდა ერთმანეთს შეუთავსო უახლოესი ან დიდი ადამიანების თხოვნა და კანონის უზენაესობა ერთმანეთს? 1986 წლის

12 ივლისს ვერიკო ანჯაფარიძემ დამირეკა: „ვასო, ძალიან ნაწყენი ვარ ეთერ გუგუშვილზე. წერილი მივწერე ერთ აბიტურიენტზე, სამსახიობო ფაკულტეტზე აბარებდა, ვთხოვე ყურადღებით შეემოწმებინა. მან წერილი წაიკითხა და აბიტურიენტი გამოლანძღა. მე ეთერისაგან ამას არ ველოდი, ბესო რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეთერი ვერ გამიბედავდა“.(ასე ჩამიწერია დღიურში).

იშვიათად ხდებოდა, რომ ეთერისათვის ან ჩემთვის არ ეთხოვათ გამოჩენილ მოღვაწეებს: ყურადღებით შეამოწმეთ მავანი და მავანის არტისტული მონაცემებიო. მეც და ეთერსაც სიები გვქონდა, ვინ ვისზე გვთხოვა. სიები გარკვეულ მეხამრიდებივით იყო. გამოჩენილ მოღვაწეებს რა ექნათ, მოვალეობად მიაჩნდათ გულისხმიერება გამოეჩინათ ახლობელის მიმართ. სამსახიობოზე მისაღებ გამოცდებზე მეგონა, რომ მთელ საქართველოს არტისტობა უნდოდა, იმდენად დიდი იყო კონკურსი. ქართველები არტისტული ბუნების ხალხი ვართ, მაგრამ ყველა?. .

ინტუიციით ვგრძნობდი (თუმცა რა დიდი ინტუიცია უნდა?), რომ გამოცდების დროს ჩემს ტელეფონს (ასევე რექტორისას) ნაღდად უსმენდენ უშიშროების მუშაკები, მაგრამ მეც მომზადებული ვხვდებოდი. ტელეფონის ყოველ ზარს „მაღალ იდეურ“ დონეზე ვპასუხობდი. სწორედ ერთ-ერთი გამოცდების დროს გამოვიდა საქართველოს ცკ-ს დადგენილება „პროტექციონიზმის წინააღმდეგ“. აწრიალდა მთელი საქართველო. თავისთავად კარგი დადგენილება იყო, მაგრამ ცხოვრებაში ძნელად შესასრულებელი. იმავე დღეს, ინსტიტუტში შესვლისთანავე გაისმა ტელეფონის ზარის ხმა. მექანიკურად ავიღე ყურმილი.

— თქვენ ალბათ ახლა შეშფოთებული ხართ ცეკას დადგენილებით?

— კარგი დადგენილებაა, — კაგებესათვის ვთქვი.

— კარგი კი არა, ძალიან ცუდი დადგენილებაა. ჩვენ ქართველები ვართ, აღარც მეგობრობა არის და აღარც ნათესაობა? ქართული მენტალიტეტი? რას ჰგავს ეს? — კიდევ უნდა რაღაც მითხრას დადგენილების საწინააღმდეგოდ, მე შვმეშინდა და ცივად ვუპასუხე: როგორ გეკადრებათ, რა შუაშია ნათესაური მენტალიტეტი? მთავარია ობიექტურობა. ჩვენ ასე ვმუშაობთ, — ხაზგასმით ვთქვი „კაგებეს“ გასაგონად.

— ბ-ნო ვასილ, თქვენ ისე მელაპარაკებით, თითქოს კრებაზე

იყოთ. მე ავლიპი ვარ, ზურაბაშვილი. ახლა უნდა გთხოვოთ ერთ ყმაწვილზე, სამსახიობოზე აბარებს.

გამეხარდა, სამსახიობო რომ ახსენა, რადგან ყველაფერს არტისტული მონაცემები წყვეტდა.. ზოგჯერ თხოვნის ობიექტს, აბიტურიენტს, კარგი მონაცემები ჰქონდა...

— ბ-ნო ავლიპ, თქვენ ძალიან დიდ პატივს გცემთ, მთელი საქართველო პატივსა გცემთ, მაგრამ ვერ დაგეხმარებით, — ვუთხარი მე და თან გუნებაში კმაყოფილებით გავიფიქრე: „კაგებემ“ უკვე ჩაწერა ჩემი პრინციპული პასუხი.

— ბ-ნო ვასო, მე ყველა გაჭირვებულისა და ნიჭიერი ქართველის პროტექტორი ვარ. ილიაც, აკაკიც და იაკობიც უწევდნენ ახალგაზრდებს პროტექციას. თუმცა მსახიობის მონაცემები თუ არა აქვს, ნუ დაღუპავთ, ანუ ნუ მიიღებთ. მაგრამ მითხრეს, დიდი კონკურსიაო და ყურადღებით შეამოწმეთ. სხვას არაფერს გთხოვთ, ნუ გეშინიათ დადგენილებებისა...

— ბ-ნ ო ავლიპ, თქვენ დიდი მეცნიერი და მოღვაწე ბრძანდებით. ვიცი, რომ უკანონოს არავის არაფერს მთხოვთ, — დავიწყე დამტკბარი ლაპარაკი. ჩემი მოვალეობაა,ყურადღებით ვიყო, როგორც თქვენ ბრძანეთ. თუ ნიჭიერია, არ დავკარგოთ და თუ სამსახიობო მონაცემები არა აქვს, არ შევცდეთ, არ დავღუპოთ. რა გვარისაა აბიტურიენტი?

გავიდა დრო. ბ-ნ ავლიპ ზურაბაშვილს შევხვდი ერთ-ერთ თავყრილობაზე და მოვუბოდიშე, რომ ტელეფონით ოფიციალური ტონოთ ველაპარაკე, — ხომ იცით, ჩვენ ალბათ გვისმენდა „კაგებე“.

გაოცებით შემომხედა და გულიანად გაიცინა.

— მართლა? რატომ გვისმენენ? — გულუბრყვილოდ გაიკვირვა. — ალბათ ყველას გვისმენენ.

— ბ-ნო ავლიპ, თქვენ როგორ გაგიბედავენ.

— უნდა გითხრათ, რომ ერთმანეთის დახმარება ჩვენი ღირსეული ტრადიციაა და უნდა გავუფრთხილდეთ რაც ქართულია. მამაპაპისეული ტრადიცია მოძველებული ჰგონიათ.

მართალი იყო ბ-ნი ავლიპი.

ისე, გამოცდებზე ბევრი პარადოქსული და კურიოზული ამბები ხდებოდა, მაგრამ ქართულ პროტექციონიზმს მაინც ვერაფერი შეედრება. ილია ჭავჭავაძე 1881 წლის22 ოქტომბერს პეტერბურგში

პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილს წედა: „რადგან კარგი ყმაწვილი კაცია და მთხოვა შენს წინაშე პროტექცია (ხაზი ჩემია-ვ.კ.) გამეკეთებინა, – ვასრულებ იმის თხოვნას. მით უმეტეს, რომ ყოველის მხრით მართებული და რიგიანი ყმაწვილი კაცია“. დ. კლდიაშვილი ი. გოგებაშვილს წერდა: „დიდად პატივცემულო ბატონო იაკობ. მოგმართავთ ამ წერილით იმ რწმენით, რო თქვენი სიტყვა და მფარველობა იხსნის უბედურებისაგან ყოვლად უდანაშაულო ბავშვს, ბავშვს ნიჭიერს, კეთილი ყოფაქცევისა და სიცოცხლით სავსეს, - ყოველი მოსწავლე ქართველი თქვენი სულიერი შვილია, რადგან თქვენით იწყებს იგი სწავლაში შესვლას“.

ბათუმის სკოლიდან გაუგდიათ ერთ-ერთი მოსწავლე და იმის აღდგენას სთხოვდა.

ასე რომ, ილია მართალის და დავით კლდიაშვილის მაგალითები ჩვენი ეროვნული ხასიათია. ამითაც გამოვირჩევით სხვა ხალხებისაგან, თუმცა ზოგჯერ ზომიერება და ობიექტურობა არ გვყოფნის. ილიამ იცოდა, რომ „ყოველმხრით მართებულ და რიგიან ყმაწვილს“ უწევდა პროტექციას. ასევე იცოდა დავითმა, რომ „ბავშვი ყოვლად უდანაშაულო იყო“. მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ ამგვარი „პროტექციის“ ფასი. ამიტომ ვაქვეყნებ ჩემს ხელთ არსებულ რამდენიმე დოკუმენტს, რათა კვლავ წარმოჩნდეს ურთიერთანადგომის ეროვნული ტენდენცია. არავის ეჭვი არ შეეპარება დასახელებულ მოღვაწეთა მაღალ ზნეობაში. როცა „პროტექციონიზმიდან“ მოდიოდა სიკეთის სხივი. მით უფრო ღირებულია მისი წარმოჩენა დღეს, აგრესიულობის, დაუნდობლობის, განურჩევლობისა და ფსევდო ევროპულობის ფონზე. დღეს ადამიანის ბედისადმი გულგრილობა უფრო საშიშია, ვიდრე პროტექციონიზმი.

მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ ჩემ მიერ დამოწმებული ფაქტების ავტორები როგორი ტაქტით, მორიდებით თხოულობენ მათი „პროტეჟესათვის“ ყურადღების მიქცევას. არცერთი არ თხოულობს რაიმე უკანონობას.

ჩვენი დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილი მწერდა: „დიდად პატივცემულო ბატონო ვასილ პავლეს ძევ! უნდა მაპატიოთ, რომ ასე გაწუხებთ, მაგრამ ნიჭიერი გოგონა არის ნანა დემნას ასული აფციაური, ამიტომ მინდა გთხოვოთ, რომ ყურადღებას ნუ მოაკლებთ. ხდება ზოგჯერ, რომ ნიჭიერებიც ვერ აბარებენ ნერვიულობისა და ღელვის გამო.

თქვენი უღრმესი მოსიყვარულე ლადო გუდიაშვილი. 3. VIII-1976. ქალ-ი ეთერ გუგუშვილი არ არის, თორემ არ შეგაწუხებდით“ (ტექსტის დედანი იბეჭდება. ფოტო 1).

ქართული თეატრისა და კინოს ვარსკვლავი მედეა ჯაფარიძე, რომლის კეთილშობილება საქვეყნოდ იყო ცნობილი, მწერდა: „ღრმად პატივცემულო ბ-ნო ვასო! თუ რაიმე შესაძლებლობა გექნებათ გთხოვთ, მიაქციოთ თქვენი კეთილი ყურადღება აბიტურიენტ ნანა ჯაფარიძეს. შარშან ნახევარი ქულა დააკლდა. რა ვიცი, იქნებ ვცდები, იქნებ ძველმოდური გემოვნება მაქვს, მაგრამ მე მგონი ეს არის ქართველი, კდემამოსილი, კეთილშობილი და ქალური ქალის მშვენიერი მაგალითი, რომელსაც შეეძლო ეთამაშა ირინე „ირინეს ბედნიერებაში“, ჰქონდა ნება ეთამაშა კესო „ოთარაანთ ქვრივში“. თქვენ ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ დღეს არც ისე ხშირია ქართველი, კდემამოსილი, ილია ჭავჭავაძის კესოს ღირსი აბიტურიენტები. ისინი უფრო ევროპიზებული, კოსმოპოლიტური იერის არიან, ვერც გაიგებ რომელი ერის წარმომადგენლები არიან. ჩვენს თეატრში წარმოდგენა „შთამომავლობის“ ცოცხალ სურათებში, ქართველი ქალის გამომსახველი, იერიანი მსახიობი არ აღმოგვაჩნდა. მას აქვს სახასიათო მონაცემებიც, ძალიან სიამოვნებით კითხულობს კლდიაშვილის „ქამუშაძის გაჭირვებიდან“ ეკვირინესთან დაკავშირებულ ნაწყვეტს. თან მშვენიერი ხმა აქვს. მესამე წელია წვალობს და მე მგონი არ იყო გასამეტებელი. აღარ გაგაცდენთ, თქვენ უფრო კარგად დაინახავთ, თუ აქვს რაიმე მონაცემები ქართული თეატრისათვის. მაპატიეთ, მაგრამ არ შეგაწუხებდით, რომ არ მჯეროდეს.

ღრმა პატივისცემით მედეა ჯაფარიძე. 1979, ივლისი“.

თეატრისა და კინოს გამოჩენილი რეჟისორი ვახტანგ ტაბლიაშვილი მწერდა: „ძვირფასო ვასო!

თქვენთან კულტ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე აბარებს ფარჯიანი სპარტაკ სალაფთას ძე. პირველ ტურში გავიდა. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება. არაფერს მეტს არ გთხოვთ, – მხოლოდ ყურადღებას. შესაძლოა ამან დადებითად გადაწყვიტოს ახალგაზრდა სვანი ვაჟკაცის ბედი.

უღრმესი პატივისცემით თქვენი ვახტანგ ტაბლიაშვილი. 12. VII..-79“ დელიკატური წერილია. როგორ გინდა უყურადღებოდ დატოვო?

ზოგჯერ (ხშირადაც) თხოვნებს რეალური შედეგი არ მოჰქონდა. კონკურსის პირობებს თავისი წესები ჰქონდა, მაგრამ ადამიანის ბედზე ზრუნვა ხომ მაინც იყო?!.

დღეს ეს არის მთავარი!..

ჩემი საყვარელი მასწავლებელი, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი ჯუმბერ ჭუმბურიძე, რომელიც ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის ისტორიას მასწავლიდა, 1981 წლის 25 მაისს მწერდა: „ჩემო ვასო! ვიმედოვნებ, რომ გახსოვართ. თქვენს საქმიანობას თვალს ვადევნებ და მოხარული ვარ თქვენი წარმატებისა.

ნათელა იმედაძე, რომელიც ამ ბარათს მოგიტანთ, ჩემი ყოფილი ასპირანტია, კარგი სპეციალისტი და მოქალაქე. გთხოვთ მოუსმინოთ და თუ შესაძლებლობა გექნებათ, დაეხმაროთ.პატივისცემით თქვენი ჯუმბერ ჭუმბურიძე. 25.. V. 81“.

კულტურის სამინისტროში მუშაობის დროსაც კი მთხოვდნენ ხოლმე ინსტიტუტში დავხმარებოდი მავანსა და მავანს.

მთხოვდნენ ჩვენი სახელოვანი ადამიანები.

ოთარ ჩხეიძე სოფ. ყელქცეულიდან მწერდა: „ბ-ნო ვასო! ასე მომართვა თქვენთვის არც უჩვეულო იქნება, არც გასაკვირველი. ამ ყმაწვილს მსახიობობა მონებებია, – თქვენ უკეთ იცით, რის მოხერხება შეიძლება, რა ურჩიოთ. სურვილები ბევრია, მცირედთან იყრის თავსა, თუმცა ვინ უწყის დავმდგარვართ დიდი ბიოგრაფიის დასაწყისთან, ჰა?...მომიტევეთ შეწუხებისათვის. კეთილად ბრძანდებოდეთ. პატივისცემით ოთარ ჩხეიძე.. 21. VII.80. ყელქცეული“.

როგორი ტაქტით, გონიერებითა და იმავდროულად ნიჭიერების მხარდაჭერის სურვილით არის დაწერილი წერილი.

ჯანსუღ ჩარკვიანმა გამომიგზავნა წერილი: „ძმაო ვასო, სიყვარულით მოგიკითხავ და ერთს გემუდარები: ამ ახალგაზრდას, რომელიც ჩემი ბავშვობის ყველაზე სასიამოვნო დღეებს მაგონებს, ყური დაუგდე და დაეხმარე. დანარჩენი როგორც შენ მოგეხსენება, - „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი?“ (ამისათვის მადლობელი ვარ!). გეხვევი ძმურად. ჯანსუღ ჩარკვიანი. 1987. 26. VI“.

მისაღები გამოცდები ისე არ ჩაივლიდა, ვ. გოძიაშვილსა და იოსებ ნონეშვილს ორ აბიტურიენტზე მაინც არ ეთხოვათ.

რა თქმა უნდა, აბიტურიენტები კახეთიდან იყვნენ...

როცა სოფელში ბავშვს თუ მოზარდს ვინმე ხელს გაარტყამდა, უსათუოდ იტყოდნენ – უპატრონო ხომ არ გგონიათო.

„პატრონობის“ იმუნიტეტს მაგიური ძალა ჰქონდა. ვისაც „პატრონი“ არ ჰყავდა – მთლად ობოლი იყო. გენიალური ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა „კაცი მინდა, რომ დამეხმაროს და ასპარეზზე გამოყვანოსო“...

ზოგჯერ მავანსა და მავანს დახმარება სულაც არ სჭირდება, მაგრამ ადამიანები მაინც გამოხატავენ კეთილგანწყობილებას.

ვიმეორებ, რომ ეს ქართული მენტალობაა და გული მტკივა, რომ იგი თანდათან უცხო ხდება თანამედროვე საქართველოში, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ხასიათზეც.

მწერალი ალიო ადამია მწერდა: „სალამი ჩემო საყვარელო ვასო! ჩემი სათხოვარი არ უნდა გაიკვირვო. ვიცი, ღირსია ხელშეწყობისა და ამიტომაც გთხოვ. თქვენს ინსტიტუტში სარეჟისორო ფაკულტეტზე შემოდის ჩვენი გამომცემლობის ავტორის, პოეტი ქალის გულიკო დვალის ვაჟიშვილი დავით ანდღულაძე. მას არავინ დამხმარე არ ჰყავს და მხოლოდ და მხოლოდ თავისი ნიჭით შემოდის ამ რთულ დარგზე. დარწმუნებული ვარ კანონიერ ყურადღებას მიაქცევ და ამ ყურადღებასა და გულისხმიერებას ის გაამართლებს. წინასწარ მადლობთ. შენი ალიო ადამია. 21.VI. 76“.

დათო ანდღულაძე დღეს ცნობილი რეჟისორია.

უამრავ „მთხოვნელთა“ შორის მხოლოდ ზოგიერთი ფაქტო დავასახელე.

არსებობს ანდაზა - „სხვისი მაზიარებელი დარჩა უზიარებელიო“, – ასე დამემართა მეც.

1986 წლის 12 ივლისს დღიურში ჩამიწერია: „კულტურის სამინისტროში – ინსტიტუტის სოციოლოგიის კაბინეტში ვარ 7 ივლისიდან. ჩემი შვილი ბექარი მისაღებ გამოცდებს აბარებს საოპერატოროზე. დღეს 12 ივლისია. სპეციალობის გამოცდა აქვს, რ. ჩხეიძეა თავმჯდომარე, კომისიაშია: ლ. თაბუკაშვილი, ც. ელისაშვილი, შ. მღებრიშვილი. ვღელავ ძალიან, მაგრამ მეუღლესთან, თინასთან თავს ვიკავებ, არ ვამჟღავნებ. ის სულ გადაირევა. ისედაც თავი ასტკივდა ნერვიულობისაგან. დამირეკა ვ. ანჯაფარიძემ (სად მომძებნა!), ნაწყენი ვარ ეთერ გუგუშვილზეო“...

და ჩემი შვილი ვერ მოხვდა უპრობლემოდ ჩასარიცხთა სიაში, კულტურის სამინისტრომ თანაბარქულიანის პრინციპით ჩარიცხა.

რა არ ხდებოდა!

დიდმა რეჟისორმა გიორგი ტოვსტონოგოვმა მსახიობთა და

რეჟისორთა მისაღებ გამოცდებს ბნელ ოთახში ხელების ცეცებით სიარული უწოდა. მართლაც, საოცრად რთული პროფესიაა. ათასი მოულოდნელობა ხდება. ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება. მარტო ეროსი მანჯგალაძის მაგალითიც კმარა. ეროსი ინსტიტუტში ვერ მოხვდა და თავისუფალ მსმენელად დაუშვეს გამოსაცდელო ვადით. თეატრალურ ინსტიტუტში ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ბევრი რამ მინახავს. მომხდარა ისეთიც, რომელიც ერთი შეხედვით არ უნდა მომხდარიყო. მოხდება და მერე გაგიკვირდება კიდეც — ნუთუ, ვერ შევამჩნიეთ მავანისა და მავანის ნიჭიერება? თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ რეალობაში ასე არ ხდება, მერე ირკვევა, მხოლოდ მერე იხსნება და ვლინდება ისეთი რამ, რომელიც ახალგაზრდის დაფარულ ნიჭიერებაზე მიგვანიშნებს. ზოგჯერ შემთხვევით, რაღაც წამიერი გამონათებები წყვეტენ ხოლმე ადამიანის ბედს.

მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევას გავიხსენებ: საბჭოთა პერიოდია. ერთ-ერთი წლის მისაღები გამოცდების ციებ-ცხელება დამთავრდა, მაგრამ მასზე რეაქცია გრძელდება. საქართველოში გამოცდებში ხომ მშობლებთან ერთად ყველა ჩართულია: ბებიები, ბაბუები, და-ძმები, ნათესავები. ვინც ვერ ხვდება ინსტიტუტში, ჩივის და გამოცდების არაობიექტურობაზე ლაპარაკობს. ყველა მშობელი თავის შვილს აქებს, ყველას სჯერა, რომ კომისიის ბრალია, თორემ მას ნიჭიერი შვილი ჰყავს. განსაკუთრებით სამსახიობო ფაკულტეტზეა გართულებები. გამოცდების შემდეგ ისე ვიქანცებოდი, რომ ნერვები აღარ მყოფნიდა, ერთი და იგივე საჩივარი ათასჯერ მომესმინა.

და მაინც მოთმინებით ვისმენდი, სხვა რა გზა მქონდა. ზოგიერთი მშობელი მეტისმეტს აკეთებდა, არ ერიდებოდა შანტაჟს, მუქარას, მე კი ვითმენდი და ვითმენდი. აი, შემოდის ერთ-ერთი აბიტურიენტის მშობელი. ქალბატონი დემონსტრატიულად ხსნის თავის ხელჩანთას, იღებს რაღაც კაფსულას და ყვირილით მეუბნება:

— მე კიბოთი ვარ დაავადებული. თქვენ დღეს გამოცდაზე შვილი ჩამიჭერით, სიცოცხლე აღარ მინდა. აი, ეს არის საწამლავი. ახლავე ვსვამ და თქვენ კაბინეტში მოვკვდები.

— დაწყნარდით ქალბატონო, ყველაფერს ეშველება, მოითმინეთ! — წამოვხტი სკამიდან. ვეხვეწები, არ დალიოს.

გაიშხლართა ჩემს ოთახში ტახტზე. თვალები დახუჭა და თითქოს გონება დაკარგა.

ხმაურზე ოთახში რექტორი ეთერ გუგუგშვილი შემოვარდა. კინაღამ გაგიჟდა, როცა გულწასული ქალი დაინახა. აბა, წყალი, ვალერიანის წვეთები. როგორც იქნა მოიხედა, მოიხედა და ისე ცოცხლად გამოიხედა, ეჭვი შემეპარა მის საქციელში.

— ჩემს შვილს ხომ ეშველება რამე? მომეცით იმედი და არ მოვიწამლავ თავს. ვნახოთ, მოვიდეს ჩემთან, — უთხრა ქ-ნმა ეთერმა.

ქალი იმედიანად წავიდა. თუმცა, ჩვენ ვიცოდით, რომ ორიანი უკვე დაწერილი იყო, არაფერი ეშველებოდა.

ამ ამბის შემდეგ მდივანმა მითხრა, რომ დიდი ხანია მიღებაზე კაცი გელოდებათო.

კაბინეტში დიდი მორიდებით შემოვიდა საშუალო ასაკს გადაცილებული კაცი და ოთახის კუთხეში დადგა.

— ბატონო, თქვენ ახლა ისეთი ამბავი გადაგხდათ, რომ მეუხერხულება კიდეც რამე გკითხოთ.

— ხომ დაინახეთ, რა ამბავი დაგვაწია მშობელმა, ვითომ თავს იწამლავდა. ასეთ დღეში ვართ! — შევჩივლე სტუმარს.

— რაღას არ კადრულობენ, ბატონო.

— დაბრძანდით, თქვენ რამ შეგაწუხათ.

— ჩემი შვილის ამბავმა, ბატონო!

— რაზე აბარებს?

— სამსახიობოზე!

— აუჰ, ყველას არტისტობა უნდა, რას ღუპავთ ბავშვებს, თუ სამსახიობო მონაცემები არა აქვს, ჩვენ რა უნდა ვქნათ? — დავიწყე ჩაჭრილი შვილების მშობლებისათვის ასჯერ ნათქვამის გამეორება.

— მე არ ვჩივი, ბატონო, მარტო იმის გაგება მინდა, ჩემს შვილს აქვს თუ არა არტისტობის ნიჭი, მეორე წელია აბარებს და გარეთ რჩება. ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას, რომ თავი დაანებოს ამ წვალებას თუ ნიჭი არა აქვს, მეტი არაფერი მინდა. ამისათვის შეგაწუხეთ. ბოდიშს გიხდით.

იმდენად იშვიათი შემთხვევა იყო ასეთ მშობელთან შეხვედრა, რომ საოცარი სურვილი გამიჩნდა, თუ რამეს შევძლებდი, მართლა დავხმარებოდი. დავხედე საგამოცდო უწყისის ნიშნებს, მაგრამ სამწუხაროდ არაფერი შემეძლო.

— ბიჭს თუ მანამდე არ გადაუარა არტისტობის ჟინმა, მომავალ წელსაც სცადოს.

— კარგად ბრძანდებოდეთ. ბოდიშს გიხდით შეწუხებისათვის! - თქვა და წავიდა.

გავიდა კიდევ ერთი წელი. მისაღები გამოცდები დამთავრდა. ისევ დადგა მშობელთა რიგები ჩემს კაბინეტთან. მაშინ ფასიან სექტორზე მიღება არ იყო და ამიტომ მშობლები უფრო აგრესიულები იყვნენ.

და აი, ოთახში შემოდის ისევ ის მორიდებული, სიმპათიური, შრომისაგან მოღლილი, ჩემთვის ნაცნობი მშობელი. როცა დავინახე, ელდა მეცა, მივხვდი, რომ მისი ბიჭი კვლავ გარეთ დარჩა.

— ისევ შეგაწუხეთ, ბატონო! რჩევა მინდა გკითხოთ, როგორ მოვიქცე, ვერც ინსტიტუტში ხვდება და არც ეშვება არტისტობას!.

თითქმის ნახევარი საათი ველაპარაკე, ვეფერე, ვებოდიშე, ბოლოს შევთანხმდით, რომ მომავალ წელსაც ჩააბარებდა.

თითქოს რაღაც ჯადოსნური წრე შეიკრა. არ იქნა და იმ ბიჭის ბედი არ გადაწყდა. ჩვენთან ინსტიტუტში გამოცდებზე აბიტურიენტების ბედს არსებითად ისინი წყვეტენ, რომლებსაც ჯგუფები აჰყავთ. ამიტომ მათ პედაგოგიურ ალღოზე — სხვისი ნიჭის დანახვის უნარსა და ჯგუფის დაკომპლექტების პრინციპზეა დამოკიდებული, თუ რომელ აბიტურიენტს შეარჩევენ. არ იქნა და არ გაუღიმა ბედმა ზესტაფონელ ჭაბუკს, არადა, არც იჭრება. ყველა გრძნობს, რომ მასში რაღაც არის არტისტული, მაგრამ რისკზე არავინ მიდის. როცა გამოცდების დასაწყისში კიდევ ერთხელ შემოვიდა იმ ჭაბუკის მშობელი და მითხრა, სადამდე გინდათ ვიაროთ მეც და ჩემმა ბიჭმაცო, ტყვიასავით მომხვდა გულზე.

სიმართლე თქვა და იმიტომ!

შევედი ეთერ გუგუშვილის კაბინეტში.

— ეთერ, შეიძლება ამ ფანჯრიდან გადავხტე?! — ვთქვი და მივედი ფანჯარასთან.

— შეიშალე? რა ხდება?!

— ხომ იცი, რამდენი წელია ჩემთან დადის ერთი აბიტურიენტის მშობელი, ზესტაფონელია. ნეტავ ჩიოდეს, გვლანძღავდეს ან ჩხუბობდეს. სულ ბოდიშით ლაპარაკობს. გიზო ჟორდანიას აჰყავს ჯგუფი, გიზო ალღოიანი კაცია, იცის ნიჭის დანახვა, იქნებ მოეწონოს და გვეშევლოს. ბიჭი იმდენი წელია აბარებს, ბოლოს და ბოლოს, სირცხვილია, რაღაცა ვუშველოთ.

საბედნიეროდ, გიზო ჟორდანიამ დაინახა ის, რაც სხვებმა ვერ დაინახეს.

ის ზესტაფონელი ჭაბუკი კი გოჩა კაპანაძე გახლდათ, – დღეს კარგად ცნობილი მსახიობი და რეჟისორი.

მოგონებების დასაწყისში ვთქვი, რომ შემთხვევითობა ზოგჯერ ადამიანის ბედს წყვეტს.

მე-8 აუდიტორიაში მხატვრული კინორეჟისურის გამოცდებია. დიდი კონკურსია. ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით, მე დავინიშნე საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ. ჯგუფი თ. აბულაძეს და ლ. ღოღობერიძეს აჰყავდა. ისე, უცნაური ხალხი კი იყვნენ კომუნისტები. ჯგუფი თ. აბულაძეს აჰყავდა და მე დამნიშნეს კომისიის თავმჯდომარედ, ვითომ მეტი ობიექტურობისათვის. მე კი მათ წინასწარ განვუცხადე: ჯგუფი თქვენია, ხელოვანი თქვენ ბრძანდებით და ვისაც თქვენ დაუჭერთ მხარს, მეც მისი მხარდამჭერი ვიქნები-მეთქი.

გამოცდები მართლაც კარგად აეწყო.

გამოცდებზე შემოვიდა აბიტურიენტი თენგიზ ბაბლუანი. პასუხობდა კარგად, მაგრამ კარგად სხვებიც პასუხობდნენ. თენგიზ აბულაძე შინაგანად გაორებული იყო, წვალობდა, მოსწონდა აბიტურიენტი, მაგრამ რაღაც მეტის გაგება უნდოდა.

– რა იქნება თქვენი პირველი ფილმი? – ჰკითხა ბაბლუანს.

თემურმა დაიწყო მოყოლა, ჰყვებოდა ემოციურად. ამბავი იყო ბიოგრაფიული, აი, ის ამბავი, რომელიც შემდეგ მის ფილმში „უძინართა მზეში“ აისახა (თუმცა ფინალი შეიცვალა). თ. აბულაძემ ფურცელზე დაწერა თავისი ნიშანი – ოთხიანი (ჩემს გვერდით იჯდა და ასე ერთმანეთს ვწერდით სავარაუდო ნიშნებს, აბიტურიენტს რომ არ დაენახა, ფარულად). თემურის მონაყოლმა ჩემზე ემოციურად იმოქმედა, მე მივწერე ბ-ნ თენგიზს – „ჰკითხეთ კიდევ“.

– თქვენი გულწრფელი აზრი მითხარით „ვედრებაზე“, როგორ ხედავთ მას? – ჰკითხა ბ-ნმა თენგიზმა.

თ. ბაბლუანმა ორიოდე სიტყვის შემდეგ ცალი თითი გაშალა და რაღაც მხატვრულ მეტაფორასავით გამოხატა, თუ რა არის ფილმის ცენტრი, რას ეყრდნობა, რა იცავს წონასწორობას, რა უდევს ფილმს ღერძად. ისე ზუსტად, ისე კარგად თქვა, რომ არ დაველოდე ბ-ნი თენგიზის რეაქციას და ფურცელზე დავწერე – 5. მივაწოდე, ბ-ნ მათენგიზმა გაიღიმა, ვიგრძენი, რომ მასაც მოეწონა, მაგრამ კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა. მე შემეშინდა, ვიფიქრე, ვაითუ ასე ვეღარ ეპასუხნა და ბ-ნ თენგიზს მივწერე – „ეყოფა!“

როცა აბიტურიენტი თ. ბაბლუანი ოთახიდან გავიდა, განხილვის დროს თენგიზმა თქვა, რომ თემურის ბედი გადაწყვიტა მისმა ზუსტმა მხატვრულმა ხედვამ.

კინორეჟისურის გამოცდაზე მოდიან კარგად მომზადებული ახალგაზრდები. ისევ მე ვარ საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე. ხდება საოცარი რამ: არავის, არც ერთი აბიტურიენტის მშობელსა თუ ნაცნობს არავისზე არ უთხოვია დახმარება. საქართველოში ეს თითქმის უნიკალური შემთხვევა იყო, რომ პროექტორს, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს არავინ არ ურეკავს. გამოცდების დაწყების წინ განვაცხადე: როგორც ჩანს, თქვენ უკვე გთხოვეს და ამიტომ მე აღარავინ არ მთხოვა დახმარება. რას იზამთ, ეტყობა, არაფრად მთვლიან, – ვთქვი ნახევრად ხუმრობით.

– არაფერი დასამალი არ გვაქვს – თითქმის ერთხმად თქვეს კომისიის წევრებმა – კინორეჟისორებმა. დააძრეს ბლოკნოტები და წაიკითხეს, რომელ აბიტურიენტზე ვინ სთხოვა. სულ ჩვენი ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მწერლები იყვნენ მთხოვნელები. შემდეგ გვერდზე გადადეს უბის წიგნაკები და დაიწყო გამოცდები. აბიტურიენტების სიაში მხოლოდ ერთადერთი გვარი აღმოვაჩინე, ვისზეც არავის არაფერი უთხოვია. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანდა. რაღაც აზარტი გამიჩნდა, ვიფიქრე, მე გავხდებოდი იმ უცნობი ყმაწვილის უჩინარი პროტექტორი, ძალიან მინდოდა, რომ კარგი ყმაწვილი შემხვედროდა.

და აი, გამოცდაზე შემოვიდა ვარდისფერ პერანგში გამოწყობილი სიმპათიური ჭაბუკი. კომისიის წევრებს არ ვაცალე შეკითხვა და მე დავიწყე გამოცდა.

– რა იცით კ. გამსახურდიას შესახებ, რა წაიკითხეთ?

– თითქმის ყველაფერი მაქვს წაკითხული! – იყო პასუხი.

– „დიონისეს ღიმილიც“ წაიკითხეთ?!

– წაკითხული მაქვს!

რაკი ვიგრძენი, რომ ლიტერატურის საკითხებს კარგად ფლობდა, მეც აქცენტი მასზე გავაკეთე, მერე რეჟისორებმა ჰკითხეს.

მოვითხოვე უმაღლესი ნიშანი, ზოგი არ დამეთანხმა, ზოგმა მხარი დამიჭირა, ვიდავეთ, ვიკამათეთ, მაინც დაიწერა მაღალი ნიშანი. შემდეგ ყურადღება მივადევნე სხვა გამოცდებსაც. ახალგაზრდა ჩაირიცხა სარეჟისორო ფაკულტეტზე. გავიდა წელი. ფაკულტეტის დეკანმა მითხრა, რომ ჯგუფში ბევრი ლექცია ცდება, საჭიროა

გამოვიძახოთ ჯგუფი და მკაცრად ველაპარაკოთ სტუდენტებსო.

გამოვიძახე ჯგუფი, ჯარისკაცებივით ჩამწკრივდნენ ჩემს კაბინეტში.

— არ გეკადრებათ, ბიჭებო! — ვთქვი და ნელ-ნელა ხმას ავუწიე და ჩამოვუარე სათითაოდ ყველას, როცა ჩემს ნაპროტექტორალ სტუდენტთან მივედი, უცებ სიბრაზისაგან ავენთე, ხელი მაღლა ავწიე და თითქმის ყვირილით ვუთხარი:

— შენც აცდენ ლექციებს? შენ მაინც აგაგლეჯ მაგ ყურებს! ვუთხარი და სახეში შევხედე. სტუდენტს სახე გაუნათდა, თვალები გაუბრწყინდა, თითქოს რაღაც სასიხარულო ამბავი ვუთხარი. ვერ მივხვდი, რა ხდებოდა.

— წადით ახლა, ბავშვები აღარ ხართ!

გავიდნენ. ოთახში შემობრუნდა ის სტუდენტი და გაღიმებულმა მითხრა: ბატონო ვასო, მთელი წელი ვფიქრობდი, ვინ დამეხმარა. ახლა მივხვდი, რომ ეს თქვენ ხართ! დიდი მადლობა.

— ვინ გითხრათ, რომ მე დაგეხმარეთ?

— „შენ მაინც აგახევ ყურებსო“ რომ მითხარით — იმან, მივხვდი, რომ თქვენ დამეხმარეთ!

ის სტუდენტი იყო დღეს ცნობილი რეჟისორი და დრამატურგი ალ. ქოქრაშვილი.

კვლავ კინორეჟისორთა გამოცდაზე ვართ. მოდიან ახალგაზრდები. მოდის ახალი ნაკადი. შესარჩევი მართლაც ბევრია, ჩახარიცხი ადგილები კი - ცოტა. კონკურსია. შემოვიდა ერთი სიმპათიური ახალგაზრდა გურიიდან. ჩანს, რომ ნიჭიერია, მაგრამ სხვებიც არიან ნიჭიერები. სოფლური სამყაროდან არის და უცებ მხარდასაჭერად განვეწყვე. რა შუაშია სოფელი, როცა კონკურსია და ცოდნა წყვეტს ყველაფერს, მაგრამ გამომცდელიც ადამიანია და სუბიექტივიზმისაგან ვერ იქნება მთლად თავისუფალი. სოფლის სამყარო კი ის სათავეა, რომელმაც ბევრი ნიჭიერი მწერალი და ხელოვანი გაიყვანა ფართო ასპარეზზე.

უცებ მოულოდნელი შეკითხვა მისცეს — რა გენატრებათ? ყველაზე ემოციურად რა დაგამახსოვრდათ?

ახლაც მახსოვს აბიტურიენტის გაღიმებული სახე, თითქოს მოელოდა და გაეხარდა, რომ ასე ჰკითხეს:

— ბებიაჩემის ქინძიანი ხელების სურნელი, — უპასუხა აბიტურიენტმა.

კომისიის წევრებს მარცხნივ და მარჯვნივ მუხლების მირტყმით ვანიშნე, რომ პასუხი ძალიან მომეწონა. ნიშნების დაწერის დროს მტკიცედ დავიცავი უცნობი ჭაბუკი. მერე სხვა საგნებშიც მივხედე.

ის სტუდენტი იყო ელდარ მდინარაძე. შემდეგ ტელეარხის „მზე" ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

მაგონდება უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების კიდევ ერთი საინტერესი ამბავი, გამოჩენილი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის დისშვილთან დაკავშირებით.

არ ვიცი, შინაგან საქმეთა სამინისტროში რა მასალები დევს თბილისში ფარაჯანოვის დაპატიმრების შესახებ, მაგრამ ეთერ გუგუშვილი მისი მეგობარი იყო და მისგან ვიცი საინტერესო ტრაგოკომიკური დეტალები.

სერგო ფარაჯანოვი მოსკოვიდან რომ ჩამოვიდა, ეთერთან ხშირად მოდიოდა თეატრალურ ინსტიტუტში.

სერგო ფარაჯანოვი ეთერის კაბინეტში გავიცანი.

ფარაჯანოვი გაბედული, მოაზროვნე და აბსოლუტურად უკომპლექსო კაცი იყო. ალბათ ამიტომაც თქვა ერთ-ერთ ინტერვიუში, საბჭოთა კავშირში მე ერთადერთი ჰომოსექსუალისტი ვარ, რომელიც ჩემს სექსუალურ ორიენტაციას არ ვმალავო.

ციხის გარეთ დიდხანს არ გააჩერეს.

მოსკოვს დასჭირდა მისი კვლავ დაპატიმრება და დაჭერის მიზეზიც შეთხზეს. თითქოს ფარაჯანოვმა დისშვილი ჩვენს ინსტიტუტში ქრთამით მოაწყო.

ნამდვილი ამბავი კი ასე იყო:

ინსტიტუტში რუსულ მოზარდ მაყურებელთა თეატრისათვის სპეციალურ ჯგუფს ვიღებდით. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე დოდო ალექსიძე იყო. გამოცდები მიმდინარეობდა პირველი კორპუსის სცენაზე. პარტერში ისხდნენ კომისიის წევრები, მეც და ეთერიც ვესწრებოდით გამოცდებს, მაგრამ აბიტურიენტების შეფასებაში არ ვმონაწილეობდით, დებულებით ამის უფლება არ გვქონდა.

ბატონ დოდოს წიგნაკში ჰქონდა ჩაწერილი, თუ ვინ ვისზე სთხოვა. მე და ეთერს იუმორით წაგვიკითხა.

— აგერ, აქ სწერია ყველას გვარები. რა კარგი იქნება, რომ ჯერ მათი პროტეჟეების გამოცდა მოგვეწყო, — თქვა და მაგიდაზე დააგდო წიგნაკი.

არადა, ვიცოდით, რომ ფარაჯანოვს ნათხოვნი ჰქონდა თავის

დისშვილზე. დოდო მეგობრობდა ფარაჯანოვთან, მის აზრს დიდ ანგარიშს უწევდა. ეთერსაც ძალიან უნდოდა დახმარებოდა, ასევე იყვნენ განწყობილნი კომისიის სხვა წევრებიც.

სცენაზე გამოვიდა ერთი საშუალო ტანის შავგვრემანი აბიტურიენტი.

— აბა, დაიწყე! — უთხრა ბატონმა დოდომ.

აბიტურიენტმა დაიწყო ლექსის კითხვა.

— ვინ არის ეს იდიოტი? როგორ კითხულობს? — გადაულაპარაკა კომისიის წევრებს ბა-ნმა დოდომ, ეთერი შეწუხდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

— ცოცხლად... ცოცხლად!

მიუტრიალდა კომისიას და კვლავ დაიძახა:

— იდიოტ!

— დოდო, ფარაჯანოვის დისშვილია,— გადაუჩურჩულა ეთერმა.

— „მალადეც“, გენიალურია! — უცებ იყვირა ბ-ნმა დოდომ.

— ჩვენ აგვიტყდა სიცილი. დოდომ რაღაც ეტიუდის გაკეთება დაავალა და თან აქეზებდა.

კონკურსი დიდი არ იყო. ფარაჯანოვის დისშვილი ჩაირიცხა.

ფარაჯანოვმა ფლავზე დაპატიჟა მსახიობები და რეჟისორები. ერთი სიტყვით, ელიტა. საბედნიეროდ, მე არ მოვხვდი მათ წრეში. მეორე დღეს ეთერმა აღელვებით მიამბო, რომ ფარაჯანოვმა თურმე კარგი საჩუქრები დაურიგა ყველას. საერთოდ ასე იცოდა, გულუხვად ასაჩუქრებდა ხოლმე. ეთერი ნაწყენი იყო იმ მსახიობებზე და რეჟისორებზე, რომლებმაც აიღეს საჩუქრები. დიდი ხანი არ არის, რომ ციხიდან გამოვიდა, დახმარების ნაცვლად საჩუქრები მიიღესო.

— შენ რა გაჩუქა? — ვკითხე მე.

— მე ბაჯაღლო ოქროს ბეჭედს მაძლევდა, მაგრამ არ ავიღე. უკრაინაში რომ გუცები არიან, მათი კაბა მაჩუქა, რაში მჭირდება?

— ეგ არაფერია, ეგზოტიკური საჩუქარია.

გავიდა ცოტა ხანი.

ეთერ გუგუშვილი შეშფოთებით მეუბნება:

— გაიგე? სერიოჟა დაიჭირეს!

— რატომ, რა მოხდა?

— ზუსტად არ ვიცი, ვითომ ქრთამით მოაწყო დისშვილიო.

— შეუძლებელია, საიდან, როგორ მოიგონეს, ეს ხომ ტყუილია.

გამახსენდა ფლავის ისტორია, მაგრამ ჯერ ერთი სტუმრების უმრავლესობას არავითარი კავშირი არ ჰქონდა გამოცდებთან.

მეორეც, ყველანი ფარაჯანოვის მეგობრები იყვნენ და ფარაჯანოვს რაში სჭირდებოდა ქრთამის მიცემა?

— ტყუილია, მაგრამ ასე მითხრეს. წავალ ცეკაში, მდივან გურამ ენუქიძესთან და გავიგებ.

ეთერი შეწუხებული დაბრუნდა ცეკადან. მოსკოვში ყოფნისას, რაღაც ანტისაბჭოთა ამბავში ფარაჯანოვსაც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ საბაბად, მგონი, მართლა ინსტიტუტი გამოიგონეს.

— გურამ ენუქიძემ დამამშვიდა, ნუ გეშინია, ინსტიტუტი არ გაილანძღებაო,. მერე თურმე აიღო ტელეფონი და ედუარდ შევარდნაძეს ელაპარაკა.

— ბატონო ედუარდ! - უთხრა გურამმა, — ეთერ გუგუგშვილი ჩემთან არის, ინსტიტუტი ტყუილად ილანძღებაო. ჩვენთან ასეთი რამეები არ ხდებაო.

ბევრი იცინა თურმე ედუარდმა.

— ეთერის გადაეცი, მისთვის ლოჯიით და აივნით გაწყობილი ციხე მაქვს გამოყოფილიო.

სიცილით იმეორებდა გურამ ენუქიძე ედუარდის ნათქვამს და ეთერიც სიმწრით იცინოდა.

ცხადია, შევარდნაძემ კარგად იცოდა, რისთვისაც იყო ფარაჯანოვი დაჭერილი. მოსკოვიდან მიიღო განკარგულება.

გავიდა ცოტა ხანი და ე. შევარდნაძემ ეთერი დაიბარა.

— ამბობენ, შენ ფარაჯანოვის უახლოესი მეგობარი ხარ, როგორი კაცია? — უკითხავს შევარდნაძეს.

ეთერმა დაუხასიათა — აქო და ადიდა.

— დაწერე ეგ ყველაფერი შუამდგომლობის სახით, იქნებ თენგიზ აბულაძემაც გაუწიოს რეკომენდაცია.

სერგო ფარაჯანოვი გაათავისუფლეს.

არასოდეს არ დამავიწყდება ზაზა პაპუაშვილი მისაღებ გამოცდებზე. არც ის მდგომარეობა მავიწყდება, რაც მაშინ განვიცადე.

ერთ-ერთ დღეს ჩემს კაბინეტში შემოვიდა ზაზა პაპუაშვილის მამა, ჩემთვის უცნობი ინტელიგენტი კაცი.

— ჩემმა შვილმა გადაწყვიტა სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაბარება. არ ვიცი, ახალგაზრდული გატაცებაა თუ მართლა აქვს სამსახიობო მონაცემები. სხვას არაფერს არ გთხოვთ, თუ არა აქვს მონაცემები, ნუ გააწვალებთ, პირდაპირ უთხარით.

იშვიათი შემთხვევა იყო. ამიტომაც დამამახსოვრდა.

ინსტიტუტში უპრეტენზიოდ თითქმის არავინ მოდიოდა. რას ჰქვია

„ჩემს შვილს ნიჭი არა აქვსო“?... „ჩემი შვილი  უნიჭოა?..  „წავალ სადაც საჭიროა“... – ყვიროდნენ ხოლმე ჩაჭრილი აბიტურიენტების მშობლები. ამ ატმოსფეროში მართლაც გამონაკლისი შემთხვევა იყო ზაზას მამის საქციელი.

ზაზა პირველსავე გასვლაზე ვერ მოხვდა, მაგრამ არც უარი არ უთხრეს. კომისია ერთგვარად გაორებული იყო  შეფასებაში. ნება მიეცა სესიებისათვის მოემზადებინა საგამოცდო ეტიუდი, ეტიუდის მომზადებაში ეხმარებოდა რეჟისორი გულსუნდა სიხარულიძე, რომელიც ლილი იოსელიანს თავის ასისტენტად უნდოდა.

კულისებში მოარული ხმები დადიოდა, რომ ლილის უნდოდა გულსუნდას შტატში მიღება, მიხეილ თუმანიშვილს კი არ უნდოდა, თუმცა ნათლად არ ავლენდა თავის უარყოფით პოზიციას, როგორც ჩანს, ლილის ერიდებოდა. დაიწყო გამოცდები. გამოცდებს ვესწრებოდით მიხეილ თუმანიშვილი, ბაბულია ნიკოლაიშვილი და მე. გამოცდები ტარდებოდა ა. ხორავას აუდიტორიაში.

ზაზა პაპუაშვილს რთული ფსიქოლოგიური ეტიუდი ჰქონდა მომზადებული. ხშირად უწევდა იატაკზე წოლა, ემოციების გამოხატვა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ ახალგაზრდას ჰქონდა განცდის უნარი, ტემპერამენტი, გრძნობდა ფორმას, თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა...

მაგრამ მიხეილ თუმანიშვილმა სრულიად მოულოდნელად, მაგიდაზე დაარტყა მუშტი: ამის ყურება არ შემიძლიაო, – დაიძახა, სწრაფად წამოდგა და გამეხებული გავიდა (თუ გავარდა!) აუდიტორიიდან.

არც მე შემიძლიაო, – მიბაძა ბაბულია ნიკოლაიშვილმა და ისიც გაჰყვა თუმანიშვილს.

შოკის მომგვრელი ფაქტი მოხდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ დიდი პედაგოგი და რეჟისორი ასეთ უტაქტობას, სრულიად ანტიპედაგოგიურ საქციელს ჩაიდენდა.

ჩემთვის თავზარდამცემი ამბავი მოხდა.

ზაზა წამოდგა, აუდიტორიიდან გავიდა და კარებთან ცუდად გახდა, სხვებმა მიხედეს, მე კი გავიქეცი ჩემი კაბინეტისაკენ, სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად.

ჩემი კაბინეტის ახლოს იდგნენ მიშა და ბაბულია.  ალბათ სახეზე ადამიანის ფერი არ მედო. ვერ შევიკავე თავი და აღელვებულმა მივახალე: სასწრაფო დახმარება უნდა გამოვიძახო. ბიჭი კვდება!!!

ჩემი მხრივაც უტაქტო საქციელი იყო, მაგრამ არ ვიცი, რატომ

ვუთხარი ასე მკაცრად. ჩემი თანამდებობრივი პასუხისმგებლობის, შიშის, გამოცდილი პედაგოგების და კათედრის გამგეების ანტიპედაგოგიური საქციელისა თუ მოულოდნელი შემთხვევის გამო.

სასწრაფო  მოვიდა. ზაზა მალე მოსულიერდა.

მიხეილ თუმანიშვილი თავის წიგნში, რომელიც გამორჩევა სიბრძნითა და უმაღლესი დონის რეჟისორული და პედაგოგიური აზროვნებით, არსად არ ახსენებს მომხდარ ინციდენტს. საინტერესო კი იყო ფაქტის მისეული ინტერპრეტაცია...

მიხეილ თუმანიშვილი ღიად არასოდეს არ ერეოდა კონფლიქტებში. „ჩემი საქმე არ არის“ – მეტყოდა ხშირად, ამიტომ გასაკვირი იყო მისთვის უცხო, არაბუნებრივი საქციელი. დღემდე ვერ ავხსენი, რა მოხდა?

თუმცა არცერთი ადამიანი არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან. გოეთე წერდა: ბევრი ვიფიქრე, ისეთი დანაშაული  თუ არსებობს, რომელსაც მე ვერ ჩავიდენ? მაგრამ ასეთი დანაშაული ვერ აღმოვაჩინეო...

გოეთე ზოგადად ადამიანის ბუნებას გულისხმობდა....

საბჭოთა ეპოქაში უმაღლესი განათლების მიღება პრაქტიკულად თითქმის საშუალო განათლებასავით სავალდებულო გახდა, ოჯახის ღირსების საქმედ იქცა. უმაღლესი განათლების დიპლომი რაღაც თავადაზნაურულ სოციალურ უპირატესობად იქცა. სამსახურის შოვნის პრობლემა არ იყო. უნივერსიტეტში უკვე აპრილ-მაისის თვეში ვანაწილებდით კურსდამთავრებულებს. აბსოლუტური უმრავლესობა ნაწილდებოდა, სამუშაო ყველას ჰქონდა. ასეთი იყო გეგმიანი სახალხო მეურნეობის სახელმწიფოებრივი პრინციპი.

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის 90-იან წლებში დიდი გულისტკივილით წერდა, რომ გიმნაზიებსა და სკოლებში ცოტა ქართველი ბავშვი სწავლობდა, მშობლები გულგრილად ეკიდებოდნენ ბავშვების სწავლა-განათლების საქმეს.

ეს ჩვენი ისტორიული რეალობაა!

გავიდა არცთუ დიდი დრო და ქართველი ახალგაზრდობა მიაწყდა უმაღლეს სასწავლებლებს.

გამოცდებზე მილიცია გვყავდა მობილიზებული. მიმდებარე ტერიტორიიდან გვესმოდა მქუხარე ტაშები, როცა აბიტურიენტი მაღალ ნიშანს მიიღებდა და წივილ-კივილი აბიტურიენტის ჩაჭრის დროს.

ერთხელ ასეთი რამეც მოხდა: ორ ქალბატონს დიდი ტორტი ეჭირათ ხელში და მოითხოვდნენ უნივერსიტეტში შეშვებას. მიმღებ კომისიას ტორტი უნდა ვაჭამოთო, ეგენიც ხალხია, დაღლილები იქნებიანო... მილიცია კი არ უშვებდა...

მოვიდა მორიგე და მოგვახსენა შექმნილი სიტუაციის შესახებ. ეთერმა იყვირა – პროვოკაციას გვიწყობენო და ტელეფონოთ დაიწყო სამინისტროში რეკვა...

ქალბატონები  მალე თავის ტორტიანად გაიპარნენ.

ცნობილი კინორეჟისორი შოთა მანაგაძე საავადმყოფოდან მწერდა: „ჩემო კარგო ვასო! წერილს გწერ „ლეჩკომბინატის“ საავადმყოფოდან. ჩემს ბოლო სურათში „თვალი პატიოსანი“ თამაშობს მანანა ყიფიანი. ეს გოგონა ახლა თქვენთან აბარებს სამსახიობოზე. მე თუ რამე გამეგება მსახიობის შემოქმედებაში, ეს გოგონა უთუოდ ნიჭიერია. ვასო, ძვირფასო, ძალიან გთხოვ იქნებ მიხედოთ ამ ბავშვს, რისთვისაც დაგრჩებით დიდად დავალებული. შენი შოთა მანაგაძე“.

წერილებს არ უნდა კომენტარები. ისინი ადამიანებზე უანგაროდ ზრუნვით არის მოტივირებული და ეს კარგია...

გამოცდებისათვის ათასგვარ ფორმას ვიგონებდით...

ვერაფერი ვერ მოვუხერხეთ საგამოცდო კომისიის საიდუმლოების დაცვას. გულუბრყვილოდ ვფიქრობდი, შეგვეძლო საგამოცდო კომისიის აზრი დაგვეფარა გადაწყვეტილების ოფიციალურ გამოცხადებამდე. სამსახიობო ფაკულტეტის ხან ორი, ხან სამი ნაკადის შედეგების შეჯამება ერთად ხდებოდა. აბიტურიენტების მშობლებს კი ისეთი დაზვერვა ჰქონდათ, რომ უკვე იცოდნენ კომისიის რომელმა წევრმა რა გადაუჩურჩულა მეორეს, ან რა გამომეტყველება მიიღო, როცა მისი შვილი ეტიუდს ასრულებდა, ლექსს თუ მოთხრობას კითხულობდა.

კომისიის წევრებს მკაცრად ვაფრთხილებდით, დაეცვათ საიდუმლოება, მაგრამ სტალინი ვერ ახერხებდა პოლიტბიუროს სხდომების საიდუმლოების დაცვას და ჩვენი სურვილი ხომ პირდაპირ ბავშვური გულუბრყვილობა იყო. მიუხედავად ამისა, საამისოდ სხვადასხვა ხერხს მივმართავდით.

ეთერ გუგუშვილმა მოიფიქრა შექმნილიყო კომისიის წევრთათვის საგამოცდო ფურცლები. ფურცლებზე აღნიშნული იყო აბიტურიენტის შესაფასებლად შვიდი მონაცემის ნუსხა (მეტყველება, სასცენო უნარიანობა, სმენა, რიტმი, პლასტიკა, ემოციურობა, კოლოკვიუმი).

გამოცდის დღეს კომისიის ყველა წევრს ურიგდებოდა ფურცლები.

აკეთებდნენ ჩანიშვნებს. გამოცდის შემდეგ აბარებდნენ მიმღები კომისიის მდივანს, რადგან მე ოფიციალურად არ ვიყავი კომისიის წევრი, როგორც პრორექტორი მეც ვაკეთებდი ფურცლებზე ჩანაწერს. ჩემს არქივს შემორჩა ჩემეული ჩანაწერები და ნიშნები. მის მიხედვით ძნელია გამოცდების მთლიანი სურათის არდგენა, მაგრამ დღეისათვის მაინც საინტერესოა,მაშინ რას ვეკითხებოდით აბიტურიენტს, როგორ გვპასუხობდნენ და რა შეფასებას ვაძლევდით.

ფრაგმენტული ჩანაწერების თითოეული ფრაზებიც კი დღეს გარკვეულ მნიშვნელობას იძენს.

1977 წელი. 9 ივლისი, დილის 9 საათი. გამოცდები სამსახიობოზე. თორმეტი აბიტურიენტი გამოიცადა. ხუთი აბიტურიენტისათვის დამიწერია ორიანი, ხოლო სამისათვის-ხუთიანი. საინტერესოა, არა? – ვინ მიიღო ხუთი. ესენია: გ. ბურჯანაძე, მ. ზაკირჩენკო და ე. მარსაგიშვილი. გ. ბურჯანაძეზე ჩამიწერია: „კარგი შესახედავი, 16 წლისა, ენერგიული. წაიკითხა ლებანიძის ლექსი. ეტიუდი - წყლის დალევა.კარგია“.

მ. ზაკირჩენკო - „უქცევს იმერულად. წაიკითხა რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“ კარგად. ცოცხალი თვალები“.

ვ. მარსაგიშვილი „აქვს ღრმა იუმორი. კარგად წაიკითხა ნ. დუმბაძე“, „არ იცნობს ჭოლა ლომთათიძეს“...

7 ივლისი, საღამოს 6 საათი. სარეჟისორო I ტური. გასაუბრება.

ი. საბო. ნემიროვიჩ-დანჩენკოს კავშირი საქართველოსთან, არ იცის. სწორად განმარტა ტიპიურობის საკითხი, სამხატვრო თეატრზე სიუჟეტი წარმოადგინა, გამარტა რატომ ჰქვია გ. ერისთავის პიესას „გაყრა“.

გ. თავაძე. იცის ვინ შეხვდა გზაში ა. გრიბოედოვის გადმოსვენების დროს. კ. მარჯანიშვილი იცის, ა. ჩეხოვის პიესებზე წარმოდგენა აქვს, პიესა ყველა არა აქვს წაკითხული, ტელევიზიის შესახებ იცის. ტურგენევის „მუმუ“ იცის, ინტელიგენტურია, უფრო ღრმაა, ვიდრე ჩანს“.

კ. მირიანაშვილი. იცის ძველ კინოზე,იცის მარჯანიშვილზე, განმარტა იმპრესიონიზმი, ნაკლებად ექსპრესიონიზმი“.

ალ. ვახტანგოვი. „იცის მხატვრობა, ტელევიზია, ძალიან კარგად აზროვნებს“.

ა. ქანთარია. „წაიკითხა აზრიანად შ. ნიშნიანიძის ლექსი, იგავ-არაკიც. აქვს ანალიზის უნარი“.

დ. ჯანელიძე. „ასოციაციები, აქვს წარმოსახვის უნარი, უპასუხა კინოს ისტორიიდან ალ. წუწუნავა, ვ. ამაშუკელი. ამბავი კინო-გადაღების. წვიმა, სახურავი, ხედვა“.

დრამის რეჟისორების გამოცდაზე დ. ალექსიძე, მ. თუმანიშვილი, გ. ჟორდანია და მე. მოვაწყვეთ კითხვა-პასუხის ფორმით გასაუბრება. იწერებოდა ბეჭედდასმულ ფურცლებზე. დავიმოწმებ რამდენიმე მაგალითს. მაგ. ირინა ჟღენტის გამოცდაზე შეკითხვა – შენთვის რა არის სისასტიკის თეატრი?

პასუხი – მინდა ვამხილო ძალადობა, რომელიც საზოგადოებაში არის. პ. ბრუკი კარგად განმარტავს – სისასტიკის თეატრი – სულიერი კრიზისია, ემოციისაგან განთავისუფლება, აზრის ძალადობა. ახლა არტოს იდეები გროტოსკული არის მხოლოდ.

კითხვა – რაიმე კომპრომისი ხომ ხდება

პასუხი – არის კომპრომისები ძალადობაშიც. ახლა ბევრი მიმდინარეობებია, პოლიტიკური, საოჯახო, რელიგიური და სხვა.

კითხვა – როგორ გესმით აბსურდის თეატრი?

პასუხი – აბსურდულობა ადამიანის არსებობაა სამყაროში. ბეკეტი პოულობს გამოსავალს.

დ. ალექსიძე – მე ვნახე ბეკეტის პიესა. კრეგის აზრი მსახიობზე?

პასუხი – კრეგის მარიონეტის თეატრი თავისთავად საინტერესოა, მაგრამ უფრო საინტერესოა, როცა მსახიობის გზით მიდის რეჟისორი,. დეტალურად განმარტავს კრეგის მუშაობას „ჰამლეტზე“.

დ. ალექსიძე – ბრუკი წაიკითხეთ?

პასუხი – წავიკითხე.

კითხვა – ფიროსმანის რა გიყვართ?

პასუხი – მეეზოვე

კითხვა – რატომ?

პასუხი – გამოუვალობის გრძნობის გამო.

კითხვა – რატომ გამოუვალობა?

პასუხი – ასე ვხედავ.

კითხვა – მწერლობიდან ვინ გიყვარს?

ვაჟა, გალაკტიონი, გამსახურდია.

ახალი კითხვა-პასუხები. ეკითხებიან დ. ალექსიძე, მ. თუმანიშილი, ვ. კიკნაძე.

შეკითხვა – რით ჩაენაცვლა აღორძინება?

პასუხი – შუა საუკუნეებმა ჩაკლა ადამიანური.

შეკითხვა – რატომ აირჩიე შექსპირი?

პასუხი – ძალიან მიყვარს „რომეო და ჯულიეტა“ – სიყვარულის თემა.

შეკითხვა – რომელ ცნობილ მხატვარს დაპატიჟებდი სპექტაკლის გასაფორმებლად?

პასუხი – ქართველს.

შეკითხვა – კერძოდ?

პასუხი – ვირსალაძეს.

შეკითხვა – რატომ?

პასუხი – მომწონს.

შეკითხვა – რა გინახავს?

პასუხი – ოპერები, რეპროდუქციები.

შეკითხვა – ჩეხოვის პიესებიდან რომელი მოგწონს მეტად?

პასუხი – „თოლია“

შეკითხვა – რატომ?

პასუხი – სამხატვრო თეატრის ემბლემად იქცა.

შეკითხვა – ამიტომ?

პასუხი – „თოლიამ“ ასახა თავისი დროის ტკივილი.

შეკითხვა – რა ტკივილი?

პასუხი – უპერსპექტიობის მელანქოლია...

შეკითხვა – რა განსხვავებაა ლეონარდო და ვინჩსა და მიქელანჯელოს შორის?

პასუხი – ბევრი. საერთო - ეპოქით განსაზვრული, განსხვავებულობა ინდივიდუალური ხელწერით“...

„მისაღები გამოცდებია.. ჩემი კაბინეტის ფანჯრიდან ვუყურებდი ზღვა ხალხს. როგორი მღელვარებით ელოდებიან თავიანთ მასახელებელი მომავალი არტისტის გამოჩენას, მაგრამ მარტო ჩვენს უნივერსიტეტთან არ იყო ასეთი აჟიოტაჟი. ყველა უმაღლესი სასწავლებლის წინ მეტ-ნაკლებად ანალოგიური სურათი გახლდათ. ხალხის ფიქრი და გონება დაკავებული კულტურით და განათლებით. როგორც საზოგადოების მაღალ საფეხურზე გადასვლის საშუალება და არა პოლიტიკის, როგორც დღეს არის. იქ სადაც პოლიტიკოსი უფრო პოპულარულია, ვიდრე ხელოვანი და მეცნიერი, ცუდად არის საქმე. ქვეყნის ტოტალიზირებამ ერთიანი ეროვნული ცნობიერება დაშალა პარტიულ აზროვნებად. ერთმანეთს დააპირისპირა ხალხი,

გაამძაფრა აგრესია.

თითქოს დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ თითქმის ერთ საუკუნეში სრულიად შეიცვალა განათლებისადმი ქართველების დამოკიდებულება

რა საოცარი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა ისტორიულად მოკლე პერიოდში. შეგახსენებთ, რას წერდა ილია ჭავჭავაძე. 1889 წლის 27 ოქტომბერს, როცა თბილისის რეალური სასწავლებლის ანგარიში გამოქვეყნდა; ილია გულისტკივილით წერს: „გასულ წელს ამ რეალურ სასწავლებელში ყოფილა სულ 358 შეგირდი და ამათ შორის ქართველი მხოლოდ 27. მაშინ, როდესაც რუსი ყოფილა 138, სომეხი 136, გერმანელი 24, პოლშელი 16, თათარი 10, ბერძენი 4 და ებრაელი 3. მოდით და გული ნუ დაგეწვით ამისთანა ამბის გაგონებისსაგან! მერე სად? საქართველოს დედა-ქალაქის, საქართველოს შუა გულის სასწავლებელში“.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს მწარე სინამდვილე დემოგრაფიული მდგომარეობით იყოს გამოწვეული. არა, მაშინ თბილისში ცხოვრობდა 22 ათასი ქართველი, ხოლო 20 ათასი რუსი, 37 ათასი სომეხი, გერმანელი 2 ათასი, პოლონელი 1500, „თუ 20, 000 რუსი სასწავლებელში ჰზრდის 138 ყმაწვილსა, ჩვენ რა წყრომა ღვთისა გვეწია“.

რა მიზეზია?

„ვამბობთ, ღარიბნი ვართო და ვერ ვუძღვებით შვილების გაზრდის ხარჯსაო. კიდეც ეგ არის სავალალო, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ღარიბნი ვართ და გუშინდელი მოსული გერმანელი კი იმოდენად მდიდარია რომ სახლობასაც გაუჭირვებლივ ჰკვებავს“.

ილიას აზრით, ასეთი მდგომარეობა იმიტომ არის, რომ ქართველი შვილის სწავლისათვის არც ხარჯს გაიღებს და არც თავს შეიწუხებს, რადგან მისი ფასი არ იცის.

დრომ კი ყველაფერი შეცვალა.

დრო გადიოდა. ზღვაში გადაგდებული ნაფოტივით გვათამაშებდა დიდი პოლიტიკური და სოციალური ძვრები. რუსული იმპერია თანდათან ცდილობდა უფრო მოქნილი გამხდარიყო. ასე იყო თუ ისე, ფაქტი ფაქტად დარჩა, რომ მე-20 საუკუნეში, სწორედ 20-იანი წლებიდან შეიქმნა სრულიად სხვა, ახალი, მანამდე მიუღწეველი ფართო კულტურული და საგანმანათლებლო ეპოქა. წერა-კითხვის უცოდინარმა ქვეყანამ სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში

თვისობრივი დიდი ისტორიული ცვლილებები განიცადა. მან შექმნა დიდი სამეცნიერო სკოლები, კულტურული ფასეულობები, რომელიც „მსოფლიო რადიუსით გაიშალა“ (ტ. ტაბიძე).

მიუხედავად ამისა, დღეს, ადვილია ვაგინოთ საბჭოთა ეპოქა, საგინებელი ცოტა აქვს თუ რა. დავივიწყოთ ცივილიზაციის რა დონეზე გავედით, ვინ და რით გაგვიცნეს. როგორ მოხდა ევროპული ღირებულებების ათვისება რუსეთის გზით? ყველაფერი ჩვენ გავაკეთეთ, რა შუაშია საბჭოთა კავშირი? – რა ადვილია არა ისტორიის უკანა რიცხვით ჩასწორება?

საბჭოეთი რომ არ ყოფილიყო, ვითომ თურქეთი ან სპარსეთი შეგვჭამდა? მათიც ხომ ვიყავით, მაგრამ არც ქრისტიანობა შეგვიცვლია, არც ქართული ტაძრები დანგრეულა. სპარსელებმა თბილისში ერთი მეჩეთის აშენება მოინდომეს, მაგრამ ქართველებმა არ მისცეს ნებაო, – იგონებს შარდენი.

რას არ იფიქრებს ადამიანის გონება. ჩვენი ისტორია ხელახლა ხომ არ არის დასაწერი?!.

გავიდა დრო, ჩემი სტუდენტების ბევრი თაობა დაბერდა. ტკივილიც ბევრი შემხვდა, ზოგი გარდაიცვალა...

დამოუკიდებელი საქართველოს სტუდენტებსაც მოვესწარი. უკვე ოც წელზე მეტი გავიდა ისტორიული ოცნების ახდენიდან.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობებში მოვიდნენ ახალი თაობები. გულახდილად უნდა ვთქვა: ახალგაზრდები (ჩემთან შედარებით) უფრო მომთხოვნი და უკომპრომისოები იყვნენ ტურებზეც და მისაღებ გამოცდებზე (გ. მარგველაშვილი, გ. შალუტაშვილი და სხვა). ჩემმა მეგობარმა ალ. შალუტაშვილმა ერთხელ დამირეკა, – ჩემს შვილს გიორგის ვთხოვე, ჩემი ახლობლის შვილი აბარებს, ტურებზე გაატარე, თუ არა აქვს მონაცემები, ნუ მიიღებ, მაგრამ იგრძნოს, რომ მე დავეხმარეო, მან კი პირველსავე ტურში ჩაჭრაო.

– აბა, რა გეგონა, – ამაყად ვუპასუხე მეგობარს.

მე ისევ სტუდენტებთან ვარ... არ მინდა დავემსგავსო იმ ხანში შესულ ლექტორებს, რომლებიც ამბობენ: „ჩემ დროს ასე იყო. ისე იყო. წიგნიერები იყვნენო. ლექციებს არ აცდენდნენო“...

ყოველ თაობას თავისი სატკივარი და თავისი „აქილევსის ქუსლიც“ აქვს...

წიგნი რომ კომპიუტერმა ჩაანაცლა, ერთობ საგრძნობი გახდა.

დემოკრატიზაციამ და მეტმა თავისუფლებამ ხელი ვერ შეუწყო

,ქართველი სტუდენტი გამხდარიყო უფრო განათლებული, უფრო შრომისმოყვარე...

კარგად ვერ გაგვიგია ილიას სიტყვები – ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო''...

მონას პატრონი აცმევს, აჭმევს, თავისუფალმა კი ყველაფერი თავად უნდა იშოვოს. ერთი სიტყვით, ,,თავისუფლება ლომთა ხვედრია'', როგორც ჯანსუღ ჩარკვიანმა თქვა...

# სტუდენტები – ჩემი სიყვარული

ყველაზე დიდი ბედნიერება სტუდენტებთან მუშაობაა. ჩემთვის მათთან ყოველი შეხვედრა დიდი სიხარულია, ერთგვარ აზარტულ თამაშივითაა. სტუდენტს სისხლი უჩქეფს, მოძრაობს, მოქმედებს, ერთ ადგილზე ვერ ჩერდება, ვნება, ტემპერამენტი არ ასვენებს, ფრაგმენტულად უსმენს ლექციას, მისი ფიქრები ხან სად გაფრინდებიან და ხან სად, მის ასოციაციებს საზღვარი არა აქვს...

მე კი მინდა, რომ დროებით გამოვთიშო გარე სამყაროს და ჩემი საუბრის თანაზიარი გავხადო.

ზოგადად ლექტორისა და სტუდენტის ურთიერთობის, მათი ოფიციალური მოვალეობის გარდა არსებობს ეროვნული ფენომენის თავისებურება. ქართველ სტუდენტს თავისი ფსიქოლოგია აქვს, რომელიც არ შეიძლება ლექტორმა არ გაითვალისწინოს.

პრობლემა უაღრესად რთულია და ერთ-ერთი პირველი ვინც ქართველი სტუდენტის ფსიქოლოგიით დაინტერესდა ს. ახმეტელი იყო.

ამ თემით ახმეტელი დაინტერესდა თავისი სტუდენტობის წლებში. მან ზუსტად შენიშნა ქართველი სტუდენტის გენეტიკური თავისებურება, ჩასწვდა მისი სულის სიღრმეებს.

ს. ახმატელმა სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა სტატია „ჩვენი ახალგაზრდობა“, რომელსაც კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებულად ფასეულია მისი დაკვირვება ქართველი სტუდენტის ფსიქოლოგიაზე, მის ტიპიურ თვისებებზე. სტუდენტი, –ახმეტელი, შემდგომში გენიალური რეჟისორი, წერს: „ჩემი გარჯის მიზანი ვინმესთვის ბრალის წაყენება სულაც არ არის. ღმერთმა დამიფაროს! ეს ერთობ დიდი გაბედულება და სიმამაცე იქნებოდა. მე მსურს მხოლოდ ექსკურსი გავაკეთო ჩვენი ახალგაზრდების თვით ფსიქოლოგიაში, ვცადო (რა თქმა უნდა, თუ ამას შევძლებ) ჩავწვდე მისი სულის იდუმალ კუნჭულებს და ასე მივუახლოვდე იმ ობიექტურ პირობებს, ასე სრულყოფილად რომ კვებავენ და განსაზღვრავენ თანამედროვე ქართველი სტუდენტის ტიპს“.

ახმეტელმა კარგად იცის, რომ დიდი პრობლემას შეეჯიდა, მაგრამ „დაგვიანება არ ღირს“, რადგან „სად და როდის უფიქრიათ ამაზე, ვინ დაინტერესებულა, ვის დაუწერია?. გადაატრიალეთ მთელი ჩვენი ლიტერატურა, წაიკითხეთ ყველა ჩვენი თანამედროვე პოეტი. ოი,

ღმერთო, მერედა რამდენია! წაიკითხეთ მწერლები, დრამატურგები, საბედნიეროდ ხომ არც ერთნი არიან ცოტანი, განა მათთან კი იპოვით თუნდაც ცდას მიუახლოვდნენ სტუდენტებს, როგორც მთელი კულტურული ერის ახალგაზრდობის შეგნებულ გამომხატველს. . . ჰკითხეთ რომელსაც გნებავთ ჩვენს საზოგადო მოღვაწეს, პედაგოგს, ლიტერატორს, თუ იცის რამე ქართველი სტუდენტის საშუალო ტიპის ფილოსოფიურ სამყაროზე, მისი ზნეობის ბუნებაზე და გონებრივ შესაძლებლობაზე? არის სადმე თუნდაც პატარა ნარკვევი ქართველი სტუდენტის ისტორიაზე? არა და არა. ჩვენი საზოგადოება სტუდენტებს არ იცნობს“.

ს. ახმეტელი პრობლემის კვლევას სტუდენტის მიერ ფაკულტეტის შერჩევით იწყებს. მას მიაჩნია, რომ ქართველი სტუდენტი „ერთობ ცუდად არის მომზადებული ფაკულტეტის ასარჩევად“.

ამიტომ გადადის ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე, მაგრამ მთავარი მაინც წინ არის. სწავლას გატაცებით იწყებს, „სიამოვნებით უსმენს ლექციებს“, იჩენს ინტერესს, „აქ ბევრი რამ არის სასიხარულო. მდიდარი ნიჭი – ეს ბუნებრივი სიმდიდრის მადანი“. მკვირცხლი გონება, თანამგრძნობი სული, ტემპერამენტიანი ხასიათი, რითაც ყოველ ქართველს უფლება აქვს იამაყოს ყველას წინაშე, ერთიანდებიან მტკიცე საფუძვლიან ერთ კვანძად – შრომის სურვილით“.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდის, მაგრამ თანდათან „ფერმკრთალდება და მალე მთლიანად ქრება. ავი დემონი თავისი ძლიერი, ხელმწიფური ხელით შლის ყველაფერს. რა მოხდა?“.

მოხდა ის, რომ სტუდენტი ან თავს ანებებს სასწავლებელს, ან გულს იცრუებს სწავლაზე, „ყველაფერი ჩვენ გვიშლის ხელს, ყველაფერი გვთიშავს: პატარა შიმშილი, შინიდან მიღებული არასასაიმოვნო ბარათი, ფანჯრებზე მოკაკუნე სიცივე, დახეული ბალიში“, ამას ეგუებიან, იტანენ თავისუფალი სტუდენტი ებრაელები, ფინელები, გერმანელები, პლონელები, ჩვენ ქართველებს არ შეგვიძლია. ჩვენ ზარმაცები კი არა ვართ, არაორგანიზებული ხალხი ვართ, ჩვენი პიროვნება გაორებულია, ნებისყოფა პარალიზებული გვაქვს და სასტიკად ვჭირვეულობთ. მხოლოდ ძლიერად უნდა გვიბიძგოს რამემ და ღრმად უნდა შეგვძრას, რათა დროებით, ცალკეულ ბედქუდიანებს მთელი სიცოცხლეც მოგვანიჭოს ჰარმონია მოქმედებისა“.

პრობლემას კვლევის სიღრმეებისაკენ მივყავართ.

ახმეტელი სტიუდენტების პრობლემას სხვა წერილშიც იხილავს. პირველი წერილი 1910 წლის 30 ნოემრით არის დათარიღებული, მეორე 1911 წლის 3 მარტით. წერილი იწყება ფრაზით: „ჩვენი სტუდენტობა კანონზომიერი, ღვიძლი პირმშოა თავისი ინტელიგენციისა. მეოცე საუკუნის ჩვენი ინტელიგენცია არ ძერწავს, არ ქმნის, არ განიცდის და თუ ცდილობს ხოლმე ამას, მაშინაც არაღვიძლ, არამშობლიურ არა თავის ცხოვრებას წარმოგვიდგენს“.

ს. ახმეტელი ყველაფერს უკავშირებს საქართველოს კოლონიურ, ქვეშევრდომულ ფსიქოლოგიას, ყველაფერ უცხოსადმი (იმჟამად რუსეთის) მონურ მორჩილებას. „მთელი ეს ჩვენი ცხოვრება, ჩვენი კულტურა, თანამედროვე ინტელიგენცია რომ ხელმძღვანელობს, ფასეულია, ძვირფასია ჩვენთვის, მაგრამ დაე მაპატიონ ეს გაბედულება, <u>იგი არაა ჩვენი მახლობელი, მშობლიური, ჩვენი ყოფა-ცხოვრების არსად ქცეული. . მასში ერთობ ბევრია უცხო, სხვა ეროვნული“</u> (ხაზგასმა ჩემია. ვ.კ.).

რა საოცრად ჰგავს მაშინდელი ამბავი დღევანდელს. ვხედეთ, ჩვენს ქალაქში რა წარწერებია. რა დღეშია ქართული ენა, ზოგიერთ შენობას მარტო ინგლისურ ენაზე აქვს წარწერა. ეს აგრესიული პროვინციალიზმი გვიტევს ტელეეკრანიდანაც. ქართულად ვეღარ მღერიან ახალგაზრდები, თუ ევროპელობა ჰგონიათ მხოლოდ ინგლისურ ენაზე სიმღერა. ვნერვიულობ, მაგრამ მაინც არ მეშინია, ამისთანები მოუნელებია ქართულ ენას? ხომ გახსოვთ „სპარსული ენის სიტკბოებანიო“ რომ წერდა პოეტი მეფე?

მე-20 ს-ნის 70-იან წლებში ერთხანს ქართული ესტრადაც გადაირია, სულ უცხოურებს მღეროდნენ, მაგრამ კულტურის სამინისტრომ ბრძანებით დაავალდებულა საესტრადო ჯგუფები ,ქართული სიმღერები შეესრულებინათ. ეს მოხდა კომუნისტურ ეპოქაში. მე ვარ უშულო მოწმე ამ პროცესებისა.

ქართველი სტუდენტის ეროვნული მენტალობის პრობლემის ახმეტელისეული კონცეფცია მრავად ასპექტს მოიცავს და იგი შრომებში მაქვს განხილული და აღარ გავიმეორებ.

„ჩვენი ახალგაზრდობის“ გამოქვეყნებიდან გავა თორმეტი წელი და სანდრო ახმეტელი გახდება სათეატრო ინსტიტუტის პედაგოგი. სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებს ასწავლის მიმოდრამის და პანტომიმის ხელოვნებას. სათეატრო ინსტიტუტის სამხატვრო

ხელმძღვანელი იყო კოტე მარჯანიშვილი, რომელიც მსახიობის ოსტატობას ასწავლიდა.

ს. ახმეტელის სტატიის თავისებური, ცხოვრებისეული გამოძახილია უ. ჩხეიძის მოგონებები. უშანგი წერს: „ჩემი რკინისებური ჯანმრთელობა მე გავტეხე უსისტემო მუშაობით და უწესრიგო, დაუდევარი ცხოვრებით. მე გადავწვი ჩემი ენერგია და ხანმოკლე, ბედნიერ მზიან დღეებს თან მოჰყვა დაუკმაყოფილებელი და ჩემთვის უაღრესად ტრაგიკული დასასრული“.

სულისშემძვრელი აღსარება და გაფრთხილებაა მომავალი თაობებისათვის!..

როცა სტუდენტების წერილებს ვკითხულობ, ვგრძნობ, რომ ცხოვრებას ხშირად ცვლის რომანტიკული განცდები, ყოველთვის ვერ სძლევენ ადამიანურ სისუსტეს, მაგრამ თვით პროცესიც ხომ ცხოვრებაა თავისი სიმკაცრით. ბუნება მასწავლებლისა კი ისეთი რამ არის, რომ მაინც უნდა ყველანი ისეთებად დარჩნენ, როგორებიც ახსოვს. სკოლის მოწაფეობისა თუ სტუდენტობის დროს.

ცხოვრება კი დაუნდობელია!..

ბათუმში ყოფნის დროს დღიურში ჩამიწერია: „24 დეკემბერია, ჩემი დაბადების დღე. ბათუმში ხელოვნების ინსტიტუტში წავიკითხე 2 საათიანი ლექცია. ვესაუბრე მწერლობაზე, თეატრზე, კურიოზებზე, საინტერესო სასაცილო შემთხვევებზე. სტუდენტების სიცილი ეზოში ისმოდა. მეც „უდარზე“ ვიყავი და ისე გავიდა ორი საათი, არ გაგვიგია.

დღეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა-მეთქი, ვთქვი. შემეკითხნენ – დაბადებისო? არ ვუთხარი. მერე თეატრში წავედი. რეზო მირცხუილავა ვნახე, გიზო ჟორდანიასთან წავედით. პირველი საათი იყო, დილიდან უჭმელი ვიყავი. ვერ მოვასწარი საუზმე. სადილზე შემიპატიჟა ნათელამ (გიზოს მეუღლემ). იმერულად უარი ვთქვი, თუმცა მშიოდა, ვფიქრობდი, მალე წამოვიდოდი და სადმე ვისადილებდი. იმერელის ამბავი არ იცი? შენ მოიტანე, რას ეკითხები, – უთხრა გიზომ. ვისადილეთ, ვისაუბრეთ. წამოვედი სასტუმროში, ჩავწექი ლოგინში. გადავწერე წერილი „ბეშუმის ღამე“, ვუყურებდი ტელევიზორს, ვისვენებდი. არაფერზე არ მინდოდა ფიქრი, მაგრამ არ გამომდიოდა“...

ლირიკული ინტერმედიები მოგონებების თანამდევი ნაწილია არამხოლოდ ჩემთვის, ჩემი ყოფილი სტუდენტებისათვისაც.

ადამიანს გარდასულ დროთა ნოსტალგია უჩნდება ხოლმე, მას განსაკუთრებული ხიბლი აქვს, – სევდის ხიბლი. ჩემმა ერთ-ერთმა სტუდენტმა, ნოდარ პაპუაშვილმა, ამ ოცდაათი წლის წინ ჯარიდან წერილი გამომიგზავნა.

იგი მწერდა: „გამარჯობათ ბატონო ვასო!

ახლა, როდესაც კარგა ხანია რაც ჯარისკაცი მქვია, როდესაც გამოვცადე ყველა ის გაჭირვება თუ ავ-კარგი, ამ წინასაახალწლო დღეებში რატომღაც მომინდა (მეც არ ვიცი რატომ!) მომეწერა თქვენთვის წერილი და მომელოცა ახალი წელი.

ყოველთვის მინდოდა მადლობა მეთქვა, მადლობა გადამეხადა იმ ყველაფრისათვის, იმ ხუთი წლის მანძილზე გაწეული შრომისათვის, იმ ენერგიისათვის, რაც დაგვახარჯეთ მე და ჩემს ჯგუფს. შვილები არასოდეს უხდიან მშობლებს მადლობას (რა თქმა უნდა ოფიციალურად). სულ უბრალოდ ხდება ეს – თავიანთი კაი კაცობით მიაგებენ პატივს და ყოველთვის ახსოვთ მათი ამაგი. ინსტიტუტის კედლებში უამრავი სტუდენტი აღზარდეთ. ყველამ თუ არა, მათგან 60 პროცენტმა მაინც ცხოვრების გზა ხელოვნების სიყვარულით გაიკვლია და ის სითბო, ადამიანური სიყვარული და სიკეთე შემოინახა მეგზურად. ახლა, როდესაც სასკოლო რვეულის ფურცლებზე გიწერთ ამ უცნაურ „აღსარებას“, მაგონდება და ყოველთვის გამახსენდება ინსტიტუტში გატარებული წლები, მაგონდება თქვენი ლექციები, ყოველთვის რაღაც მიზეზით გაწყვეტილი, რეკავდნენ ტელეფონზე, ვიღაცას იღებდით სამსახურში, ვიღაცას ხელს უწერდით დოკუმენტებზე, ვიღაცას სჯიდით ჩვენს თვალწინ. მახსენდება თქვენი საუბრის მანერა, რაღაც თავისებური, აღტაცებული, რომანტიკული. თითოეული მსახიობის თუ რეჟისორის პორტრეტი თქვენი ხელწერით. ახლა, როდესაც დღეებს ვითვლი აქ და ყოველი დღე საუკუნედ მეჩვენება (ამას სრული გულწრფელობით ვწერ, რადგან ასე მგონია, ქართველი კაცისათვის სრულიად ზედმეტია სამხედრო სამსახური და ამასთან ჩემს ასაკში), მიჭირს პრესის, ინფორმაციის, ხელოვნების, ლიტერატურის გარეშე ცხოვრება. ძალზე ძნელია მოხვდე იმ გარემოში, რაც კაცს არაფერს ჰმატებს, პირიქით - კარგავს კიდეც ადამიანის სახეს. მე ხომ არც მსახიობი ვარ, არც რეჟისორი, არც დიდი თეატრალი, მაგრამ რატომღაც ძალზე მომენატრა სპექტაკლის დაწყების წინ ხალხის ქაოსი ფოიეში, ყოველი ახალი სპექტაკლის უცნაური მოლოდინი.

ჩემს მაგიდაზე ახლაც დევს თქვენი „სანდრო ახმეტელი“. მის თავფურცელზე წარწერა ასე მთავრდება: „სანდრო ახმეტელის 100 წლისათავზე გაიხსენე შენი გზის დასაწყისი“. ყოველთვის მახსოვს ეს სიტყვები ბ-ნო ვასო. დიდი ხელოვანი თუ არა, დიდი თეატრმცოდნე თუ არა, ერთი უბრალო თეატრის მოყვარული კაცი ვარ. კარგად აქვს ნათქვამი გამსახურდიას „დიდოდსტატში“ – „კულტურის ნასუფრალით ვიკვებებიო“. ერთი წელიც და ალბათ იუნესკო აღნიშნავს ახმეტელის 100 წლისთავს. ერთი რამ მეც გავაკეთე. ჩემი მეტად კრიტიკული წერილის მერე, მისი სახლ-მუზეუმი ნორმალურად მაინც ხვდება დამთვალიერებს. თუმცა ამ საქმეს კიდევ დიდი ყურადღება და შრომა სჭირდება როგორც რაიონის, ასევე კულტურის სამინისტროს ხელით. რეჟისორი, რომელიც მსოფლიოს უდიდეს ხელოვანთა რიცხვში ითვლება, მისი მუზეუმი არ შეიძლება მოთავსებული იყოს ასეთ შენობაში.

P.S. თქვენი ორი წიგნიდან, ერთი როგორც იყო ვიშოვე. მეორეს კი ბ-ნო ვასო „რუსთაველიდან გალაკტიონამდე“ თქვენგან ავტოგრაფით დაველოდები (ჯარის მერე).

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით

თქვენი ყოფილი სტუდენტი

ნოდარ პაპუაშვილი

1984 წლის დეკემბერი“.

მძიმე იყო ჯარისკაცის ცხოვრება, მით უფრო ქართველებისა, ამიტომ კარგად მესმის მათი განწყობილება და ბედნიერი დღეების გახსენება. ჯარში წასვლა მოუწია ჩემს ყოფილ სტუდენტს გია ცქიტიშვილსაც. თავის ჯარისკაცულ რთულ ცხოვრებაზე მსუბუქი იუმორით მწერდა:

„გამარჯობათ ბატონო ვასო!

როგორც იქნა მომეცა საშუალება წერილის წერისა. 30 მაისს ჩამოვედი თუ არა სოხუმში, იმწუთშივე გამაქანეს გუდაუთაში, „უჩებკაში“. სამი თვე იქ გავტკუცე, სექტემბერში ჩამოვედი სოხუმში. ეს სამი თვე იყო მკაცრი წვრთნისა და სწავლების პერიოდი. როგორც იქნა დამთავრდა ჯოჯოხეთური ტანჯვა და მეც ნამდვილ მესაზღვრედ მოვევლინე მშობელი ქვეყნის საზღვრებს. აქ სოხუმის დივიზიაში დიდხანს იფიქრეს, ჩემი სპეციალობის კაცი თუ რომელ ნაწილში ჩავერიცხეთ. ისე, სიტყვა თეატრმცოდნე ერთობ გაუგებარი აღმოჩნდა მათთვის, თავიდან მსახიობი ვეგონე. როგორც იქნა

ავუხსენი, რომ კრიტიკოსი ვარ. ძალინ დიდხანს იმსჯელეს და რადგანაც აქ თეატრის ჩანასახიც არა აქვთ, სამხედრო ორკესტრში ჩამრიცხეს. მომცეს სპილენძის თეფშები და დაუკარიო, მოთხრეს. მე ვუთხარი, ჩემს სიცოცხლეში არცერთ ინსტრუმენტზე არ დამიკრავს, არავითარი მუსიკალური განათლება არა მაქვს და საერთოდაც სმენაც ერთობ განუვითარებელი მაქვს-მეთქი (დღემდე ერთი სიმღერა რაა, ისიც არასოდეს მიმღერია, სუფრაზეც კი. მართალია, სმენა არა მაქვს, მაგრამ სინდისი ჯერ არ დამიკარგავს). მაინც დამტოვეს თეფშებზე დამკვრელად. დილაობით ვასრულებთ საბჭოთა კავშირის ჰიმნს და რამდენიმე სამხედრო მარშს. მეც ვდგავარ და შეუსვენებლად ვუტყაპუნებ თეფშებს. ესაა და ეს. შემდეგ კი მესაზღვრის მოვალეობასაც პირნათლად ვასრულებ. ადრე კიდევ არა უშავდა, ახლა აცივდა და ღამღამობით კბილს-კბილზე ვაცემინებ, მაგრამ მაინც ფხიზლად ვდარაჯობ საზღვარს. ჩემი შიშით მაღლა ფრინველს და დაბლა ჭიანჭველას ვერ გაუბედია აქეთ მხარეზე გადმოსვლა. თურქები ხომ სათოფედ არ მეკარებიან, დავდივარ ასე ავტომატით მხარზე და „ბინოკლით“ შეიარაღებული. ალბათ ახლა მშვიდად გძინავთ, რადგან თქვენს მშვიდობიან ძილს მე ვდარაჯობ.

სპეციალობაზე ხომ ფიქრიც ზედმეტია, წიგნი კი არა, გაზეთი დამავიწყდა რა ფერისაა. აგერ მეოთხე თვეა არც სპექტაკლი მინახავს და ერთი პწკარიც არ დამიწერია. ყველაზე მეტად ეს მიკლავს გულს, არ მინდა სპეციალობა დავკარგო. თქვენ თავად მეუბნებოდით, ყოველდღიური წვრთნაა საჭირო. წვრთნა კი არა, ალბათ შეამჩნევდით როგორ ვწერ, წერილის წერაც კი მიჭირს, ასოები ძლივს გამომყავს, რისთვისაც ბოდიშს გიხდით. მოკლედ, ბატონო ვასო, ამ ორი წლის (უფრო სწორად წელიწად ნახევრის) მანძილზე თქვენი შრომა წყალში იყრება. რომ ჩამოვალ ყველაფერი თავიდან მექნება დასაწყები. თან ჯარიდან დაბრუნების შემდეგ ხარისხზე ვაპირებ მუშაობას, ალბათ ჩემს სადიპლომო შრომას გავაგრძელებ. აი, ასეთი ამბებია.

ბატონო ვასო, მოგეხსენებათ როგორ პატივს გცემთ, მიყვარხართ და ჩემს უერთგულეს უფროს მეგობრად მიმაჩნიხართ. თქვენ ჩემთვის იმ თითზე ჩამოსათვლელი ძვირფასი ადამიანების რიცხვში ხართ, რომლებიც მე გამაჩნია. ახლაც ხშირად მენატრებით, მაგონდება ხოლმე თქვენთან საუბარი, თქვენი ხუმრობა, გამამხნევებელი თუ მეგობრული, გულითადი რჩევა. თქვენ თავად მიაღწიეთ იმას, რომ

ჩემთვის (მე მგონი არა მარტო ჩემთვის, არამედ ჩვენი ბიჭებისათვის კახასა და ლევანისათვის (თეატრმცოდნეები კახა ტრაპაიძე და ლევან ხეთაგური) მასწავლებლის, პედაგოგის გარდა, ყოველთვის სასურველ ახლობელ ადამიანად იქეცით. არცერთ ჩვენგანს არასოდეს არ დაგვავიწყდება, როგორ პატარა ბავშვივით გიხაროდათ ჩვენი სულ მცირე წარმატებაც კი, ამ სიხარულს ჩვენ ყოველთვის ვამჩნევდით და ვაფასებდით.

ალბათ გაგიკვირდებათ, ბატონო ვასო, ჩემი ასეთი აღსარება, მაგრამ მერწმუნეთ, ეს არ არის სიმთვრალეში აღძრული გულისამაჩუყებელი აღსარება თუ სიყვარულის ახსნა. მოგეხსენებათ, ჯარში ამასთან ერთად მესაზღვრეებში დალევაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ჩემი ხასიათიც კარგად მოგეხსენებათ, როგორი სიტყვაძვირი ვარ და ორატორული ნიჭითაც არ გამოვირჩევი. წერა უფრო მეხერხებოდა ყოველთვის. ამას, რაც ზემოთ დავწერე, ვერასოდეს გეტყოდით ბატონო ვასო, უბრალოდ ვერ შევძლებდი. ასე შორიდან კი, როგორც ხედავთ გაგიმხილეთ ჩემს გულში ჩამარხული „საიდუმლო“. საერთოდ ჯარში კიდევ ერთხელ აღმოვაჩინე მარადიული ჭეშმარიტება, – ადამიანი რაც უფრო ძვირფასია შენთვის, მის ფასს ხანგრძლივი განშორების შემდეგ უკეთ შეიგრძნობ და მეტად აფასებ.

ბატონო ვასო, თქვენი ჯანმრთელობის ამბავი მაინტერესებს, თუ მოიცლით მომწერეთ, ძალიან გამახარებთ. ჩემგან მოკითხვა გადაეცით თქვენს მეუღლეს, მაიას და ბექარს.

თქვენგან მარად დავალებული, თქვენი მოწაფე,

კოლეგა და უმცროსი მეგობარი გია.

5/X.-87 წ.

1986 წელს დაამთავრა თეატრმცოდნეობის ჩემმა პირველმა ჯგუფმა დრამის თეორიისა და კრიტიკის სპეციალობით. ძალიან კარგი ნაკადი მოვიდა იმ წელს, ბედმა გამიღიმა. მომეცა სტიმული, გატაცებით, მთელი ჩემი ენერგიითა და ცოდნით მემუშავა. ჯგუფში 15 სტუდენტი იყო და მე და ნათელა ურუშაძემ გავინაწილეთ. ნათელამ მითხრა, რომ ბიჭები სულ დედებთან და ბებიებთან იზრდებიან, ინსტიტუტში მაინც იყვნენ კაცთანო, შენს ჯგუფში წაიყვანეო. ასეც მინდოდა, გამეხარდა, მაგრამ ნათელასთან თქმას ვერიდებოდი. ვიცოდი, რომ რექტორი ეთერ გუგუშვილი არ დამთანხმდებოდა ასეთ განაწილებას. ერთ-ერთ დღეს, როდესაც ეთერი არ იყო ინსტიტუტში, მე და ნათელამ მოვაწყვეთ ჯგუფის გაყოფა, იმავე

დღეს ბრძანების პროექტიც დავწერე და კადრებს გადავეცი.

ეთერ გუგუშვილმა გვისაყვედურა ჯგუფების ასეთი განაწილება, ყველა ვაჟი რომ ერთ ჯგუფში მოხვდა. ჯგუფში მოგვიანებით შემოგვემატა კახა ტრაპაიძე. ეთერს ვთხოვე, რომ კახაც ჩემს ჯგუფში ყოფილიყო, მაგრამ არაფრით არ დამეთანხმა, თუმცა ქართული თეატრის ლექციებს ჩემთან ისმენდა.

ჩემს ჯგუფში იყვნენ: კოტე აბაშიძე, მაია გაბუნია, მაკა ვასაძე, მანანა ტურიაშვილი, ეთერ შავიძე, გოგა ჩართოლანი, გია ცქიტიშვილი, ლევან ხეთაგური, მადონა ხაზარაძე. ჯგუფში მოგვიანებით გადმოვიდა ანუკა ჭავჭავაძე. შეიკრა ძლიერი ჯგუფი და ცხოვრებამაც დაადასტურა მათი პერსპექტიულობა.

თეატრმცოდნეთა ამ პირველ ჯგუფამდე მყავდა ჯგუფი თეატრის მართვის პროფილით.

თეატრმცოდნეთა ჩემი ჯგუფის პარალელურად ნათელა ურუშაძესთან იყვნენ: მაია გოშაძე, თამარ ბოკუჩავა, ნანა ფრიდონაშვილი, კახა ტრაპაიძე, ნინო ჭანტურია.

1986 წლის შემდეგ არაერთმა თეატრმცოდნემ დაამთავრა წარმატებით და ღირსეულად მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში, მაგრამ დღემდე არ მინახავს კურსდამთავრებულთა ისეთი ნაკადი, სადაც 15 სტუდენტიდან ყველა დასაქმებული იყოს და ნაყოფიერად მუშაობდეს, როგორც ეს მოხდა ჩემი და ნათელას ჯგუფის შემთხვევაში.

როგორც აღვნიშნე, ჩვენი სტუდენტები განსხვავებული სტუდენტები არიან. ფაქტების დამოწმებით ვადასტურებ მათ განსხვავებულობას, ამიტომ გაგებით ვხვდებოდით მათ ახირებას თუ „შერეკილ“ ქცევებს. ხშირად ვთამაშობდი მკაცრი პრორექტორის როლს, ზოგჯერ გამომდიოდა „თამაში“, ზოგჯერ – არა.

როცა სტუდენტის საქციელი ფორმალურად გარიცხვას იმსახურებდა, მაგრამ არ ვრიცხავდი, მაშინ განსაკუთრებული ხაზგასმით ვუყვიროდი მათ.

მეტისმეტად აიშვა ერთმა ჯგუფმა, გარიცხვას იმსახურებდნენ. სტუდენტებიც საკმაოდ შეშინებულები იყვნენ. ერთხელ გამოვიძახე ჯგუფი. ჩამწკრივდნენ ჩემს კაბინეტში თავჩაღუნულები. მე ჯერ მშვიდად დავიწყე საუბარი, ვიგრძენი, რომ ზედმეტად დიდაქტიკური იყო ჩემი დარიგებები და საყვედურები. სტუდენტები ძალიან უხასიათოდ, ყურებჩამოყრილები მისმენდნენ, მერე თავი გავიღიზიანე

და ხმას ავუწიე. თანდათან აზარტში შევედი და დავუწყე ლანძღვა. უცებ სტუდენტებს სახე გაუნათდათ, რაც უფრო ვუწევდი ხმას, რაც უფრო მეტად ვემუქრებოდი, მით უფრო კარგ ხასიათზე დგებოდნენ. გავცოფდი, ვერ გავიგე, რა ხდებოდა. ერთ-ერთ სტუდენტს, რომელსაც უკეთ ვიცნობდი გაბრაზებით მივმართე:

— გამაგებინე, რა ხდება, ვის დასცინით, მე ნერვები დამაწყდა, თქვენ კი გაბრწყინებული სახეებით მიყურებთ...

— ბატონო ვასო, ყვირილი რომ დაგვიწყეთ, მივხვდით, რომ გარიცხვას გადავრჩით.

— რატომ გგონიათ? ვინ გითხრათ, გაირიცხებით!..

— ყველა სტუდენტმა იცის, თუ მას დაუყვირებთ და გალანძღავთ, არავითარ შემთხვევაში არ გარიცხავთ. როცა საუბარი წყნარად დაგვიწყეთ, შევშინდით, გვრიცხავდით გვეგონა.

სტუდენტებს არაფერი არ გამოეპარებათ. ყველაზე დაუმორჩილებელი, ყველაზე „შერეკილი“ სტუდენტები ხშირად ყველაზე ნიჭიერები არიან. შემოქმედებითი ნიჭი დაუმორჩილებელია, სულ იბრძვის... ვინ მოთვლის რამდენი ნიჭი გადავურჩინე ქართულ თეატრს...

ჩემს კაბინეტთან ახლოს ერთ-ერთი კათედრის ოთახი იყო, სადაც მისი გამგე ლექციებსაც ატარებდა. დოდო ალექსიძის რეჟისორების ჯგუფთან ჰქონდა ლექციები. განათლებული კაცი იყო, მაგრამ სტუდენტებს გამოცდაზე პირდაპირ აწამებდა, გამოცდებით ტკბებოდა, სტუდენტებთან ირონიული დამოკიდებულება ჰქონდა. ხშირად ლექციას ასე იწყებდა: „ჯეკ ლონდონი... ჯეკი ძაღლი არ გეგონოთ, მწერალი იყო“...

ერთ დღეს ჩემს კაბინეტში საშინელი სუნი დადგა, ვიფიქრე, ახლოს მილი გასკდა და ფეკალური მასები დაიღვარა ან გაზი გაუშვეს — მეთქი, წამოვდექი ადმინისტრატორის დასაძახებლად, მაგრამ ამ დროს კაბინეტში აღელვებული შემოვარდა კათედრის გამგე:

— პროვოკაციაა, ბატონო ვასო, 7 ნოემბრის წინ! — მისცა პოლიტიკური შეფასება.

— რაშია საქმე, რა ხდება?

— ლექციაზე რომ შევედი, ალექსიძის მთელი ჯგუფი დამხვდა დალეწილი, თავები შეხვეული ჰქონდათ, ზოგს ხელი მოტეხილი და ბინტით ჩამოკიდებული, წითლად აჩნდათ სისხლის ნაკვალევი,

ავარიაში მოვყევთო, მაგრამ თქვენი ლექცია მაინც არ გავაცდინეთო, დავუჯერე და ლექცია გავაგრძელე. ზარის დარეკვის წინ ჩემს მაგიდაზე ხოჭოები გაჩნდა, რაღაც საშინელი სუნი დატრიალდა ოთახში, ხომ ხედავთ, მთელი ინსტიტუტი ამყრალდა, პროვოკაციაა, ნამდვილი პროვოკაცია, ყველა სტუდენტი უნდა გაირიცხოს, — ასეთი იყო კათედრის გამგის მღელვარე განცხადება.

დავურეკე ბ-ნ დოდო ალექსიძეს, ვთხოვე, რომ სასწრაფოდ მოსულიყო. რექტორი ეთერ გუგუშვილი თბილისში არ იყო, ყველაფერზე მე ვაგებდი პასუხს. გამოვიძახე სტუდენტები. საკითხის განხილვამდე მოვასწარი გამეგო ნამდვილი ამბავი. სტუდენტებმა გულწრფელად მითხრეს სიმართლე, გაითამაშეს, ვითომ ავარიაში მოყვნენ და ასე უცნაურად შეიმოსნენ. ერთ-ერთ სტუდენტს უცხოეთიდან ჩამოტანილი სახუმარო, გასართობი, მყრალი სუნის ფლაკონი ჰქონია, გაუშვეს, ზედმეტი მოსვლიათ და მთელი სართული ამყრალდა, ხოჭოებიც ხელოვნური იყო. ამ აქციის გამო იმედი ჰქონდათ, ლექტორი უარს იტყოდა ჯგუფზე, მაგრამ პედაგოგმა მათ ჩანაფიქრს პოლიტიკური სარჩული დაუდო. სიტუაცია როგორმე უნდა ჩამეცხრო. მოვიდა ჯგუფის ხელმძღვანელი ბ-ნი დოდო, შევიკრიბეთ კათედრის გამგესთან ერთად. მე დავიწყე აგრესიული ლაპარაკი, შევთხზე ტყუილი, ვითომ სტუდენტებს ძალიან უყვარდათ ის პედაგოგი, მისი იუმორი და ამიტომ იცელქეს. დოდო ალექსიძემ ჯერ ვითომ მკაცრად გააკრიტიკა სტუდენტები, მაგრამ, ბოლომდე ვერ მოითმინა და დაიწყო ხუმრობა, სტუდენტების „დანაშაულს“ არასერიოზული ფორმა მისცა. მივხვდი, რომ კათედრის გამგეს ეწყინა და მე ისევ მკაცრი განცხადებების კორიანტელი დავაყენე.

— თქვენ ყველანი გარიცხვის ღირსნი ხართ. ბ-ნო დოდო, ჯგუფი იმდენად არასერიოზულია, რომ მკაცრი სასჯელის ღირსია. სამწუხაროდ, მათ სწორედ იმ ადამიანთან მოუვიდათ კონფლიქტი, რომელიც უყვართ, ხშირად მელაპარაკებოდნენ, რომ ლექციებზე ის არის ნამდვილი მეცნიერი, კეთილი ადამიანი.

ვიგრძენი, რომ ლექტორი გატყდა, არ ელოდა სტუდენტებისაგან ასეთ შეფასებას.

— ვიცი, ბ-ნ პროფესორსაც უყვარხართ, მაგრამ მისი ლექციების ღირსნი არა ხართ, — გავუტიე და გავუტიე ტყუილები. კათედრის გამგე მოტყდა, გარიცხვას აღარ მოითხოვდა, მაგრამ მთელი წლით უნდა მოეხსნათ სტიპენდიაო. დავპირდი, რომ იმ დღესვე დავწერდი ბრძანებას.

დავიშალეთ. პოლიტიკური ბრალდებისაგან გადარჩენილ ჯგუფში ძალიან კარგი, ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდები იყვნენ. სტიპენდიის მოხსნა არ მინდოდა. პროფესორმა მეორე დღეს შეამოწმა, დაიწერა თუ არა სტიპენდიების მოხსნის ბრძანება. ბრძანების პროექტი მართლაც დავწერე, გადავეცი კადრებს, მაგრამ გავაფრთხილე, მსვლელობა არ მიეცათ. პედაგოგმა კადრებში ნახა ჩემი ბრძანების პროექტი და დაშვიდდა. ამ ამბის შემდეგ ერთი თვე გავიდა, სტუდენტებმა ჩვეულებრივ მიიღეს სტიპენდია. ის პედაგოგი ჩემთან აღშფოთებული შემოვიდა, – რატომ მიიღეს სტიპენდიაო. მე კადრებს გადავაბრალე, რომ თითქოს ბრძანება ოპერატიულად არ დაიბეჭდა, მეორე თვესაც შეამოწმა და როცა ნახა, სტუდენტები მაინც იღებდნენ სტიპენდიას, ჩემზე ერთხანს განაწყენებული იყო... გამაბითაურაო, ამბობდა თურმე. სტუდენტთა ხუმრობას რომ პოლიტიკური სარჩული დაუდო, რისი ღირსი იყო?..

ზოგჯერ მსაყვედურობდნენ, რომ ზოგი სტუდენტი მეტად მიყვარდა, უფრო ახლოს ვიყავი, ვმეგობრობდი. ეს მართალია. როცა ირაკლი აფაქიძემ ხეჩო ითამაშა (რ. გაბრიაძის პიესაში „მრშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“), სიჭაბუკის ნიჭიერება გამობრწყინდა. თანაც მამისაგან ყურადღება აკლდა. დავმეგობრდით, დიდი იმედით ვუყურებდი ირაკლის მომავალს. მ. თუმანიშვილმა, გ. ჟორდანიამ (მისი მასწავლებელი იყო) და რ. სტურუამ მიაქციეს ყურადღება. ერთხანს ავთო ვარსიმაშვილთან მუშაობდა, მაგრამ რაღაც გაიფანტა, ვერ აეწყო საქმე. ასევე ნოსტალგია მაქვს თეატრში ზურაბ ცინცქილაძის წარმატებებზე. რა კარგად დაიწყო თეატრში, კინოში, ტელევიზიაში, ინსტიტუტში – პედაგოგად, ყველგან ჰქონდა წარმატებები, მშვენიერი ოჯახი შექმნა, მაგრამ ბათუმელ კაცს ბათუმში აღარ  დაედგომებოდა, ბინა წაართვეს, ლამის დანაშაულად ჩაუთვალეს მემედ აბაშიძის როლის წარმატებით შესრულება. ასევე ვმუშაობდი ლტოლვილ სტუდენტებთან, სადაც ახლა ზუგდიდის თეატრს ხელმძღვანელობს ბადრი წერედიანი. ბადრიმ თემურ ჩხეიძის შემოქმედებითი სახელოსნო დაამთავრა. თემურთან მუშაობა დიდი სკოლა იყო.

ახალგაზრდებთან მეგობრობა დიდი სტიმულია.

დავით კობახიძე დიდხანს იყო დრამის ფაკულტეტის დეკანი. ჩემს არქივში ინახება ერთ-ერთი ტიპიური შემთხვევა იმის დასადასტურებლად, თუ როგორი სიფრთხილით ვეკიდებოდი ყოველ ნიჭიერ სტუდენტს, რა ზომებს არ მივმართავდით, რათა ისინი

პროფესიული პასუხისმგებლობით აღგვეზარდა.

ბევრი ლექცია უცდებოდათ მეორე კურსის სტუდენტებს – ა. ძიძავასა და მ. ცეცხლაძეს. ნებისმიერ დროს შეიძლებოდა მათი გარიცხვა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები იყვნენ. მაშინ ასეთ ხერხს მივმართეთ: მე დავწერე ცრუ ბრძანების პროექტი: „სამსახიობო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები ა. ძიძავა და მ. ცეცხლაძე სისტემატიურად აცდენდნენ ლექციებს. მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, მათ მაინც ვერ შეიგნეს თავიანთი შეცდომები, რის გამოც ვბრძანებ: 1. გარიცხულნი იქნან ინსტიტუტიდან სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტები ა. ძიძავა და მ. ცეცხლაძე. 2. ა. ძიძავასა და მ. ცეცხლაძის გარიცხვის ბრძანება დაეგზავნოთ მშობლებს“. ამავე ბრძანებას წავაწერე: დ. კობახიძეს, გთხოვთ თქვენს დასკვნას, რათა საბოლოოდ გადაწყდეს ა. ძიძავასა და მ. ცეცხლაძის გარიცხვის საკითხი. 28. X. 86“.

მთელი ეს ამბავი მე და დათომ წინასწარ მოვიფიქრეთ და მოვაწყვეთ სტუდენტების შესაშინებლად. სინამდვილეში გარიცხვას არ ვაპირებდით. ჩვენმა ხერხმა გასჭრა.

დღეს ორივე მსახიობი წარმატებით მოღვაწეობს ქუთაისისა და ბათუმის თეატრებში. მ. ცეცხლაძემ შესანიშნავად ითამაშა ჟანა დარკის ჟ. ანუის პიესაში „ტოროლა“. არაერთი სხვა წარმატებაც მოიპოვა. წლის საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრის პრემიაზე „დურუჯი“ წარდგენილი იყო ქუთაისის თეატრის წარმოდგენა ლ. ტოლსტოის „ანა კარენინა“. გ. სიხარულიძის სპექტაკლმა ინტერესი გამოიწვია. ჩემდა სასიხარულოდ, ყურადღება მიიქცია ა. ძიძავას ანა კარენინას მნიშვნელოვანმა წარმატებამ. გამოჩნდა სცენური და მართალი მსახიობი, უკვე ოსტატი.

როცა ჩემს პედაგოგიურ მუშაობაზე ვფიქრობ, ერთ მთლიანობაში მოვიაზრებ თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტში გატარებულ წლებს.

მთელი ცხოვრება სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებს დავუკავშირე. ლოგიკური იყო ჩვენი უნივერსიტეტის კავშირი ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტთან, დღეს მას უკვე ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ჰქვია. ბათუმის ინსტიტუტის დაარსებაში დიდი წვლილი შეიტანა ჩვენმა უნივერსიტეტმა. ჩვენი უნივერსიტეტის პედაგოგები (ლ. მირცხულავა, ლ. თაბუკაშვილი, გ. ჟორდანია, მ. კალანდარიშვილი, ლ. ოჩიაური, ა. შალიკაშვილი, მ. ითონიშვილი,

გ. ყაჯრიშვილი, ო. ჟღენტი, კ. მებუკე, ნ. გიგაური და სხვები) დაარსების პირველი დღეებიდანვე ვმონაწილეობდით ინსტიტუტის სასწავლო პროცესში. ასე რომ, ბათუმელ პედაგოგებთან ერთად, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტიც არის ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

ასედაც იყო იმთავითვე ჩაფიქრებული, როცა ბათუმშო უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჩაისახა. შემთხვევითი არ იყო, რომ რექტორებად მუშაობდნენ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები – ლ. მირცხულავა და გ. ჟორდანია. შემდეგ აირია სიტუაცია და ინსტიტუტი შეუერთეს ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტს ფაკულტეტის სტატუსით, მაგრამ შეერთება ორგანული არ აღმოჩნდა და მალე შეიცვალა სტატუსი.

ბათუმის რუსთაველის უნივერსიტეტიდან ხელოვნების უნივერსიტეტის გამოყოფაში და უფრო მაღალი სტატუსით აღდგენაში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის. სპეციალური სტატიით გამოვეხმაურე პრობლემას, ნიადაგის შემზადების მიზნით.

გ. მარგველაშვილს ძალიან უნდოდა ბათუმის სახელოვნებო განათლების სისტემის დაკავშირება ჩვენს უნივერსიტეტთან. მახსოვს, რომ მან ბათუმში რუსთაველის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც შეწუხებული იყო ფაკულტეტის მკვეთრი სპეციფიკითა და ხარჯიანობით, ურჩია, მხარი დაეჭირა ფაკულტეტის მიერ უნივერსიტეტის სტრუქტურიდან გასვლისთვის.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში შესანიშნავი პროფესორ-მასწავლებლები მოღვაწეობენ. ყველა მიყვარს, ყველა ჩემიანია. მათ გამორჩეული ადამიანური აურა აქვთ. ეს მრავალმხრივ განაპირობა რექტორმა ერმილე მესხიამ, რომელმაც თავისი ორგანიზატორული ნიჭით, ადამიანებთან ურთიერთობის კულტურით და საქმისადმი საჭირო დიპლომატიური სვლებით უნივერსიტეტს ავტორიტეტი მოუპოვა.

ალბათ, ბანალურია იმის თქმა, რომ ბათუმი ჩემი საყვარელი ქალაქია. იყოს ბანალური, მერე რა მოხდა!

ზღვის შესახებ ლექსებს მაშინაც ვწერდი, ვიდრე ზღვას ვნახავდი, ისე, ფანტაზიური წარმოსახვით. ეს იყო სკოლის წლებში, როცა ზღვა პირველად ვნახე, გამაოცა მისმა დაუსაბამო სივრცემ. ეს მოხდა ბათუმში. გამიკვირდა, ღამე როგორ ეძინა ქალაქს ზღვის გვერდით.

თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, ბათუმის თეატრში გამანაწილეს სალიტერატურო ნაწილის გამგედ, ბედად ადგილი დაკავებული დამხვდა, გამეხარდა, სოფლიდან თბილისში ჩამოსულს, უკვე აქაურობას შეჩვეულს, აღარსად მინდოდა წასვლა, ჩემი პროფესიისათვის ასე სჯობდა.

ბათუმმა „მიშველა“ და დამტოვა თბილისში.

საქართველოში ქოლერა რომ გაჩნდა, მაშინ მე და ნოდარ გურაბანიძე ბათუმში მოვხვდით. თეატრში დავდიოდით. გოგი ქავთარაძემ კარგად გვიმასპინძლა „ინტურისტის“ რესტორანში.

სასტუმრო „ინტურისტის“ ეზოდან მარჯვნივ, პირველ სართულზე, კაფე იყო, ყავის დასალევად აქ თეატრალები იკრიბებოდნენ, განსაკუთრებით ხშირი სტუმარი იყო შესანიშნავი მსახიობი იუსუფ კობალაძე.

ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტმა ძალიან დამაკავშირა ბათუმთან.

დიდი საქმე გაკეთდა ინსტიტუტის შექმნით. ქართველებს ერთი დიდი უბედურება გვჭირს. როგორც კი კაცი თანამდებობაზე დაინიშნება, წინამორბედის კრიტიკით იწყებს მუშაობას. ასეა პოლიტიკაში, ასეა ხელოვნებაში. და საერთოდ, ყველა სფეროში. თეატრში როცა ახალი მთავარი რეჟისორი ინიშნება, პირველად ძველი ხელმძღვანელის დროს დადგმულ სპექტაკლებს დაერევა ხოლმე, რეპერტუარიდან იღებს ძველ წარმოდგენას.

ინსტიტუტი კი ასე შეიქმნა: ქობულეთში ვისვენებდი, სანატორიუმ „საქართველოში“, ქობულეთში ისვენებდა პრეზიდიუმის თავმჯდომარე ალექსანდრე დიდებულიძე, რომელსაც ვიცნობდი.

ერთ დღეს მითხრა – ასლან აბაშიძეს თქვენთან უნდა შეხვედრა და რა წინადადებასაც გეტყვის, უარი არ უთხრაო.

საიდუმლოდ გამიმხილა: ხელოვნების ინსტიტუტის დაარსებას აპირებს და თქვენ უნდა ჩაუდგეთ სათავეშიო. ჩემს პასუხს არ დაელოდა და თავისი პოზიციაც გამოხატა, – „რექტორი აუცილებლად მეცნიერი უნდა იყოსო“.

კატეგორიული უარი ვუთხარი, ვმუშაობდი თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორად. მაგრამ დავარწმუნე, რომ ამ საქმეზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ვთხოვე, ასლანი გაეფრთხილებინა, რომ ამ თემაზე ლაპარაკი არ ყოფილიყო, არ მინდოდა უხერხული სიტუაცია შექმნილიყო.

ორი დღის შემდეგ ბ-ნმა ალექსანდრემ მითხრა, უკვე ველაპარაკე ასლანს, მაგრამ მაინც უნდა შენთან შეხვედრაო, რომ მანქანას გამომიგზავნიდა. სანატორიუმის დირექტორმა, მ. ჭიპაშვილმა თავისი მანქანა შემომთავაზა. მალხაზთან ვმეგობრობდი, წლები მაკავშირებდა, სანატორიუმში დასვენების დროს ხელს მიწყობდა, რათა მემუშავა წიგნებზე, მუშაობის საშუალება მქონოდა, ოთახში მარტო ვიყავი ხოლმე. ვიცოდი, რომ ეს დიდი პატივისცემა იყო, ამისთვის მუდამ მადლიერი ვიყავი. ჩემი ყოფილი სტუდენტი მ. ქათამაძე ყურადღებას არ მაკლებდა.

ჩავედი ბათუმში, შევხვდი ასლანს, ვისაუბრეთ ინსტიტუტის მომავალზე, თბილისიდან პროფესორ-მასწავლებლების მოწვევასა და სხვა ბევრ პრობლემებზე.

საუკეთესო მოგონებები დამრჩა ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის კოლექტივზე, სიხარულით მივდიოდი ხოლმე ლექციების წასაკითხად. ვგრძნობდი, რომ იქ მელოდებოდა ადამიანური სითბო და ყურადღება, ჩემთვის ყველა ახლობელი გახდა, მეც საჭირო გავხდი მათთვის. ახალი ინსტიტუტის შექმნისათვის ათასი პრობლემა იყო გადასაწყვეტი. პრორექტორი ნოდარ ვარშანიძე საოცარი ენთუზიაზმით მუშაობდა, ყველაფერი აინტერესებდა, რაც ინსტიტუტის დამკვიდრებასთან იყო დაკავშირებული. მხვდებოდა სადგურში და იმავ წუთიდან ვიწყებდით საუბარს, თუ რა და როგორ გაკეთებულიყო. ასევე ვსაუბრობდი სამეცნიერო დარგის პრორექტორთან ერმილე მესხიასთან, რომელიც შემდეგ წარმატებული რექტორი გახდა და მე ოფიციალური კონსულტანტი ვიყავი, ლექციების კითხვის პარალელურად. ბევრ თანამშრომელზე შემიძლია კეთილი სიტყვის თქმა. ყველანი ახლობელთა სახეებად დარჩნენ ჩემს მოგონებებში. იყო შრომითა და სიხარულით სავსე დღეები.

ყოველ საღამოს ჩემს პატარა ოთახში, რომელიც თეატრმა დამიქირავა, მოდიოდნენ სტუდენტები და სხვადასხვა თემაზე ვსაუბრობდით, სულ ერთად ვიყავით. მერე გავისეირნებდით სანაპიროზე, განსაკუთრებით ხშირად ვსეირნობდით ლაშა ჩხარტიშვილი, ნერონ აბულაძე და მე. ვსაუბრობდით ყველა თემაზე, მინდოდა მათ ეგრძნოთ სრული თავისუფლება, მუდამ ვცდილობდი ასაკობრივი ბარიერის გადალახვას გულახდილობის გზით. მათი საიმედო მეგობარი ვიყავი, თუმცა არასოდეს გადაულახავთ უჩინარი ზღვარი, რომელიც მუდამ არსებობს ოსტატსა და შეგირდს შორის.

ყველა სტუდენტი მიყვარდა. ყველას როგორ ჩამოვთვლი. ერთხელ გიგა ლორთქიფანიძემ მითხრა: ჩემ გარდა დღეს თეატრში ყველა შენი ნასტუდენტარიაო. კარგია ასეთი გადაჭარბება, თუმცა 1965 წლის შემდეგ ვინც დაამთავრა, ასეა!..

ბათუმში ერთხელ, ბაღის შესასვლელთან ვსეირნობდით, სადაც მემედ აბაშიძის ძეგლი იდგა. მე თვალი გამექცა ერთ-ერთი ლამაზი ყვავილისაკენ, ჰოლანდიიდან ჩამოეტანათ და გაზონებს ამშვენებდა. ჩემი აღტაცება გამოვხატე, უცებ ბიჭები დატრიალდნენ, ნერონი მილიციელთან მივიდა და სთხოვა, რომ ნება მიეცა, ყვავილის ერთი ნერგი ამოეღო ჩემთვის, თბილისში წამოსაღებად. მილიციელმა კატეგორიული უარი უთხრა და სამართლიანად მოიქცა, ნერონი განრისხებული დაბრუნდა.

— ბიჭებო, — ვუთახარი მე, — წარმოიდგინეთ თბილისელი პროფესორი, რომელიც აიძულებს თავის სტუდენტებს ბაღში დარგული ნერგის მოთხრას. რა ჰქვია ამას? სილამაზის ქურდობა თუ რა?..

— რა მოხდა მერე, რა დააკლდებოდა ამდენ ყვავილს, მილიციელს ვიცნობთ და დავუმახსოვრებთ, — დაიქადნეს ბიჭებმა.

მეორე დღეს ლექციებიდან შინ რომ დავბრუნდი, ოთახში იმ ყვავილის ნერგი დამხვდა, გავვოცდი, თურმე დილის ექვს საათზე, როცა ქალაქს ეძინა, ნერონს ჩუმად მოუპარავს ნერგი.

რა სუსტები ვართ ადამიანები. იმწუთას მთელ ბაღს მერჩია ჩემი სტუდენტების ეს ლამაზი ჟესტი...

ბათუმის თეატრმცოდნეების პირველი (და დღემდე უკანასკნელი) ჯგუფი მე მოვამზადე. კარგი ჯგუფი იყო. ეს ჯგუფი ცხოვრებამ თანდათან დაშალა და ყველა თავისი გზით წავიდა. ლაშა და ნერონი ბოლომდე გაჰყვნენ პროფესიას და უკვე დაიმკვიდრეს თავიანთი ადგილი თეატრმცოდნეობაში. ბათუმის უნივერსიტეტის ორი დოქტორანტიც მყავდა — ვაჟა ბიბილეიშვილი და თემურ კეჟერაძე. ყოველთვის მიხაროდა მათთან შეხვედრა. ტაქტიანი, ზრდილი და გულისხმიერი დოქტორანტები იყვნენ. ვაჟა უკვე დოქტორია, ბათუმის უნივერსიტეტში დეპარტამენტს ხელმძღვანელობს, თემური თეატრის მმართველია. კარგი მოღვაწეები დადგნენ.

ადვილი არ იყო ლაშას და ნერონის გზა, ბათუმიდან თბილისში რომ გადმოვიყვანე, სცენის მუშებად მოვაწყვე, რათა ხელფასით სწავლის ქირა გადაეხადათ. ერთხელ თბილისში პრაქტიკის

დროს, ჩემი ბათუმელი სტუდენტები შევახვედრე რექტორს, გ. ლორთქიფანიძეს. ვიცოდი გამოჩენილ რეჟისორთან და საზოგადო მოღვაწესთან შეხვედრა დაამახსოვრდებოდათ.

შეხვედრის წინ ბ-ნ გიგას შევთავაზე, რომ შეხვედრის შემდეგ სტუდენტებისათვის გადაეცა კონვერტები, სადაც ათ-ათი ლარი იდებოდა, მაშინ ათი ლარი ბევრს არა, მაგრამ რაღაცას მაინც ნიშნავდა. გიგას მოეწონა იდეა და ცამეტ სტუდენტს გადასცა კონვერტები. მათთვის ყოველ ლარს ჰქონდა მნიშვნელობა და ძალიან გაიხარეს, ბათუმის გაზეთშიც დაწერეს ეს ამბავი.

ლაშა და ნერონი ბუკინისტების მაღაზიაში გაიქცნენ და იმ ფულით წიგნები შეიძინეს, სიხარულით მიყვებოდნენ, თუ რა იყიდეს. შემთხვევით არაფერი ხდება. წიგნის შეძენის სიხარბე, ცოდნის დაუფლების წყურვილია.

სტუდენტებზე გადაყოლას თავისი მინუსები აქვს. სულ გეშინია როდის და როგორ „ჩაიჭრებიან“...

ჩემს სტუდენტებთან ყოველთვის ვმეგობრობ ხოლმე, ვაჟები ყოველთვის გახსნილები არიან საუბრის დროს.

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტთან ჩემი ურთიერთობის ბედნიერი ისტორიიდან არ შემიძლია არ გავიხსენო ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი სასიამოვნო ემოციური ფაქტი.

დეკემბრის დასაწყისიდან რაღაც შინაგანი მოუსვენრობა დამეწყო. 2009 წლის 24 დეკემბერს დაბადებიდან 80 წელი მისრულდებოდა. ჩემს მძღოლს გია ბაღაშვილს, რომელიც ჩემთან მრავალი წელი მუშაობდა და ოჯახის წევრივით შინაური იყო, ხშირად ვეუბნებოდი: ნეტავ ეხლა ოცი იანვარი ან თებერვალი იყოს, ყველაფერი ჩავლილი იყოს, არ მინდა ოთხმოცი წლის ზეიმი. რა მაქვს საზეიმო?!.

ერთ ხანს, შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ჩემს იუბილესთან დაკავშირებით უნივერსიტეტში არც არაფერი არ ხდებოდა, რადგან ყველას ვეუბნებოდი „არავითარი იუბილე!“...

ერთხელ, რექტორმა გოგი მარგველაშვილმა დამიბარა და თავისი გეგმა გამანდო. საიუბილეო საღამო უნდა აღვნიშნოთ, მერე ერთი 30-40 კაციანი სუფრაც იქნებაო. მე კატეგორიული უარი ვუთხარი. თითქოს ამით დამთავრდა ამ თემაზე საუბარი.

გავიდა დღეები და ერთხელ, ჩემმა ყოფილმა სტუდენტმა, მუდამ მიუსვენარმა, ყველასთან საოცრად კომუნიკაბელურმა, მაგრამ მაინც გამორჩეულად „ჩემმა“ ნიკა წულუკიძემ, მარტო მომიხელთა

კაბინეტში და „საიდუმლოდ გამანდო“: – ბატონო ვასო, ერთ საიდუმლოს გეტყვით, არ გამცეთ...

– რა ხდება?

– თქვენი იუბილესათვის დარბაზის შერჩევაზე მიდის საუბარი, სხვადასხვა ვარიანტებია, წიგნიც მზადდება.

– რა წიგნი?

– თქვენზე. შემდგენლები ვართ თქვენი სტუდენტები – მე, ნერონი, ლაშა და მაკა ვასაძე.

– დიდი მადლობა, მაგრამ იუბილე გამორიცხულია...

თავის დაზღვევის მიზნით იმ დღეებში მაინც შევახსენე რექტორს, რომ იუბილესთან დაკავშირებით ჩემი გადაწყვეტილება უცვლელი იყო. რა თქმა უნდა, ნიკას ინფორმაცია არ ვახსენე. სტუდენტები ჩემთან ყოველთვის საოცრად გულახდილები არიან ხოლმე. იციან, რომ მათი ნათქვამი წინ არ დახვდებათ.

ადრე, უნივერსიტეტმა სამოცდაათი წლის შესანიშნავი საიუბილეო საღამო მომიწყო მცირე სცენაზე. მართლაც სიყვარულიანი, გულწრფელი საღამო იყო.

გიგა ლორთქიფანიძემ მითხრა კიდეც: ასეთ გულთბილ და სიყვარულით სავსე იუბილეს ყველა მოღვაწე ინატრებდაო...

ოთხმოცი წლისთავის იუბილე კი არაფრით არ მინდოდა. ქართულ თეატრში ვალერიან გუნია ყოველთვის თავკაცობდა იუბილეებს. ერთხელ მაკო საფაროვამ უთხრა: არ მინდა შენგან იუბილე, ყველა იუბილარი მალე კვდება და ყველას გასვენებაც შენ გიწევსო...

სხვათაშორის გამახსენდა ეს ისტორია.

გაზაფხულიც მოვიდა. თითქოს დამავიწყდა 80 წელიც. მირეკავს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის რექტორი ერმილე მესხი: ბატონო ვასო, „მასტერკლასის“ ჩასატარებლად როდის ჩამოხვალთ? წინასწარ უნდა დავგეგმოთ. ვუთხარი დაახლოებითი რიცხვი. არა, მაგ დროს სხვა გეგმები გვაქვს. ორ-სამ დღეში ხომ ვერ შეძლებდით ჩამოსვლას? ბათუმში ჩამოსვლას რა უნდა. ხვალვე დავჯავშნით სასტუმროს, სტუდენტებმაც იციან, რომ ჩამოხვალთ, გელოდებიან. დამისახელა თარიღი, ავწრიალდი, დავთანხმდი. წავედი ბათუმში. მატარებელი დილით ადრე ჩადის, სადგურში დამხვდნენ ჩემი დოქტორანტები თემურ კეჟერაძე და ვაჟა ბიბილაშვილი. აჭარულ ხაჭაპურზე დამპატიჟეს. ამ დროს გაისმა ჩემი ტელეფონის ზარი. რეკავს ლაშა ჩხარტიშვილი. ბატონო ვასო, უკვე ბათუმში ხართ?

– მეკითხება და იცინის. ბათუმში ვარ, აგერ ბიჭებთან ხაჭაპურს მივირთმევ, – ვუპასუხე.

– მაინც ჩამოგიტყუეს, ხომ? რას იზამთ, უკან ვეღარ გაბრუნდებით!

– რა ხდება ბიჭებო? – ვეკითხები ვაჟას და თემურს.

– ოოო ... მაგან ეგრე იცის, ისეთი არაფერია, მანამდე მოისვენეთ, ერმილე გელოდებით პირველ საათზე.

დათქმულ დროს მივედი უნივერსიტეტში. ხალხი იკრიბებოდა. ერმილემ მითხრა, ვიცოდით, რომ საიუბილეოდ არ ჩამოხვიდოდით. გვაპატიეთ, რომ ჩამოგიტყუეთ, თქვენ ამ უნივერსიტეტს დიდი ღვაწლი დასდეთ დაარსების დღიდან, ამიტომ ვალდებულნი ვართ აღვნიშნოთ...

მაღალ დონეზე გაიმართა საიუბილეო შეხვედრა. ყველა გამომსვლელი საოცრად გულწრფელი იყო. მე გამახსენდა ქუთაისელი ჭიჭიკიას ნათქვამი  საქებარ სიტყვებზე: „ხომ არაფერია ეს ხაჭაპური, მაგრამ ჭამ და გსიამოვნებსო“.

მართლაც ასეა. ხომ არაფერია თუნდაც გადაჭარბებული ქება, მგრამ უსმენ მას და გსიამოვნებს. ასეა კაცობრიობის მთელი ისტორია. ყველა მეფეთა და უფროსთა წინაშე წარმოთქმული ტკბილი სიტყვის ნახევარიც რომ არაგულწრფელი იყოს, ოდესმე ერთ ვინმეს მაინც გაუპროტესტებია? არავის!..

ეს ზოგადად. მაგრამ ბათუმში ჩემი საღამო გულწრფელობისა და მადლიერების იუბილე იყო, რომელიც სიკვდილამდე არ დამავიწყდება.

იმავე დღეს 50 – კაციანი ბანკეტიც გაიმართა. ბათუმის სახელოვნებო უნივერსიტეტმა მაჩუქა ბედნიერი დღეები.

როცა პირად არქივს ვათვალიერებ ხოლმე, განსაკუთრებით მსიამოვნებს ჩემი ყოფილი სტუდენტების წერილები. მადლობის გრძნობა არის ყველაზე კეთილშობილური და ამაღლებული განცდა. დიდი ცხოვრება ისე გავიარე, რომ უმადურობის სიმწარე ბევრად მეტი ვიგემე, ვიდრე მადლიერების სიხარული. რას იზამ, ასე ყოფილა ცხოვრება, თუმცა დღემდე მაინც ვერ გავიგე, რატომ ხდება ასე. ახსნასაც კი ვერ ვპოულობ, ზოგჯერ ისიც კი მიფიქრია, რომ ტყუილია ანდაზა: მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო. რა ვიცი, ვითომ ასეა? ეს ალბათ უფრო პედაგოგიური მიზნით არის ნათქვამი.

ახლახანს, ჩემს არქივს რომ ვათვალიერებდი, ლაშას წერილი ვნახე, სტუდენტობის დროს მოწერილი, 2003 წლის 23 დეკემბერს, ჩემი დაბადების დღის წინა დღეს: „ბატონო ვასო, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, სიყვარულს (რომელიც საზოგადოებისაგან ნამდვილად გაქვთ), არ გაგნელებოდეთ ჩვეული შემართება და ზრუნვა სტუდენტებზე, რომელიც მუდამ იგრძნობა.

ზოგჯერ ხდება, რომ გინდა თქვა რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ ორიგინალობის ძიებაში თითქოს იკარგება გულწრფელობა. ეს კი არ მინდა, ამიტომ გწერთ იმას, რაც გულის სიღრმიდან მოდის ახლა, ამწუთას, ბევრი რამ ალბათ უთქმელიც მრჩება.

ბატონო ვასო, თქვენ მაპოვნინეთ ჩემი ადგილი, თქვენს წინადადებას წავყევი თითქოს ბრმად, მაგრამ მჯეროდა, რომ არაფერს წავაგებდი. ასეც მოხდა. ბედნიერად ვთვლი თავს, რომ თქვენი სტუდენტი ვარ, ამით ვამაყობ და ვიამაყებ მუდამ. ბედნიერი ვარ იმისათვის, რომ თქვენთან მაქვს ურთიერთობა, თქვენი მსოფლმხედველობის ქვეშ ვიზრდები და ვრწმუნდები, რომ ეს იდეალური გზაა...

ბატონო ვასო, თქვენ ყველანაირად შეგვამზადეთ ჩვენ მომავალთან შესახვედრად, ბარიერების დასათრგუნად, მუდამ თქვენი სახე და სიტყვები ამოტივტივდება გონებაში, რომლის შესაბამისადაც ვმოქმედებთ.

ბატონო ვასო, თქვენ, გარდა იმისა რომ უდიდესი რანგის პროფესიონალი ხართ, ჩინებული პედაგოგიც ბრძანდებით. იშვიათია ლექტორი, რომელიც ასე ღრმად ჩასწვდეს თითოეული სტუდენტის ხასიათს, გამონახოს მასთან დაკავშირების გზები, აპოვნინოს ჭეშმარიტების გზა, ამიტომაც უყვარხართ ყველა სტუდენტს, განურჩევლად გონებრივი პოტენციალისა, სპეციალობისა და ა.შ. თქვენი ლექცია ხომ კარგი ფილმის ყურებას ჰგავს, რომელიც არ გწყინდება...

მინდა რომ კიდევ უფრო მეტი დრო გავატაროთ თქვენთან ერთად...

კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების დღეს და მოგველოცოს დიდხანს.

გკოცნით, გეფერებით, გვიყვარხართ და გვეამაყებით.

თქვენი ლაშა ჩხარტიშვილი“.

მჯერა, ალბათ ლაშა მაშინ გულწრფელი იყო. უანგაროდ იმდენი

სიკეთე გავუკეთე მასაც და სხვებსაც, ბუნებრივი იქნება, რომ ვუყვარდე ჩემს სტუდენტებს, თუმცა დრო ბევრ რამეს ცვლის!..

რას ვიზამ... მე ხომ გამონაკლისი არ ვიქნები?.

ზოგი როგორ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას და ზოგი როგორ. გააჩნია, ინტერესთა თანხვედრაა თუ დაპირისპირება, თუმცა მე ჩემს ყოფილ სტუდენტებს არასოდეს არ ვუპირისპირდებოდი, ყოველთვის დამთმობი პოზიცია მეკავა. ყველანი მიყვარს. კ. აბაშიძე მწერდა: „თქვენი უსაყვარლესი სტუდენტი კოტე აბაშიძე“, ხოლო თავისი ერთ-ერთი სპექტაკლის აფიშაზე წააწერა: „ბატონო ვასო! ძალიან, ძალიან მიყვარხართ. 31. 12. 2012“.

მრავალფეროვანია ჩემი სტუდენტების სამყარო და ურთიერთობის ფორმებიც არ არის ერთსახოვანი.

X X X

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა შესანიშნავი თაობები აღზარდა, ხშირად მეტი გვინდა და მიღწეულით უკმაყოფილოც ვართ ხოლმე, მაგრამ ეს ბუნებრივი პროცესია. ყოველ ახალ თაობას აჩრდილივით თან სდევს წინა თაობების სახელი. გავიხსენოთ რუსთაველის თეატრის ისტორია. როცა ასპარეზზე გამოვიდა უშანგი ჩხეიძის, აკაკი ხორავას და ვერიკო ანჯაფარიძის თაობა, „დურუჯის“ რადიკალიზმის გამო პრესაში ერთი ამბავი ატყდა. ვინ არიან ეს ახალგაზრდები, რაებს ბედავენ. მაშინ, როცა ქართულ თეატრს ჰყავდა ვარსკვლავები და მათ შორის დღესაც არიანო ვასო აბაშიძე, ვ. გუნია, ნ. ჩხეიძე, ალ. იმედაშვილი და სხვები. მათ ფონზე წამგებიანი მდგომარეობა ჰქონდათ ახალგაზრდებს, მაგრამ ისტორიამ არ გაამართლა უფროსი თაობის ნიჰილიზმი.

გავიდა წლები და იგივე განმეორდა მე-20 ს-ნის 50-იან წლებში „შვიდკაცას“ მიმართ. თეატრში მოვიდა ეროსი მანჯგალაძის და რამაზ ჩხიკვაძის თაობა. ასე გრძელდება ისტორია.

სტუდენტი მომთხოვნიც არის და ამბიციურიც. დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება ბევრი რამ არ მოგვეწონოს ან გვეუცხოვოს, მაგრამ არ შეიძლება ისტორიის ჩასწორება. მე ხელთ მაქვს სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის I ჯგუფის სტუდენტთა განცხადება.

განცხადება დათარიღებულია 1976 წლის 27 მარტით. „I ჯგუფის

სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტები გთხოვთ ჩვენი ჯგუფის პედაგოგი შ. გაწერელია შეგვიცვალოთ მ. თუმანიშვილით, ვინაიდან მუშაობა არ შეგვიძლია პედაგოგ შ. გაწერელიასთან“. ხელს აწერს 16 სტუდენტი. ორი ხელს არ აწერს (გ. მარგველაშვილი და ი. ნიჟარაძე). მითითებულია, რომ ისინი ავად იყვნენ.

ხელმომწერები შემდეგ ძალიან კარგ ურთიერთობაში იყვნენ შ. გაწერელიასთან, პატივსა სცემდნენ მის შესანიშნავ პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ სასწავლო პროცესი, ნ. ბარათაშვილისა არ იყოს, მართლაც „აღუვსებელია“..

განსახვავებული, მონანიებითი წერილი მომწერეს თოჯინების თეატრის სპეციალობის II კურსის სტუდენტებმა. „I კურსზე ჩვენი პედაგოგი და ჯგუფის ხელმძღვანელი იყო გ. სარჩიმელიძე. ჩვენსა და პედაგოგს შორის თანდათან გამწვავდა ურთიერთობა. ვაცდენდით ლექციებს, არ ვასრულებდით დავალებებს. შექმნილი მდგომარეობის შედეგად ჯგუფის ხელმძღვანელმა ჩვენზე უარი განაცხადა. ვაღიარებთ ჩვენს დანაშაულს და პირობას ვიძლევით, რომ ეს აღარ განმეორდება. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ პედაგოგთან, რათა კვლავ დაგვიბრუნდეს. 4. X. 1982“. ხელს აწერს მთელი ჯგუფი.

კარგი ზნეობრივი აქციაა!..

სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტებს ბევრი სირთულის გადალახვა უხდებათ. ლექციების გარდა ურთულესი პრაქტიკული მეცადინეობები აქვთ (მსახიობის ოსტატობა, მეტყველება, ცეკვა და სხვა). დიდი ფიზიკური დატვირთვა აქვთ. ისინი პარალელურად მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, რაც ბუნებრივად იწვევდა ლექციების გაცდენას. კარგი სტუდენტები არ იყვნენ დაზღვეულნი ამგვარი შემთხვევებისაგან. მაგ. მეოთხე კურსის სტუდენტმა აკაკი სვანიძემ მომმართა განცხადებით: „ახალგაზრდული სპექტაკლების საფესტივალო დათვალიერების შემდეგ, ანზორ ქუთათელაძის მიერ არ ვიქენი დაშვებული ლექციებზე. არ ვარ როლზე განაწილებული, მექანიკურად იწერება „არა“, ვდგავარ კარებთან და ველოდები, როდის დამიშვებენ ლექციებზე. „თბილოსობაზე“ ჩემი მონაწილეობის გამო გამიცდა ლექციები. ერთდროულად მივიღე გაცდენებისათვის სასტიკი საყვედური და მადლობა დღესასწაულზე კარგი მონაწილეობისათვის“.

პარადოქსალური სიტუაციაა. სტუდენტი სამართლიანად თხოულობს – „გთხოვთ მაკმაროთ სასტიკი საყვედური და დამიშვათ

ლექციებზე“.

სტუდენტი პირობას დებს, რომ არც ლექციებს გააცდენს და არც არავითარ ღონისძიებაში არ მიიღებს მონაწილეობას (29. XI. 1985).

აკაკი მართალი, გულღია, ვაჟკაცური სტუდენტი იყო.

80-იან წლებში ქვეყანაში შეიცვალა პოლიტიკური სიტუაცია. დეიდეოლოგიზაციის მკრთალმა სიომ დაჰქროლა. პირველ რიგში ეს ახალგაზრდებმა იგრძნეს. ისინი ხომ მუდამ საბაბს ეძებდნენ, რომ  როგორმე თავი დაეღწიათ იდეოლოგიური საგნებისაგან. ჩემი სტუდენტობის დროსაც, თვით სტალინის ეპოქაში არ გვიყვარდა „პოლიტეკონომია“, „მარქსისტული ფილოსოფია“ და სხვა ამგვარი საგნები...

სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის 30-ე ჯგუფის სტუდენტებმა (ნ. კასრაძე, ნ. გუბენკო, ნ. მურვანიძე და სხვა) წერილით მოგვმართეს:

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორს
პროფ. ე.ნ. გუგუშვილს
ამავე ინსტიტუტის IV კურსის 30-ე ჯგუფის

განცხადება

„მოგახსენებთ, რომ IV კურსზე ჩვენ უნდა ვითამაშოთ ორი სპექტაკლი, რაც ჩვენგან განსაკუთრებულ შრომას და შესატყვისად დროს მოითხოვს. ხანდახან ჩვენ დღეში ორი რეპეტიცია გვაქვს 6-8 საათი,  დაძაბული შემოქმედებითი შრომა. ამას ემატება მეტყველების საათები: ფაქტიურად ჩვენ დრო არ გვრჩება სხვა საგნებზე დასასწრებად. ცხრილის მიხედვით ჩვენ დანიშნული გვაქვს ისეთი საგნები, როგორიც არის: პოლიტოლოგია (მეცკომი), ესთეტიკა (მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა), სამამულო და მსოფლიო კულტურის ისტორია (მარქსისტულ-ლენინური კულტურის ისტორია), ეთიკა. არაფერს ვამბობთ სპეციალურ საგნებზე, როგორიცაა სახვითი ხელოვნების ისტორია და კოსტუმების ისტორია.

პატივცემულო რექტორო!

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე

პროცესებს, როგორიც არის პლურალიზმი, დემოკრატიზაცია და განსაკუთრებით დეპოლიტიზაცია, მაშინ თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენ არავითარი სურვილი არ გაგვაჩნია ზემოთ აღნიშნულ ლექციებზე დასწრებისა.

ძალიან გთხოვთ გაითვალიწინოთ, რომ ჩვენ კონკრეტულად რომელიმე პედაგოგის მიმართ პიროვნული პრეტენზია არ გაგვაჩნია.

გთხოვთ ეს საშვილიშვილო საქმე უყურადღებოდ არ დატოვოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას მომავალი თაობის სახით".

ყოველ პედაგოგს სტუდენტებთან ურთიერთობის თავისი კრიტერიუმი და ფორმა აქვს. დიდი ინდივიდუალობაა მათი ურთიერთობების რეგულირება. იგი ჩემი, როგორც სასწავლო დარგის პრორექტორის უპირველესი მოვალეობა იყო.

ლევან სანიკიძე დიდხანს მუშაობდა ჩვენს უნივერსიტეტში. დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებდა (ქუთაისში მისი ცხოვრების პერიოდიდან).

თეატრალურ ინსტიტუტში დიდხანს მუშაობდა კათედრის გამგედ, კითხულობდა საქართველოს ისტორიის კურსს. სტუდენტებს უყვარდათ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რბილი, ჰუმანური ლექტორი იყო, ერთხელ ლექციის შემდეგ ისე განრისხებული შემოვიდა კაბინეტში, რომ გავოცდი.

— ვასიკო! მივატოვებ მაგ ჯგუფში ლექციებს, არც ერთს დადებით ნიშანს არ ვაღირსებ! მაგენს ისტორია არტისტობა ხომ არ ჰგინიათ? ვინა თქვა, რომ მსახიობმა არ უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორია? ვინ უთხრა ასეთი რამ?.. ვიცი, შენ არ ეტყოდი, ვინ უთხრა?..

იმდენად იშვიათი შემთხვევა იყო ლევანის ასეთი რადიკალიზმი და იმდენად დამაჯერებელი იყო მუქარა, რომ გამიკვირდა.

— სამსახიობო ფაკულტეტის ჯგუფს, საქართველოს ისტორიაში, გამოცდისწინა კონსულტაციის სახით გამოვკითხე, მაგრამ ვერც ერთმა ვერაფერი ვერ მიპასუხა, რეპეტიციებით ვიყავით დაკავებულიო. ეს არის გამართლება? სხვა საგნების სწავლა აღარ არის საჭირო? მე მაგათ ნიშანს არ ვაღირსებ, იცოდე!

— ჰოო, ვიცი, ვიცი, ლევან, ეგ ის ჯგუფია, გუშინწინ ჩემთან რომ იყვნენ, გვიან ღამემდე ყოფილან რეპეტიციაზე . . ვერ მოუსწრიათ

მეცადინეობა... ბატონი ლევანი ჩვენი ყველაზე საყვარელი პედაგოგია, მისი ლექციები ნამდვილი ბედნიერაბააო, თუ კარგად არ მოვემზადეთ, თვალებში როგორ შევხედოთო. ძალიან გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ ორი დღით გადაგვიტანოს გამოცდაო, — მთხოვეს. ორშაბათიდან კი ოსტატობის მეცადინეობიდან გაგვათავისუფლეთო.

უცებ მოვიგონე ყველაფერი, შევთხზე ასეთი ტყუილი. სინამდვილეში მსგავსი არ ყოფილა, მაგრამ კონფლიქტის ჩასაქრობად ვიცრუე. ეტყობა, ისე დამაჯერებლად მოვიტყუე, რომ ლევანმა უცებ დამიჯერა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ვცრუობდი.

— ალბათ ამიტომ იყო, რომ ხმას ვერ იღებდნენ. კი გამიკვირდა, მამაძაღლები, გაოცებულნი მიყურებდნენ, მე კი გული მოვიოხე...

— ჩემი ბრალია, ლევან! აი, ნახე მომავალ კვირას რამდენი რამ ექნებათ წაკითხული...

— ჯანდაბას მაგათი თავი, რაც იყო, იყო, ისე, ცუდი ახალგაზრდები არ უნდა იყვნენ...

— ვინ იცის, ვინ როგორი მსახიობი გამოვა. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ისტორიკოსებს ხომ არ ვზრდით, მთავარია მსახიობის ნიჭი.

რაკი შეცვლილი ლევანი დავინახე, დავიწყე ხუმრობა — რა თქმა უნდა, სამაგალითოდ ჩაატარებ გამოცდას. მაგალითად, შემოვიდა სტუდენტი და მოგესალმა — გამარჯობათ ბატონო ლევან! ამაში უკვე სამიანი ეკუთვნის, რადგან გამოდის რომ ახალგაზრდა ზრდილობიანია. მეორე გეტყვის: ბატონო ლევან! გუშინ თქვენი „უქარქაშო ხმლები“ შევიძინე, ჯერ არ წამიკითხავს, მაგრამ ვაპირებ წაკითხვას, ასეთ სტუდენტს უკვე ოთხიანი ეკუთვნის, რადგან საქართველოს ისტორიისადმი ინტერესს ამჟღავნებს და ალბათ შენს წიგნს წაიკითხავს კიდეც, ხოლო თუ სტუდენტმა გითხრა: ბატონო ლევან! „უქარქაშო ხმლების“ ყველა წიგნი ვიშოვე და წაკითხვა დავიწყეო, უკვე ხუთიანი უნდა დაუწერო.

ლევანმა ჩემს ხუმრობაზე ბევრი იცინა, მაგრამ ბოლოს გაფრთხილებასავით მთხოვა: თუ ძმა ხარ, სტუდენტებში არ მოყვე ნიშნების დაწერის შენეული ვერსია, თორემ შეიძლება დაიჯერონ, პრორექტორი ასე გვეუბნებაო და სულ აღარაფერს ისწავლიან!..

ერთ დღეს თამაზ ნატროშვილი მოვიდა თეატრისა და კინოს ინსტიტუტში, ჩემს კაბინეტში და თავის ახლობელთან დაკავშირებით რაღაც მთხოვა. საქმე თბილისის უნივერსიტეტს ეხებოდა. ვიცოდი, რომ ყველაზე უკეთ ლევან სანიკიძე მიხედავადა მის საქმეს,

მაგრამ თამაზს კრიტიკული წერილი ჰქონდა დაბეჭდილი ლევანის რომელიღაც ნაშრომზე, ამიტომ ეს ვარიანტი გამოვრიცხეთ. ლევანი პირადად არ იცნობდა თამაზს, არც ფიზიკურად ენახა. ერთხელ მკითხა, როგორი კაცია თამაზ ნატროშვილიო, მე შევაქე.

— მაგას არ გეკითხები, ფიზიკურად როგორია, ნუთუ არსად მინახავს? — თქვა და ჩაფიქრდა.

— როგორ გითხრა, საშუალო ტანისაა.

— ჰო, კარგი, კარგი, არა აქვს მნიშვნელობა! — თქვა და წავიდა. ეს ამბავი ლევანის წიგნზე თამაზის კრიტიკული წერილის გამოქვეყნების დღეებში მოხდა. გავიდა დრო და აი, თამაზი ზის ჩემს კაბინეტში და ვმსჯელობთ მისი ახლობლის ბედზე. ამ დროს შემოვიდა ლევანი. გავაცანი თამაზს. სათხოვარის შესახებაც ვისაუბრეთ. მეორე დღეს დამირეკა თამაზმა: რა საოცრად თბილი და ყურადღებიანი კაცი ყოფილა ლევანი. პირდაპირ გაოცებული ვარ. შეიძლება...

— შეიძლება არც დაგეწერა? — არ ვაცალა სიტყვის დამთავრება.

— რა ვიცი, ვასო, საქართველოა, ჩვენში ძალიან დიდია ადამიანის ფაქტორი...

რამდენი ბედნიერი დღე გამიტარებია ლევანთან ერთად ქუთაისში, რაჭაში, თბილისში. ვერ შევეგუე ლევანის სიკვდილს. სულ მგონია, რომ აი, გაიღება ჩემი ოთახის კარი, შემოვა ლევანი და ჩვეულებრივი იუმორით მეტყვის: მოგესალმები, დიდებულო და დიდო ვასო...

— სალამი ჩვენი დროის დიდო პლუტარქევ და კიდევ მეტო!..

ასე იუმორით ვლაღობდით ერთმანეთთან წლების განმავლობაში. ლევანი ბევრ სატკივარს იუმორით იმსუბუქებდა!..

1979 წლის 16 მაისს ქობულეთში ვისვენებდი. დღიურში ჩამიწერია: „მომენატრა ინსტიტუტი, სტუდენტები, ახალგაზრდები, რომელთაც თაყვანს ვცემ. ეს არის სიცოცხლე, ეს არის ახალგაზრდობა, როგორც სამყაროს გაზაფხული. განა შეიძლება არ გიყვარდეს გაზაფხული? ზოგჯერ ისეთი განცდა მეუფლება, როცა სტუდენტებს ვხვდები, რომ გადავეხვიო, ვაკოცო და ვუთხრა: გაიგე, ბედნიერი ხარ. მიხვდი, რომ არ არსებობს უფრო დიდი ბედნიერება, რომელიც შენ გაქვს, მაგრამ ვიცი, რომ მაინც ვერ გაიგებ, მხოლოდ მაშინ შეიცნობ, როცა მას დაკარგავ“... ორი დღის შემდეგ ჩამიწერია: „წუხელ დიდ სიზმრიანობაში ვიყავი. ინსტიტუტი ვნახე. ჩამრჩა ფრაზა: „ჩვენ ისედაც ბევრ დროს ვხარჯავთ წვრილმანეზე“. არ ვიცი რის გამო

ითქვა, მაგრამ სიზმრისეული ფრაზა ცხოვრებისეული სიმართლეა.

ამბავში არის მოქცეული მთელი ცხოვრება, ხასიათები, კონფლიქტები, სიყვარული, სიძულვილი...

ყველფერია ამბავში.

ადვილი არ არის სიყვარულისა და მომთხოვნელობის შეთავსება.

სტუდენტისადმი მხარდაჭერას, სტუდენტზე ზრუნვას ყოველთვის არ მოაქვს კარგი შედეგი, გულისტკივილიც ბევრჯერ შემხვედრია, აკაკის „გამზრდელის“ ხელახლა წაკითხვაც მომნატრებია, მაგრამ ცხოვრებას აზრს მაინც სიკეთე აძლევს და არა ბოროტება. თუმცა ისინი ერთად არიან.

უნივერსიტეტში მუშაობის წლების ერთ-ერთი მძიმე მოგონებაა თვითმფრინავის გატაცების ისტორია. ფაქტი თვითმფრინავის გატაცებისა ყველა ქვეყანაში და ყველა მთავრობის დროს დასჯადი ქმედებაა. მაგრამ საბჭოთა სისტემის ტრაგედია იყო, როცა ადამიანს გადაადგილების არჩევანის საშუალება არ ჰქონდა, არ შეეძლო სხვა ქვეყანაში წასვლა.

უნივერსიტეტი შეძრა გეგა კობახიძის ამბავმა. სპეციფიკური იყო რექტორისა და ჩემი მდგომარეობა.

გეგა კობახიძე ჩემი სტუდენტი იყო, სამსახიობო ფაკულტეტზე ქართული თეატრის ისტორიის კურსს ვუკითხავდი. დედამისი — მშვენიერი მსახიობი — ნათელა მაჭავარიანიც ჩემი სტუდენტი იყო, კარგი სტუდენტი. გეგა ზოგჯერ ლექციებს აცდენდა, კინოში გადაღებებით იყო დაკავებული. ლექციების გაცდენაზე მკაცრი კონტროლი იყო დაწესებული. სტუდენტებს არასაპატიოდ ეთვლებოდათ კინოში გადაღების პერიოდში გაცდენილი სალექციო ან პრაქტიკული საათები.

გეგა რომ დაიჭირეს, ინსტიტუტში მოვიდა გეგას დედა — ქ-ნი ნათელა და მთხოვა დახასიათება. რასაკვირველია, დადებითი დახასიათება სჭირდებოდა.

მხოლოდ დადებითი. გეგას კი საყვედურები ჰქონდა შეტანილი პირად საქმეში. სხვა სიტუაციაში საკითხს როგორღაც მოევლებოდა, მაგრამ იმ საშინელ ატმოსფეროში, როცა ყველაფერი კონტროლდებოდა, დადებითი დახასიათების გაცემა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ყოველგვარი რისკი ზნეობრივად მოტივირებულია, თუ ადამიანის ბედს ეხება საქმე.

მარტო გეგას ჯგუფის კი არა, საგანგებოდ სხვა ჯგუფების სტუდენტთა პირადი საქმეებიც გამოვითხოვე. სინამდვილეში კი მე მარტო გეგას პირადი საქმე მჭირდებოდა, მაგრამ მარტო მისი საქმის გამოტანა უთუოდ აღძრავდა ეჭვს, „ჩამშვებები“ ხომ ყველგან იყვნენ და არიან.

ჩემი მიზანი ნათელი იყო, გეგას პირადი საქმიდან საყვედურების ბრძანებები უნდა ამომეღო.

საღამოს ჩავიკეტე კაბინეტში, გეგას პირადი საქმიდან ამოვიღე საყვედურის ბრძანებები, დავხიე ნაკუწ-ნაკუწებად, ჩავიყარე ჯიბეში და წავედი საპირფარეშოში უნიტაზში ჩასაყრელად. არ დამავიწყდება ის შიში, რაც მაშინ განვიცადე. არასოდეს მქონდა მსგავსი შემთხვევა და ისე ვიყავი აფორიაქებული, რომ სანამ დერეფანი გავიარე, ერთი სიცოცხლე გავათავე, ასე მეგონა მითვალთვალებდნენ. საპირფარეშოში ჩავიკეტე და როცა ქაღალდის ნაგლეჯები წყალმა ჩაიტანა, შვებით ამოვისუნთქე.

რა ყოფილა შიშის სინდრომი. ამ ამბავს წლობით დიდხანს ვერ ვეუბნებოდი ვერავის, მეშინოდა, დიდი ხნის შემდეგ გავუმხილე ზოგიერთს.

დახასიათებამ გეგას ვერ უშველა, მაგრამ მის დედას, ნათელას თვალებში ვუყურებ...

არ ვიცი, ჩემს ადგილას სხვები როგორ მოიქცეოდნენ, მაგრამ ჩემი ვალი მოვიხადე.

X X X

ლექციების კითხვას დიდი ფიზიკური და სულიერი ენერგია უნდა. „ახალგაზრდულ პოზაში“ დიდხანს ვერ იდგები, თანაც ერთობ სახიფათოა. ერთხელ სტუდენტებმა მაინც „ამიყვანეს“ და სამი თვე, როგორც იტყვიან, „სიქა გამაცალეს“.

ტაშს რომ მაგიური ძალა აქვს, თეორიულად ყველამ იცის, პრაქტიკულადაც განუცდია ბევრს.

მსახიობის ხელოვნება ხომ მის გარეშე არც არსებობს.

როდესაც რუსთაველის თეატრში ვმუშაობდი, წარმოდგენის ბოლოს, ფარდის დაშვების დროს, თითქმის ყოველთვის შევდიოდი დარბაზში და ვაკვირდებოდი ტაშის კვრის პროცესს, ხან ვითვლიდი,

თუ რამდენჯერ გაიხსნებოდა ფარდა, ხან ტაშის ხანგრძლივობას ვამოწმებდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა მსახიობების თავის დაკვრის მომენტი. თითქოს ერთი და იგივე მეორდებოდა, მაგრამ იმდენი ნიუანსი იკითხებოდა, იმდენი ქვეტექსტი, რომ საოცრად საინტერესო სანახავი იყო. მაგალითად, როცა სპექტაკლის ყველა მონაწილე გამოვიდოდა „თავის დასაკვრელად", ტაში ყველას ერთნაირად ეკუთვნოდა, მაგრამ შემდეგ რომელიმე მსახიობი წინ გადმოდგამდა ნაბიჯს, ტაში გაძლიერდებოდა, ანუ მაყურებელი მას უკრავდა, ასე ხდებოდა მეორეჯერ, მესამეჯერ და კიდევ ვინ იცის რამდენჯერ, ყოველ წარმოდგენაზე.

მერე და მერე სპეციალურად ვაკვირდებოდი ამ მოვლენებს და ვგრძნობდი, რამდენი აუხსნელი, დაფარული კონკურენცია იყო ტაშისთვის.

ეს ამბავი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ვიღაც მეტად პატივმოყვარეა და ვიღაცა ნაკლებად. ტაშის ჭია თურმე ყველას ერთნაირად აწუხებს. ზოგი ამას მალავს, ზოგი ზომიერად გახსნილია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, იგი ხომ არსებობს. აქედან გასაგებია, ძველი ბერძენი მსახიობის გარდაცვალების დროს, სასახლის მიწაში ჩაშვების ჟამს ტაშს უკრავდნენ, ტაშით აცილებდნენ...

X X X

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორმა გიორგი შალუტაშვილმა მთხოვა მის ჯგუფში (სამსახიობო ფაკ. II კურსი) წამეკითხა ლექციები ქართული თეატრის ისტორიაში. დავთანხმდი. ლექციები სამ ჯგუფს ერთად უტარდებოდა, კვირაში სამი საათი, ორი საათი ერთად და ერთი სხვა დღეს. ვიფიქრე, რომ ეს უნდა ყოფილიყო ჩემი, როგორც ლექტორის, უკანასკნელი შეხვედრა სტუდენტებთან. ადვილი ხომ არ არის სამოც „არტისტთან" ყოველ კვირას ლექციების კითხვა ერთი სემესტრის განმავლობაში.

შევედი აუდიტორიაში. სტუდენტები ფეხზე ადგნენ, მივესალმე: დაბრძანდით, — ვეუბნები და ჟურნალს ვფურცლავ.

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს სიბერე ხვდება სიჭაბუკეს,

როგორ გავერთიანდეთ – ეს არის მთავარი.

დავიწყე სიის ამოკითხვა, ოფიციალური პროცედურაა. ორი სტუდენტი არ არის.

– სად არიან გოიმები? – ვიკითხე და სტუდენტებმა გადაიხარხარეს.

კონტაქტი მყარდება.

– დღეს ორი საათი უნდა გავუძლოთ ერთმანეთს. ვიცი, ადვილი არ არის ისეთი ლექტორის გაძლება, სულ რომ თვალებში გიყურებთ, უნდა ბუზის გაფრენის ხმა ისმოდეს. მაგრამ თქვენი მდგომარეობა მაინც ბევრად უკეთესია, ვიდრე ჩემი. თუ ლექცია არ მოგეწონებათ, ფიქრებით სადაც გინდათ იქ გაფრინდით, რაც გინდათ ის გააკეთეთ, არც მე შემიშლით ხელს და არც სხვა სტუდენტებს. მე კი ძალიან მინდა, რომ არც ერთის გონება სხვაგან არ გაფრინდეს. დარჩით ჩემთან და შეიძლება ერთად გავერკვეთ, რა ხდებოდა ქართულ თეატრში, თქვენ ხომ ამ თეატრში მოგიწევთ ცხოვრება.

ლექციას სულგანაბულები უსმენდნენ. როცა დამთავრდა,მადლობა გადავუხადე. მთელი ლექცია ვგრძნობდი, რომ ყველანი ჩემთან იყვნენ, არავინ არ „გაფრენილა“...

ფეხზე წამოდგნენ და ტაშით გამაცილეს.

მეორე ლექციაზე კიდევ უფრო მომზადებული მივედი. ლექციის ბოლოს ისევ ფეხზე წამოდგნენ და ტაშით გამაცილეს.

ასე გაგრძელდა მთელი თვე.

რა ყოფიულა ეს ტაში... რაკი შევეჩვიე, ყოველ ლექციას საგანგებოდ ვამზადებდი, რომ წინაზე უფრო საინტერესო ყოფილიყო, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ამისათვის მთელი ძალების დაძაბვა იყო საჭირო. დამთავრდა მეორე და მესამე თვეც. არც ერთ ლექციას არ ჩაუვლია ტაშის გარეშე. ლექციის დამთავრების შემდეგ ქუთაისის ჯგუფმა (გ. სიხარულიძე) შესანიშნავი საჩუქარი „ვარსკვლავი“ გამიკეთა წარწერით: „ვასილ კიკნაძეს, საუკეთესო პედაგოგს. ქუთაისის ჯგუფი. 2011“. პატარა მარმარილოზე ვარსვლავი – დიდზე დიდი საჩუქარია სტუდენტებისაგან

საბჭოთა ეპოქაში უმაღლესი სასწავლებლის ბევრი ქართული მოვლენა ათასგვარ ფიქრებს იწვევდა. თითქოს ქვეცნობიერად ყველა გრძნობდა, რომ დამპყრობი სახელმწიფოს მსახურები ვიყავით და მის ჯინაზე კანონებიც ირღვეოდა და დაუმორჩილებლობაც მეტი იყო, რომელიც ათასგვარ ფორმაში ვლინდებოდა. რთული ფენომენია

და სხვა კვლევას მოითხოვს. მას ბევრი ქვეცნობიერი დინება აქვს. მაგალითად, უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტროს გამოთვლითი ცენტრის 1980/81 სასწავლო წლის მონაცემებით, პედაგოგის მიზეზით ვითომ არც ერთი ლექცია არ ჩაშლილა მთელ საქართველოში. ეს ხომ მეტისმეტად ტყუილია! ამ პერიოდში თეატრალურ ინსტიტუტში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით თითქოს 177 საათი იყო გაცდენილი. იმ წელს ინსტიტუტში 421 სტუდენტი სწავლობდა, წლის ბოლოსათვის არადამაკმაყოფილებელი შეფასება ერთ ან რამდენიმე საგანში მიუღია 9 სტუდენტს.

კონტროლის ასეთი მექანიზმის პირობებში ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა პოლიტიკური კონიუნქტურის დონე. თეატრალური ინსტიტუტის დერეფანში, კედელზე გამოკიდებული იყო პოლიტბიუროს წევრების სურათები. ყოველმა ქართველმა იცოდა, რომ პოლიტბიუროს წევრებიდან განსაკუთრებით მიხეილ სუსლოვი ამჟღავნებდა ქართველებისადმი სიძულვილს. ამ დროს საბჭოთა იდეოლოგიას ის ხელმძღვანელობდა. მეტად საშიში კაცი იყო. ამბობდნენ, რომ პოლიტბიუროს წევრებსაც კი მისი შიში ჰქონდათ, ნამდვილი ფანატიკოსი, ორთოდოქსი კომუნისტი იყო.

ერთ დღეს თეატრალურ ინსტიტუტში, თურმე ღამით დიდი ჩოჩქოლო ატყდა. რომელიღაც სტუდენტს სუსლოვის სურათი ჩამოეხსნა და დაეხია. ინსტიტუტში იდეურ-აღმზრდელობით დარგში პრორექტორი იყო შალვა გოგიძე – მარქსიზმის პედაგოგი. დილით აღელვებული შემოვიდა ჩემთან და მითხრა – სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან კაცია მოსულიო.

შემოვიდა, შეწუხებული სახით შევხვდით. მომხდარი ფაქტი იდეურ ჩავარდნას ნიშნავდა. ორგანოს წარმომადგენელმა გვითხრა, რომ მათ უკვე შეატყობინეს მომხდარი ფაქტის შესახებ. გადადით ოპერის წინ წიგნების მაღაზიაში, იქ იყიდება პოლიტბიუროს წევრების სურათები, იყიდეთ სუსლოვის სურათი და როცა დერეფანში არავინ იქნება, თავის ადგილზე დაკიდეთო, თქვა და წავიდა.

– მგონი გადავრჩით, – მითხრა შალვამ.

– არცერთ ქართველს გულზე არ ეხატება სუსლოვი და იმიტომ... – ვუთახარი შალვას.

ნახევარ საათში სუსლოვის სურათი თავის ადგილზე იყო.

გავიდა დრო და ინსტიტუტში მოვიდა წერილი და მას მოჰყვა

ზარი რაიკომიდან.

— თქვენმა სტუდენტმა ლევან უჩანეიშვილმა მოსკოვი-თბილისის მატარებელში, ნასვამ მდგომარეობაში, რუსებთან შეკამათების დროს, აგინა პოლიტბიუროც და პირადად გენერალური მდივანი ბრეჟნევიც.

მაშინ ეს დიდი ბრალდება იყო. ასეთი სტუდენტი გარიცხვას ვერ გადაურჩებოდა და მითითებაც ასეთი იყო.

სასწრაფოდ შევკრიბეთ პედაგოგები და სტუდენტები. ლევან უჩანეიშვილი დოდო ალექსიძის საუკეთესო სტუდენტი იყო, ნიჭიერი, პერსპექტიული მსახიობი, ინსტიტუტი დიდ იმედებს ამყარებდა მის არტისტულ მონაცემებზე. გამოსავალი უნდა მოგვენახა, რომ გარიცხვისაგან გადაგვერჩინა. ამისათვის ყალბი ბაქიბუქი უნდა აგვეტეხა, მთავარი იყო შედეგი — არ გარიცხულიყო.

კრებაზე საკითხის განხილვამდე კაბინეტში მე და ბატონმა დოდომ მოვილაპარაკეთ, რომ ლევანი მკაცრად უნდა გაგვეკრიტიკებინა და ბოლოს, ვითომ სტუდენტთა კრებას უნდა გადაეწყვიტა მისი საკითხი. წინასწარ ვიცოდით, რომ სტუდენტები გარიცხვას მხარს არ დაუჭერდნენ.

სასწავლო თეატრში სტუდენტების ტევა არ იყო. ვილაპარაკეთ მომხდარი ფაქტის შესახებ. ბატონ დოდო ალექსიძეს მივმართე:

— ბატონო დოდო, როგორ უნდა დავიჯეროთ, რომ ეს ამბავი ჩაიდინა თქვენი საბჭოური სპექტაკლის, რევოლუციურ თემაზე დაწერილი, სახელგანთქმული პიესის — „რღვევის“ გმირმა, გოდუნის როლის საუკეთესო შემსრულებელმა.

ბატონი დოდო ავიდა სცენაზე და განაცხადა: ეს რა ჩაუდენია ჩემს უნიჭიერეს სტუდენტს, მან ხომ მაღალ იდეურ დონეზე შეასრულა გოდუნის როლი. არა, ვერ წარმომიდგენია ასეთი რამ, რა ხდება, გამაგებინეთ! თქვენ გჯერათ, რომ ჩვენი გოდუნი ბრეჟნევის წინააღმდეგია? — პათეტიკურად მიმართა სტუდენტებს.

— არ გვჯერა! არ გვჯერა! — იყვირეს სტუდენტებმა.

— მაგრამ ჩვენ გვირეკავენ, რომ ეს მოხდა, რაიკომი, პარტია ტყუილს არ იტყვის, — თქვა ბატონმა დოდომ, რომელსაც თავადაც არ სჯეროდა, მაგრამ კარგად იცოდა, რომ კრების ამბავი ერთ საათში ზემოთ ეცოდინებოდათ.

— ვასილ პავლოვიჩ, — მომმართა მე კრებაზე არიან ჩვენი საუკეთესო საბჭოთა ახალგაზრდები, მათ გადაწყვიტონ ლევანის

ბედი, თუ თავიანთ თავზე აიღებენ, რომ მომავალში უფრო ფრთხილად მოიქცევა, მაშინ ვენდოთ სტუდენტებს, მაგრამ არ ვიცი, სტუდენტები აიღებენ თავიანთ თავზე ასეთ პასუხისმგებლობას?

დარბაზმა იყვირა – ვიღებთ ჩვენს თავზეო.

ბატონმა დოდომ ხელები გაშალა და ლევანს მიმართა: აი, ხომ ხედავ, როგორ უყვარხარ სტუდენტებს, ინსტიტუტს, შენმა გოდუნმა გადაგარჩინა.

ნახევრად პაროდირებული კრება, რომელსაც სერიოზული სახე ჰქონდა, მთავრდებოდა, როცა ბატონმა დოდომ განაცხადა: ლევან! წადი ახლა და ბრეჟნევის სადღეგრძელო დალიე!

ატყდა სიცილ-ხარხარი, ბატონი დოდოს ყოველი გამოსვლა ხომ თავისებური თეატრი იყო, მჩქეფარე არტისტიზმის ნიმუში.

X X X

ინსტიტუტის პირველი კორპუსის ფოიეში მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ჩვენი სტუდენტების მემორიალური დაფაა. ეს ინსტიტუტის ტკივილი იყო, დრომ ტკივილი გაანელა, მოგონების სევდა დარჩა...

კიდევ უფრო ტრაგიკულია რუსეთთან აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთისათვის დაღუპული შესანიშნავი ბიჭების: ლევან აბაშიძის, ავთანდილ იოსელიანის, იასონ ჭილაის, შმაგი სამნიაშვილისა და სხვების გახსენება. ვიგონებ მათ ნათელ სახეებს და ახლა, წერის დროს ქვეცნობიერის რაღაც სიღრმეებიდნ გამოანათა ჩემი სტუდენტის დიმა ჯაიანის სახემ. ლექციის დროს აუდიტორიაში დიმას ვკითხე: როცა დაამთავრებთ, სად მიდიხრთ სამუშაოდ? მას ჰქონდა საიმისო მონაცემები, რომ ეთქვა – რუსთაველის ან მარჯანიშვილის თეატრშიო. მოულოდნელად მიპასუხა: სოხუმში უნდა წავიდე, იმ მხარის კაცი ვარო. გამეხარდა. მოვიდა დრო და ვაჟკაცურად, ჯარისკაცურად იცავდა მშობლიურ მიწას. ამ დროს თბილისში საშინელი ხმა დაირხა, დაიღუპაო. სასწრფოდ გადავრეკე ათას ადგილას და ბედმა გაგვიღიმა, ტყუილი აღმოჩნდა.

X X X

სტუდენტობა იყო ჩვენი ყოველდღიური საზრუნავი. ხშირად მოთხოვნილებებს არ შეესაბამებოდა ტექნიკური და ეკონომიური საშუალებები. მაღალი კლასის პედაგოგები არ უშვებდნენ კომპრომისს. ზოგჯერ არც უნივერსიტეტის შესაძლებლობებს ითვალისწინებდნენ და ეს სავსებით გასაგებია.

უნივერსიტეტი ამზადებდა ტელერეჟისორთა ჯგუფს (დაუსწრებელი). ჯგუფთან იყო დაკავშირებული ლ. იოსელიანი. ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში მწერდა: „ტელესარეჟისორო ჯგუფის (დაუსწრებელი) სტუდენტებისაგან რომ მოვითხოვოთ პროფესიონალიზმი, თავისი საქმის ცოდნა, როგორც ეს ინსტიტუტის სწავლების დონეს მოეთხოვება, აუცილებელია ინსტიტუტმა მიმართვა გაუგზავნოს საქ. ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტს (რისთვისაც ამ კადრებს ვამზადებთ), დახმარება აღმოუჩინონ თავისსავე თანამშრომლებს, შეუქმნან სწავლისათვის აუცილებელი მინიმალური პირობა, რაც გამოიხატება შემდეგში: 1. კომიტეტმა თავის სამუშაო გეგმაში (ოფიციალურად) შეიტანოს სტუდენტთა საკურსო და შემდეგ სადიპლომო შრომები. 2. საჭირო მასალები, ძირითადად ფართო დამუშავებით, III კურსის დაუსწრებელი ჯგუფის II სტუდენტია (აქედან 2 ტელესტუდიის თანამშრომელია). მთელი ჯგუფისათვის საჭიროა არანაკლებ (მინიმუმ) 3000 მეტრი ფირი, ფართო და ვიწრო, რადგან სტუდენტებს საშუალება მიეცეთ კადრების გადაადგილების (დამონტაჟების) ვარჯიშისა და მეცადინეობისათვის, ვიწრო ფირი ამის საშუალებას არ იძლევა. 3. გამოიყოს სამუშაო ადგილები (ოთახები, დარბაზი), 4. გამოიყოს ტექნიკა (აპარატურა).

III კურსის სტუდენტებმა I-II კურსზე საჭირო სამუშაო „პარტიზანული“ გზით ჩაატარეს. მე, როგორც პედაგოგი ვაცხადებ, რომ ეს ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს პედაგოგისა, შემოქმედისა, მოქალაქისა – სტუდენტში უნდა აღზარდო მხატვარი და არა საქმოსანი, მოძალადე, გამომძალველი. ლ. იოსელიანი“.

წერილში ნათლად ჩანს სტუდენტის პროფესიულ ბედზე პედაგოგის ზრუნვა. ასეთი მაგალითები ინსტიტუტის მუშაობის ნორმა იყო. განსაკუთრებით ბევრი სიძნელე გვხვდებოდა კინოფაკულტეტზე ტექნიკური უზრუნველყოფის მხრივ. კინოტექნიკის გარეშე არსებობა

წარმოუდგენელია და გასაგებია ასეთი სპეციფიკური სირთულეები. კინოსტუდია „ქართული ფილმის“, მისი ხელმძღვანელის რეზო ჩხეიძის დიდი ღვაწლისა და ამაგის შედეგად ხერხდებოდა ურთულესი პრობლემების გადალახვა. იმდენად გაფართოვდა კინოფაკულტეტი, რომ ყოველწლიურად საშუალოდ ოცდახუთ თუ ოცდაათ ფილმზე მეტის გადაღება ხდებოდა (მხატვრული, სატელევიზიო, მულტიპლიკაციური, სამეცნიერო-პოპულარული და სხვა). სტუდენტურმა ფილმებმა ინსტიტუტს არაერთხელ მოუტანა წარმატება.ფესტივალი ისე არ ჩაივლიდა, რომ ჩვენს სტუდენტებს პრემია ან სხვა ჯილდო არ წამოეღოთ. მთელი ეს დიდი მონაგარი და ფაკულტეტის ცხოვრება კინომცოდნეების გასაანალიზებელია. შეიძლება კარგი წიგნიც დაიწეროს.

1981 წლის 29 დეკემბერს ფაკულტეტის დეკანი გ. დოლიძე მოხსენებით ბარათში რექტორს წერდა:

„საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური
ინსტიტუტის რექტორს პროფ. ე. გუგუშვილს
ამავე ინსტიტუტის კინოფაკულტეტის დეკანის გ. დოლიძის

მოხსენებითი ბარათი

ჩვენი ფაკულტეტის სასწავლო კინოსტუდიას დღემდე არ გააჩნია როგორც გადამღები კინოტექნიკის, ასევე კინოფირისა და სხვა კინომასალების საკმარისი ფონდები. მთავარმომარაგების მიერ გამოყოფილი 5000 მეტრი მხოლოდ ერთ სადიპლომო ფილმს სჭირდება. ამჟამად სტუდიის ბაზაზე წარმოებისათვის მზადდება 17 სადიპლომო და 18 საკურსო ფილმი, რაც მოითხოვს 1000 000 მეტრ ნეგატიურსა და ამასთანავე პოზიტიურსა და 150 000 მეტრ მაგნიტურ კინოფირს.

ახლახან ჩატარებული საფინანსო რევიზიის შედეგად გაირკვა, რომ სასწავლო კინოსტუდიას, როგორც საბიუჯეტო ორგანიზაციას, არა აქვს უფლება ფონდზევით მასალების შეძენისა. ამაზე არსებობს საკავშირო მინისტრთა საბჭოს დადგენილება და კულტურის სამინისტროს შესაბამისი გადაწყვეტილებები, რომელიც დაეგზავნა როგორც სასწავლო სტუდიას, ისე ჩვენს ინსტიტუტს, მისი ერთი პირი ინახება პრორექტორ ვ. კიკნაძესთან.

ამდენად, საფრთხის ქვეშ რომ არ დადგეს როგორც სასწავლო კინოსტუდიის, ისე ფაკულტეტის ბედიღბალი, სასწრაფოდ საჭიროა კულტურის სამინისტროსა და კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით ვიშუამდგომლოთ რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა ჩვენს სასწავლო კინოსტუდიას გამოეყოს შესაბამისი ფონდები. უამისოდ, ვიმეორებ, ვერც სასწავლო სტუდია იარსებებს და შესაბამისად, ვერც კინოფაკულტეტი".

როგორც ვხედავთ, ბევრი ისეთი თავსატეხი პრობლემა იყო, რომელსაც მარტო ინსტიტუტი ვერ გადაჭრიდა.

X X X

იმ წლების გახსენების დროს თითქმის მუდამ გამახსენდება გოდერძი ჩოხელის კოლორიტული სახე. რაღაც დრამატული იყო მისი ქალაქური ცხოვრება.

ხშირად ვხვდებოდი, ვსაუბრობდით. მაოცებდა მისი ბავშვური, გულუბრყვილო ხასიათი. მისი ფიქრები მუდამ მთების სამყაროს დასტრიალებდა. გაუჭირდა ქალაქის ჰაერთან შეგუება. ერთხანს ფილტვების პრობლემები შეექმნა და ხუდადოვზე, საავადმყოფოში იწვა. მოვინახულე საავადმყოფოში. მისი ავადმყოფობა, რომ (ვითომ) არაფრად ჩამეგდო, ხაზგასმით გადავეხვიე და გადავკოცნე. გაოცებული მიყურებდა. მერე დიდხანს მახსენებდა ჩვენს იმ შეხვედრას.

ინსტიტუტის ბუფეტში თავისთვის გადადებული ჰქონდა მთიდან ჩამოტანილი ცხვრის ყველი. სხვა ყველს ვერ ეგუებოდა. მისთვის ცხვრის ყველს რაღაც სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა. აგონებდა თავის მშობლიურ სოფელს, მისთვის ყველაზე ახლობელს და საყვარელ გარემოს.

თედო რაზიკაშვილმა ერთხელ ვაჟას სადღეგრძელოს დროს თქვა: „ჩვენი ვაჟა არაგვის შვილობილია, ჩვენ კი – მე და ბაჩანა – იმის ნათლულები ვართ!"

გოდერძი ჩოხელი არაგვის შვილობილი იყო. სადაც არ უნდა ყოფილიყო, ერთი დღეც არ დაშორებია თავის პირველქმნილ სამყაროს. მისი ყველა მოთხრობა, ყველა ფილმი ბუნების უშუალო გამოძახილია, მისი გარდაქმნაა მხატვრულ სახეში, საოცარი ალეგორიები და

მეტაფორები მეტ მომხიბვლელობასა და სილამაზეს ანიჭებდნენ ყველაფერს, რასაც მისი მზერა მისწვდებოდა. ხელოვნების ენაზე გარდაქმნილი და გაცოცხლებული სახეები ისევ უბრუნდებოდნენ ბუნებრივ მდგომარეობას, ოღონდ უფრო ამაღლებულნი და განზოგადებულნი.

გ. ჩოხელისათვის მთელი ბუნება – ფრინველიცა და ყვავილებიც, მდინარეებიცა და ტყე-ველიც, მთებიცა და ხევებიც, – ერთი სიტყვით, ყველაფერი, წარმოადგენდა რაღაც ერთ მთლიან სანახაობას. სწორედ ისეა, როგორც ეს ვაჟას „ბუნების მგოსნებშია“.

გოდერძი თავის „წერილი ნაძვებს“ ასე იწყებს: – „მე შეიძლება გავგიჟდე.

– რატომ?

– ისე ახლოს ვგრძნობ ჩემს მოთხრობებს. მეშინია მართლა არ გაცოცხლდნენ.

– შენც ნუ დაწერ.

– ხშირად იცი რა მგონია?

– რა?

– მგონია, რომ გუდამაყრის ხეობა დიდი წიგნია. მთები ყდებად აქვს ამ წიგნს და შიგნით უამრავი მოთხრობა წერია. მზე და მთვარე მანათობლად მყვანან. ვზივარ ჩემთვის, გადაშლილი მაქვს ეს უცნაური წიგნი და ვკითხულობ“.

გოდერძის ესმოდა ბუნების ენა და მის ფანტასტიკურ სამყაროში თავს ბედნიერად გრძნობდა. მას ჰქონდა ორიგინალური ხედვა, განსხვავებული თვალი. მისი ყოველი გმირი, – იქნება ადამიანი, ფრინველი თუ ნაძვის ხე, ერთნაირად ახლობელი იყო. რა საოცარი მეტაფორაა, ადამიანი სხეულზე ამოსულ ნაძვის ხეს რომ ვერაფრით ვერ იშორებს. ისინი ერთად შობილნი არიან. ადამიანი კვდება, მის საფლავზე ის ნაძვის ხე განაგრძობს სიცოცხლეს.

გოდერძი ჩოხელმა ინსტიტუტში გადაიღო ფილმი „ადგილის დედა“. მიტოვებული სოფელი, მიტოვებული სასაფლაოები, უკვე ნასოფლარად ქცეული სოფელი და მარტოდ დარჩენილი მოხუცი ქალი და მისი ერთადერთი საზრუნავი ძროხა.

ასეთია ფილმის უბრალო გარემო, მაგრამ სევდითა და ნოსტალგიით არის დამუხტული მთელი ფილმი. მოხუცი ქალის მარტოობის განცდა ფილოსოფიურად არის განზოგადებული და სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემებზე გვაფიქრებს.

მარტოობისაგან გატანჯული მოხუცი თავის მოკვლას გადაწყვეტს. ჩამოჰკიდებს თოკს, რომ თავი ჩამოიხრჩოს, გამოეთხოვება ძროხას, ყულფში თავს რომ გაჰყოფს, სწორედ ამ დროს ძროხა დაიბღავლებს. სულის შემძვრელია ძროხის ხმა, ისიც მარტო რჩება. ქალი მარყუჟს მოიხსნის, რად ბღავიხარ, მარტოობის შეგეშინდაო?

ადამიანის ცხოვრების აზრი სხვებზე ზრუნვაშია, სხვებზე ფიქრშია. როცა ვინმეს სჭირდები, მაშინ აქვს შენს ცხოვრებას აზრი, უფუნქციობა – სიკვდილის ტოლფასია. .

მოხუცი გახედავს მთებს, ბილიკებს და იტყვის: ვინც გაიაროს და ხმა არ გამცეს, წყეულიმც იყოს...

ადამიანს ენატრება ადამიანის ხმა.

ფილმი ინსტიტუტმა წარადგინა გერმანიაში ობენრაუზენის ფესტივალზე და უმაღლესი ჯილდო – „გრანპრი“ მიიღო.

გოდერძი ჩოხელმა ინსტიტუტი ასახელა.

გოდერძი ჩოხელი მუდამ მოსაფერებელი და საპატრონო კაცი იყო. მას სულ გვერდში ედგა გივი ბერიკაშვილი. დიდი მეგობრობა გაუწია. გივის აგარაკზე წვერში, ხშირად ერთადაც იყვნენ, ერთად მუშაობდნენ, ფიქრობდნენ. გივი გამორჩეულად თბილად ექცეროდა და ეს სულიერ სიმშვიდეს ანიჭებდა გოდერძის. გივი ბერიკაშვილს კარგად ესმოდა ნამდვილი შემოქმედის სულიერი ტკივილისა. მეგობარი სიკვდილამდე წუთითაც არ მიუტოვებია.

გოდერძი ჩოხელი თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო. ძალიან განიცდიდა საქართველოში შექმნილ დამთრგუნველ სიტუაციას. ნერვიული ატმოსფერო ღრმა კვალს სტოვებდა მის სულში. ჩვენი საუბრები ისე არ დამთავრდებოდა, რომ ოჯახის ულუკმაპუროდ დარჩენის შიშზე არ ეთქვა. გრძნობდა, რომ დიდხანს ვერ გაუძლებდა წუთისოფელს. მე, რაკი ვიცოდი მისი დეპრესიული განწობილება, ხაზგასმული ოპტიმიზმით ველაპარაკებოდი, ვაიმედებდი. ერთ-ერთი საუბრის დროს მგონი ზედმეტად ოპტიმისტური ვიყავი, რაღაც არაბუნებრივად ჟღერდა ჩემი ამაღლებული რიტორიკა. გოდერძი დაფიქრებული მისმენდა და მერე ბავშვური ღიმილით შემომხედა და მითხრა: შეიძლება ეგრეც მოხდეს, თუ საქართველოს სამი-ოთხი ბიძინა ივანიშვილი ეყოლებაო. მთელი ქართველი ხალხი მარტო ამ ერთი კაცის იმედად დარჩაო.

მართალი იყო გოდერძი ჩოხელი. გარდაცვალების შემდეგ მისი ოჯახი ისევ ბიძინა ივანიშვილის საზრუნავი გახდა. დიდი

მამულიშვილის ასეთი მოქმედება, მის მრავალ ქველმოქმედებასთან ერთად, დღეს ხომ ნამდვილი ზნეობრივი გმირობაა.

ასეთი გმირობა ყოველთვის გამონაკლისია, იგი ერთეულთა ხვედრია.

X X X

უნივერსიტეტი წელიწადში ზოგჯერ ოცამდე საკურსო და სადიპლომო სპეტაკლს დგამდა. ბუნებრივია, ყველა ერთნაირად წარმატებული არ იყო, მაგრამ სასწავლო და შემოქმედებითი პროცესი მიდიოდა. არაერთი სპექტაკლი იყო ნაჩვენები მოსკოვში და სხვა ქვეყნებში. მრავალთა შორის მხოლოდ ერთ-ერთ დოკუმენტს დავიმოწმებ, რაც ჩემს არქივს შემორჩა. რექტორი ე. გუგუშვილი მოსკოვიდან მწერდა:

„ვასო! ჩვენი სპექტაკლის წარმატება იყო ჭეშმარიტად არნახული. პირადად მე არ ველოდებოდი ასეთ რამეს. სპექტაკლის (მოლიერის „ტარტიუფი“. რეჟ. გ. ანთძე. ვ.კ.) მსვლელობის დროს ხალხი ტაშს უკრავდა, ყვირილი იყო „ბრავო! ბრავო!“ ბევრჯერ და ა.შ. სპექტაკლის შემდეგ ყველა მოდიოდა ჩვენთან, ჩემთან (ბევრი ჩემი მეგობარი იყო), ყველა მეუბნებოდა – „გადასარევია, ბრწყინვალეა, ყოჩაღ ქართველებს და ა.შ. არ ვაჭარბებ, ნამდვილად ასე იყო. ესწრებოდნენ ჩვენი საელჩოდან (ვაჟა არ იყო).[1] აქ გამოდის ახალი გაზეთი „გრუზია“ (რუსულად რასაკვირველია). ამ გაზეთში პატარა ინფორმაციაა ჩვენს კინო ფაკულტეტზე და რედაქტორმა მოგვცა უამრავი ეგზემპლარი. ჩვენ დავალაგეთ გაზეთები სკამებზე, ძალიან ეფექტური გამოვიდა. მეორე დღეს საღამოს ჩემთან მოვიდა ალიოშა ბარტოშევიჩი[2] და მითხრა: ეთერი, ყველა, ვისაც ვხვდები მეუბნება, რატომ არ იყავით „ტარტიუფზე“, ბრწყინვალე სპექტაკლია, როგორ ვნანობ, რომ არ ვიყავი ეს ორი დღე, ყველა ამ სპექტაკლზე ლაპარაკობდა.

---

1. იგულისხმება საქართველოს ელჩი რუსეთში ვაჟა ლორთქიფანიძე (ვ.კ.)
2. თეატრმცოდნე ა. ბარტოშევიჩი. შექსპიროლოგი, სამხატვრო თეატრის დიდი მსახიობის ვ. კაჩალოვის შვილშვილი

აი, ასე. სოციოლოგიური კვლევა ჩატარდა და სამმა სპექტაკლმა გაიმარჯვა – ჩვენი, არგენტინის, ლეონიდ ხეიფეცისა და ვ. კირშონის სპექტაკლი, რეჟ. ვ. ლეგერდოვი. ეს ორი დღე ჩვენ ოლიმპზე ვიყავით და მთავარია, რომ ეს შეფასება ერთსულოვანია. არავითარი ადგილები აქ არ ნაწილდება,ეს არ არსებობს ამ ტიპის ფესტივალზე, როგორიც არის „პოდიუმი“. საჩუქრებიც იყო ყველასათვის ერთნაირი. განხილვის დროს ყველა ლაპარაკობდა ჩვენს სპექტაკლზე. ვნანობ რომ იცოდე, რომ არ ვიყავი...

აი ასე! გილოცავ, ეს შენი არჩევანი იყო და არ შეცდი.

3 მაისს მე მივდივარ 5 დღით პეტერბურგში, დამპატიჟა ლენ-ნის ინსტიტუტის რექტორმა, მთხოვა ლექციები წაიკითხეთო ქართულ თეატრზე და ამავე დროს, 8 მაისს გადის თემურის სპექტაკლი „მაკბეტი“, იმავე დღეს ვბრუნდები მოსკოვში, უკვე ბილეთები მაქვს, რექტორმა თვითონ მომიტანა ბილეთი. ჩემი სტუდენტები – ორივე ჯგუფი არიან პრაქტიკაზე რობიკოსთან. თუ დადიან??? ეჭვი მეპარება, არაფრისგამკეთებლები არიან. ე.ი. მე ლექციებს არ ვაცდენ!!!

ამით ვამთავრებ. ყველას მოკითხვა.

კარგად იყავი.

შენი ეთერ გუგუშვილი.

26/IV-95. მოსკოვი“.

რა ბედნიერებაა, როცა სტუდენტობის წლებშივე იკვეთება სტუდენტთა არტისტული ნიჭიერება. რომელ ერთ სტუდენტს ჩამოთვლი, იმდენი წარმატებული სადიპლომო სპექტაკლი დაიდგა. ერთ-ერთი სპექტაკლის პროგრამაზე მიმიწერია: „სახელმწიფო კომისიამ რეზო გაბრიაძის „სამოთხის ჩიტი“ ნახა, გიზო ჟორდანიას ჯგუფის მეოთხე კურსის წინასადიპლომო სპექტაკლი. ბრწყინვალე გროტესკი, პაროდია, მჩქეფარე არტისტიზმი, საოცარი გრძნობა ფორმის, პლასტიკის, რიტმის, ზეიმია სიჭაბუკის, ადგილზე ვერ ვჩერდები სიხარულით. მთელი კომისია (კომისიის თავ-რე პროფ. ნაპო ზაქარაია) მეუბნება: ამის შემდეგ რაღა საჭიროა სადიპლომო წარმოდგენა, ეს უნდა ჩავუთვალოთ სადიპლომოდ. განსაკუთრებით ბრწყინავენ ირაკლი აფაქიძე და მამუკა კიკალეიშვილი. ლიდერები არიან წარმოდგენის. რა ნიჭიერია ირაკლი, დაჯილდოებული სცენიური მომხიბვლელობით, იშვიათი არტისტული ნიჭით, რომელ თეატრში უნდა წავიდეს?

სად გაიბრწყინებს ან სად დაიკარგება? მოუვლის ნიჭს? ინსტიტუტი გახარებულია. განხილვა იყო საზეიმო“. 12. III. 81“.

როცა სტუდენტთა სპექტაკლი „ჯულიეტა და რომეო“ (გ. მარგველაშვილის სპექტაკლი) ვნახე, უცებ შევკრთი სათაურის გამო, მაგრამ სპექტაკლი საათივით იყო აწყობილი, სწორედ სათაურში გაცხადებული კონცეფციის მიხედვით. დაიბადნენ ახალი მსახიობები: (ია სუხიტაშვილის – ჯულიეტა, ზ. ყიფშიძის – მერკუციო), ისინი თეატრის მნიშვნელოვანი შენაძენი გახდნენ.

უნივერსიტეტიდან ქართულ თეატრს ყოველწლიურად ემატება ახალი აქტიორული ძალები. მათ დანახვა უნდა. აგერ, ახლახანს „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე გ. შალუტაშვილის სპექტაკლში – თ. ბართაიას „სათამაშო პისტოლეტი“ – ვარსკვლავივით გამოანათა ახალგაზრდა მსახიობმა ალადაშვილმა. საზღვარგარეთაც გამოიჩინეს სპექტაკლისადმი დიდი ინტერესი.

ასეა, თაობა მოდის, თაობა მიდის!..

# საუბარი ლექციებზე

ლექციაზე მიყვარს საუბრები თეატრზე. სტუდენტებს ცხოვრებისეული მოვლენები, ისტორიისა და თანამედროვეობის პრობლემები აინტერესებთ. პროგრამის კონტექტსში უნდა ჩასვა პარალელები და ასოციაციები, ლექცია უფრო დასამახსოვრებელი რომ გახდეს, საუბარში კი აუცილებელია იუმორის გამოყენება. ზოგჯერ იუმორს მიჰყავს ლექცია, მისი ენერგიის წყაროა.

არ მიყვარს სიზარმაცე – სტუდენტი კი, მიყვარს.

რაღაც შეუთავსებლის შეთავსებაზე ვლაპარაკობ.

ხშირად ვსაუბრობ „ქართულ სიზარმაცეზე“.

უცნაურია, შეიძლება სიზარმაცე ეროვნული ფენომენი იყოს?

შეიძლებაო, ბევრჯერ წამიკითხავს. ზარმაცი აზიაო, ხშირად წერდნენ ხოლმე. ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთ წერილში იუმორით წერდა: იმდენი ვიმუშავე, მგონი ბევჯითი ევროპელი გავხდი ეს ზარმაცი აზიელიო.

მერე უცებ გაგახსენდება ვარძია, ხერთვისი, თმოგვი და ენა ჩაგივარდება. ტიტანური შრომის გარეშე კლდეში ვინ შექმნიდა ქალაქებს?!

მაგრამ მაინც რატომ გვიყვარს ჩვენი ნაცარქექია, ძალიან ახლობელი და რაღაც განსაკუთრებით საჩვენოა.

თურმე ჩვენს ხალხს ოდითგანვე როგორ აწუხებდა სიზარმაცის პრობლემა! იგი მარტო დიდაქტიკისა და ბავშვის აღზრდის ზოგადი პრობლემა არ იყო. ყველა ქვეყნის ბავშვებს ასწავლიან შრომის სიყვარულს, ეს გასაგებია, მაგრამ აშკარაა, რომ ბევრი რამ ჩვენს ხასიათს უკავშირდება. თითქოს ძნელი დასაჯერებელია, რომ სიზარმაცე ჩვენი ხასიათის ერთ-ერთი არსებითი თვისება იყოს, მაგრამ რა ვუყოთ ჩვენი წინაპრების ნააზრევს (ილია, აკაკი და სხვა)? ისინი ხომ მუდმივად სწუხდნენ ამ პრობლემების გამო? რა ვუყოთ მთავარ დებულებას, რომ ჩვენს მდიდარ, წალკოტივით მშვენიერ ქვეყანაში ჩვენ, ქართველები ყოველთვის ღარიბები ვიყავით?!

შემთხვევით ხომ არაფერი არ ხდება?

1826 წელს, საქართველოში იმოგზაურა გერმანელმა პროფესორმა ედუარდ აიხვალდმა. მან საქართველოში ოთხი თვე დაჰყო. მოიარა მთელი საქართველო. საოცარი დაკვირვებითა და კეთილგანწყობით შეისწავლა ყველაფერი, რაც საქართველოს უკავშირდებოდა

(წიაღისეული, ფაუნა, ფლორა, სოციალური პრობლემები და სხვა). მისი დაკვირვებიდან გამოიკვეთა ორი რამ: ძალიან ღარიბად ცხოვრობს ხალხი და არიან ძალიან ზარმაცებიო. ბევრ ქართულ თვისებას აქებს: „არიან სტუმართმოყვარეები, მამაცები, კეთილები, თავის მონაყოლში უყვართ, თავიანთი კარგი თვისებების გაზვიადება, განსაკუთრებით სიმამაცით ტრაბახი“, მაგრამ „არაჩვეულებრივად ზარმაცები და უდარდელნი არიანო“. (ხაზგასმა ჩემია. ვ.კ).

ჩვენი სიზარმაცის შესახებ წერდა ა. დიუმაც. წერდნენ სხვებიც. თუმცა რად გვინდა უცხოელების აზრი, როცა აგერ, ჩვენი ხალხის მიერ შექმნილ ზღაპრებში ერთ-ერთი მთავარი სატკივარი სიზარმაცესთან ბრძოლის თემაა. ისიც საგულისხმოა, რომ ზარმაცები ძირითადად კაცები არიან და არა ქალები. ზღაპრების მიხედვით, ქალები უფრო მშრომელები არიან, ვიდრე კაცები.

საყოფაცხოვრებო ზღაპრების ერთ-ერთი წიგნი „ნაცარქექიათი“ იწყება. მეორე ნოველა „ერთი მანეთის შოვნაა“. კვლავ სიზარმაცისა და იოლი ცხოვრების თემას ეხება, სადაც საინტერესო ფსიქოლოგიური მომენტებია შენიშნული... „ერთ კაცს ჰყავდა ზარმაცი შვილი“ – ასე იწყება ზღაპარი. როცა მამა მოხუცდა და ლოგინად ჩავარდა, ცოლს უთხრა: ჩემი ქონება სხვას უნდა დავუტოვო, რადგან შვილი ზარმაცია და ერთი მანეთის შოვნაც არ შეუძლიაო. მაშინ დედამ ხერხი იხმარა, შვილს ჩუმად მისცა მანეთი, ვითომ მისი ნაშოვნი იყო. როცა შვილმა მამას ის მანეთი აჩვენა, მამამ უსუნა ფულს და ცეცხლში შეაგდო. მეორე დღესაც იგივე განმეორდა. ოფლის სუნი არ უდის, შენი ნაშოვნი არ არისო. „ბოლოს ბიჭმა დაუჯერა დედას, წავიდა და მართლაც მთელი კვირა მოუნდა მანეთის შოვნას“, როცა მამას მიუტანა, მამამ ისევ ბუხარში შეაგდო. ბიჭმა ახლა კი ყვირილი დაიწყო – „მამაჩემო, შენ გასულელებულხარ, მე ამ მანეთის შოვნას ერთი კვირა ზედ გადავყევი და შენ ცეცხლში მიწვავო“.

მამამ უთხრა: „გული ისე დაგეწვა მაგ მანეთზე, რომ ნამდვილად შენი ნაშოვნი იქნებაო“.

სიზარმაცეზე დაწერილ უამრავ ზღაპარს შორის გამორჩეული, ფილოსოფიურ განზოგადოებამდე ამაღლებული ზღაპარია „ნაცარქექია“.

„ნაცარქექია“ უცებ გახდა უპოპულარესი ზღაპარი. იგი ძალზე ახლობელი აღმოჩნდა ქართული ხასიათისათვის. ამ თემით დაინტერესდნენ მწერლები, თეატრები. „ნაცარქექიას“ ბევრნაირი

ინტერპრეტირება შეიძლება, არსებობს კიდეც, მაგრამ ხშირად გვერდს უვლიან ერთ-ერთ მთავარ კითხვას – როგორ მოხდა, რომ პატარა ნაცარქექიამ დაამარცხა უზარმაზარი დევები? რეალურად, პრაქტიკულად რამდენად შესაძლებელია, რომ ნაცარქექიამ დევები დაამარცხოს? ასე ადვილად რატომ იჯერებს მკითხველი ნაცარქექიას ტრიუკებს? რატომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ნაცარქექიას გმირობა ძირითადად მოწინააღმდეგეების (ამ შემთხვევაში დევები) უჭკუობაზე და იდიოტობაზეა დამყარებული. <u>წინასწარი გამარჯვება – მისი განზოგადოებული თემაა</u> – ჩვენზე ბევრად ძლიერ მტერსაც მოვერევით, რადგან ჩვენი მტერი იდიოტია. ანუ მეტაფორულად იგულისხმება, რომ ქართველი უსათუოდ გაიმარჯვებს ძლიერ მტერზე, რადგან უფრო ჭკვიანი და მოხერხებულია.

აი ეს არის მთავარი. ეს პოზიცია კი დაეჭვებისა და კრიტიკის გარეშე დგას.

გავიხსენოთ „ნაცარქექიას“ ზღაპარი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი რძალ-მაზლი. მაზლი საშინელი ზარმაცი და ზორბა ტანისა იყო, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, სულ ბუხართან იჯდა, ხელში ჩხირი ეჭირა და ნაცარს ქექავდა“.

რძალს მობეზრდა მაზლის უქნარობა, სახლში აღარ შეუშვა. ნაცარქექიამ „ერთი გუდა ნაცარი, სადგისი და ახალი ყველი სთხოვა და გზას გაუდგა“.

აქედან იწყება მისი გმირული თავგადასავლების ოდისეა. მას ერთადერთი გამოსავალი ჰქონდა. უნდა გამოეყენებინა ხალხური ანდაზა – „ხერხი სჯობია ღონესა“.

ასეც მოიქცა. როცა დიდ მდინარეს მიადგა, ერთი უშველებელი დევი დაინახა, შეეშინდა, მაგრამ მალე გამოსავალიც მონახა. გუდას სადგისი უჩხვლიტა, მტვერი გამოადინა და გაიარ-გამოიარა. „დევი გაოცდა, შეშინდა კიდეც“. ნაცარქექია დაიხარა და ვითომ ქვა აიღო და დევს დაუძახა: აი ამ ქვიდან წვენს გამოვადენო და ახალ ყველს მოუჭირა ხელი და წვენი ადინა. დევი სულ გადაირია. გათამამებულმა ნაცარქექიამ დევი თავისთან იხმო. შეაჯდა მას და უთხრა წყალში გამიყვანეო. როცა დევს ემჩატა, ნაცარქექიამ უთხრა: ჰაერში მიჭირავს ხელიო, ახლავე გავუშვებო და სადგისი „დევს კისერში ჩაურჭო“, დევს ეტკინა, სთხოვა, ისევ მოსჭიდებოდა ცას.

ამის შემდეგ ნაცარქექია დევის ოჯახში ხვდება და ერთს კი არა, რამდენიმე დევს გააოცებს თავისი მითიური ძლიერებით. ვერავინ

უბედავს სიტყვას ბაქია და ტყუილების წარმატებებით გათავხედებულ ნაცარქექიას. ვერც მელიას ეშმაკობამ დააკლო რამე.

ზღაპარი ასე მთავრდება: ,,ნაცარქექიამ დევების სარჩო და სიმდიდრე, რაც რამ ჰქონდათ, მთლად აქლემებს აჰკიდა და თავის რძალთან წაიღო".

ხედავთ, რა ადვილად გამდიდრდა ზარმაცი კაცი?

თურმე შეიძლება ნაცარქექიაც კი გამდიდრდეს თუ ხერხს მოიგონებს. ამიტომ შრომა და ოფლის ღვრა სრულიადაც არ არის საჭირო. მთავარია მოხერხებულობა ანუ კვაჭობა.

მაგრამ გამარჯვებისათვის აუცილებელია მოწინააღმდეგე ანუ მეორე მხარე უჭკუო და ცალტვინა იყოს. დევები რომ იდიოტები და დებილები არ ყოფილიყვნენ ნაცარქექიას ხომ სულს გააფრთხობინებდნენ პირველსავე ტყუილის დროს. (ხაზი ჩემია. ვ.კ.).

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დევები მიუხვდნენ ნაცარქექიას ეშმაკობას, მაშინ ვერც ნაცარქექია გაიმარჯვებდა და ცხადია, ვერც ასეთი ზღაპარი დაიწერებოდა. ზღაპრის შემთხზველს კი უფრო დიდი ჩანაფიქრი აქვს: ქართველები ბაყბაყ დევებსაც კი სჯობნიდნენ ჭკუით და ამარცხებდნენ კიდეც. ასეთი იდეა მომხიბვლელია, მაგრამ ცრურომანტიკული, არარეალისტური. ჩვენ გვინდა, ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი მტრები, ბაყბაყდევები უჭკუოები იყვნენ, რათა ადვილად დავამარცხოთ.

განა ჩვენი ისტორიის ბევრი მოვლენა ამას არ ადასტურებს? ასეთ ილუზიურ, ვირტუალურ სამყაროში რამდენჯერ ვიცხოვრეთ? გვიჭირს მწარე სინამდვილისათვის თვალის გასწორება. გვირჩევნია შეთხზულ, ილუზიურ, რომანტიკულ ,,სინამდვილეში" ცხოვრება, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს ჩვენს ეროვნულ ამბიციებს და გვათავისუფლებს ,,პატარა" ქვეყნის კომპლექსისაგან. ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ჩვენი მეფეები ხშირად შეცდომებს უშვებდნენ სწორედ არარეალისტური, რომანტიკული ილუზიების გამოო.

ასე ხდებოდა ცხოვრებაშიც, თეატრშიც. როდესაც დ. ერისთავის ,,სამშობლო" დაიდგა, მას წარმოუდგენლად დიდი წარმატება ხვდა. პატრიოტულმა გრძნობამ ააღელვა ხალხი. სპექტაკლში იყო ასეთი სცენა: გამარჯვებული შაჰი ხმალს გადასცემდა გმირ ქართველს ლევან ხიმშიაშვილს. ლევანი კი ამბობდა: მე და ჩემი ხმალი ქართველები

ვართო და ხშირად ხმალს მსახიობი კი არ უბრუნებდა, ფეხებთან მიუგდებდა კიდეც. ამ ფაქტზე დარბაზი ლევანს ისეთ დიდ ოვაციას უმართავდა, რომ თითქოს ქართველებს შაჰთან დიდი ბრძოლა მოეგოთ. ეს ყალბი, არაბუნებრივი სიტუაცია, თითქოს სრულიად ალოგიკური და არაგონივრული მოქმედება საოცარ სიხარულს ანიჭებდა მაყურებელს. ეს ყალბი ჟესტი სიმართლედ აღიქმებოდა და ფსიქოლოგიურად მოტივირებული იყო. რეალობის ადგილს იკავებდა სასურველი. ასეთივე პირობითობა იქნა დაშვებული ნაცარქექიას მოქმედებაშიც, როცა მას უსათუოდ უნდა დაემარცხებინა ათასჯერ მასზე ძლიერი დევები, რადგან „ხერხი სჯობია ღონესა“...

ქართული დონკიხოტიზმია!..

დონკიხოტიზმი ძალიან ახლობელია ქართული ხასიათისათვის. ცნობილი გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი წერდა: საქართველო მდიდარია დონკიხოტებითო.

ჩვენი ქართული ხასიათის გამოვლენა არ არის ლადო ასათიანის ზოგიერთი ლექსის პათოსიც? ვერიკო ანჯაფარიძისადმი მიძღვნილ ლექსში ხომ ამბობს: „სხვა რომ არ იყოს, ჩვენ მარტო შენი და ნატოს ეშხი დაგვიფარავდა, თორემ მტრებს ისიც კი შეაშინებს, ერთხელ ხმამაღლა რომ ვთქვათ – მარაბდა“.

თეატრში, პოეზიაში, ზღაპრებში გამოიხატა ჩვენი ხასიათის ცრუ რომანტიკული მიდრეკილება – სასურველის რეალობად აღქმა და გამარჯვების ადვილად მოპოვების ილუზია.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ნაწარმოებებისა და მოვლენების გამო ილია მუდამ აფრთხილებდა ქართველებს: „ჩვენ კარგნი ვართ, ისინი კი მხეცები და აფთრები არიან. ეს გრძნობის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება კი არ არის, გრძნობის წაწყმედაა, გაყალბებაა, დაბრმავებაა... ყოვლად მხეცობა მტრისა, ყოვლად სისრულე და სავსება ქართველებისა, ბაშვური წადილია... ქვეყანაზე არ არის იმისთანა ერი, რომ მირწყული ჰქონდეს ან მარტო კარგი ან მარტო ავი. ავი და კარგი ყველგან არის“.

ასეთია რეალობა, მაგრამ ილია ერთ-ერთი პიესის განხილვის დროს ქართული ხასიათის დონ კიხოტობასა და ნაცარქექიობას თავის ფსიქოლოგიურ მოტივაციას აძლევს: „მტერი არის დამარცხებული და გამარჯვებას გადაჩვეული, ახლანდელი ქართველი ამას რომ ხედავს, აღტაცებაში მოდის. სწორედ <u>ავტორისაგან შეთხზულს გამარჯვებაში უნდა ვეძიოთ მიზეზი ტაშის ცემისა წარმოდგენის</u>

დროს“ (ხაზგასმა ჩემია. ვ.კ.).

„ნაცარქექია“ ქართული თეატრის სარეპერტუარო გმირია. დიდია მისი პოპულარობა. მთელი თაობები უკრიტიკოდ და დიდი აღტაცებით უყურებენ ნაცარქექიას თავგადასავალს, მის გონებამახვილობას, მის უწყინარ ბაქიბუქსა და ტრაბახს. მოსწონთ დევების გულუბრყვილობა, მოსწონთ მათი დამარცხება.

ლექციაზე საუბრის შემდეგ სტუდენტებს ვკითხე: გულწრფელად მიპასუხეთ, რომელი უფრო გამოხატავს ქართულ ხასიათს — — ნაცარქექია, ლუარსაბ თათქარიძე თუ პლატონ სამანიშვილი, რომელიც ფეხმძიმე ქალსაც არ ინდობს, უმწეო ჩანასახის მოსაკლავად გაიწევს.

— ქართული კი არა, ზოგადად ადამიანური თვისებებია, — იყო უმრავლესობის აზრი.

# უნივერსიტეტი ქმნიდა თეატრებს

ახლა თეატრის შექმნა ბევრ წინაპირობასთან არის დაკავშირებული. თანამოაზრე ჯგუფის გატაცებას – შექმნას თავისი თეატრი, შემოქმედებითი პოტენციალის გარდა, ორგანიზაციული უზრუნველყოფა სჭირდება. ურთულესია თითოეული წევრის ინდივიდუალური ხასიათის კოლექტივის ნებაზე დამორჩილების პროცესი. ინდივიდუალიზმის და კოლექტიური ცნობიერების შერწყმა მოითხოვს განსაკუთრებულ ნებისყოფას, ინტელექტსა და ათასგვარი ფსიქოლოგიური ფაქტორის გათვალისწინებას. ერთი სიტყვით, საქმე გვაქვს ახალი ოჯახის შექმნასთან, რომელსაც სიყვარული უნდა ედოს საფუძვლად.

ინსტიტუტში ჩაისახა ს. მრევლიშვილის მეტეხის თეატრი, მ. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი, საინგილოში ალიბეგლოს თეატრი, ყველზე ადრე კი მესხეთის თეატრი. უნივერსიტეტს ლომის წილი უდევს სხვათა და სხვათა თეატრების შექმნაშიც: ა. შალიკაშვილის პანტომიმის თეატრი, რ. გაბრიაძის მარიონეტების თეატრი, ახმეტელის თეატრი პირდაპირი შედეგია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გაერთიანებისა. ამ თეატრებში გაჩნდნენ თავიანთი საქმის ლიდერები, ზოგი გამოირჩეოდა ორგანიზაციული ნიჭით, ზოგი შემოქმედებითი, ზოგს ერთიც ჰქონდა და მეორეც, ყველაფერი ჩემ თვალწინ მოხდა. მთელ ამ პროცესში მათ გვერდით ვიდექი როგორც პრორექტორი და თეატრმცოდნე.

სხვაზე ნაკლებად არც მე ვიცი, რა არის მოკრძალება, მაგრამ სამწუხაროდ „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას“, ისე ამახინჯებენ ხოლმე ისტორიას. პირველი თეატრი, რომელიც უნივერსიტეტში ჩაისახა – მესხეთის თეატრი იყო.

2002 წელს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის ფურცლებზე“ ერთ-ერთ ინტერვიუში ნ. დემეტრაშვილმა განაცხადა: „მესხეთის თეატრის განახლების იდეას დასაბამი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში მიეცა ქართული თეატრის ლექტორის ვასილ კიკნაძის ლექციებზე. ბატონმა ვასომ სათეატრო ახალგაზრდობის ჯგუფის ხელმძღვანელობა შემომთავაზა. ამ დროს მე გორის თეატრში ლილი იოსელიანთან ვმოღვაწეობდი. 1966 წელი დაუვიწყარი გახდა ყველა ჩვენგანისათვის“.

მოვლენები კი ასე დაიწყო.

60-იან წლებში, კულტურის სამინისტროში ჩემი მუშაობის დროს, ერთი წერილი შემოვიდა ახალციხიდან. ავტორი სომხური თეატრის გახსნას მოითხოვდა. ეს თითქოს იმპულსი გახდა, რომ მესხეთში ქართული თეატრის აღდგენის საკითხზე გვეფიქრა.

სურვილი კარგი იყო, მაგრამ მისი პრაქტიკული შესრულება ათას ხელისშემშლელ პრობლემებთან იყო დაკავშირებული, მათი მოგვარების გარეშე კი ახალციხეში ქართული თეატრი ვერ გაიხსნებოდა.

კულტურის მინისტრს,ბატონ ოთარ თაქთაქიშვილს წინადადებით მივმართე მესხეთში ქართული თეატრის აღდგენის შესახებ, შემოსული წერილის შესახებაც ვუთხარი. ბატონი ოთარი პატრიოტი და ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, უმალ გაიაზრა ფაქტის ისტორიული მნიშვნელობა და დამავალა საკითხი კარგად მომემზადებინა. მინისტრის მოადგილე აკაკი დვალიშვილი ყოველთვის გამორჩეოდა ეროვნულ საკითხებში თავკაცობით, მანაც აქტიურად დამიჭირა მხარი. ჯერ თეატრის გახსნის იდეის აფიშირება და საზოგადოების შემზადება დავიწყეთ. ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების" რედაქტორს, ბატონ ო. ეგაძეს ვთხოვე, რომ სადმე ეხსენებინა აღნიშნული თემის აქტუალობა. ბ-ნ ოთარს გაეხარდა თეატრის გახსნის იდეა, მალე მის სტატიაში გაჩნდა ინფორმაცია თეატრის გახსნის მნიშვნელობის შესახებ.

საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის რკინის ფარდა იყო დაშვებული. საზღვრისპირა ქალაქში, სადაც რთული დემოგრაფიული სიტუაცია იყო, თეატრს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა.

გადასაჭრელი იყო სამი პრობლემა:

პირველი: დასის შექმნა.

მეორე: ენთუზიასტი რეჟისორის მოძებნა, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა თეატრს.

მესამე: თბილისიდან ჩასულთათვის საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

თითოეული საკითხი ერთმანეთზე იყო გადაჯაჭვული. ერთი რგოლის ამოვარდნა მთელ გეგმას დაანგრევდა. უბრალოდ, ვერ შეიქმნებოდა ახალი თეატრი.

X X X

რუსთაველის თეატრში მომხდარი კონფლიქტის შემდეგ (იგულისხმება დ. ალექსიძის თეატრიდან წასვლა) თეატრალური ინსტიტუტის რექტორმა ილია თავაძემ და პრორექტორმა ე. გუგუშვილმა ხელი გამომიწოდეს და ლექციების წასაკითხად მიმიწვიეს ინსტიტუტში. ჩემმა მასწავლებელმა, ბატონმა დიმიტრი ჯანელიძემ, როგორც კათედრის გამგემ, მხარი დაუჭირა ჩემს მოწვევას ქართული თეატრის ისტორის კურსის წასაკითხად.

და აი, ბედმა მარგუნა ლექციები წამეკითხა სამსახიობო ფაკულტეტზე. ჯგუფში, სადაც თორმეტი სტუდენტი სწავლობდა, ძალიან კარგი ახალგაზრდები იყვნენ. დავიწყე მათი ფსიქოლოგიური მომზადება. გულწრფელად მჯეროდა და ახალგაზრდებიც დავარწმუნე, რომ დიდი ეროვნული, ისტორიული საქმე გაკეთდებოდა, თუ ისინი, ახალციხეში ახალ თეატრს ჩაუყრიდნენ საფუძველს. ყოველ ლექციაზე თეატრის შექმნაზე ვსაუბრობდით. იყო კამათი, ეჭვებიც. ადვილი არ იყო თბილისელი ახალგაზრდების ახალციხეში წასვლა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ორ სტუდენტს – გალინა პატარიძეს და სოსო ბაკურაძეს ოჯახი ჰქონდათ შექმნილი. მცირეწლოვანი ბავშვით ქალაქიდან წასვლა, მართლაც, სარისკო საქმე იყო, მაგრამ ორივე ახალგაზრდას აღმოაჩნდა საოცარი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და პატრიოტული ენთუზიაზმი. ისინი დაგვთანხმდნენ ახალციხეში წასვლაზე. ჯგუფის რომანტიკულმა გატაცებამ და ნიჭიერებამ ბევრი სიძნელე გადაგვალახვინა. ჯგუფში იყვნენ: მ. აბაშიძე, მ. თუშიშვილი, ნ. მაჭავარიანი, ნ. მწარიაშვილი, ი. რეხვიაშვილი, გ. ხვიჩია, ი. ბაკურაძე, თ. გამყრელიძე, რ. ილურიძე, გ. პატარიძე, პ. ქადაგიშვილი, თ. ყიფიანი, მათ შეუერთდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლიდან ლ. სულუაშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ლ. თევზაძე, მ. აბაშიძე, ო. ყურაშვილი.

სტუდენტები ხშირად მეკითხებოდნენ, თუ ვინ იქნებოდა მათი რეჟისორი. ერთხანს გარკვეულ პასუხს ვერ ვაძლევდი, რადგან ვისაც არ შევთავაზე, ყველამ უარი მითხრა. ბოლოს, არჩევანი შევაჩერე გორის თეატრის ახალგაზრდა რეჟისორზე, ნანა დემეტრაშვილზე.

ჩავედი გორში. გავესაუბრე ნანას. ის გაიტაცა თეატრის შექმნის იდეამ. თეატრს სათავეში ჩაუდგა ნანა დემეტრაშვილი. სტუდენტები დიდი ინტერესით შეხვდნენ გადაწყვეტილებას. მე-6 აუდიტორიაში

მოხდა მათი გაცნობა. კარგად მახსოვს ნანას პირველი სიტყვა. სტუდენტებს განუცხადა, რომ არავის ეხვეწება, არავის აიძულებს ახალციხეში წამოსვლაზე. ხოლო ვინც ჩემთან ერთად წამოვა, მე მათი მეგობარი ვიქნები და ერთად შევქმნით თეატრსო.

სტუდენტებისა და რეჟისორის ახალციხეში წასვლის საკითხის დადებითად გადაწყვეტამ, ხელი შეუწყო ადგილზე სოციალური პრობლემების მოგვარებას. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ პირდაპირ გვასახელა რაიკომის მაშინდელმა მდივანმა (გრძელიშვილი), გულთან მიიტანა ეროვნული საქმე, ჯარასავით დატრიალდა. ქალაქში და საერთოდ მესხეთში შეიქმნა არაჩვეულებრივი კულტურული კლიმატი. ყველა რაიონი /ადიგენი, ასპინძა/ ვალდებული გახდა, რომ თეატრზე ეზრუნა, მახსოვს, რაიკომის მდივანმა ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: ამიერიდან ქალაქში ყველაზე საპატიო და საჭირო ადამიანები თეატრის მოღვაწეები არიანო. კულტურულმა, ფსიქოლოგიურმა და სოციალურმა კლიმატმა გაამხნევა ახალგაზრდა დასი, რომელსაც ძველი თეატრის რამდენიმე მსახიობიც შეემატა. მესხეთში სადიპლომო სპექტაკლების დასადგმელად ჩავიდნენ: ა. მიქელაძე და ნ. გაჩავა. დირექტორად მოვიწვიეთ გამოცდილი თეატრალური მოღვაწე მ. მეძმარიაშვილი, რომელიც ადრე მესხეთის ძველ თეატრში მუშაობდა. ნ. დემეტრაშვილს აღმოაჩნდა ორგანიზატორის უნარი. შეიქმნა ერთმორწმუნე კოლექტივი. ო. ჩხეიძის პიესა „თევდორე“ მათი მოქალაქეობრივი პატრიოტული პოზიციის გამოხატვის სიმბოლოდ იქცა. როცა ამ პიესის დადგმის შესახებ ვუთხარი დიდ მეცნიერს პავლე ინგოროყვას, გახარებულმა მითხრა: ფანტასტიკური ამბები ხდება!..

თეატრის ფარდა გაიხსნა 1967 წლის 23 სექტემბერს.

ბევრს დღესაც არ ესმის, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა ეპოქაში ყოველ ქართულ ეროვნულ საქმეს, განსაკუთრებით კი, კულტურის ცენტრის შექმნას. ეს იყო რუსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ქართულმა კულტურამ საერთოდ და თეატრმა კერძოდ, დიდი წარმატებით გამოიყენა.

თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი უნდა ამაყობდეს საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ყოველი ახალი კულტურის კერით. უნივერსიტეტში ყოველი ახალი თეატრი განსხვავებული ხასიათისა იყო, რაც სავსებით გასაგებია.

დასავლეთ ევროპაში ახალგზრდული თეატრების შექმნის

ტენდენციების კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სანდრო მრევლიშვილის „მეტეხის თეატრის“ შექმნა. ს. მრევლიშვილი გამორჩეოდა ორგანიზაციული ნიჭიერებითა და შემოქმედებითი გაბედულებით, სიახლის ძიების ჟინით. ამიტომ ბუნებრივი იყო მეტეხის ტაძარში თეატრის შექმნის იდეა.

კარგად მახსოვს „ჰამლეტის“ პირველი „არალეგალური“ რეპეტიციები ხელოვნების სახლში. სანდრო მრევლიშვილმა გააცოცხლა მიტოვებული, იავარქმნილი მეტეხის ტაძარი, რომელმაც ფართო რეზონანსი გამოიწვია. კულუარებში ატყდა ხმაური, ტაძარი თეატრად იქცაო, მაგრამ სანდრომ გონივრული ხერხი გამოიყენა, მეხამრიდივით, გვერდით დაიყენა კომკავშირის ცეკა. ამით „იდეური საფუძველი“ მოუძებნა ტაძარში ახალგაზრდული თეატრის შექმნის იდეას. „მეტეხის თეატრის“ ისტორიის შესახებ სანდრო მრევლიშვილი იგონებს:

1970 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწფიო თეატრალურ ინსტიტუტში, უკირაინიდან დაბრუნებუილი ბატონი დოდო ალექსიძის ინიციატივით, სამსახიობო-სარეჟისორო ერთობლივი ექსპერიმენტული ჯგუფი დაკომპლექტდა, ჯგუფს ბატონი დოდო ხელმძღვანელობდა, პედაგოგად მიწვეული ვიყავი მე.

ჯგუფის შემადგენლობა ასეთი იყო:

მსახიობები: ლუდმილა ალიმბარაშვილი, ლამარა დორეული, მაია კობახიძე (პირველი კურსის შემდეგ გადავიდა თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე), დოდო ჩოგოვაძე, თემურ ბიჭიაშვილი, გოგი თურქიაშვილი, აკაკი კობალაძე, აკაკი ხიდაშელი, ზურაბ ყიფშიძე.

რეჟისორები: კანდიდ გურგენიძე, ვასიკო ჩოგოვაძე, ნუკრი ჯინჭარაძე, ნუგზარ მახათელი, მათ მეორე და მესამე კურსზე შემოუერთდნენ გულსუნდა სიხარულიძე, ოთარ ცერაძე,დავით ხინიკაძე.

მესამე კურსზე საკურსო სპექტაკლად არჩეულ იქნა სანდრო მრევლიშვილის პიესა „მოდი, ვნახოთ ვენახი“. პიესაში შვიდი დამოუკიდებელი ნოველაა, თითო ნოველაზე თითო რეჟისორი განპიროვნდა. ამგვარად, სარეჟისორო-სამსახიობო ჯგუფს სრული დატვირთვა მიეცა, როგორც რეჟისურაში, ისე მსახიობის ოსტატობაში.

პიესაზე მუშაობის დროს უკვე აშკარად იკვეთებოდა მომავალი თეატრის მხატვრული სტილისტიკის ნიშნები. შემდეგ, უკვე გახსნილი

თეატრ-სტუდიის პირველ სპექტაკლზე, დიდი ქართველი მეცნიერი, თეატრმცოდნე დიმიტრი ჯანელიძე თვალებზე ცრემლმომდგარი იტყვის: „ამ ახლაგაზრდების შემოქმედება იმ მწვანე ყლორტს მაგონებს, ასფალტის სქელ ფენას რომ ამოტეხავს და ჯიუტად რომ აგრძელებს ზრდას“.

სპექტაკლის პრემიერა თეატრალური ინსტიტუტის სცენაზე 1973 წლის 18 აპრილს შედგა.

## ოქმი № 24

1973 წლის 18 აპრილს საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მსახიობის ოსტატობისა და რეჟისურის კათედრამ განიხილა სამსახიობო-სარეჟისორო ფაკულტეტის III კურსის XVIII ჯგუფის საკურსო სპექტაკლი – ს. მრევლიშვილის „მოდი, ვნახოთ ვენახი.“

კათედრის სხდომას ესწრებოდნენ: დ. ალექსიძე, რ. შაფთოშვილი, გ. ჟორდანია, დ, ცისკარიშვილი, გ. სარჩიმელიძე, მ. მრევლიშვილი, ბ. ნიკოლაიშვილი, ვ. ანდრონიკაშვილი, ა. რუბინი, ს. მრევლიშვილი, ტ. ბუხბინდერი.

აზრი გამოთქვეს:

დ. ალექსიძე – როგორც მოგეხსენებათ, ეს არის ამ ჯგუფის პირველი სერიოზული ნამუშევარი. დღეს ორ დებიუტს დავესწარით: სტუდენტებისა და სანდრო მრევლიშვილისა, როგორც დრამატურგისა.

ა. რუბინი – ძალიან კარგი ნამუშევარია. ყველაზე ძალიან „ურემი“ მომეწონა. თ. ნაცვლიშვილი აქაც, და სხვა ნოველებშიც, ძალიან კარგად მუშაობს. პირველი ნოველა შესამცირებელია.

ბ. ნიკოლაიშვილი – ნამუშევარმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ძალიან მომეწონა „ურემი“ და „გადასახურავი“. პირველი ნოველა ცოტა არ იყოს მოწყვეტილია ხერხის მხრივ სხვა ნოველებისაგან. მეტყველების თვალსაზრისით მეტი მკაფიობაა საჭირო.

გ. ჟორდანია – მე ძალიან მომწონს, რომ ამ ჯგუფს მორალურ-ეთიკური საკითხები აწუხებს. კარგია, რომ ასე მკაცრად და თან ტაქტით მოიტანეს პიესაში მოცემული ამბები. ყველა ნოველა კარგად

არის შეკრული, რაც, რა თქმა უნდა, ტექსტრის წყალობითაც მოხდა. რეჟისორული გადაწყვეტის თვალსაზრისით ვერცერთ ნოველას ვერ გამოვყოფ, ყველა კარგად არის გაკეთებული. მომეწონა ნაცვლიშვილი. საერთოდ სპექტაკლი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

გ. სარჩიმელიძე – ეს წარმოდგენა გამოირჩევა თავისი თეატრალური ხერხების სიახლით.

რ. შაფთოშვილი – მე არ მახსოვს, რომ სარეჟისორო-სამსახიობო ჯგუფი ასე ერთიანად იყოს წარმოდგენილი. დიდი სამუშაოა ჩატარებული და შედეგიც ძალიან საინტერესოა.

დ. ალექსიძე – დღევანდელ ნამუშევარში აღსანიშნავია ის, რომ სტუდენტებმა გაიგეს – თეატრის ძალა მის პირობითობაშია. ისიც კარგი იყო, რომ პირობით გარემოში სტუდენტები სიმართლით მოქმედებდნენ. სასიხარულოა, რომ სანდრო მრევლიშვილის დრამატურგის ნიჭი ჰქონია. ალბათ დააკვირდით, თოთოეული ნოველა დამოუკიდებელი დრამატული ნაწარმოებია.

დაადგინეს: სპექტაკლი „მოდი, ვნახოთ ვენახი“ დადებითად შეფასდეს. სპექტაკლი ნაჩვენები იქნას ფართო მაყურებლისთვის.

საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის
მსახიობის ოსტატობის და რეჟისურის
კათედრის გამგე, პროფესორი დ. ალექსიძე
მდივანი ე. პოპოვა

„ვენახი“ რამდენჯერმე აჩვენებს მარჯანიშვილის თეატრში და „კომუნალურ“ მუშაკთა კულტურის სახლში“ (სადაც დღეს „სამეფო უბნის თეატრია“).

გასული საუკუნის სამოციან წლებში თეატრალურ ფორუმებსა და თავყრილობებზე, ახალგაზრდულ შეკრებებზე, მათ შორის ცნობილ ბაკურიანის სემინარებზეც მწიფდებოდა აზრი ახალგაზრდული თეატრალური გაერთიანების შექმნის თაობაზე.

„მოვი, ვნახოთ ვენახის“ წარმატებამ შექმნა საფუძველი, რომ ამ ჯგუფის ინიციატივით შექმნილიყო ახალგაზრდული თეატრი-სტუდია

თეატრის შექმნის რთული ორგანიზაციული პროცესი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პატრონაჟით წარიმართა. იდეამ სრული მხარდაჭერა ჰპოვა კულტურის

სამინისტროს და თეატრალური ინსტიტუტის მხრიდან.

საქართველოს ფილარმონიასთან შეიქმნა „სალაპარაკო ჟანრის“ ჯგუფი. ამგვარად გამოინახა სამართლებრივი ფორმა იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ზაფხულის დასაწყისში სპექტაკლი „ვენახი“ საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ბილეთების რეალიზაციით დაგროვილმა თანხამ უზრუნველყო აგვისტოში მუშაობა ახალ სპექტაკლზე ბაკურიანის ახალგაზრდულ-სპორტულ კომპლექს „მზიურში“.

1973-74 სასწავლო წელს ჯგუფი IV კურსზე გადავიდა, აუცილებელი იყო სადიპლომო სპექტაკლების დადგმა. თეატრალურმა ინსტიტუტმა იტვირთა სადადგმო ხარჯების ძირითადი ნაწილი.

ამავე დროს „თეატრ-სტუდია“ უკვე ფილარმონიასთან არსებობდა. კულტურის სამინისტრო უფლებამოსილი იყო თავისი დაქვემდებარებული ორგანიზაციისათვის შეეძინა აუცილებელი სასცენო მოწყობილობა-დანადგარები.

თბილისის მთავარმა მხატვარმა ოთარ ლითანიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ახალგაზრდულ თეატრ-სტუდიას სპექტაკლები მეტეხის ტაძარში გაემართა. იმ დროს მეტეხის ტაძარი მხოლოდ ისტორიული ძეგლის სტატუსით არსებობდა და იქ საეკლესიო ცხოვრების აღდგენაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ტაძარი და მისი მიმდებარე ტერიტორია მოვლა-პატრონობას ითხოვდა. ამ თვალსაზრისით მისთვის კულტურული ფუნქციის მინიჭება დიდ როლს შეასრულებდა. ამას გარდა, უკვე ყალიბდებოდა გეგმა ძველი უბნების შენარჩუნებასა და რესტავრაციის თაობაზე და მეტეხის პლატოზე კულტურული კერის არსებობა ამ პროცესის დასაწყისი უნდა გამხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის არქიტექტურა სრულიად გამორიცხავდა ტრადიციულ თეატრალურ ინფრასტრუქტურას, მაინც მოქმედ მსახიობსა და მაყურებელს შორის უნდა დაბადებულიყო არატრადიციული, მაგრამ საინტერესო, ახლებური, სივრცობრივი ურთიერთობა, რაც სრულიად ესადაგებოდა ახალგაზრდული თეატრ-სტუდიის ექსპერიმენტულ შემოქმედებას.

ძეგლთა დაცვის სამმართველომ (უფროსი ირაკლი ციციშვილი) ნება დართო თეატრ-სტუდიას ტაძარში სპექტაკლების გამართვის მკაცრი პირობით – სრულად ყოფილიყო დაცული ტაქტი ძეგლისა და მისი ისტორიული ფუნქციის მიმართ, რაც შემდგომში სრული პასუხისმგებლობით გაიზიარეს.

მიმდებარე ტერიტორიისა და ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები სპეციალურმა სახელოსნომ ჩაატარა, ხოლო დააფინანსა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა.

სადიპლომო სპექტაკლად რეჟისორმა სანდრო მრევლიშვილმა უ. შექსპირის „ჰამლეტი“ აირჩია.

თეატრალურ ინსტიტუტში დაბადებული სპექტაკლებით – „ჰამლეტით“ და „მოდი, ვნახოთ ვენახით“ გაიხსნა ახალგაზრდული თეატრ-სტუდია 1974 წლის 21 მაისს. იმავე წლის 12 აგვისტოს, საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებით, მას სახელმწიფო თეატრის სტატუსი მიენიჭა და საკმაოდ სოლიდური დაფინანსება გამოეყო. ეს იყო პირველი ახალგაზრდული თეატრი მთელ საბჭოთა სივრცეში, რომელსაც ასეთი სტატუსი და სახელმწიფო დაფინანსება უზრუნველყოფდა.

ასე რომ, „მეტეხის თეატრი“ და შემდეგ ტრანსფორმირებული თეატრებიც („ძველი სახლი“, „გლობუსი“) სათავეს ჩვენს უნივერსიტეტში იღებენ.

X X X

ძლიერი ემოციური შთაბეჭდილებები იღვიძებს ჩემში, როცა საინგილოს თეატრის შექმნის ისტორიას ვიხსენებ.

და საერთოდ საინგილოს...

მურმან ლებანიძეს შესანიშნავი ლექსი აქვს – „ოდესღაც დიდი ყოფილა საქართველო“.

მართლაც ოდესღაც!..

ჩრდილოეთ და აღმოსავლეთის იმპერიებისათვის ყოველთვის სასურველი იყო საქართველო. მათი სურვილის გამო შაგრენის ტყავივით პატარავდებოდა ჩვენი ქვეყანა, მაგრამ საოცარი ის არის, რომ ტკივილებს ძალიან ადვილად ვიშუშებდით. რამდენი მიწა-წყალი დავკარგეთ ტაო-კლარჯეთის სახით, მაგრამ რომელმა მწერალმა გამოხატა დაკარგვით გამოწვეული ტკივილი? თვალს თუ გადავავლებთ ჩვენს ლიტერატურას და ხელოვნებას, გაოცდებით, თითქოს არაფერიც არ მომხდარა, ისე უმტკივნეულოდ გაგრძელდა ცხოვრება. ნუთუ მართლა ასე იყო? იქნებ ხალხმა მძაფრად განიცადა დაკარგვით გამოწვეული უბედურება, მაგრამ იგი სულიერ

კულტურაში არ აისახა, იქნებ იმის ბრალია, რომ ჩვენში ეროვნული თვითშეგნება გვიან ჩამოყალიბდა?

გადაჭრით ძნელია რამის თქმა, მაგრამ ფაქტია, რომ არაფერი ღირებული არ შექმნილა ამ თემაზე და ეს ალბათ შემთხვევითი არ არის.. „ჩვენებურების“ ნოსტალგია დღეს უფრო იგრძნობა, ვიდრე ისტორიის ფურცლებზე გამოიხატა. ჩვენმა მწერლობამ და თეატრმა გვერდი აუარა ისტორიულ სატკივარს, თუმცა ვინ იცის, რამდენი სატკივარი მოვიშუშეთ სახელდახელოდ?!.

საბჭოთა პერიოდში თურქეთის ხსენება მტრის ხსენების ტოლფასი იყო. მახსოვს, ნ. ხრუშჩოვმა გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვსო. ცენზურამ აკრძალა მიწების მიტაცების ფაქტის ხსენებაც კი. მახსოვს, იმ წლებში ბათუმის თეატრში დაიდგა ა. შერვაშიძის პიესა, სადაც ნახსენები იყო, რომ თურქეთის საზღვრებში ჩვენი ტერიტორიებიაო. ერთი ამბავი ატყდა მთავრობაში. მე და ელგუჯა მაღრაძეს, რომელიც ცეკაში კულტურის საკითხებს განაგებდა,ამის გამო ბათუმში ჩასვლა მოგვიწია ვითომ საკითხის ადგილზე შესასწავლად. მართლაც „ვახ, დრონი... დრონი“...

არსებითად იგივე ბედი ეწია საინგილოსაც. ბელაქანის, ზაქათალისა და კახის რაიონები ისე ადვილად ჩამოგვაჭრეს, თითქოს არც არაფერი მომხდარა. როცა ს. ორჯონიკიძეს უთხრეს, საქართველოს ტერიტორიააო, თურმე „რკინის კომისარს“ ასე უპასუხნია: რაღა დროს საქართველოს ტერიტორიაზეა ლაპარაკი, უკვე ყველაფერი საერთოაო.

მიუხედავად აზერბაიჯანთან მეგობრული ურთიერთობისა, გარკვეულ პერიოდში, ძალიან ძნელი იყო საქართველოდან საინგილოში ჩასვლა. მახსოვს, ერთხელ, საინგილოში კულტურული ღონისძიების ჩატარება გვინდოდა, ზურაბ ანჯაფარიძე მონაწილეობდა ღონისძიებაში. ზურაბი საზღვართან გააჩერეს, არ გაუშვეს, სანამ მთელი ნაცნობობა არ შეაწრიალა ბაქოში. მერე თანდათან მდგომარეობა გამოსწორდა და 70-იან წლებში თეატრალურმა ინსტიტუტმა ითავა თეატრალური ღონისძიების ჩატარება. მას მხარში ამოუდგა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, პოეტი იზა ორჯონიკიძე.

საინგილო ტრაგიკული ისტორიის მხარეა. „ვითარცა მოსაზღვრე კუთხეს, საქართველოს იმ ნაწილსაც ბედმა მრავალგზის მიაყენა ზიანი და არაერთხელ გაანადგურა, მაგრამ ამ ქვეყანას განსაკუთრებით შაჰ-ბასმა მიაქცია თავისი მახვილი ყურადღება და ჯერ ისე

ააოხრა და გააუკაცრიელა, რომ მცხოვრებნი აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა, რის შემდეგ თავის ერთგულ მაჰმადიან ტომს მისცა. მეტადრე მე-12 ს-დგან მოყოლებული სპარსეთის შაჰების წყალობით და დაღესტნელთა შემოსევის და დაშინების გამო მაჰმადიანობამ ჰერეთში ქრისტიანობის დაძლევა დაიწყო“ (ი. ჯავახიშვილი).

ი. გოგებაშვილი წერდა: „სამხრეთ-აღმოსავლეთის კახიდან და ქიზიყის პირდაპირ ალაზნის იქითა ნაპირს საინგილო ძევს“.

სწორედ „ალაზნის იქით“ ერქვა რეჟისორ ანზორ დოლენჯაშვილის სპექტაკლს სოფ. ალიბეგლოში.

ალიბეგლოს თეატრის ისტორია კი ასე დაიწყო: სოფელში ჯერ დრამატული წრე ჩამოყალიბდა (1981), თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტებმა – მ. კვირკველიამ და მ. მჭედლიშვილმა გამოიჩინეს პატრიოტიზმი (მაშინ ეს მართლაც პატრიოტობა იყო) და წავიდნენ საინგილოში, დადგეს რ. ერისთავის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ და ა. სულაკაურის „სალამურას თავგადასავალი“.

ყამირი გატყდა. ალიბეგლოში გაიღვიძა თეატრალური სანახაობისადმი ინტერესმა. მთელი სოფელი მოაწყდა წარმოდგენებს. მალე ალიბეგლოში ჩავიდა ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ანზორ დოლენჯაშვილი, მან შოთა რუსთაველის სახ. ქართულ სკოლასთან შექმნა მოსწავლეთა დრამატული წრე.

ანზორ დოლენჯაშვილს, ნიჭიერებასთან ერთად, აღმოაჩნდა საოცარი ენთუზიაზმი, მიზანსწრაფულობა და მამულიშვილური გრძნობა. ჯარასავით დატრიალდა და მთელ მხარეში გამოაცოცხლა თეატრალური ცხოვრება. ანზორს ინსტიტუტთან ერთად მხრში ამოუდგა თეატრალური საზოგადოება, პირადად გიგა ლორთქიფანიძე, რომელიც, გარკვეულ პერიოდში, საზოგადოებიდან ხელფასსაც უხდიდა...

ა. დოლენჯაშვილმა შემოიკრიბა სოფლის ნიჭიერი ახალგაზრდობა და გაჩაღდა შემოქმედებითი ცხოვრება. თეატრს არ ჰქონდა გარდერობი, აკლდა რეკვიზიტი. მაშინ საკმაოდ რისკიან ხერხს მივმართე. მე, როგორც ინსტიტუტის პრორექტორმა, ვ. აბაშიძის სახ. მუსიკალური კომედიის თეატრის მაშინდელ დირექტორს ა. შანიძეს ვთხოვე, რომ საინგილოს თეატრისათვის მიეცა მისი თეატრისათვის უვარგისი, ჩამოსაწერი ტანსაცმელი და რეკვიზიტი. მაშინდელი კანონით, ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, რადგან საინგილო სხვა რესპუბლიკას, აზერბაიჯანს, ეკუთვნოდა. მაშინ სხვა გზა არ იყო, თეატრალური

ინსტიტუტისათვის უნდა გადმოეცა ყველაფერი და ჩვენ კი მოგვენახა საინგილოსათვის გადასაცემი ფორმა.

ასეც მოხდა. მუსკომედიის თეატრმა ბალანსიდან ბალანსზე გადმოსცა ჩვენს ინსტიტუტს დიდძალი ტანსაცმელი და რეკვიზიტი. ორიოდე კვირის შემდეგ ტანსაცმლითა და რეკვიზიტით დატვირთული მანქანა საინგილოში გავგზავნეთ., მაგრამ, შევადგინეთ ყალბი აქტი, ვითომ იგი გავანადგურეთ, დავწვით, ჩამოვწერეთ.

ეროვნული საქმისათვის გავრისკეთ და სიყალბე ჩავიდინეთ.

გასაოცარი ამბავი ეს კი არ არის, – არამედ იმის განცდაა, რომ მაშინ ქართველები უფრო პატრიოტები ვიყავით „რუსების ჯინაზე", უფრო მეტ ეროვნულ საქმეებს ვაკეთებდით, ვიდრე დღეს!.

ტრაგიკული პარადოქსია, არა?..

საინგილოში „ჯართის" გაგზავნიდან ორიოდე თვის შემდეგ ინსტიტუტში მოვიდა ფინანსური რევიზია. ძალიან ადვილი გამოსაჭერები ვიყავით და გამოგვიჭირეს კიდეც. რევიზორმა მკითხა: ამდენი და ამდენი ათასების ტანსაცმელი და რეკვიზიტი თუ ერთ თვეში გადასაყრელი, დასაწვავი და ჩამოსაწერი იყო, რატომ მიიღეთ ბალანსიდან ბალანსზეო. როგორ დაამტკიცებთ, რომ იგი არ დაიტაცეთ, ან არ გაყიდეთო. ამგვარი ბრალდებების კორიანტელი დადგა და სამწუხაროდ, იურიდიულად, სწორი იყო მათი პოზიცია.

სხვა გამოსავალი არ იყო, კომისიის ერთ-ერთი წევრისათვის უნდა მეთქვა სიმართლე, გამემხილა ყოველივე.

ჩემს კაბინეტში ცალკე შვხვდი ერთ-ერთ რევიზორს, ჯერ ველაპარაკე პატრიოტიზმზე, სიტყვა ჩამოვუგდე ჩვენს სტუდენტებზე, თუ რა ეროვნულ საქმეებს აკეთებენ საინგილოში. დავიწყე დიპლომატიური თუ „ხონური" სვლები.

– თქვენ პატრიოტი კაცი ჩანხართ, – ვუთხარი. რევიზორს სიამოვნებისაგან სახე გაებადრა, კომპლიმენტმა გაჭრა (სად არ ჭრის?!)

– როგორც ქართველ პატრიოტს, ერთი საიდუმლო უნდა გაგანდოთ. ის მთელი ერთი მანქანა ტანსაცმელი საინგილოს თეატრს გადავეცით, უჭირთ მსახიობებს, სპექტაკლებისათვის ტანსაცმელი არა აქვთ...

დეტალურად მოვუყევი, თუ როგორ ჩავატარეთ ოპერაცია. რევიზორმა ღიმილით შემომხედა, თითი მიიდო ტუჩებზე, მაგრძნობინა, არსად თქვაო, გადამეხვია, გადამკოცნა და კაბინეტიდან გავიდა.

სარევიზოო აქტიდან ამოიღეს ტანსაცმლისა და რეკვიზიტის განადგურების ამბავი.

სოფელ ალიბეგლოში მაშინ ორი ათას ხუთასზე მეტი სული ცხოვრობდა. როცა ანზორ დოლენჯაშვილის სპექტაკლებს ესწრებოდა მაყურებელი, წინასწარ იმეორებდნენ მსახიობის სათქმელ ტექსტს. მთელმა სოფელმ ზეპირად იცოდა გმირების ტექსტები. თითოეულ მაყურებელს რამდენჯერმე ჰქონდა ნანახი ყოველი წარმოდგენა. ა. დოლენჯაშვილმა ნამდვილი თეატრალური ატმოსფერო შექმნა, მთელი სოფელი გაათეატრალა. მერე იმდენი ივაჟკაცა, რომ კულტურის სახლს, სადაც თეატრია, ილიას სახელი მიაკუთვნებინა. ნამდვილი ქართული ეროვნული კერა გაჩნდა მთელ იმ მხარეში. ანზორმა შექმნა საინტერესო რეპერტუარი, დიდი გატაცებით მუშობდა მთელ დასთან.

სოფელ ალიბეგლოდან თეატრს ხშირად ჰქონდა გასვლითი წარმოდგენები. ერთხელ მეც დავესწარი კახში ამ თეატრის წარმოდგენას. ნ. დუმბაძის 60 წლისთავს უძღვნეს „საბრალდებო დასკვნა“. ორი ღამით დავრჩი ა. დოლენჯაშვილის მეუღლის დედ-მამის ოჯახში, შესანიშნავად მიმასპინძლეს.

როცა საინგილოში მივდიოდი საქართველოს ტერიტორიაზე, აზერბაიჯანის საზღვრამდე, თითქმის შვიდჯერ გაგვაჩერეს. მანქანას აზერბაიჯანის ნომერი ჰქონდა, მანქანას ამოწმებდნენ, ჩვენც გვისინჯავდნენ საბუთებს. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კი ალიბეგლომდე ორჯერ გაგვაჩერეს, შეგვამოწმეს.

ა. დოლენჯაშვილმა ერთი სპექტაკლი („ბერმუხა“) ინგილოურ კილოზე დადგა, საინტერესო ექსპერიმენტი იყო.

ა. დოლენჯაშვილმა თავისი მაყურებელი აღზარდა, ნამდვილი თეატრალური მაყურებელი გაიჩინა. საინტერესო იყო მათთან საუბარი. როდესაც მათ ვესაუბრებოდი, სოფლის ახალგაზრდები და გლეხკაცები სიამაყით ლაპარაკობდნენ ხოლმე თითოეულ სპექტაკლზე და მსახიობებზე.

ასე რომ, ა. დოლენჯაშვილმა შექმნა ნამდვილი ხალხის თეატრი, პროფესიული და ამავე დროს სახალხო დემოკრატიული კულტურის კერა.

ალიბეგლოს თეატრს თანდათან შეემატნენ თეატრალური ინსტიტიტუტის კურსდამთავრებული ინგილოები. შეიქმნა საინტერესო კოლორიტული თეატრი.

ა. დოლენჯაშვილმა დიდი გამჭრიხობა გამოიჩინა და თეატრალური

ცხოვრების პროცესში ჩართო ადგილობრივი აზერბაიჯანელები. ბევრი ერთობლივი ღონისძიება ჩატარდა, ძმობის და მეგობრობის იდეით გააერთიანა ხალხი.

დიახ, საინგილოს კულტურულ ცხოვრებაზე ფიქრი ყოველთვის აწუხებდათ. ერთ-ერთ ინტერვიუში ჩვენი გამოჩენილი მსახიობი და ღირსეული პიროვნება ჯემალ ღაღანიძე წერდა: როცა დროებით საინგილოს სკოლში გადავედი, სკოლასთან ახლოს, დანგრეულ ეკლესიაში პატარა სცენა მოვაწყვე, სადაც სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად მუშაობდნენ". უნივერსიტეტი დღესაც აგრძელებს საინგილოსთან კავშირს.

X X X

დღეს მნიშვნელოვანი კულტურული კერაა მ. თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრი. საზოგადოების ინტერესს იწვევს მისი ყოველი ახალი სპექტაკლი. თეატრს უკვე აქვს თავისი ერთობ სახელოვანი ისტორია.

კინომსახიობთა თეატრის წარმოქმნა კანონზომიერი მოვლენა იყო და არა მხოლოდ თანამოაზრე ენთუზიასტთა სურვილი.

პირველი იმპულსები უნივერსიტეტის „მე-11 აუდიტორიაში" ჩაისახა.საწყისი ატმოსფერო კარგად არის გადმოცემული ნათელა ურუშაძის წიგნში „მთავარი მოწმის ნაამბობი", სადაც დამოწმებულია ქეთი დოლიძის დღიურების ჩანაწერები. ქ. დოლიძე წერს: „14 მაისი. ქ-ნ ნათელა ურუშაძესთან ვიყავით მე და ნანა კვასხვაძე. ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდიის" ჩვენეული ვარიანტის დადგმა გვირჩია.

ყველაფერი ძალიან საიდუმლოდ მოხდება. იგი  მიშამ არ უნდა გაიგოს. ჩვენ ვერსიას მერაბ გეგია დაგვიწერს. მივდივართ ნანასთან წაღვერში მთელი ზაფხულით... ვაშა!"

29 აგვისტოს ჩანაწერი: „დავიღალეთ, საღამოს მამას უნდა ვთხოვოთ კინოს სახლის მცირე დარბაზის ფოიე დაგვითმოს ღამღამობით. დილით ყველა ლექციაზე უნდა იყოს უცილობლივ. მამა დამთანხმდა, თან მითხრა – გიჟები ხართ, მაგრამ მიდით მამიკო, იმუშავეთო"...

ღამეებს ათენებენ „გვარდიელები", თავდადებას ყოველთვის

შედეგი მოაქვს. მერაბ გეგიამ „ახალგაზრდა გვარდიის სახელით“ უწოდა. ფადეევის რომანის ტრანსფორმირებულ ვარიანტს, რომელმაც ზუსტად გამოხატა თანმედროვე ახალგაზრდობის პოზიცია.

„კარგდ მახსოვს, ნაშუაღამევს კინოს სახლში რომ ვნახეთ რეპეტიცია, განსაკუთრებით ვღელავდით, როცა ე. შევარდნაძე მოვიდა წარმოდგენაზე, რადგან უნივერსიტეტის პრესტიჟიც იყო და მომავალი თეატრის შექმნის ბედიც წყდებოდა“. მართალს ამბობს ქეთი დოლიძე, როცა ე. შევარდნაძის მოწვევის ისტორიას ჰყვება.

ასე რომ, „1978 წლის 14 იანვარს, ქართული თეატრის დღეს, საქართველოს კიდევ ერთი თეატრი შეემატა, კინოსტუდიის „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს – ახალი კოლექტივის ძირითად ჯგუფს შეადგენდა მ. თუმანიშვილის ექსპერიმენტულ ჯგუფი“ (ნ. ურუშაძე).

მიხეილ თუმანიშვილი დიდი რეჟისორი იყო, მაგრამ დიდი ორგანიზატორობით არ გამოირჩეოდა. მას ბედმა გაუღიმა, რომ მთელი ცხოვრება გვერდით ედგა რეჟისორი, და კაცური კაცობით გამორჩეული აკაკი დვალიშვილი, რომელიც ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა მიხეილ თუმანიშვილის ცხოვრებში, როგორც რუსთაველის თეატრში, ასევე შემდეგ წლებში, ახალი თეატრის შექმნის საქმეში.

როგორც კინოკომიტეტის თავმჯდომარის, დიდია რეზო ჩხეიძის დამსახურება კინოთეატრის შექმნაში, ამ ორმა მოღვაწემ ერთად იზრუნეს ორგანიზაციული, ეკონომიკური და სხვა საჭირო პრობლემების გადაწყვეტაზე. ამგვარად, მიხეილ თუმანიშვილის თავკაცობით შეიქმნა ახალი თეატრი.

თეატრის გახსნზე მე, როგორც პრორექტორმა, წარმოვთქვი სიტყვა და აღვნიშნე – თეატრის შექმნის კანომზომიერებაა მე-11 აუდიტორიის ისტორია და ამაგდართა ღვაწლი.

თეატრმოცდნე ნინო მაჭავარიანი წერს: „კინომსახიობთა თეატრი ანუ როგორც მას პირველად უწოდეს – თეატრი-სახელოსნო ბ-ნ მიშას ახდენილი ოცნება იყო. რუსთაველის თეატრიდან წამოსულ რეჟისორს, რომელსაც თეატრალურ ინსტიტუტში პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა თითქმის აღარაფერი აინტერესებდა, ახალგაზრდებმა ახალი სული შთაბერეს და ასე დაიბადა კიდევ ერთი თეატრი. ევროპაში ახალგაზრდული თეატრის ეს მოდელი – ატელიე – საკმაოდ ცნობილი და პოპულარული იყო. ამ იდეის

ხორცშესხმა კინოსტუდიის ბაზაზე, წარმატებით განხორციელდა და პატარა თეატრმა (პატარა ზომით, მსახიობთა ასაკით, თეატრის ასაკით) დაიწყო თავისი არსებობა. მას დიდი მაესტროს წყალობით პირველი დღეებიდანვე დაებედა მაყურებელთა გარკვეული რაოდენობა და შემდგომ მათი სიყვარულიც.

თეატრს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, ბევრი რამ საფუძვლიანად განახლდა. 2004 წელს (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“ (№ 1) წერილში „კინომსახიობთა თეატრი ისევ გვეპატიჟება“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელთან – გიორგი მარგველაშვილთან ნ. მაჭავარიანის ინტერვიუში გამოხატულია და გადმოცემულია თეატრის განვითარების კონცეფცია. თეატრის ხელმძღვანელმა ზუსტდ განსაზღვრა კინომსახიობთა თეატრის სპეციფიკა და მომავლის ორიენტირები. ინტერვიუში აღნიშნა, რომ აპირებდა ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ დადგმას. 2004 წლის ინტერვიუში არის საინტერესო დეტალი. თეატრალურ წრეებში ცნობილი იყო, რომ მ. თუმანიშვილი აპირებდა „ალუბლის ბაღის“ დადგმას. გ. მარგველაშვილი აღნიშნავს: „გვინდოდა დაგვემთავრებინა, მაგრამ მალე მივხვდით, რომ ემოციებს აყოლილებმა ვერ შევიმეცნეთ, რომ სხვისი ნააზრევის გაგრძელება და სხვისი მოფიქრებული კონცეფციის დასრულება მეორეს მიერ აბსურდია. მსახიობების ნაწილი იგივე დარჩა, ობიექტური მიზეზების გამო ნაწილი შეიცვალა, ჩემს სპექტაკლს ბ-ნ მიშას ჩანაფიქრთან საერთო არ ექნება“.

ამ ამბავმა გამახსენა ქართული თეატრის ისტორიის ერთ-ერთი დრამატული მოვლენა, როცა კ. მარჯანიშვილმა ავადმყოფობის გამო გრ. რობაქიძის „ლამარას“ მხოლოდ ორი მოქმედების მომზადება მოასწრო, ხოლო დანარჩენი ორი მოქმედება ახმეტელმა დადგა.

კ. მარჯანიშვილს საავადმყოფოშივე უთხრეს „კეთილმოსურნე მსახიობებმა“, რომ ახმეტელმა ყველაფერი თავის ნებაზე შეცვალაო (ლაპარაკია 1926 წლის დადგმაზე). მარჯანიშვილმა ერთხანს აღარ ისურვა წარმოდგენის ნახვა, მაგრამ რუსთაველის თეატრის ბათუმში გასტროლების დროს, როცა მარჯანიშვილი ქუთაისში იყო გადაღებებზე, მაინც მოუწია ბათუმში ჩასვლა და „ლამარას“ ნახვა. – ჩემი გვარი მოხსენით აფიშიდან, ეს ჩემი სპექტაკლი არ არის!... – ბრძანა და მართალიც იყო.

კიდევ უფრო მართალია გოგი მარგველაშვილი, რადგან „აულუბლის ბაღის“ რაღაც ნაწილის დადგმის (როგორც

„ლამარას“ შემთხვევაში) გაგრძელება კი არა, არამედ ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ კონცეპტუალურად სრულიად ახალი, ქართული თანამედროვეობის მტკივნეული მოვლენების ადეკვატურად გამომხატველი ვერსია შექმნა.

ა. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“ თუმანიშვილის თეატრის ერთ-ერთი საეტაპო სპექტაკლია.

საეტაპოს თვით ცნება თავისთავად ნიშნავს განსაკუთრებულს, მაგრამ ერთია წმინდა თეატრალური მოვლენა თავისი აქტიორული ოსტატობით, რეჟისურითა და საერთოდ სასცენო ენის მაღალი დონით და, მეორეა, როცა ამ თვისებებთან ერთად სპექტაკლს საფუძვლად უდევს თანამედროვეობისათვის უმნიშვნელოვანესი ეროვნული კონცეფცია. ასეთი იყო გ. მარგველაშვილის „ალუბლის ბაღის“ გადაწყვეტა. სპექტაკლში მართლაც დაუნდობელი სიმართლით ითქვა ჩვენი სატკივარი.

რა სამწუხაროა, რომ თეატრმა დიდხანს ვერ შემოინახა წარმოდგენა. ქართულ თეატრს არა აქვს მნიშვნელობით გამორჩეული სპექტაკლების შემონახვის კულტურა, თუმცა გამონაკლისები ხომ მაინც არის („კავკასიური ცარცის წრე“ – რუსთაველის თეატრში, დ, კლდიაშვილის „ბაკულას ღორები“ – თუმანიშვილის თეატრში და სხვა).

მ. თუმანიშვილი კინომსახიობთა თეატრის მანიფესტის შესახებ წერს: „უნდა დავწერო პირველი თავი: „მთავარია აღვზარდო ფანატიკოსები, მღვდელმსახურთა კოლექტივი“, ეს უნდა იყოს ჩემი მანიფესტი ხელოვნებისა. ყველაზე რთული ამ საქმეში ისაა, რომ თავად მქადაგებელი უნდა იყოს ნიჭიერი მსახიობი, ვინაიდან უნიჭო მქადაგებელი, როგორი „წმინდანიც“ არ უნდა იყოს, მხოლოდ გააფუჭებს კარგ ქადაგება-სპექტაკლს. მსახიობი-მქადაგებელი, მიმზიდველი უნდა იყოს, მან მაყურებელი  გარედან დამკვირვებლად კი არ უნდა აქციოს, არამეს მასთან კონტაქტი დაამყაროს და ააღელვოს. არსებობენ ისეთი მქადაგებლები, ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომლებსაც საუბრისას თავისი იდებითა და მოწოდებებით მაშინვე შეუძლიათ აიტაცონ, აიყოლიონ ადამიანები, თუ ისინი ამასთან ნიჭიერნიც არიან და მიმზიდველნიც, მაშინ სრული განუყოფელი ურთიერთშერწყმა ხდება. მაყურებელი აღარ ამტკიცებს თავის უფლებას, იყოს დამოუკიდებელი, არ იყოს მონაწილე იმისა, რაც ხდება სცენაზე (ცდილობს არ მოექცეს თეატრის ჰიპნოზის ქვეშ, ამიტომაც აცემინებს, ლაპარაკობს, რეპლიკას ისვრის, მეზობელს

ეჩურჩულება). მსახიობი-მქადაგებელი უნდა ფლობდეს მაყურებლის გატაცების ხელოვნებას და არა მარტო ავტორისეული, არამედ საკუთარი, საკუთარი, საკუთარი (ხაზგასმა მ. თუმანიშვილისაა) იდეების ქადაგება შეეძლოს. იგი უშუალოდ თავისი მაყურებლის სულსა და გულს უნდა მიმართავდეს, როგორც ის, ვარშავის მახლობლად მდებარე მოდერნისტული პოლონური ეკლესიის ქსენძი. თავად მსახიობი და მთელი მისი კოლექტივი უნდა წარმოადგენდეს ამ ქადაგების ყველაზე ნათელ მაგალითს. მსახიობი-სტოიკოსნი, მსახიობთა კასტა, მსახიობ-მქადაგებელთა სექტა" (მ. თუმანიშვილის „ფიქრები თეატრსა და ცხოვრებაზე", 2003, 223).

მიხეილ თუმანიშვილის „მანიფესტი", როგორც თავისი ახალი თეატრის შექმნის კონცეფია, თავისი არსით ძალიან ახლოს არის ს. ახმეტელის თეატრის კონცეფციასთან, რომელიც მან ჩამოაყალიბა 1915 წლის 28 ოქტომბერს კულტურული საზოგადოების წინაშე წაკითხულ მოხსენებაში – „მომავალი ქართული თეატრი". ახმეტელის მოხსენებიდან ცხრა წლის შემდეგ, ახალგაზრდებმა „დურუჯის" საშუალებით სცადეს თავისი ახალგაზრდული იდეალების შესრულება. მ. თუმანიშვილმა კი ჯერ „შვიდკაცას" გზით სცადა იმავე მიზნის მიღწევა, შემდეგ კინომსახიობთა თეატრის მაგალითზე გააგრძელა. თუ რამდენად შეძლეს თეატრის ფანატიკოსებმა მიზნის მიღწევა, ეს ცალკე საუბრის თემაა. ის კი ცხადზე ცხადია, რომ მათი ოცნებების აღსრულება შეუძლებელი იყო მკაცრი დისციპლინის გარეშე. მხოლოდ კოლექტიური დისციპლინის გზით შეეძლოთ კოლექტიური შემოქმედების გაერთიანება და ახალი იდეების რეალიზება. ამიტომ თავად ფანატიკური თავგანწირვის მაგალითს უჩვენებდნენ მსახიობებს, მაგრამ ასე მგონია, რომ ბოლომდე მაინც ღრმდ არ ჰქონდათ გაცნობიერებული თვითნებობის, ამბიციურობის, არაორგანიზებულობის, არათანმიმდევრულობის და კანონდაუმორჩილებლობის ისტორიულად ჩამოყალიბებული „ქართული ფენომენის" მნიშვნელობა.

X X X

ახალი თეატრის ფორმირებაში უნივერსიტეტის როლზე როცა ვსაუბრობ, არ შეიძლება არ აღინიშნოს ა. შალიკაშვილის პანტომიმის

თეატრში სტუდენტური სპექტაკლის „კრიმანჭულის“ როლი. „კრიმანჭულმა“, მსოფლიო მოიარა. რა დამავიწყებს იმ საყოველთაო სიხარულს, ნამდვილ ზეიმს, როცა „კრიმანჭული“ და სხვა ნოველები დაიბადა. ს. ახმეტელს რომ ენახა ჩვენი უნივერსიტეტის ეს წარმოდგენა, ბედნიერი კაცი იქნებოდა, რადგან სწორედ ასეთი ქართული პლასტიკის აღორძინებაზე ოცნებობდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ახმეტელი ინსტიტუტის დაარსებისთანავე იმპროვიზაციას და მიმოდრამას ასწავლიდა, სადაც ძალიან დიდი იყო პლასტიკური აზროვნების როლი.

ასევე დიდ სიხარულს მგვრის მარიონეტების ჯგუფის შექმნა და საერთოდ, რეზო გაბრიაძის მომავალი თეატრის სათავეების გახსენება. მისი ნაწარმოებების „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტის“ და „ალფრედი და ვიოლეტას“ დადგმით გადაწყდა მომავალი თეატრ-სტუდიის შექმნის ბედი. „მარიონეტების“ უაღრესად სპეციფიკური ხელოვნების შესწავლა ბევრ სირთულესთან იყო დაკავშირებული. რ. გაბრიაძე გვერდში ედგა უნივერსიტეტს პრობლემების გადაჭრის დროს.

რ. გაბრიაძის თეატრი საამაყო თეატრია. მისი წარმოდგენები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უჩვენეს.

X X X

დამოუკიდებელი საქართველოს სათეატრო მოძრაობის ერთ-ერთო საინტერესო ფორმა აღმოჩნდა „თეატრალური სარდაფების“ შექმნა. იგი პირველად რუსთაველის პროსპექტზე შეიქმნა. მისი დამფუძნებლები არიან: გ. მარგველაშვილი, ლ. წულაძე, ო. ეგაძე, პროდიუსერი გ. ხარაბაძე (შვილი), მხატვარი შ. გლურჯიძე, გიორგი ხარაბაძე, ორგანიზაციულ სკითხებს ხელმძღვანელობდა ე. მაზიაშვილი. „სარდაფი“ გაიხსნა ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლით „სიკვდილის როკვა“. სპექტაკლში სცენის ოსტატები თამაშობდნენ (რ. ჩხიკვაძე, გ. საღარაძე, კ. კავსაძე, ნ. ფაჩუაშვილი). შემდეგ გაჩნდა სარდაფის თეატრი ვაკეში, რომელიც ილიას უნივერსიტეტის სტრუქტურის ნაწილი გახდა.

„სარდაფი“ შემოქმედებითი თავისუფლების პრინციპით მუშაობდა. იგი ფინანსურადაც დამოუკიდებელი იყო (თვითდაფინანსება).

თეატრს არ ჰყავდა მუდმივი დასი. გაიხსნა 1997 წლის 31 მარტს. „სიკვდილის როკვა“ ერთ-ერთი საუკეთესო წარმოდგენა იყო და მე მას სპეციალური სტატიითაც გამოვეხმაურე. რუსთაველის თეატრიდან წასული რ. ჩხიკვაძე „სარდაფის თეატრში“ გამოჩნდა. დიდი საქმე გააკეთა ა. ვარსიმაშვილმა რამაზის მიწვევით.

ყოველი ახალი თეატრალური კერის შექმნა ასე თუ ისე მაინც ჩვენს უნივერსიტეტთან არის დაკავშირებული. სიამოვნებით ვიგონებ ყოველი მათგანის დაბადების ისტორიას, მათი შემქმნელების ენთუზიაზმს და ემოციებს. ყველანი ჩემი სტუდენტები იყვნენ და განსაკუთრებულ სიახლოვეს ვგრძნობდით, ხშირად მიზიარებდნენ თავიანთ ფიქრებს. მიხაროდა, რომ ყოველწლიურად იზრდებოდა და ფართოვდებოდა უნივერსიტეტელთა გავლენის სფერო. განა ფაქტობრივად, თანამოაზრე ახალგაზრდების ახალი თეატრი არ იყო ის, რაც გიზო ჟორდანიამ შექმნა „მცირე სცენაზე“?

შეიქმნა გარკვეული ესთეტიკის, ჟორდანიასეული ხელწერის თეატრი, მაგრამ რუსთაველის თეატრის ჭერქვეშ ორი თეატრი ხომ არ იქნებოდა, ჰოდა მთლიანობაში გააზრებულ იქნა, როგორც ერთი თეატრის ორი სცენა და ისინი ორგანულად შეერწყნენ ურთიერთს.

საერთოდ, „მცირე სცენის“ შექმნის სათავეებთან მეც ვიდექი და კარგად ვიცი რა როგორ მოხდა. იმ პერიოდში გამოვაქვეყნე სანდრო ახმეტელის ერთ-ერთი წერილი, სადაც იგი ერთ თეატრში ორი სცენის იდეაზე მსჯელობდა. „მცირე სცენა“ უნდა ყოფილიყო როგორც ექსპერიმენტული ლაბორატორია. ეს იდეა მოეწონა დოდო ალექსიძეს და მიშა თუმანიშვილს. მათი აზრი გაიზიარა, თეატრის მაშინდელმა დირექტორმა დ. კიტიამ და ტექნიკურად უზრუნველყო სცენის მოწყობა.

გ. ჟორდანიას ჯგუფმა უნივერსიტეტში შექმნა სპექტაკლები, რომლებმაც რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გააგრძელეს ცხოვრება...

უნივერსიტეტში დაბადებული თეატრების სიცოცხლე გრძელდება, იცვლიან ფორმებს, აკეთებენ შემოქმედებით პაუზებს, მაგრამ არ კვდებიან.

ჩვენი უნივერსიტეტელები დღეს მთელ ქართულ თეატრს მოიცავენ.

მოდიან და მოდიან ახალი თაობები.

„იარონ“!

„იარონ“!

X X X

ლალა (ოლღა) თაბუკაშვილი შემოდის ჩემს კაბინეტში და მრავალმნიშვნელოვნად მიღიმის, ვატყობ რაღაც საიდუმლოდ უნდა მითხრას.

— რამე ახალი იცი? — ვეკითხები.

— ვიცი, ამ დღეებში ზემოთ დაგიბარებენ, შენი გადაყვანა უნდათ.

— სად? ვის?

— მინისტრს, თემოს, გუშინ სახლში ვიყავი, ხომ იცი, ახლობლები არიან, შენზე იყო ლაპარაკი.

— არსადაც არ გადავალ.

— ჯერ მოიცადე, არ თქვა არაფერი, არ თქვა, მე რომ გითხარი.

ორი დღის შემდეგ გამომიძახა კულტურის მინისტრმა თემურ ბადურაშვილმა.

— ვასო, ჩემთან მინდა გადმოგიყვანო. ხელოვნების სამმართველოს ჩაგაბარებ.

— ფაქტობრივად, მე უკვე ვიყავი მაგ თანამდებობაზე, ჯერ მოადგილედ, მერე განყოფილების უფროსად.

თემო ჩაფიქრდა.

— ჩემს მოადგილედ გადმოგიყვან.

— არ მინდა. მე პედაგოგიური მუშაობით ვარ გატაცებული.

— ლექციებს 0,5 განაკვეთზე დაგიტოვებ.

— არ მინდა.

— ვასო, ნუ ჯიუტობ. „პარტიულად მოგაწვები“.

— ვერ მომაწვები, — ვეუბნები ღიმილით და მშვიდად.

— რატომ?

— მე ისეთი ნაკლი მაქვს, რომ მაგ თანამდებობისათვის არ გამოვდგები.

— მაინც რაა ასეთი.

— ისე არ ვიცი რუსული ენა, რომ მოსკოვში წარამარა თათბირებზე ვიარო და „რეჩები“ ვთქვა.

— ეგ არაფერია, სხვა წავა თათბირებზე.

ჩვენი საუბრის ისტორია იმავე დღეს ვუამბე ჩემს მეგობარს ალეკო შალუტაშვილს. არ გაბრიყვდე და არ დათანხმდეო, პრორექტორობა

სჯობია მინისტრის მოადგილეობასო.

მართალი იყო.

X X X

ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ ბევრჯერ დაიდგა. ვ. გოძიაშვილის ლუარსაბის ბრწყინვალე შესრულების შემდეგ კი მისი მიბაძვით ერთგვარი სცენური შტამპი შეიქმნა.

გენიალური მხოლოდ დედანია. შემდეგ ყველა მას ბაძავს და იქმნება გარკვეული „სცენური კლიშე“, შტამპი. ასე მოხდა ვასო გოძიაშვილის ლუარსაბის შემთხვევაშიც. ყველგან იმეორებდნენ მის ლუარსაბს, ხან ინტონაციით, ხან ჟესტით, რიტმით, „ტრადიციის შაბლონი“ გახდა. მხოლოდ ავთო ვარსიმაშვილმა გაბედა და სრულიად ახალგაზრდამ წარმოადგინა „ლიტერატურულ მუზეუმში“ „კაცია-ადამიანის?!“ ახალი ვერსია. არ დამავიწყდება მოულოდნელობის ეფექტი, რომელიც მაშინ ირაკლი აფაქიძის ლუარსაბმა მოახდინა. ავთო მუდამ ეძებს სიახლეს, რისკზეც მიდის. ამიტომ შექმნა პირველი „თავისუფალი თეატრი“, თავისი არაერთი წარმატებული სპექტაკლით.

# „ქართველი კარუზოს“ გვერდით

ბედმა გამიღიმა, მრავალი წელი ვმუშაობდი დიდი ქართველი მომღერლის, ზურაბ ანჯაფარიძის გვერდით.

ზურაბი საოცრად გულთბილი და გულღია კაცი იყო, არასოდეს არ კარგავდა იუმორის გრძნობას. მახსოვს ერთ-ერთი უკანასკნელი შეხვედრა მუსიკალური თეატრის მსახიობის კათედრის კაბინეტში. კათედრის კაბინეტის ლაბორანტმა ლიამ პატარა სუფრა გამართა ზურაბის პატივსაცემად. ყველამ ჭორად ვიცოდით, რომ ზურაბს სიმსივნე ჰქონდა, მოულოდნელად ზურაბმა გვითხრა, რომ ვერ ვარო კარგად და სიმსივნეზე ხელის მოძრაობით მიგვანიშნა.

სევდისმომგვრელი შეხვედრა იყო.

ზურაბი ურთიერთობაში მუდამ კორექტული იყო, მაგრამ პრინციპული. ინსტიტუტს ფართი არ ჰყოფნიდა და ყოველთვის კაბინეტების პრობლემა იყო. ერთ ოთახში იყო მოთავსებული რამდენიმე კათედრა, ყველას ცალკე ოთახი უნდოდა და ეს სავსებით ბუნებრივი მოთხოვნილება იყო. ამ თემაზე ზურაბმა წერილი მომწერა:

„ჩემო ბატონო ვასო! ვინაიდან გადაღებებზე მივდივარ ქუთაისში, პირადად ვერ გნახეთ ამ საქმესთან დაკავშირებით. გავიგე, რომ ჩემი კათედრის ოთახში შემოყავთ კიდევ სხვა კათედრების წარმომადგენლები. მე კარგად მესმის, რომ ოთახების გასაჭირია, მაგრამ ისიც ვიცი, რომ არის კათედრები ჩვენზე ბევრად კარგ პირობებში და უფრო დიდ ოთახებში. ჩვენ ისედაც ორი კათედრა ვართ ერთად და ვერ ვეტევით, მუდამ ხალხმრავლობაა, რადგან ვფიქრობ, და თქვენი აზრიცაა, რომ ცუდად არ ვმუშაობთ. იმასაც ვიტყვი, რომ. ის პირობები, რაშიც ჩვენ ვიმყოფებით, არადამაკმაყოფილზე უარესია.

თუ ვინმეს არ ესმის ჩვენი კათედრის მნიშვნელობა, უნდა გავაგებინოთ ალბათ, ხოლო თუ ესმით, მაშინ ვფიქრობ, რომ ვიღაცას თვალში ვეპატარავებით.

თქვენ იცით, რომ მე მთელი სულითა და გულით ვმუშაობ – იცით ეხლა რა დატვირთული ვარ თეატრში, მაგრამ ეს საქმე მიყვარს და თავს ვერც დავანებებ. საერთოდ თეატრალური ინსტიტუტი და მთელი გარემო მისი ჩემთვის დიდად მისაღებია თავისი ბევრი დაუშვებელი ნაკლოვანებითაც კი.

ამიტომ საჭიროა ელემენტარული პირობები მაინც იყოს, იქ, ჩვენ ოთახში – კიდევ ვინმე რომ შემოუშვათ, მე ნამდვილად ვერ ვიმუშავებ. ის კი არა, მე დამპირდნენ, რომ საშუალება თუ იქნა, მარტოც გამოგვიყოფდნენ ოთახს.

აუდიტორის „მეოცე კლასია“ და ზამთარში ვიყინებით, რამდენი წელია ვერ გამოსწორდა მდგომარეობა. ინსტრუმენტები მოშლილია და შეძენა ვერ ხერხდება. ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება, მაგრამ ჩვენი სახლია, ვიცით რა პირობებია და უნდა შევეგუოთ. ეხლა კი ვფიქრობ, ეს მეტისმეტია და უბრალოდ რომ ვთქვა, გულს ამიყრის მუშაობაზე.

თქვენ იცით, ჩემო ვასო, რომ მე ფულის გამო არ ვმუშაობ. ჯამაგირი რომელსაც მე ვიღებ ინსტიტუტში, უდრის ჩემი კონცერტის ერთი განყოფილების ჰონორარს.

მაგრამ ეს არ წყვეტს საკითხს – ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგან მე მაინტერესებს მუშაობა და მაინტერესებს ნამდვილად და ჩემი ლაბორანტი ლია უერთგულესი მშრომელია. ის არის ნამდვილი ღერძი ჩემი საქმიანობისა და მას თუ დასაჯდომი ადგილი აღარ ექნა, საქმე დიდად წააგებს.

ჩემი ყოფნა არ ყოფნა (ჰამლეტის დღეში ვარ) საკითხს არ წყვეტს, მაგრამ მე ნამდვილად ვერ ვიმუშავებ – რაღაც აგდებაა კაცის, რასაც ცოტათი ამ ბოლო ხანებში ვგრძნობ და მაწუხებს.

ჩემო ვასო! ვიცი, რომ სწორად გაიგებთ ჩემს წერილს და ამიტომ თქვენ გაწუხებთ. ძალიან გთხოვთ მიხედოთ ამ საქმეს და ნუ მაიძულებენ გადავდგა ნაბიჯი, რომლის გადადგმა გულწრფელად არ მინდა.

მე კონსერვატორიიდან კი არ გამოვუგდივართ, ჩემით წამოვედი, როდესაც ოდნავი უსამართლობა დავინახე პედაგოგებისადმი.

ბოდიში შეწუხებისათვის. მე 30-ში ჩამოვალ და იმედია იმ დროისათვის ეს საქმე გარკვეული იქნება.

გეხვევით თქვენი ზურაბ ანჯაფარიძე“.

ოპერის თეატრში მუშაობა და საზოგადოებროვი საქმიანობა დიდ დროს ართმევდა, მაგრამ ძალიან რაციონალურად იყენებდა დროს, უნივერსიტეტში დისციპლინირებული იყო მისი კათედრა, კონტროლი ჰქონდა ლექციებზე. ერთ-ერთ წერილში იუმორით მწერდა: „გაცდენები I და III კურსზე აღმოფხვრიულია შანთით“.

„ბატონო ვასო, – მწერდა ზურაბი. – როგორც მოგეხსენებათ

გერმანიაში უნდა წავსულიყავი მოგვიანოდ, ოქტომბრის 20-ისთვის, მაგრამ სასწრაფოდ გამომიძახეს და მივდივარ 8 ოქტომბერს-ნოემბრის შუა რიცხვებამდე, რის შესახებ ჩვენს სამინისტროს ოფიციალურად ვაცნობე.

ქ-ნმა ეთერმა ამის შესახებ არ იცოდა, რადგან აქ არ ბრძანდებოდა და მერე შემთხვევა არ მქონდა მეთქვა, თანაც ასე უეცრად გამოძახებას არ ველოდი. ჩემს სამივე მოწაფესთან პროგრამა განაწილებულია და კონცერტმეისტერმაც იცის, როგორ უხელმძღვანელოს, თან ნ. ტუღუში მიაქცევს მათ ყურადღებას.

V კურსზეც უკეთაა საქმე. ყოველ პარასკევს ვიწვევ ჯგუფხელებს, რასაც ჩამოსვლამდე მირა ფიჩხაძე მიხედავს.

ბოდიშით და პატივისცემით ზურაბ ანჯაფარიძე“.

ზურაბი ძალიან დიდი მნიშვნელობას ანიჭებდა მუსიკალური კომედიის სპეციფიკას, მისთვის კადრების მომზადების საკითხს. სტუდენტებს ხშირად თვალი ოპერისაკენ ეჭირათ და ეს გასაგებიც იყო, მაგრამ ზურაბი ებრძოდა მათ ცდუნებას. ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში მწერდა: „მოგახსენებთ, რომ ჩვენს კათედრასთან შეუთანხმებლად, მე-III კურსს ამუშავებენ სპექტაკლზე „ორი ბატონის მსახური“. ამასთან დაკავშირებით სტუდენტებს დაენიშნათ დამატებითი გაკვეთილები მეტყველებაში (ენიშნებათ კვირა დღესაც).

მიმაჩნია, რომ ეს საფუძველშივე ეწინააღმდეგება იმ განხრას, რაზედაც ჩვენ ამჟამად ვმუშაობთ და ვფიქრობთ.

მე კატეგორიულად გთხოვთ გადაწყვიტოთ ეს საკითხი ისე, რომ მოისპოს ხელისშემშლელი პირობები, რომელიც ისედაც მრავლადაა ჩვენს ინსტიტუტში. მხედველობაში მაქვს ყველა ზედმეტი გადატვირთვა და ანგარიშგაუწევლობა იმისა, რომ ჩვენ ვამზადებთ ვოკალისტ-მსახიობებს და არა მსახიობებს, რომელთათვის არსებობს ჩვენს ინსტიტუტში ცალკე ფაკულტეტი.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი შრომა ფაკულტეტის განვითარებისათვის მიმაჩნია უმართებულოდ. ალბათ ამიტომაა, რომ დამთავრებულთა შორის თითქმის 99 პროცენტი დაწუნებულია ჩვენი მუსიკალური თეატრისაგან.

ზურაბ ანჯაფარიძე. 1978. 22/IX“.

„ძვირფასო ბატონო ვასო!

ვინაიდან ჩემი დასვენება ოჯახური (კარგი) ამბების გამო არ მოხერხდა ადრე, საშუალება მომეცა ლიკანში 18-დან 30 აგვისტომდე დასვენებისა.

მირა ფიჩხაძემ ყოველივე იცის და თუ 30 რიცხვამდე საჭირო შეიქნება ჩაატარებს კათედრის სხდომას. ასე რომ, შევეცდებით საქმეს ხელი არ შეეშალოს.

ვიმედოვნებ, საპატიოდ ჩამითვლით 2-3 დღის გაცდენას.

მოსკოვიდან მომივიდა ცნობა ჩემი საბუთების მიღების შესახებ „ვაკ“-ში.

დიდი მადლობა ყურადღებისათვის.

თქვენი ზურაბ ანჯაფარიძე. 9.8.84.“.

„ძვირფასო ვასილ ბატონო!

გარდა ოფიციალური განცხადებისა, გაცნობებ, რომ პრემიერასთან დაკავშირებით საჭიროა აღდგენითი სამუშაოები და ვიქნები ეს რიცხვები ერევანში.

მიიღე ჩემი სალამი და კეთილი სურვილები.

გეხვევი, მალე ნახვამდის

პატივისცემით შენი ზურაბ ანჯაფარიძე. 25. 8. 85“.

ელვა-დეპეშა.

„ძალიან გთხოვთ დააჩქარებინოთ ჩემი საბუთები. აქ ყველაფერი მოვაგროვე, მაგრამ ვერ ბეჭდავენ, თუ ბრძანების ნომერი არ იქნა ხელმეორედ გადარჩევისა და საერთოდ თქვენ თუ არ მიშველეთ, ამ საქმეს არ ეშველება.

თან აქ მბეჭდავი არა გვყავს.

გთხოვთ მანანას გამოუძახოთ კადრებიდან.

თუ „იკადრებთ“. – ცნობის გასაკეთებლად.

პატივისცემით ზურაბ ანჯაფარიძე – წამებული პროფესორი“.

# „ტერორისტი“

ერთ დღეს ლელა ოჩიაური შემოვიდა ჩემს კაბინეტში და მითხრა: ბატონო ვასო, გამოდის გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“. მე რედაქტორი ვარ. რა თემაზეც გნებავთ ის დაწერეთ, წინასწარ ნურაფერს შემითანხმებთ, სრულ თვისუფლებას გაძლევთ, ოღონდ ერთი პირობით: ყოველ ნომერში უნდა დაიბეჭდოს თქვენი სტატია, ყოველ ნომერში! ერთი გვერდი თქვენი იქნება, ჰონორარი 50 ლარი. არ შეგაწყუხებთ, თვით ჰონორარსაც კი აქ მოგართმევთ.

ისეთი ღირსებითა და შეუვალი ტონით მითხრა, რომ დავთანხმდი. გამახსენდა ცნობილი მოღვაწე, ჟურნალ „ცისკარის და „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე. ერთხელ დავურეკე და ვუთხარი: ბატონო ვახტანგ, თქვენ გაზეთში წერილის დაბეჭდვა მინდა. (ზუსტად აღარ მახსოვს რა თემა შევთავაზე). ბატონმა ვახტანგმა მითხრა, დღეის შემდეგ წინასწარ ნურაფერს მკითხავ, რა თემაზეც გინდა დაწერე და მომიტანეო. მაშინ, კომუნისტურ სისტემაში ამგვარი რამ მოულოდნელი იყო. ავტორისადმი განსაკუთრებული პატივისცემა და ნდობა ყველას სიამოვნებს.

იმავე საღამოს დავიწყე ფიქრი რა დამეწერა, რა დააინტერესებდა „ქართული უნივერსიტეტის“ მკითხველს. ყველანი ვბუზღუნებთ, რომ მეტისმეტად აგერსიული გახდა ჩვენი ჟურნალისტიკა, პრესა, ტელევიზია. ასე მგონია, მხოლოდ „უკნიდან“ (ეროსი მანჯგალაძის გამოთქმაა, ერთხელ რომ მითხრა, ახალგაზრდობაში, კრიტიკული წერილის გამო) ვუყურებთ ადამიანებს, ცხოვრებას, მაგრამ, მაინც, თვალი ასეთი ინფორმაციისაკენ მიგვირბის.

საპატრიარქოს უნივერსიტეტის გაზეთი კი სხვა საქმეა, სხვა ხასიათის წერილები სჭირდება, მოყვასის სიყვარულის იდეით გამსჭვალული წერილები.

თემებს თემები მოჰყვა, გამიტაცა მაგრამ რა გამოტაცა, მოსვენება დავკარგე. ჩემი მოუცლელობის პირობებში ყოველ კვირას ერთი წერილი მეტისმეტად ბევრი იყო, მაგრამ ახალ-ახალი თემის მოგონება აზარტული გახდა.

ერთხანს საქმე კარგად აეწყო, წამოიშალნენ მოგონებები, ათასგვარი ასოციაციები. თურმე მართლაც რას არ მოვსწრებივარ ოთხმოცი წლის მანძილზე... მაგონდება, ჩემმა ლექტორმა აკაკი

გაწერელიამ ლექციაზე დიდი სიამაყით რომ გვითხრა: მე ნიკო ნიკოლაძისთვის ჩამომირთმევია ხელი, ნიკოლაძე კი თავის მხრივ გერცენს ართმევდა ხელსო. სტუდენტების თვალში თითქოს უცებ გაიზარდა, ამაღლდა ჩვენი ლექტორი, თუმცა ისედაც დიდ პატივს ვცემდით.

ჰოდა, ახლა მეც შემიძლია სიამაყით ვთქვა: გალაკტიონისათვის ჩამომირთმევია ხელი, გალაკტიონი კი თავის მხრივ აკაკი წერეთელს ართმევდა ხელს...

მუდამ მწერლობისა და თეატრალური ცხოვრების შეუაგულში ვტრიალებდი. თითქოს ყველა დინებას ვხედავდი და ვგრძნობდი. ჩემს კაბინეტში თავს იყრიდნენ ცნობილი ადამიანები და ახალგაზრდებიც. მათთან ყოველდღიური ურთიერთობა მუდამ ქარიშხლის მოლოდინით ცხოვრებას უდრიდა. ჩემ წინ იშლებოდა ქართული ინდივიდუალიზმის და უსაზღვრო ნარცისიზმის მთელი სამყარო. ყველასთან ვპოულობდი საერთო ენას. ყველას ეგონა, რომ მხოლოდ მას ვცემდი განსაკუთრებულ პატივს და ყველაზე მეტად მხოლოდ ის მიყვარდა. ასე ხდებოდა რუსთაველის თეატრში, ჩემს პატარა კაბინეტში, როცა სალიტერატურო ნაწილის გამგე ვიყავი. იგივე გაგრძელდა კულტურის სამინისტროში, თეატრების განყოფილებას როცა ვხელმძღვანელობდი და შემდეგ, მთელი ცხოვრება, თეატრალურ ინსტიტუტში. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ცხოვრება ადამიანური ურთიერთობაა. მთელი სირთულე ეს არის. მართალია სოკრატე – ადამიანებთან ურთიერთობა ყველაზე დიდი კომფორტიაო. ასე „კომფორტულად გავიარე“ მთელი ცხოვრება.

ასე რომ, ლელა ოჩიაურმა, პროფესიული ალღოთი, ჩემში ზუსტად დაინახა მრავალფეროვანი თემების მთელი სამყარო. ამისათვის განსაკუთრებით მადლიერი ვარ მისი. რა არ დამაწერინა, წერილების მარტო სათაურების დასახელებაც კმარა. ზოგიერთს გავიხსენებ: „რატომ ყიდდა ილია თეატრის ბილეთებს?“, „იწყებოდა რუსიფიკაციის ახალი ეპოქა“, „რატომ ატირდა რექტორი?“, მიმტევებლობა თუ გულგრილობა“, „ჩვენი ბედისწერა – 9 მარტი“, „ჩვენი გმირობაც და ჩვენი ბედოვლათობაც – 9 აპრილი“, „პლასტუნკის სევდა“, „სოცრეალიზმის მითი“, „ახ, რა კაცი ყოფილა ეს პოლიტიკა“, „გოგებაშვილი და ახმეტელი აფხაზეთისათვის ბრძოლაში“, „აკაკის ერთი ანტისაბჭოური ლექსის გამო“, „როგორ დაიპყრო მოსკოვი ქართულმა კულტურამ“, „საინგილოს გახსენება“,

„ჩრდილოეთის ტყვეობიდან დაბრუნებული მარჯანიშვილი“, „ახმეტელის თვითმფრინავი“ და სხვა.

ერთხელ, ათასი საფიქრალის გამო, ვერ მოვიცალე. გაზეთი ხუთშაბათობით გამოდიოდა, სამშაბათს დღის ბოლოს ლელას ტელეფონის ზარი გაისმა: ბატონო ვასო, რა ხდება? წერილი სად არის? დაგვიანდა...

სიტყვა „დაგვიანდა“ მომეწონა, ვიფიქრე, გადავრჩი, ხომ იცის ჩემი მდგომარეობა, ვეღარ მოვასწარი დაწერა, ეს ერთი პაუზა იყოს, – ვუთხარი მშვიდად.

– რას ბრძანებთ, ბატონო ვასო, ეგ არ გამოგივათ, ახლა რა ვქნა, თქვენთვის ერთ გამონაკლისს გავაკეთებ, ხვალ 12 საათზე უნდა მქონდეს სტატია...

– არა, არა, შეუძლებელია!

– შეუძლებელი სწორედ ნომროს ჩაგდებაა. თქვენ გვერდში რა ჩავსვა, სხვა მასალა არა მაქვს...

– არ შემიძლია, სხვა პრობლემები მაქვს, – ვთქვი და მეგონა ამით დამთავრდა.

ლელამ უცებ ტაქტიკა შეცვალა.

– გუშინ რედაქციაში ვიღაც კაცი მოვიდა, გაზეთი გვთხოვა, თქვენს წერილს ეძებდა, სხვებიც რეკავენ ხოლმე, კითხულობენ, აინტერესებთ, ელოდებიან...

ლელამ იცის ადამიანთა მოდგმის მარადიული სისუსტე და იმ ადგილზე ზუსტად მოარტა. ვინმე გინახავთ, შექება რომ სწყინდეს? მე ასეთ ადამიანს არც შევხვედრივარ და არც ისტორიიდან ვიცი ასეთი ფაქტი. ცხადია, არც მე ვარ გამონაკლისი.

– ხვალ 12 საათისთვის ველოდები! – მითხრა გამარჯვებულმა რედაქტორმა.

ავწრიალდი, დავიწყე ფიქრი თემებზე.

დილით ძველი დღიურების გადათვალიერება დავიწყე. უცებ როგორღაც და საიდანღაც, ამოტივტივდა სოხუმში რუსთაველის თეატრის გასტროლები (1960), სოჭის რაიონში ქართულ სოფელ პლასტუნკაში კონცერტი რომ გავმართეთ. დაიბადა წერილის სათაური – „პლასტუნკის სევდა“. სოფელში, კონცერტის შემდეგ მდინარის პირას გავისეირნეთ რუსთაველის თეატრის დირექტორმა დ. ანთაძემ, მე, პლასტუნკის მეურნეობის თავმჯდომარემ და თეატრის ერთ-ერთმა მსახიობმა, რომელმაც სადაც არს იქ „ჩაგვიშვა“, – მეურნეობის

დირექტორმა საქართველოს მთავრობა აგინაო, მიტოვებულნი ვართ საქართველოსაგან, არავინ გვაქცევს ყურადღებას, ქართველი ბავშვები თანდათან რუსდებიანო...

ორგანოებში დაგვიბარეს მე და ბ-ნი დოდო. ჩვენ ვიუარეთ, მსგავსი არაფერი თქმულა, მთავრობა არ უხსენებია მეურნეობის ხელმძღვანელს, ვიღაცის მოჭორილია-თქო. ცალკე მე გამომიძახეს, ცალკე – ანთაძე. ერთნაირად ვიუარეთ, მასპინძელი გადავარჩინეთ უსიამოვნებას. არადა, მართალი იყო პლასტუნკელი კაცი. პლასტუნკის ქართველები საქართველოსაგან უყურადღებოდ იყვნენ მიტოვებულნი. სკოლაში ქართული სახელმძღვანელოებიც კი არ ჰქონდათ. მეურნეობის ხელმძღვანელმა ქართველებს დახმარებისათვის შემოგვჩივლა და ერთ-ერთმა ნაძირალამ „კაგებეში“ ჩაუშვა. მახსენდება მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკში ჩანაწერი: ქართველების პატრიოტიზმი მტრის სიძულვილის პატრიოტიზმია და მეტი არაფერი.

მწარე სიმართლეა – ვფიქრობ ხშირად.

რუსეთში მიტოვებული ქართული სოფლისათვის დახმარება არ იყო პატრიოტული საქმე?

არ იყო ჩვენი მოვალეობა?

„ქართულ უნივერსიტეტში“ იმდენი თეატრალური წერილი დამაწერინა, ზოგჯერ ძალითაც, რომ ერთხელ „ტერორისტი“ ვუწოდე რედაქტორს – ლელა ოჩიაურს, მადლიერი ვარ, ერთი წიგნი გამოვა და მკითხველი ბევრ ისეთ რამეს წაიკითხავს, რაც აქამდე სხვას არ დაუწერია.

შემდეგ გაზეთის გამოცემა შეჩერდა. ლელა წავიდა გაზეთიდან.

უცებ ვიგრძენი სიცარიელე, აღარც თემები მაწუხებს, აღარც პრობლემები. მიკვირს იმ თეატრმცოდნეებისა, მუდმივი ძიებების გარეშე როგორ ცხოვრობენ. დღეს ჩემთვის, თითქოს, რაღა მნიშვნელობა აქვს, 1000 წერილი მექნება დაწერილი თუ 1101, მაგრამ ბევრმა არ იცის, რა არის „ფორმაში“ ყოფნა, არ უნდა დაელოდო იმას, თუ როდის დაწერ რაღაც გენიალურ რამეს, როდის მოგივა მუზა, როდის დაწერ ყველას მოსაწონს. აქედან ერთი ნაბიჯია სნობიზმამდე და სხვების ნაშრომის დაუფასებლობამდე. პროფესიული ცხოვრებით უნდა იცხოვრო, ხან გაგიმართლებს, ხან – არა, ზოგჯერ შეიძლება ისეთიც დაწერო, რომ თავადაც გაგიკვირდეს – ეს რა დამიწერიაო.

სხვანაირად არ არსებობს პროფესიული ცხოვრება. განა არსებობს

პოეტი, მსახიობი, მხატვრი თუ კომპოზიტორი, რომელიც რასაც ქმნის, ყველაფერი ბრწყინვალეა?...

არ არსებობს!

ჰოდა, თეატრმცოდნეები გამონაკლისები ვართ?

„ჩასაფრებით“ სხვისი ნაშრომიდან შეცდომების ამოკენკვა იმათ იციან, რომლებსაც არაფერი შეუქმნიათ თავიანთ პროფესიაში.

# რეფორმები რისთვის და ვისთვის?

დიდი „უძრაობის ეპოქის“ შემდეგ დადგა „გარდაქმნის“ ეპოქა. პირველი საბჭოთა იმპერიის სტაბილიზაციის დრო იყო ბრეჟნევის ეპოქა, „გარდაქმნის“ (გორბაჩოვის დრო) დრო კი – მოდერნიზაციისა. ორივე პერიოდში მომიწია პრორექტორის თანამდებობაზე მუშაობა. ჩემი ორიენტირი ყოველთვის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი იყო. მისი საკანონმდებო ბაზის მიხედვით ვსწავლობდით მართვას. თავისთავად ეს გარკვეული გარანტიაც იყო და პატარა ინსტიტუტის მართვის მაღალი კრიტერიუმებით ცხოვრებაც.

ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნისათვის ვემზადებოდით. რექტორ გ. ჟორდანიასთან შეთანხმებით, სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე გავიტანეთ საკითხი ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის შესახებ. საბჭოს წევრებმა მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმი არ გამოხატეს, ხოლო გ. ლორთქიფანიძე წინააღმდეგი წავიდა. მთელი საქართველო თეატრალურ ინსტიტუტად გვიცნობს, რად გვინდა, შეცვლა რას მოგვცემსო? – იკითხა და საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან...

გავიდა დრო. რექტორად დაინიშნა გ. ლორთქიფანიძე. ერთ-ერთ საუბარში „ხონური“ გავითამაშე: ბატონო გიგა, პატარა ინსტიტუტის რექტორობას არ გირჩევნიათ, რომ უნივერსიტეტის რექტორი იყოთ? საზღვარგარეთ ინსტიტუტი უნივერსიტეტთან არსებული სტრუქტურაა, შეიძლება, ფაკულტეტური სტრუქტურაც კი.

მე ყველა დოკუმენტზე მოგიწერთ ხელს, – მითხრა ბ-ნმა გიგამ, დანარჩენს შენ მიხედე. შევუდექი საქმეს... პირველ რიგში, წესდება უნდა შექმნილიყო.

თავი მოვუყარე სამი (ივ. ჯავახიშვილი, სამედიცინო და პოლიტექნიკური) უნივერსიტეტის წესდებებს. იურისტის დახმარებით შევაჯერე და შევადგინეთ უნივერსიტეტის წესდება. რა ვიცოდი, თურმე რა საქმეს მოვკიდე ხელი.

იმ დღიდან მართლაც დაიწყო წამების გზა. ვიდრე პრეზიდენტთან მივიდოდა ჩვენი წესდება, თურმე საჭირო იყო ექვსი სამინისტროს (მინისტრის) ვიზა. ესენი იყო: 1. კულტურის სამინისტრო, 2. უმაღლესი განათლების სამინისტრო, 3.სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტრო, 4. ფინანსთა სამინისტრო, 5. ეკონომიკის

სამინისტრო და ბოლოს მეექვსე – იუსტიციის სამინისტრო.

თითქმის ყველა სამინისტროში პირადად მიმქონდა ჩვენი წესდების პროექტები, ხალხს ვეცნობოდი, კონტაქტებს ვამყარებდი საქმის ოპერატიულად გადაწყვეტისათვის. სამინისტროები თავიანთ იურისტებს აძლევდნენ დასკვნის დასაწერად. იურისტები შენიშვნებით გვიბრუნებდნენ წესდებას. ვასწორებდით და ხელახლა ვუგზავნიდით განსახილველად. ასე გაგრძელდა თვეობით. კარგად მახსოვს, ბოლოს იუსტიციის მინისტრის მოადგილესთან ვ. ეზუგბაიასთან „გაიჭედა“ წესდება. დავურეკე, და ზემოქმედების მიზნით, ვითომ სასახვათაშორისოდ ვუთხარი, რომ ჩვენი რექტორი გიგა ლორთქიფანიძე ე. შევარდნაძის მეგობარია, აპირებს ამ საკითხთან დაკავშირებით მასთან მისვლას, მგონი ხვალ, თქვენი ვიზა კი დღემდე არ არის. საკითხის პროვოცირებამ გაჭრა, – დღეს მართლაც მივიღეთ ვიზა.

პრეზიდენტის კანცელარიაში კარგა ხანს იდო წერილი ექვსი მინისტრის ვიზით. დავუკავშირდი პრეზიდენტის კანცელარიაში კ. იმედაშვილს, რომელთანაც ახლო ურთიერთობა მქონდა. კობა განათლებული, ინტელიგენტი კაცია და არ გამჭირვებია პირდაპირი კონტაქტი. ისიც ვუთხარი, რომ გიგა აპირებდა ამ საკითხზე ე. შევარდნაძესთან მისვლას. ვთხოვე საკითხის დაჩქარება. კობამ გულთან მიიტანა ეს საკითხი. გამაფრთხილა, საღამოს ტელეფონთან იყავი, შევალ პრეზიდენტთან, შევახსენებო. კაბინეტში გვიანობამდე დავრჩი. მართლაც, დამირეკა და მახარა, რომ პრეზიდენტმა ხელი მოაწერა და თან მითხრა: ამით ვულოცავ გიგას ახალ წელსო.

ამ პროცესის პარალელურად და ცოტა ადრეც, გ. დოლიძემ ინსტიტუტიდან კინოფაკულტეტის გამოყოფის კამპანია წამოიწყო. განათლების სამინისტროში წერილები გაგზავნა. რამდენადაც მახსოვს, დადებითი პასუხიც მიიღო მინისტრ გ. ენუქიძისაგან. გ. დოლიძემ სასწრაფოდ გამოყო კინოფაკულტეტის ტერიტორია და მორიგეც დააყენა ყოფილი კინოკომიტეტის მხარეს. კინოხელოვნების ინსტიტუტის შექმნის იდეის წინააღმდეგი არც მე ვიყავი, ახლაც ვფიქრობ, რომ არ ვცდებოდი!..

ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის მთელი პროცესი გარკვეულ რეფორმასაც გულისხმობდა, რომელმაც თანდათან იმძლავრა და ფართო მასშტაბი შეიძინა. პირველი ეტაპი იყო უმაღლესი სასწავლებლების პროგრამების დეიდეოლოგიზაცია. შემდეგ

ეტაპზე შეიქმნა „გაეროს“ კომისია, სადაც გაერთიანებულნი ვიყავით სასწავლო დარგის პრორექტორები და სასწავლო სამმართველოს ხელმძღვანელები. რამდენიმე თვე ვმუშაობდით ხელშეკრულებით, გარკვეულ თანხასაც გვაძლევდნენ.

თითქოს ყველაფერი ხდებოდა ევოლუციური კანონზომიერებით და სიფრთხილით, მაგრამ სულ სხვა სიტუაცია შეიქმნა 2003 წელს. არ დამავიწყდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტში. რექტორთა საბჭოს სხდომაზე, რომელსაც ყოველთვის დიდი ტაქტითა და მაღალ პროფესიულ დონეზე ატარებდა უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი. ამ შეხვედრაზე განიხილეს ორი პროექტი უმაღლესი განათლების რეფორმის შესახებ. პირველი დაწერილი იყო პროფესიონალურად, უმაღლესებში ევოლუციური ცვლილებების პრინციპის დაცვით, ხოლო მეორე იყო „გაერთიანებული დემოკრატების“ კანონპროექტი, რომელიც გამოირჩეოიდა რევოლუციური რადიკალიზმით.

თბილისის უნივერსიტეტში როინ მეტრეველი უკვე ატარებდა სერიოზულ რეფორმებს, მაგრამ ყველაფერი კეთდებოდა აკადემიურ დონეზე. არა ნგრევა და წარსულის გამოცდილების უარყოფა, არამედ გარდაქმნა და განახლება, ფუნდამენტური ღირებულებების შემონახვა და განვითარება.

სხდომას ესწრებოდა ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი. გიგა ლორთქიფანიძემ სხდომაზე მე გამაგზავნა. რამდენადაც მახსოვს, საკმაოდ პათეტიკური სიტყვა წარმოვთქვი მეორე პროექტის წინააღმდეგ. რეფომების მშვიდობიანი ჩატარების მაგალითად დავასახელე თბილისის უნივერსიტეტი. მე ამით ჩვენი უნივერსიტეტის პოზიციაც დავიცავი. რადგან, როგორც აღვნიშნე, ჩემთვის თბილისის უნივერსიტეტი იყო ძირითადი ორიენტირი. სხდომაზე ბატონმა როინ მეტრეველმა მადლობა გადამიხადა თბილისის უნივერსიტეტის რეფომების მხარდაჭერისათვის. სხდომის შემდეგ კი ორი უნივერსიტეტის რექტორმა მეგობრულ გაფრთხილებასავით მითხრა, რომ სულ მალე ქვეყნის სათავეში მოვიდოდნენ „დემოკრატები“. ასე რომ საკითხი უკვე გადაწყვეტილიაო...

ყველანი შეშფოთებულები ვიყავით მოსალოდნელი რადიკალური ცვლილებების გამო. პირდაპირ გულზე მომხვდა ზღვრული ასაკის 65 წლის საკითხი. თვითონ პრეზიდენტი გადასცდა ამ ასაკს და როგორ იქნება საქმე, – ვითომ ნიშნის მოგებით ვიკითხე.

მეორე დღეს როინ მეტრეველს გავუგზავნე წერილი. მომყავს წერილი სრული სახით, სადაც ნათლად ჩანს, რომ ჩვენ კატეგორიულად არ ვიზიარებდით მომავალი „ნაციონალების“ (უფრო სწორად „ანტინაციონალების“) რადიკალიზმს.

მომყავს 2003 წლის 14 აპრილის რიცხვით გაგზავნილი წერილი.

„თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
რექტორთა საბჭოა თავმჯდომარეს
ბატონ როინ მეტრეველს

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ განხილული იქნა ორი კანონპროექტი „უმაღლესი განათლების შესახებ“.

ჩვენი უნივერსიტეტი მხარს უჭერს პირველ კანონპროექტს, რომელიც განხილული და მოწონებული იქნა რექტორთა საბჭოს მიერ. ეს კანონპროექტი რეალისტურია და შეესაბამება საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის მიერ ათეული წლებით დაგროვილ ტრადიციებს და უმაღლესი განათლების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

მეორე პროექტი, რომელიც მომზადებულია „გაერთიანებული დემოკრატების“ მიერ, რევოლუციური ხასიათისაა და არ შეესაბამება უმაღლესი სასწავლებლის, როგორც აღმზრდელობითი დაწესებულების ბუნებას. <u>იგი ნიადაგს შეუქმნის კონფლიქტებს, ნგრევას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.</u> პროექტის ნამდვილი ჩანაფიქრი გამჟღავნებულია გარდამავალი დებულების /თავი XIII/ მე-6 პუნქტში, რომელიც კანონად მიღების შემთხვევაში, <u>მას უკუმოქმედების ძალას ანიჭებს,</u> რის შედეგადაც განთავისუფლებული უნდა იქნენ მართვის ყველა ორგანოების ხელმძღვანელები /რექტორები, პრორექტორები, დეკანები, კათედრის გამგეები და ა.შ./, რომლებიც თავის დროზე კანონიერად იყვნენ არჩეულნი შესაბამის თანამდებობებზე.

<u>ლეგიტიმური ხელმძღვანელების ასეთი მეთოდით გადაყენება აბუჩად აგდებაა კანონიერებისა და წარმოადგენს ანტიკონსტიტუციურ ქმედებას, იგი ეწინააღმდეგება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსისა და უმაღლესი სასწავლებლის წესდებას. (ხაზგასმა</u>

ჩემია. ვ.კ.). სენატის ანუ პარლამენტის მსგავსი ორგანიზაციის შექმნა ხელოვნურად აპირისპირებს სამეცნიერო საბჭოს. უმაღლეს სასწავლებლებში გამონთავისუფლებულ ადგილებზე არჩევისათვის ბრძოლა დამანგრეველ გავლენას მოახდენს სასწავლო პროცესზე, გამოიწვევს დესტაბილიზაციას. მერედა, რისთვის არის საჭირო ყოველივე ეს? იქნებ იმიტომ, რომ უმაღლესი სასწავლებლები დღემდე გადაურჩნენ ნგრევას? ისინი არ არიან ჩართულნი პოლიტიკურ ბატალიებში. მომავალი თაობის აღზრდა და განათლება ხანგრძლივი და მუდმივი, უწყვეტი პროცესია, სადაც დაუშვებელია ვოლუნტარიზმის ყოველგვარი გამოვლენა.

პროექტში ჩადებული ამ ნაღმის გარდა, სხვა ბევრი ნაკლოვანებანიც არის, შემცირებულია რექტორისა და საბჭოს ფუნქციები. რექტორი, თუმცა სიტყვიერად აღიარებულია პირველ პირად, მაგრამ ფაქტიურად, ასე არ არის. მთელი ყურადღება გადატანილია წარმომადგენლობით სენატზე, რომლის თავმჯდომარე გაურკვეველია თუ ვინ არის. რექტორს კი სხდომის წაყვანის უფლებაც არა აქვს. ადმინისტრირებულ და საკანონდებლო ორგანოთა ასეთი სტრუქტურის შექმნა უმაღლეს სასწავლებელში სრულიად ხელოვნურია. მით უფრო სახელოვნებო სასწავლებლებში, სადაც შემოქმედთა აღზრდის უაღრესად ფაქიზი და ინდივიდუალური მეთოდებია საჭირო, რამაც საყოველთაო სახელი მოუტანა ქართულ ხელოვნებას. დღეს სამეცნიერო-სამხატვრო საბჭო წარმოადგენს მართვის სავსებით მისაღებ ორგანოს, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს რეფორმები.

სრულიად გაუგებარია მართვის სტრუქტურიდან პრორექტორებისა და კათედერის გამგეების ფუნქციათა იგნორირება. რისთვის არის საჭირო რაღაც ახალი ადმინისტრაციული ხელმძღვანელი თანამდებობის შექმნა, რომელსაც თურმე, შეიძლება პრეზიდენტი, კანცლერი ან დირექტორი ეწოდოს, როცა ისედაც არსებობს სამეურნეო-ადმინისტრაციული დარგის პრორექტორი. ყოვლად მოუფიქრებელ და ნაჩქარევ ამ სისტემას, რომელსაც სამეული – სენატის თავმჯდომარე, რექტორი და პრეზიდენტი თუ კანცლერი ჩაუდგება სათავეში, ჩვენს პირობებში, დემოკრატიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არ შეუძლია უზრუნველყოს სასწავლო-აღმზრდელობითი, აკადემიური სწავლებისათვის მშვიდი ატმოსფეროს შექმნა. ამისათვის საჭიროა დემოკრატიის განვითარების სულ სხვა საფეხური და ხანგრძლივი დრო. უცხოური მოვლენების ხელოვნური

გადმონერგვა, რომელიც არ ითვალისწინებს ხალხის ბუნებას, ტრადიციებს, დადებით შედეგს ვერ მოიტანს.

პროექტში წერია, რომ „სადისერტაციო საბჭო“ არის ფაკულტეტთან არსებული ორგანო“, რომელიც განსაზღვრავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების პირობებსა და წესს“, სადისერტაციო საბჭოს წევრებსაც კი ფაკულტეტის საბჭო ირჩევს. არ შეიძლება სახელმწიფოებრივი და მეცნიერული მნიშვნელობის ასეთი ორგანო იყოს ფაკულტეტთან, განსაკუთრებით სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში. იგი უნდა იყოს არა ფაკულტეტის, არამედ უნივერსიტეტის /კონსერვატორია, აკადემია/ ორგანო. ამ ფაქტში იგრძნობა სამეცნიერო ხარისხის თვით წოდების გაუფასურების ტენდენცია. მით უფრო, როცა პროექტის მიხედვით სამეცნიერო ხარისხის რგოლიდან ამოვარდნილია კანდიდატის ხარისხი. ეს პრობლემაც მოითხოვს დროს, რათა იგი გადაწყდეს კომპლექსურად და მეცნიერულ დონეზე.

საქართველოში ბევრი უმაღლესი სასწავლებელი 70, 90 და 85 წლისაა. ასეთ დროს ერთგვარად შეურაცხმყოფელიც კი არის, რომ დღეს პარლამენტი იხილავდეს და კანონს იღებდეს იმისათვის, რომ გვასწავლოს, თუ რას ნიშნავს აბიტურიენტი, რას ნიშნავს სტუდენტი, უმაღლესის კურსდამთვრებული, მასწავლებელი ან რა არის დიპლომი. იგი თურმე უმაღლესი „განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი“ ყოფილა /გვ.1-2/.

პოზიტიური ფაქტია, როდესაც პროექტში წერია, რომ „უმაღლესი დაწესებულების სტრუქტურა განისაზღვრება მისი წესდებით“ /გვ. 7/, მაგრამ ბათილი ხდება ახლახანს უმაღლესებში მიღებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ყველა წესდება. თუ ამ პროექტს მიიღებენ, მაშინ რა აზრი აქვს ასეთ რიტორიკულ განცხადებებს? მხოლოდ ერთი მიზანი – შეიქმნას უმაღლესების ვითომ ავტონომიურობის ილუზია.

უცხოური, მაღალი ეკონომიური განვითარების ქვეყნების მოდელების, სქემების მექანიკური გადმოტანა, როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს, თუ არ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების დონეს, მის პირობებს, იგი რეალობისაგან უთუოდ მკვეთრად დაშორებული იქნება. იგი ვერ მოიტანს სიკეთეს. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრული არ არის თანამდებობის პირთა ასაკი. არ არის განსაზღვრული არც პარლამენტარების, მინისტრების,

<u>თვით პრეზიდენტის ასაკიც კი და ეს საკმაოდ ბუნებრივად მიგვაჩნია, მაგრამ რატომ ისაზღვრება იგი უმაღლესებში?</u> თუ უმაღლესი სასწავლებელი მართლა ავტონომიურია, შეიძლება იგი რეგულირდებოდეს მისი წესდებითა და სამეცნიერო საბჭოს საშუალებით, ინდივიდუალური წესით, სასწავლებელში სპეციფიკის შესაბამისად.

პროექტში თავმოყრილია ყველაფერი ერთად. აქ არის ის, რაც უმაღლესი სასწავლებლის წესდების კომპეტენციაა, რაც შინაგანაწესში უნდა იყოს და ის, რასაც მართლა სჭირდება უმაღლესი საკანონმდებლო ბაზა.

სრულიად ხელოვნურია და უცხოეთიდან /მაგ. გერმანიიდან./ ასევე მექანიკურად გადმოტანილია 65 წლამდე ასაკის ცნობილი პროფესორისათვის ემერიტუსის წოდების მინიჭების საკითხი, რომელსაც არ შეუძლია რაიმე აკადემიური თანამდებობა დაიკაოს, მაგრამ შეუძლია, ისარგებლოს სოციალური გარანტიებით“ /გვ. 15/. მერედა სად, ვინ აძლევა ამ გარანტიებს? სად წერია? რატომ არ არის პროექტში იგი დასახელებული? ერთმანეთს ეწინააღმდეგება მე–6 თავის 38–ე პუნქტი, გარდამავალი დებულების მე–12 თავის, 76–ე მუხლის მეორე ქვეპუნქტი, რომელიც „ორსაფეხურიან სწავლებაზე სრულ გადასვლა“მოითხოვს ყველა სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლის, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელახლა დაფუძნებას /გვ. 30/. ჩვენი ინსტიტუტი 2002 წლის 29 დეკემბერს პრეზიდენტის ბრძანებით გარდაიქმნა უნივერსიტეტად და დამტკიცდა შესაბამისი წესდება. მანამდე, 2002 წლის 2 ივნისს პირველად გახდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ პროექტის მიხედვით, თურმე ყველაფერი ეს საკმარისი არ არის და თავიდან უნდა დაფუძნდეს. განა ეს არ არის კანონების აბუჩად აგდება?

ყოველივე ზემოთაღნიშნული ადასტურებს, რომ „დემოკრატების“ პროექტი შედგენილია გარკვეული პოლიტიკური მიზანდასახულობით. იგი ვერავითარ სარგებელს ვერ მოუტანს უმაღლეს სასწავლებლებს“.

ასეთი იყო ჩვენი უნივერსიტეტის პოზიცია, მაგრამ სახელმწიფოს სათავეში მოვიდნენ ე.წ. „ნაციონალები“, გაატარეს რეფორმა, შეასრულეს ჩანაფიქრი და ამით დიდი ზიანი მიაყენეს საგანმანათლებლო სისტემას.

გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ ხელოვნებას, ქართულ ლიტერატურასთან ერთად,დიდი როლი აქვს შესრულებული ხალხის ცხოვრებაში. ეროვნული სულის გამოვლენის ამ ფორმას აქვს უდიდესი ტრადიცია, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ახალი დისციპლინის („ხელოვნების ისტორია“) წარმოქმნა ფსიქოლოგიურადაც შემზადებულია. იგი ბუნებრივად თავსდება სწავლების ჰუმანიზაციის საერთო კონცეფციაში.

„ხელოვნების ისტორიის“ კურსი აერთიანებს მხატვრობის, არქიტექტურის, მუსიკის, თეატრისა და კინოს დარგებს. თქმა არ უნდა, რომ ერთობ ძნელი იქნება ასეთი „უნივერსალური“ პედაგოგის მოძებნა, რომელიც ყველა დარგს ასწავლის, ამიტომ სწავლება გულისხმობს საგანთა გარკვეულ დიფერენციაციას ქალაქების შესაძლებლობათა მიხედვით. ამასთანავე, სრულიად არარეალურია, რომ ხელოვნების ყოველი დარგის პედაგოგი იყოს ყველა ქალაქსა და სოფელში. პრაქტიკულად იკვრება წინააღმდეგობათა რთული წრე. არც „უნივერსალური“ პედაგოგის შესაძლებლობაა და არც ხელოვნების ყველა დარგის სპეციალისტის – ყველა რაიონში, მაგრამ მიგვაჩნია, რომ გამოსავალი მაინც არსებობს:

<u>პირველი</u>: უნდა დაიწყოს „ხელოვნების ისტორიის“ მასწავლებელთა მომზადება, ისევე როგორც მზადდება სკოლის სხვა სავალდებულო საგნების მასწავლებლები. სასწავლო გეგმები და პროგრამები ისე აიგება, რომ სტუდენტს საშუალება ექნება მიიღოს შესაბამისი განათლება ხელოვნების ყველა დარგში. ასეთი სპეციალისტების მომზადება კი შესაძლებელია იქ, სადაც თავმოყრილია ამ დარგების კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები. ჩვენ ასეთად მიგვაჩნია საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი. აქ არიან თეატრის, კინოს, მუსიკის, სახვითი ხელოვნების სპეციალისტები, რომელთაც შეუძლიათ კადრების მომზადება. ინსტიტუტში არის ლაბორატორია, სადაც მუშავდება სკოლაში ხელოვნების სწავლების საკითხები. ინსტიტუტმა გასულ წელს უკვე მიიღო ერთი ჯგუფი ხელოვნების ისტორიის პედაგოგების მოსამზადებლად, გათვალისწინებულია მიღება წელსაც. ასე რომ, ინსტიტუტი უკვე პრაქტიკულად შეუდგა ხელოვნების ისტორიის მასწავლებელთა მომზადების ფართო მასშტაბიანი პროგრამის განხორციელებას, რომელიც წარმოადგენს განათლების სისტემის რეფორმის შემადგენელ ნაწილს.

<u>მეორე</u>: იმის გამო, რომ თბილისში თავმოყრილია საუკეთესო თეატრები, არის თეატრმცოდნეთა მნიშვნელოვანი ძალა (იგივე ითქმის კინოსა და სხვა დარგებზეც), შესაძლებელია „ხელოვნების ისტორიის“ სწავლების დარგობრივი დიფერენციაცია. შესაძლებელია გარკვეული ექსპერიმენტების ჩატარებაც. პირველი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. მთელ რიგ სკოლებში ისწავლება თეატრის ისტორია.

<u>მესამე</u>: „ხელოვნების ისტორიის“ სწავლება გულისხმობს ამ დარგში მსოფლიო მოღწევების ინფორმირებას, მაგრამ საკითხის არსს, მის ზეამოცანას უნდა შეადგენდეს ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა. სწორედ ქართული უნდა იყოს ფუნდამენტი.

<u>მეოთხე</u>: „ხელოვნების ისტორიის“ სწავლების პროცესი მაქსიმალურად უნდა დაუკავშირდეს ესთეტიკურ ღირებულებებს, ანუ იმ საფუძველს, რის ისტორიასაც იგი შეადგენს. ვიზუალური მხარის (სპექტაკლი, კინო, ფერწერა, ძეგლი და ა.შ.) გამოყენება სწავლის პროცესში განსხვავებული იქნება ქალაქად და სოფლად, თვით ქალაქებს შორისაც, ამიტომ პროგრამაშიც უნდა იქნას დიფერენცირებული მიდგომა.

<u>მეხუთე</u>: ზოგადსაგანმანათებლო სკოლებში „ხელოვნების ისტორიის“ კურსის სწავლება გარკვეულ მიმართებაში იქნება ხელოვნების სპეციალურ სასწავლებლებთან. იქმნება თავისებური კომპლექსი. ერთიანი სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს დარგის მასწავლებელთა დასაქმებას. ამასთანავე, იგი იქნება ერთგვარი დამხმარე საშუალებაც, რათა ზოგადსაგანმანათებლო სკოლაში შეუმჩნეველ ახალგაზრდას, რომელიც გამოავლენს ხელოვნებისადმი ინტერესს, იმავე მასწავლებლის რეკომენდაცია დაეხმარება პროფესიული ორიენტაციის გამომუშავებაში, რაც შესაძლებელია ბიძგი გახდეს ხელოვნების სპეციალურ სკოლაში გადასვლისათვის. მასწავლებლის როლის წარმოჩინებისათვის იქმნება მეტი საშუალება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში და ხელოვნების სკოლაში იყოს ერთი და იგივე მასწავლებელი.

<u>მეექვსე</u>: ხელოვნების სპეციალური პროფესიული სასწავლებლები რეფორმის პირველ ეტაპზე ალბათ ყველა რაიონში არ იქნება შესაძლებელი. წარმოიქმნება გარკვეული ზონალური ხასიათის სკოლები. მათ სჭირდებათ უფრო სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. თუ მუსიკის დარგში არსებობს შესაბამისი ქსელი

სპეციალური სკოლებისა, ამ მხრივ სრულიად სხვა მდგომარეობაა თეატრისა და კინოს სფეროში. არსებობს კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში. აუცილებელია მათი გარდაქმნა.

<u>მეშვიდე:</u> რეჟისორის ასისტენტი თანამედროვე თეატრში ან ახალგაზრდა რეჟისორია ან ხელმოცარული რეჟისორი თუ მსახიობი. პრაქტიკულად არაერთი ნიჭიერი რეჟისორის გზაც ასისტენტობით დაწყებულა, მაგრამ განათლების სისტემის ძირეული გარდაქმნის კონცეფცია იმასაც გულისხმობს, რომ მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს პროფესიათა შერჩევასა და მიღებაში შემთხვევითობა და იმპროვიზაცია,თუ ვინ რა გამოვა საბოლოოდ, რაც ინდივიდუალურ ნიჭსა და ბედზეა დამოკიდებული, არ იძლევა საფუძველს, რომ მასზე იყოს პროფესიული აღზრდა ორიენტირებული. რეჟისორის ასისტენტი საშუალო რგოლია და უნდა მომზადდეს პროფესიულ სასწავლებელში, რაც მას საშუალებას მისცემს, გააგრძელოს უმაღლეს სასწავლებელშიც სწავლა. სპეციალურ სასწავლებელში მომზადებული ასისტენტი უნდა იყოს განათლებული, კარგად იცნობდეს თეატრალური ხელოვნების საფუძვლებს, ერკვეოდეს მხატვრობის, მუსიკის, სცენის ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში. განსაკუთრებით კარგად უნდა იცოდეს რეჟისორის ხელოვნების ზოგადი პრინციპები.

<u>მერვე:</u> განსაკუთრებულია ტექრეჟისორის როლი თეატრში. ამ კატეგორიის სპეციალისტებს არ ამზადებენ სპეციალურად. დღეს იგი მხოლოდ ენთუზიაზმზე, თეატრისადმი ერთგულებით გამორჩეული მუშაკების მოძიებაზეა დამოკიდებული. არ არის პროფესიული აღზრდის სკოლა. ტექრეჟისორებს დამდგმელი რეჟისორები თავიანთ მარჯვენა ხელს უწოდებენ, ის არის მთელი სარეპეტიციო პროცესის ორგანიზატორი. იგი პატრონია, თავისებური მენეჯერია სპექტაკლისა და მას უნდა ჰქონდეს ორგანიზაციული ნიჭი, მოვალეობის ღრმა შეგნება, პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც დაფუძნებული იქნება მხატვრული შემოქმედების მნიშვნელობის ცოდნაზე.

<u>მეცხრე:</u> გრიმიორის სპეციალისტებს დღეს არ ამზადებს არც ერთი სასწავლებელი. იქნებ გარკვეულწილად ამის ბრალია, რომ შემცირდა გრიმის ოსტატობის ადგილი სცენური სახის შექმნაში. არსებობს გრიმის სახელმძღვანელო (პროფ. გ. სარჩიმელიძის), რომელიც ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. გრიმიორის პროფესიის

დასაუფლებლად სავსებით საკმარისია ორი წელი.

<u>მეათე:</u> სპეციალურ პროფესიულ სკოლაში მომზადდება სადადგმო ნაწილის მუშაკებიც. სპექტაკლის სადადგმო ნაწილი არის თეატრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრუქტურული ქვედანაყოფი. მისი ამოცანაა „ჩაშვებული“ სპექტაკლის ტექნიკური უზრუნველყოფა.

ჩვენმა უნივერსიტეტმა განვითარების მრავალსაფეხურიანი ეტაპები გაიარა. მე ოცდაცამეტი წლის მანძილზე საბჭოს წინაშე გამოვდიოდი მოხსენებით და ვაჯამებდი სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის შედეგებს. წერილობითაც ვტოვებდი დოკუმენტებს. ზოგიერთი მათგანი ჩემს არქივსაც შემორჩა. ეს ჩვენი უნივერსიტეტის ცხოვრების ისტორიაა.

ყოველ დროს თავისი სპეციფიკური სირთულეები ჰქონდა, ყოველთვის იყო წარმატებებიც და ჩავარდნებიც. ადვილი არ იყო საბჭოური სისტემის პირობებში მუშაობა, მაგრამ არ ვიქნები გულწრფელი და ისტორიის წინაშე მართალი., რომ არ ვთქვა, ე.წ. „უძრაობის ეპოქა“, თავისი კონსერვატორიზმის მიუხედავად, სასწავლო ცხოვრების სტაბილურობის გარანტი იყო. ასევე გაგრძელდა „გარდაქმნის“ პერიოდშიც, თუმცა მან ბევრი რამ შეცვალა სასიკეთოდ. დრამატული პარადოქსია, რომ როგორც მთელ ჩვენს ცხოვრებაში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებშიც, ყველაზე რთული აღმოჩნდა ყველაზე ნანატრი დრო – დამოუკიდებელი საქართველოს ეპოქა, მისი ოცწლეული, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეული. ბოლონიის პროცესის მექანიკური და არა სწორი ინტერპრეტირება პირველ ეტაპზე უფრო დამანგრეველი აღმოჩნდა, ვიდრე აღმშენებელი. გაჩნდა ეროვნული დისციპლინების „მსოფლიო ისტორიაში“ გათქვეფის საფრთხე. ლოგიკა მარტივი და დემოგოგიური იყო. კითხულობდნენ: ქართული ლიტერატურა ხომ არის მსოფლიო ლიტერატურის ნაწილი? ან ქართული თეატრი, კინო არ არის მსოფლიო თეატრისა და კინოს ნაწილი?

რა თქმა უნდა, არის.

თუ ასეა, რაღა საჭიროა ქართულის ცალკე გამოყოფა და დამოუკიდებელ დისციპლინად სწავლება?

ყოველ დემაგოგიასა და საკითხის პროვოცირებას თავისი ლოგიკა აქვს, რომელსაც მარჯვედ იყენებენ ხოლმე კონიუნქტურისტები და ე.წ. „ნოვაციების მანქურთები“. განათლების სამინისტროში არაერთი დებატი გაიმართა. რეფორმის შედეგად ხარისხის

სამსახურის შემოღებამ და სიახლის თავმოწონების სურვილმა ბევრი აცდუნა. ადვილი არ არის ნოვაციების „საყმაწვილო სენისაგან“ გათავისუფლება.

საბედნიეროდ ჩვენი უნივერსიტეტი გადაურჩა ამ სენს. ხარისხის უფროსი თ. ვეფხვაძე აღმოჩნდა გონიერი ინტელიგენტი, კომუნიკაბელური და რაც მთავარია, მოსმენის უნარით გამორჩეული. მოსმენის კულტურა ქართველების „აქილევსის ქუსლია“. ჩვენ დიალოგის ხალხი არა ვართ. არ არის შემთხვევითი, რომ ერთმანეთს ლაპარაკს არ ვაცლით, ოპონენტის „დასამარცხებლად“ სიტყვები რომ არ გვყოფნის, ჟესტიკულაციებითაც „ვუტევთ“.

როცა თ. ვეფხვაძის კანდიდატურას წარმომადგენლობით საბჭოზე ვამტკიცრებდით, სხდომის დაწყების წინ, უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მთხოვა, მხარი არ დამეჭირა ვეფხვაძის კანდიდატურისათვის. არ დავუჯერე, ინტუიციამ არ მიღალატა. ამით ბევრი მოსალოდნელი გართულება ავიცილეთ თავიდან.

უნივერსიტეტის ბევრ რექტორთან ვიმუშავე. ყველასთან ერთგულად ვმუშაობდი. ყველა რექტორს თავისი დროის სირთულეები ჰქონდა, მაგრამ ისტორიულად მაინც ყველაზე რთულ დროს მოუწია მოღვაწეობა გ. მარგველაშვილს. ბოლონიის პროცესი, „ნაციონალების“ ექსტრემიზმი, ორი უნივერსიტეტის გაერთიანება – ყველაფერი ეს ძალიან დიდი მოთმინებას, დაფიქრებასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას მოითხოვდა. რეორგანიზაციისა და რეფორმის ხასიათი ბუნებრივად მოითხოვდა ხალხის შემცირებას, ყოველი ადამიანის განთავისუფლება კი დიდ ტკივილთან არის დაკავშირებული. ამ დროს ადამიანები არაადეკვატურები ხდებიან. ადვილი არ არის ყველაფრის გაძლება. გოგი მარგველაშვილი კი მუდამ გაწონასწორებულიი იყო, სატკივარს არ ამხელდა, მაგრამ სულის სიღრმეში რა ხდებოდა?!

გამახსენდა მ. ჯაფარიძის პიესის „ჩვენებურების“ ერთ-ერთი გმირის ფრაზა – „ადამიანის სულის უფსკრულში ვინმეს ჩაუხედია?“

შეუღწევადია!

ერთ დღეს გავიგე, რომ გ. მარგველაშვილი ზინა კვერენჩხილაძეს (ანუ დედამისს) ათავისუფლებსო. არ მესიამოვნა, შეცდომად მივიჩნიე მისი გადაწყვეტილება. ზინასთან ჩემი მეგობრობის სუბიექტური ფაქტორების გარდა, ობიექტურად უნივერსიტეტისათვის საჭირო

იყო იგი.

ზინასთან მეგობრობით გათამამებულმა საკმაოდ დიდი უტაქტობა ჩავიდინე და (შვილისაგან ვიცავდი დედას?) საყვედურის სათქმელად შევედი.

– გოგი, ზინა შენი დედაა, მაგრამ უნივერსიტეტისათვის სახელია, არ შეიძლება მისი გაშვება.

– პავლოვიჩ! – მიპასუხა მშვიდად, – თუ ზინას დავტოვებ, სხვების განთავისუფლების მორალური უფლება მექნება?

გარედან ყველაზე რთული პრობლემაც კი რა ადვილი ჩანს. დიდი სიბრძნეა ქართულ ანდაზაში „სხვისი ჭირი – ღობეს ჩხირიო“.

ხელთა მაქვს 1989 წლის 29 ნოემბრის სამეცნიერო საბჭოზე მიღებული დოკუმენტი, რომელიც მე შევადგინე, საბჭოზე განვიხილეთ და დავამტკიცეთ.

ვფიქრობ, დოკუმენტი კარგად გამოხატავს 80-იანი წლების საუნივერსიტეტო ცხოვრების ხასიათს და მის წინაშე მდგარი პრობლემების მრავალსახეობას.

ვაქვეყნებ დადგენილებას სრული სახით.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის (რომელიც 1923 წელს დრამატული სტუდიის საფუძველზე ჩამოყალიბდა) კურსდამთავრებულებმა, ძირითადად განსაზღვრეს ქართული საბჭოთა თეატრის განვითარება. ინსტიტუტის სათავეებთან იდგნენ რეჟისორები: კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, ა. ფაღავა, მეცნიერები: ი. ჯავახიშვილი, ა. შანიძე, გ. ჩუბინაშვილი, დ. უზნაძე, მწერალი კ. გამსახურდია და სხვა გამოჩენი;ლი ადამიანები, რომელთა პედაგოგიურმა საქმიანობამ იმთავითვე მოუპოვა ინსტიტუტს ავტორიტეტი და მტკიცე საფუძველი დაუდო მის ეროვნულ ხასიათს.

ინსტიტუტი დაამთავრა ხელოვნების სხვადასხვა დარგის 2200-ზე მეტმა სპეციალისტმა. მათ შორის: დრამისა და კინოს მსახიობი – 1350, დრამისა და ტელერეჟისურის სპეციალობა – 175, მუსიკალაური თეატრის მსახიობი – 126, თეატრმცოდნე – 265 (მათ შორის დაუსწრებელ განყოფილებაზე – 100), კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზატორ-მეთოდისტის სპეციალობა – 200 (მათ შორის 55 დაუსწრებელი განყოფილება).

1974-75 სასწავლო წლიდან დაიწყო კინოხელოვნების სპეციალისტების მომზადება, წინა წლებში კი მომზადდა

კინომცოდნეთა ცალკეული ჯგუფები. 1977 წელს ინსტიტუტთან შეიქმნა სასწავლო კინოსტუდია, ამავე წელს გაიხსნა კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტი.

ინსტიტუტი ამზადებს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს, მხატვრული, სამეცნიერო-პოპულარული ფილმის, დოკუმენტური, ტელეფილმის, მულტიპლიკაციისა და საბავშვო ფილმების რეჟისორებს, მხატვრული და დოკუმენტური ფილმის ოპერატორებს, კინომცოდნეებს, სცენარისტებს, კინომეთოდისტებს. სულ მომზადდა 100-ზე მეტი სპეციალისტი. სადიპლომო და საკურსო ფილმებს წარმატებით უჩვენებენ საკავშირო და მსოფლიო ფესტივალებზე.

ინსტიტუტი კადრებს უმზადებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებსაც.

გადაიდგა პირველი ნაბიჯები საზღვარგარეთის სათეატრო უმაღლეს სასწავლებლებთან კონტაქტების დასამყარებლად (მაგ. ბულგარეთთან).

ინსტიტუტის მუშაობის გაზრდილმა მასშტაბებმა, მისმა შემოქმედებითმა წარმატებებმა საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი ჩააყენა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე უმაღლეს სასწავლებელთა რიგში.

ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ბაზებზე შეიქმნა არაერთი თეატრი.

1983 წლიდან ინსტიტუტს აქვს სასწავლო თეატრი, სადაც იმართება საკურსო და სადიპლომო სპექტაკლები.

ინსტიტუტში ფუნქციონირებს თეატრისა და კინოს ისტორიისა და თეორიის სამეცნიერო-კვლევითი სექტორი, სოციოლოგიისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის საკვლევი-სამეცნიერო ლაბორატორიები, სადაც მეცნიერული მუშაობის ძირითად მიმართულებას განსაზღვრავს ქართული თეატრისა და კინოს ისტორიისა და თანამედროვეობის კვლევა. ჩატარდა არაერთი სოციოლოგიური გამოკვლევა. ინსტიტუტში არის 10 კათედრა. მოქმედებს თეატრის, თეატრალურ ურთიერთობათა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ლინგაფონისა და კინოს კაბინეტები.

ინსტიტუტში ძირითადი კადრების მომზადება ხდება მიზნობრივი წესით — თეატრების, კინოსა და ტელესტუდიების მოთხოვნილებათა მიხედვით. თეატრალურმა ინსტიტუტმა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო მიზნობრივი სწავლება.

1989/90 სასწავლო წლისათვის ინსტიტუტის დასწრებულ განყოფილებაზე სწავლობს 437 სტუდენტი, დაუსწრებელზე – 338, სულ – 775.

ინსტიტუტში მუშაობს 160 პროფესორ-მასწავლებელი, მათ შორის 15 პროფესორი, 35 დოცენტი, სასწავლო, დამხმარე და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი შეადგენს 200 კაცს.

ინსტიტუტი მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტზეა.

ამრიგად, თეატრალური ინსტიტუტი წარმოადგენს ეროვნული კულტურის დიდმნიშვნელოვან კერას, რომლის მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი ქართული ეროვნული თეატრისა და კინოს, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის შემდგომი განვითარება.

უძრაობისა და რესპუბლიკის უფლებების თანმიმდევრული შეზღუდვის პერიოდში, ინსტიტუტმა მაინც შესძლო მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა სასწავლო პროცესში, გაეზარდა ეროვნული დისციპლინების წილხვედრი და რეპერტუარში წარმოეჩინა ქართული თემატიკა. თუ 1974, 1978 წლებში ინსტიტუტის 31 სპექტაკლიდან 8 პიესა იყო ქართული, 1984-1988 წლებში 39 წარმოდგენიდან ქართული იყო 15, სასწავლო ფილმები თითქმის მთლიანად ემყარება ქართულ რეპერტუარს. ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურა წარსულში მთლიანად ყველა სპეციალობაზე ისწავლებოდა მხოლოდ ერთი წელი, ხოლო შემდგომ კი იგი გაიზარდა მთელ რიგ სპეციალობებზე სამ სემესტრამდე და მეტადაც. წარსულში, ქართული ცეკვა ისწავლებოდა ერთი სემესტრი, გაიზარდა ორამდე. ქართული თეატრის ისტორიის კურსი გაიზარდა ერთი სემესტრით ყველა სპეციალობაზე, მათ შორის ნაციონალურ ჯგუფებშიც. ინსტიტუმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო „საქართველოს ისტორიის“ კურსის კითხვა ჯერ კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე, - შემდეგ კი ყველა სპეციალობაზე და იგი გაიზარდა სამ სემესტრამდე. ამ ტენდენციის ლოგიკური შედეგი იყო ისიც, რომ ინსტიტუტმა პირველმა ჩაატარა მისაღები გამოცდები „საქართველოს ისტორიაში“. შემოღებული იქნა „ქართული ენის“ სწავლების ერთწლიანი კურსი. ეროვნული დისციპლინები მეოთხე კურსიდან გადატანილი იქნა პირველ კურსზე, რაც უკეთ უზრუნველყოფდა ლექციებსა და მეცადინეობებზე სტუდენტთა დასწრებას.

ინსტიტუტის ეროვნული განვითარების კონცეფცია ითვალისწინებს

წლობით დაგროვილი გამოცდილების, ქართული თეატრისა და კინოს სპეციალისტების პროფესიული მომზადების ხარისხის ამაღლებას, სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის პროცესში ეროვნული ორიენტაციის გამომუშავებას, პატრიოტული თვითშეგნების გაზრდის, შრომისა და სწავლების მაღალი კულტურის დანერგვის, ჰუმანიზმის პრინციპების გათავისებისა და ეროვნულ კულტურაში რეალური წვლილის შეტანის ინტერესებს.

ინსტიტუტის თანამედროვე სახეს წარმოადგენს თეატრის, კინოს, კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის, სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი და საწამოო სფეროთა ურთიერთობის სინთეზი, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუტის არა მარტო სპეციფიკას, არამედ მისი სირთულის ხასიათსაც. ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შემოქმედებითი და ორგანიზაციული საქმიანობის ყველა რგოლის – რექტორატის, დეკანატების, კათედრების, სექტორისა და კაბინეტების შეწყობილი მუშაობა.

სამეცნიერო საბჭოზე მოხსენება გავაკეთე, სადაც მუხლობრივად აღვნიშნავდი:

1. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ინსტიტუტმა მიიღო სასწავლო თეატრი და გადაეცა კულტურის სამინისტროს შენობის ნაწილი, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იგი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, მიზნებსა და შესაძლებლობას შორის შეუსაბამობის გამო. სამსახიობო ფაკულტეტისათვის, სადაც სტუდენტთა ძირითადი კონტინგენტია თავმოყრილი,საკმარისი არ არის სპეციალობათა აუდიტორიები, ხოლო კინოფაკულტეტი არსებითად სასწავლო კინოსტუდიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშეა დარჩენილი, რადგან მეტად მცირეა და ერთსახოვანი სტუდიაში არსებული ტექნიკური საშუალებანი. კინოსაოპერატორო ფაკულტეტი ვიდეოსპეციალობის შესწავლასაც ითვალისწინებს – სტუდენტებს კი დღემდე ხელთ არ სჭერიათ ვიდეოაპარატი. გასულ წელს ვერ მოხდა კინოოპერატორთა ჯგუფის გამოშვება, ერთი წლით გადაევადათ დიპლომების დაცვა. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დახმარების მიუხედავად, არსებითად გადაუჭრელია კინოფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრობლემა, სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობის სისტემა. ამდენად, საჭიროა ინსტიტუტის ზრდის ტენდენციის შეჩერება.

2. ინსტიტუტში თავმოყრილნი არიან რესპუბლიკის

საუკეთესო სპეციალისტები. მიუხედავად ამისა, კონტინგენტის ზრდის ტენდენციას თან ახლავს საშუალო დონის პედაგოგთა მომრავლება, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე. ამის გამო იზრდება ე.წ. საშუალო სტუდენტთა რაოდენობაც. ამიტომ, მკვეთრად უნდა ამაღლდეს პედაგოგთა ატესტაციის როლი, უნდა შემუშავდეს მექანიზმი, რომელიც მეტად წაახალისებს მაღალპროფესიულ სპეციალისტებს, აგვაცდენს ნიველირების საფრთხეს.

3. ინსტიტუტში მიღებას, ახალ სპეციალობათა გახსნას, საფუძვლად უნდა დაედოს შესაბამისი დარგის მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგთა მოწვევის შესაძლებლობა და რეალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

4. სტუდენტთა მიზნობრივი მიღების დროს გაძლიერდეს ადგილებზე მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების პრაქტიკა. გამოირიცხოს ნაჩქარეობა და კომპრომისები, რადგან რაიონებისათვის კადრების მომზადება დიდი ეროვნული საკითხია. ყურადღების ცენტრში დგებიან სოხუმის, ცხინვალის, ახალციხის, ფოთის და ზუგდიდის თეატრები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ, როგორც ეროვნული კულტურის კერებს.

5. ქართული კულტურის კერების მომძლავრებისა და მისთვის სპეციალისტების მომზადების მიზნით, მიმდინარე სასწავლო წელს შეიქმნას ინგილოთა ჯგუფი (10 კაცი) კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე, მოეწყოს მათი უფასო მოსამზადებელი კურსები სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან, ხოლო შემდგომ წლებში გათვალისწინებულ იქნეს ამავე დარგის სპეციალისტების მომზადება ჩრდილო ოსეთის ქართველებისა და პლასტუნკელებისათვის.

6. ინსტიტუტს დაუგროვდა დიდი გამოცდილება მისაღები გამოცდების დარგში, რაც საშუალებას იძლევა გამოცდების სტრუქტურაში შეტანილ იქნეს ახალი ელემენტები, საბოლოოდ დამუშავდეს და დროულად განისაზღვროს, დაიხვეწოს კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე სპეციალობებში გამოცდების ფორმები და მეთოდები. ყველა სპეციალობაზე განახლდეს ლიტერატურის სია და კითხვარები, ხოლო ქართულ ენაში წერით გამოცდებზე მოიძებნოს აბიტურიენტის დამოუკიდებელი აზროვნების გამომხატველი უფრო ეფექტური ფორმები (წაკითხულის შინაარსი, თავისუფალი თემა და სხვა).

7. პროგრამა გულისხმობს სტუდენტთა შემდგომ მიღებას

საქართველოს ეკონომიკურ დამოუკიდებლობასთან კონტექსტში. რესპუბლიკის გარედან მიღებული ყოველი არაქართველი სტუდენტი მიღებულ იქნეს თვითდაფინანსებისა და ხელშეკრულების პრინციპით. ამასთანავე, რესპუბლიკის გარედან სტუდენტთა მიღება ძირითადად მოხდეს ევროპის ქვეყნებიდან და იმ რესპუბლიკებიდან, რომელთა ეროვნული იდეალები შეესაბამება რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესებს. სხვა ჯგუფების მიღებაზე მოხდეს თავშეკავება.

8. საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის მნიშვნელოვანი მომენტია რუსეთის უმაღლესი სასწავლებლებიდან ქართველი სტუდენტების გადმოყვანისათვის ხელშეწყობა. პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა ინსტიტუტში. მომავალშიაც გაგრძელდება ეს ტენდენცია, უპირატესად დაუსწრებელი სწავლების ხაზით.

9. ინსტიტუტის განვითარების, მისი ავტორიტეტის გაზრდის, სპეციალისტების ხარისხის მომზადების გაუმჯობესების მიზნით არსებითად გაფართოვდეს საზღვარგარეთის უმაღლეს სკოლებთან კონტაქტები – სტაჟირების, სტუდენტთა გაცვლების, ცლკეული ჯგუფების მომზადებისა და სხვა ფორმით კონტაქტების სახით. მიმდინარე სასწავლო წლიდან კი, მოხდეს ბულგარეთის ახალგაზრდების მიღება კინოსარეჟისორო სპეციალობაზე. ანალოგიური კავშირი გამოინახოს ისრაელთან. აღნიშნულის შესრულება მოითხოვს არა მხოლოდ ადგილებზე ჩასვლას, წამყვან რეჟისორთა ამთავითვე შერჩევას, არამედ საერთო საცხოვრებლისა და სხვა სოციალური თუ ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრას. უცხოელებთან კონტაქტების გაღრმავების ტენდენცია და მომავლის პერსპექტივა მოითხოვს გეგმაზომიერებსა და სიზუსტეს, ფინანსური საკითხების მოგვარებას, რაც გულისხმობს ამ დარგებისათვის შემდგომში კონკრეტული სამსახურის შექმნას.

10. სტუდენტთა მორალური და მატერიალური წახალისების მიზნით, უკვე მიმდინარე წელს დაიწყოს ინსტიტუტის საკურსო და სადიპლომო სპექტაკლების, ფილმების კონკურსები. თეატრალურ მოღვაწეთა კავშირთან ერთად. ინსტიტუტის ბაზაზე დამკვიდრდეს სტუდენტური ფილმების ფესტივალი „ამირანი“. იმ მიზნით, რომ უპირატესი მნიშვნელობა მიენიჭოს ქართულ ეროვნულ პრობლემატიკას.

11. კონცეფცია ემყარება იმის ღრმა რწმენას, რომ ინსტიტუტის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი გაუფრთხილდება

ეროვნებათშორისო ურთიერთობის ჰუმანურ ნორმებს, დაიცავს ქართულ ტრადიციებს, საუკუნეობით დაგროვილ გამოცდილებას, ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული განვითარების მიზნებისა და იდეალების ხორცშესხმას.

12. საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციაში დასმულია ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში დრამატურგთა კადრების მომზადების საკითხი. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ ეს მისია თავის თავზე აიღოს თეატრალურმა ინსტიტუტმა და გაითვალისწინოს მომავალში მათი მიღება. საამისოდ არ არის საჭირო საგანგებო ტექნიკური ბაზა.

13. თეატრმცოდნეობისა და კინომცოდნეობის სპეციალობებზე მიღებისა და შემდგომ სწავლების პროცესში პრიორიტეტი მიენიჭოს თეატრისა და კინოს ისტორიას. ღრმად დაუკავშირდეს სწავლების პროცესი თეატრის პრაქტიკას.

14. სასწავლო პროცესის დემოკრატიზაციის გაფართოების მიზნით სტუდენტებს მიეცეთ არჩევანის უფლება დაესწრონ მათთვის საინტერესო ლექციებსა და სემინარებს. უმაღლეს სასწავლებელთა გარდაქმნის ტენდენცია ითვალისწინებს ამგვარ უფლებებს, მაგრამ იგი თითქმის არ არის პრაქტიკაში დანერგილი. სტუდენტთა მიერ ლექციების და სემინარების ასეთი არჩევითობა ხელს შეუწყობს პროფესორ-მასწავლებელთა პასუხისმგებლობის ამაღლებას.

15. მეტი დემოკრატიულობა და საჯაროობა მიენიჭოს სტუდენტთა ნამუშევრებს. გარდა საკურსო და სადიპლომო სპექტაკლებისა და ფილმების ჩვენებისა, ფართოდ განვითარდეს ღია კონცერტების, ცალკეულ მიღწევათა დემონსტრირების პრაქტიკა, ამ მხრივ შეძენილ გამოცდილებათა გათვალისწინებით.

16. დაისვას მუსიკალური თეატრისა და ესტრადის ფაკულტეტის ოთხწლიან სწავლებაზე გადასვლის საკითხი. შესაბამისად გადამუშავდეს სასწავლო გეგმა. ამასთანავე განხილულ იქნას კურსდამთავრებულთა ერთწლიანი სტაჟირების მიზანშეწონილობის საკითხი (ე. ი. მეხუთე წელი).

17. საესტრადო ფაკულტეტზე შემოღებულ იქნას ახალი დისციპლინა: ქართული და მსოფლიო ესტრადის ისტორია. გადაისინჯოს სასწავლო გეგმები, ზოგიერთი დისციპლინის შემცირების მიზნით. სტუდენტთა ინტერესების გასათვალისწინებლად სოციოლოგიურმა ლაბორატორიამ ჩაატაროს პედაგოგთა და

სტუდენტთა ანკეტირება, რათა მეცნიერულად გაანალიზდეს ყოველი დისციპლინის სწავლების მიზანშეწონილობაც და კურსის მოცულობაც.

18. კურსდამთავრებულებთან მუშაობის გაგრძელების მიზნით სპეციალობების კათედრებმა შექმნან პირობები და გაუწიონ ხელმძღვანელობა, რათა სამსახიობო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები არამარტო მონაწილეობდნენ ინსტიტუტის სპექტაკლებში, არამედ სტუდენტებთან ერთად აწყობდნენ მხატვრულ საღამოებს, ქმნიდნენ სხვა ფორმის წარმოდგენებს. ამასთანავე, გათვალისწინებული იქნას ინსტიტუტის სტუდენტთა მაქსიმალური დატვირთვა, მათი ნიჭისა და უნარის გამოვლენის მიზნით.

19. ინსტიტუტში მრავალი წელია ფუნქციონირებს კათედრა საზოგადოებრივ საწყისებზე. კინოსპეციალისტების გამოშვების, ინსტიტუტში კინოფაკულტეტის მასშტაბისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით მოხდეს კინოკათედრის ფორმირება.

20. თეატრისა და კინომცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტთა საუკეთესო შრომების კრებულისა და სხვა ფორმით გამოცემის უზრუნველყოფა ქართული ეროვნული პრობლემატიკით დაინტერესების მიზნით, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ხელმძღვანელობით.

21. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდეს ინსტიტუტის ფილმების, მხატვრული კონცერტებისა თუ სხვა ფორმის მომსახურებით ღონისძიებებში აჭარიდან და სვანეთიდან გადმოსახლებულებთან. მათთვის, წელსვე, კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოიყოს 2-3 ადგილი. ამასთანავე ახალი სოფლების სპეციფიკური მდგომარეობის გამო (რაკი ჯერ არ არის კულტურულ-საგანმანათლებლო ქსელი), არ მოეთხოვოთ პროფილით მუშაობა, დაშვებულ იქნან მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

22. სამეცნიერო-კვლევითი სექტორის სასწავლო პროცესთან უკეთ კავშირის მიზნით, შემუშავდეს წინადადებანი დამხმარე სახელმძღვანელოების, პროგრამების მომზადების დაჩქარების შესახებ. გადაისინჯოს შრომების სია და რომელთაც აღმოაჩნდებათ სადღეისო სასწავლო პრაქტიკული მნიშვნელობა და ეროვნული ღირებულებანი, დაისვას მათი რამდენიმე ცალად გადამრავლების საკითხი. „თეატრალური ძიების“ პუბლიკაციებში მეტი ადგილი

დაეთმოს სახელმძღვანელო მნიშვნელობის სტატიებს.

23. სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ახალი ხუთწლედის საკვლევ თემატიკაში უპირატესი ადგილი დაეთმოს ქართული ეროვნული და ზოგად ჰუმანისტურ პრობლემატიკას, მეტად მოეთხოვოს სექტორს აქტიურად მონაწილეობდეს ქართული თეატრის, კინოს, მუსიკის მიმდინარე პროცესების შესწავლაში, თეატრისა და კინოს პრაქტიკულ ცხოვრებაში.

24. იმის გამო, რომ თეატრალურ ინსტიტუტში თავმოყრილია თეტარმცოდნეთა ძირითადი ბირთვი, სამეცნიერო სექტორმა განიხილოს და განსაზღვროს ,,ქართული თეატრალური ენციკლოპედიის" მომზადების საკითხი. მასალების შეგროვებაში დაიხმაროს ლაბორანტები და სტუდენტები და ენციკლოპედიის მომზადების სამზადისი იქცეს ეროვნული საქმის მნიშვნელოვან ნაწილად.

25. ინსტიტუტმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულტურულ-საგანმანათლებლო დარგის უმაღლესი განათლების სპეციალისტების მომზადებაში. შეიქმნა პირობები, როცა რეალურად ისახება ახალი ეროვნული კერის – კულტურის ინსტიტუტის შექმნის საკითხი.

26. სტუდენტთა ლიტერატურული ინტერესის გაღრმავების, ქართული მწერლობის პროპაგანდისა და მხატვარული მეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით სასწავლო თეატრთან შეიქმნას ლიტერატურული თეატრ-სტუდია. მსახიობის ოსტატობისა და ზოგადი ფილოლოგიის კათედრებმა გამონახონ საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტის ფორმები და საშუალებები.

27. საზოგადოებრივ მეცნიერებაში შექმნილი რთული სიტუაცია, რომელიც გამოწვეულია საზოგადოებრივი მეცნიერების, განსაკუთრებით კი სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის დისციპლინის სრული დეფორმაციით, მეტად სპეციფიკურ კლიმატს ქმნის სამხატვრო უმაღლეს სასწავლებლებში. ზემოთ დასახელებულ დისციპლინათათვის სახელწოდებათა შეცვლის მიუხედავად, ვიდრე არ მოხდება მათი ახლებური გააზრება, მანამდე რეალურად არ შეიცვლება ამ დისციპლინებისადმი სტუდენტთა უარყოფითი დამოკიდებულება. ამიტომ, ფართოდ უნდა დაინერგოს სწავლების ბლოკური სისტემა, დამკვიდრდეს თემატიკის შერჩევითი სწავლება, რომელიც მაქსიმალურად მიუახლოვდება ეროვნული ლიტერატურის, ისტორიისა და საერთოდ კულტურის თემატიკას, უკეთ წარმოაჩენს ქართული ფილოსოფიის ტრადიციებს.

28. რადიკალურად შეიცვალოს ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის მდგომარეობა. საერთო საცხოვრებლის საკითხი გააზრებული და შეფასებული უნდა იქნას როგორც ეროვნული და პოლიტიკური საკითხი, რომელსაც დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს. ამ პოზიციებიდან დაისვას საკითხი ზემდგომ ინსტანციებში.

29. ფილოლოგიურ მეცნიერებათა კათედრამ თავისი სამეცნიერო მუშაობა უშუალოდ უნდა დაუკავშიროს ინსტიტუტის სპეციფიკას და შეუდგეს უცხო ენაზე „თეატრალური ლექსიკონის“ სამზადისს, უკვე მიმდინარე სასწავლო წლიდან.

30. ინსტიტუტის პროფკავშირის, ახალგაზრდობის კავშირის და დეკანატების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ შესწავლილი იქნას მრავალშვილიანი ოჯახის მქონე სტუდენტების, მარტოხელა დედების პირობები და გამოინახოს მათი რეალური დახმარების ფორმები. ამასთანავე, გაგრძელდეს კონტაქტები უპატრონო ბავშვთა სახლებთან, აღორძინებული სოფლების (წერაქვი, ტანძია) მოსწავლეებთან.

31. ინსტიტუტის ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა მოითხოვს გამოინახოს სხვადასხვა ფორმა, რომლებიც გარკვეულ შემოსავალს მისცემს ინსტიტუტს, რაც საფუძველი გახდება პედაგოგთა, თანამშრომელთა და სტუდენტთა სტიმულირებისა.

32. სამეცნიერო-კვლევითი სექტორის ხელფასების მოწესრიგების მიზნით, დადგინდეს, რომ პედაგოგთა ხელფასის ახალ ტარიფებზე გადაყვანისას – სექტორის მეცნიერ-მუშაკებს შეუნარჩუნდეთ ხელფასის არსებული დონე, ხოლო სალექციო საათები აუნაზღაურდეთ შესაბამისი ტარიფით. პედაგოგთა და მეცნიერ-მუშაკთა ხელფასების ასეთი დიფერენციაცია საფუძველი უნდა გახდეს შემდგომში საერთოდ მეცნიერ-მუშაკთა ხელფასების მომატებისას.

32. გაფართოვდეს სტუდენტთა სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მასშტაბები და ხანგრძლივობა. თანდათან, უცხოეთთან ინსტიტუტის ურთიერთობის გაფართოების კვალობაზე, სტუდენტები პრაქტიკაზე გაიგზავნონ საზღვარგარეთ.

33. ინსტიტუტის ამჟამინდელი მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივა მოითხოვს მუშაობის გრაფიკის შეცვლას. კორექტივის არსი იმაშია, რომ სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან შემოღებულ იქნას ორცვლიანი სწავლება და შესაბამისად გარდაიქმნას მუშაობის სტრუქტურა. ორცვლიანი სწავლება საშუალებას მოგვცემს, მაქსიმალურად გაიზარდოს აუდიტორიათა გამტარიანობა.

34. 1998 წელს ინსტიტუტს უსრულდება დაარსების 70 წელი. საჭიროა გამოინახოს საშუალებანი, რათა შეიქმნას ინსტიტუტის მუზეუმი და მომზადდეს ბროშურა საიუბილეოდ.

35. ინსტიტუტის ეროვნული კონცეფცია უმნიშვნელოვანეს ამოცანად სახავს ხელი შეუწყოს სტუდიურ მოძრაობას – თვითდაფინანსებისა და თვითანაზღაურების საფუძველზე.

36. ინსტიტუტს მიზანშეწონილად მიაჩნია აღძრას საკითხი, რათა ძირეულად შეიცვალოს საკავშირო საატესტაციო კომისიის ფუნქცია იმ მიზნით, რომ რესპუბლიკა თავად წყვეტდეს ხარისხისა და წოდების მინიჭების საკითხს.

37. მიზნობრივი მიღების მდიდარ ტრადიციას მთლიანად დაექვემდებაროს კურსდამთავრებულთა განაწილების პრობლემა. ამასთანავე, გაფართოვდეს ხელშეკრულებით კადრების მომზადების სისტემა.

38. მარქსიზმ-ლენინიზმის სახელმწიფო გამოცდების ნაცვლად ყველა სპეციალობაზე შემოღებულ იქნას გამოცდა ფილოსოფიაში.

39. ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითმა სექტორმა რეპრესირებულ მსახიობთა შემოქმედების შესასწავლად, შეიმუშაოს შესაბამისი გეგმა, მოხდეს შრომათა პუბლიკაცია.

40. ინსტიტუტის სტუდენტების ძირითადი ნაწილი სწავლების სპეციფიკის გამო (ოსტატობა, სასცენო მოძრაობა, ცეკვა, რიტმიკა, ფიზკულტურა) განიცდის ფიზიკურ გადაძაბვას, გადატვირთულობას. შემოქმედებითი პროცესის სპეციფიკის და იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები ვერ ახდენენ ენერგიის აღდგენას, არ რჩებათ დრო გაეცნონ ქალაქის კულტურულ ცხოვრებას, მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული – ახალი წლიდან, შაბათი გამოცხადდეს შემოქმედებით დღედ. შესაბამისად, გაიზარდოს სამუშაო დღე ერთი საათით. მითუმეტეს, რომ კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტზე უკვე ორი წელია შაბათი მიჩნეულია „ბიბლიოთეკის დღედ“. აღნიშნული გამოცდილება, ევროპის უმაღლეს სასწავლებელთა პრაქტიკა და ინსტიტუიტის გარდაქმნის ინტერესები მოითხოვს აღნიშნული ღონისძიების გატარებას.

41. ინსტიტუტის მდიდარი გამოცდილება, მის მიერ მომზადებული კადრების კვლიფიკაცია, მათი როლი და მნიშვნელობა ქართული კულტურის განვითარებაში ინსტიტუტის მეორე კატეგორიში გადაყვანის რეალურ საფუძველს ქმნის.

42. ინსტიტუტი თავისი სპეციფიკის, შემოქმედებითი

ბუნების გამო, ყველაზე ნაკლებად ეგუება სტერეოტიპებსა და ადმინისტრირებას, საინსტრუქციო დოგმებს, ამიტომ რესპუბლიკის განვითარების ეროვნული კონცეფციის შესაბამისად იგი ეყრდნობა თავის ავტონომიურ უფლებებს. რესპუბლიკის სუვერენიტეტის განვითარების საფუძველზე შემუშავდეს ინსტიტუტის ავტონომიურ უფლებათა საზღვრები.

43. მეცნიერ-მუშაკთა და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების კომპლექსში გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს საზღვარგარეთთან კონტაქტები. ინსტიტუტის განვითარების პერსპექტივა იაზრება, როგორც აქტიური კონტაქტების პერიოდი, როცა ყველა მეცნიერისათვის ხელმისაწვდომი გახდება თეატრისა და კინოს ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა.

44. საქართველოს ეკონომიკური აღორძინების და საერთოდ, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ინსტიტუტის წვლილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენი მაღალკვალიფიციური ეროვნული მოღვაწე მოამზადა მან, როგორ შეძლებენ ისინი ქართული სულის გამოხატვას, პრაქტიკულად როგორ გაიაზრება ერთიანი საქართველოს ხელოვნების განვითარების ინტერესები, ამიტომ ხელშეუხებელ და წმინდა საქმედ უნდა იქნას მიჩნეული სასწავლო პროცესი, რომლის ინტერესებს ექვემდებარება ინსტიტუტში ყველა და ყველაფერი.

მიღებულია 1989 წლის 29 ნოემბრის სამეცნიერო საბჭოს
გაფართოებულ სხდომაზე

უნივერსიტეტის ამ ამოცანებიდან ჩანს, თუ რა დიდი სამუშაო იყო ჩატარებული და ჩასატარებელიც.

წლების განმავლობაში გამოიკვეთა რეფორმების შუქ-ჩრდილები. ნურავინ დაიჩემებს, რომ წინასწარ კარგად იცის, თუ რა შედეგი მოჰყვება დიდი ცვლილებებს. დრო ულმობელია, დრო აშენებს და დრო ანგრევს. ყველანი კი ჩვენი დროის შვილები ვართ!. .

ჩვენისთანა პატარა ქვეყნისათვის ყველა რეფორმას საფუძვლად უნდა ედოს ეროვნული კონცეფცია.

როცა რეფორები ტარდება,პირველ რიგში საკითხავია — რისთვის და ვისთვის?

პასუხზე დამოკიდებულია რეფორმების აზრიც და ჩატარების აუცილებლობაც.

# „შავი ფურცლები“

წიგნის მკითხველი უთუოდ შეამჩნევს, რომ უნივერსიტეტის ხარვეზებზე საუბარს ვერიდები, არ მინდა სხვა ხასიათის კონფლიქტებზე წერა. ყოველ დაწესებულებაში არიან მარად მომჩივანი ადამიანები, რომლებსაც ჩივილი, ჩასაფრება, ავყიაობა ცხოვრების წესად აქვთ ქცეული. ისინი, მეტწილად პროფესიაში ხელმოცარული ადამიანები არიან. როცა ადამიანი თავად ვერაფერს ქმნის, მისთვის ადვილია სხვისი ნაშრომიდან შეცდომებისა თუ ნაკლოვანებების ამოკენკვა. ყოველ ნაშრომში, თვით გენიალურშიც კი, იპოვნი საკბილოს, თუ მიზნად დაისახავ მოვლენის მრუდე სარკეში დანახვას.

ეს სენია და ვისაც შეეყრება, კრიტიკოსის ნაცვლად ინტრიგოსი გახდება. ჩემს სტუდენტებს, თეატრმცოდნეებს, მომავალ მკვლევარებს, კრიტიკოსებს თუ სათეატრო ჟურნალისტებს პირველ ლექციებზევე ვესაუბრებოდი ამ სენის მაცდუნებელ „ხიბლზე“, თავის გამოჩენის იოლ ფორმაზე, ინტრიგის არსის თავისებურ ნარკოტიკზე.

ახალგაზრდობაში, კრიტიკაში გამოუცდელს, კინაღამ მეც შემეყარა ეს სენი. ერთხანს გამიტაცა კრიტიკული წერილების ბეჭვდამ. ვწერდი ლექსების, მოთხრობების კრებულებზე, კინოფილმებზე და სპექტაკლებზე.მძაფრ კრიტიკულ წერილებს ხომ ყოველთვის მეტი მკითხველი ჰყავს, მეტ ინტერესს იწვევს. როგორც ჩანს, თვით ადამიანში არის „სხვისი ჭირის“. („ღობეს ჩხირი“) ხილვის მოთხოვნილება. მიზეზი შეიძლება იყოს ათასგვარი. ზოგიერთისთვის იგი თანაგრძნობის გამოხატვის საბაბია, ზოგს თვალი გაურბის ცუდისაკენ, ზოგს რა და ზოგს რა. მახსოვს, როგორ თავაწეული შევდიოდი მწერალთა კავშირში, როცა კრიტიკულ წერილს დავბეჭდავდი. ყველანი მაქებდნენ, კრძალვით მექცეოდნენ. ერთხელ რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ ერთ-ერთი პოეტის, ა. აფშილავას წიგნზე დავწერე „ფანქრით ხელში“, უნდა აიღო მისი წიგნი და ფანქრით გადაშალო, ხაზი გადაუსვა ამ ლექსებს-მეთქი...

ამირანი არ იყო კარგი პოეტი, მაგრამ ჩემი რეცენზია უკეთესი იყო? ამირანს მაშინ ახლოს არ ვიცნობდი, მერე დავუახლოვდით ერთმანეთს, მშვენიერი ოჯახი ჰყავდა. ამის მერე სულ ვცდილობდი, როგორმე სიკეთით გამომესწორებინა „ჩემი ხულიგნობა“.

მაგრამ, ამ მხრივ ყველაზე დიდი სიკეთე ეროსი მანჯგალაძემ

გამიკეთა, პირდაპირ სულზე მომისწრო. მან ამიხსნა, რომ სიკეთის დანახვის უნარი არის მაღალი პროფესიონალიზმის საფუძველი და კრიტიკოსის და ჟურნალისტის უპირველესი მისია.

მაინც რით მოახდინა ეროსიმ ჩემზე ასეთი გავლენა?

მე და ეროსი მეგობრები ვიყავით. ვიდრე წიგნს დავწერდი „ჩვენი ეროსი“, მანამდე მასზე წერილები გამოვაქვეყნე. ამიტომ ეროსი „მანჯგალავედს“ მეძახდა, მაგრამ ჩვენი მეგობრობა ბევრად მეტი იყო. ეროსის პირდაპირობა არ აკლდა, მაგრამ მეგობრობის ფასი იცოდა. ძალიან უფრთხილდებოდა მეგობრებს. მისი დიდი პოპულარობის გამო, იგი ჩვენი იმედი იყო. ვისაც რამე გაუჭირდებოდა და „ზემოთ“ ჰქონდა მოსაგვარებელი საქმე, დახმარებისათვის ეროსის მიმართავდნენ ხოლმე.

დაუზარელი კაცი იყო.

და აი, ერთხელ, როცა რუსთაველის თეატრის წინ ვიდექით ეროსის მეგობრები მე და ვანო ჯინჯიხაძე, გამოიარა ეროსიმ, სასტუმრო თბილისის რესტორნიდან მოდიოდა, კარგად შეზარხოშებული. ვანო დასის გამგე იყო, ეროსივით უცოლშვილო, დღე და ღამე თეატრში იყო. ეროსი და ვანო მეგობრები იყვნენ. ვანომ მითხრა, ეროსი რაღაც ცუდ ხასიათზეაო. ამ დროს ეროსი ჩვენთან კი არ მოვიდა, მოშორებით გაჩერდა, მე თითით მანიშნა მოდიო და ჯიბეებში ქექვა დაიწყო.

— ვასო, ჰონორარს რამდენს გაძლევენ ეგეთ წერილში, ახლა რომ დაწერე ჩემზე?

იმ დღეებში გამოვაქვეყნე წერილი ფილმზე „შეხვედრა წარსულთან“, სადაც ეროსიც თამაშობდა. ეროსი რიტორიკულად შევაქე, მაგრამ ჩემი „მაგარი კრიტიკოსის“ იმიჯის დასაცავად, მკაცრი შენიშვნა მივეცი, თეატრალური მანერით თამაშობს, — აღვნიშნე წერილში.

— ვასო, მეგობარი ხარ, შენს კრიტიკულ წერილებს ვკითხულობ, პირდაპირ გეუბნები: სხვის ნაშრომს რომ აბითურებ — გიხარია, სულ ცუდს ეძებ, რასაც ეძებ, ის გეჩვენება, იცი რატომ?!

— რატომ ეროსი?

— იმიტომ, რომ ადამიანს უკნიდან უყურებ.

საშინელი რამ მითხრა, პირდაპირ „კაკალ გულში“ მომარტყა.

ერთი თვე ხმას არ ვცემდი. მერე შევრიგდით. მან დროზე მომიყვანა გონს. მივხვდი, რომ ყოველ შრომაში, იქნება ეს სპექტაკლი, ფილმი,

წიგნი თუ სხვა მოვლენა, ნამდვილმა კრიტიკოსმა პირველ რიგში კარგი უნდა დაინახო. მოვლენის მთლიანობაში დანახვაა კრიტიკოსის უპირველესი მოვალეობა. ღრმად უნდა გაარკვიოს,რით არის მოვლენა ახალი, რა შემატა თავის დარგს. ცუდის მთქმელს კი, თუ მას განიზრახავს, ნებისმიერ ნაშრომში, თუნდაც გენიალურში, შეუძლია იპოვნოს ,,საკბილო''. მაგ. თუ ნახა კარგი სპექტაკლი ან ფილმი, მასში უთუოდ იპოვოს რომელიღაც სცენას, კადრს თუ ეპიზოდს, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მაღალ კრიტერიუმს. სწორედ მას დაუდებს საფუძვლად თავის წერილს და ერთ ალიაქოთს ატეხავს, მოსპობს მთლიანად ფილმსა თუ სპექტაკლს. ერთი სიტყვით, მისთვის ბავშვის ნაბანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბავშვი.

დღეს საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული გაბოროტებული, ხელმოცარულთ მუშაობის სტილი. განსაკუთრებით ჟურნალისტიკაში, რომელსაც თავისი მომხრეები ჰყავს.

ეს აგრესიული კრიტიკაა!

აგრესიული ჟურნალისტიკა!

ეროსიმ რომ მითხრა, მაშინ ახალგაზრდა კრიტიკოსი ვიყავი, მაგრამ საბედნიეროდ ნებისყოფა მეყო და ჭკუაც, დროზე განვკურნებულიყავი ამ ,,საყმაწვილო სენისაგან''.

სიბერეში კი ვინც ამგვარი სენით არის დაავადებული, ამას მარაზმი ჰქვია!..

უნივერსიტეტში მუშაობის წლებში ყოველთვის ვცდილობდი ადამიანები მთლიანობაში და პირდაპირ დამენახა. კარგად ვიცოდი, რომ ყოველ დაწესებულებას ჰყავდა თავისი ჩასაფრებული კრიტიკოსი, რომელიც ბევრ ტკივილს აყენებდა ადამიანებს, თავად კი ერთობოდა და ტკბებოდა...

ამასწინათ, ჩვენი ბიბლიოთეკის ძველმა თანამშრომლებმა, რომლებიც ათეული წლებია სიყვარულით და უანგაროდ ემსახურებიან პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, თანამშრომლებს და საერთოდ ყველას, გაიხსენეს ინსტიტუტის ერთ-ერთი ,,ისტორიული კრების'' ამბავი, რომელიც ცნობილი ინტრიგოსის ჟ. პოპოვას ანუ ე. ქართლელის გამო მოვაწყვეთ. ბიბლიოთეკის გამგემ, ნანა მაჩაბელმა, რომელმაც წარმატებით შეცვალა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ღვაწლმოსილი გამგე ლამარა მინდიაშვილი, მითხრა: კრების შემდეგ შემხვდა ჟენია და ისე მღეროდა, ისე კარგ ხასიათზე იყო, თითქოს კი არ გაგვეკიცხოს, არამედ მისთვის იუბილე გადაგვეხადოსო.

ჩემთვის მუდამ საიმედო მანანა ამაშუკელმა შამპანურების ამბავი შემახსენა. ერთხელ ჟენიამ დააბეზღა, — არ დამთავრდა მანანასთან შამპანურების ტრიალიო და კიდევ ათასი მიეთ-მოეთი მითხრა.

დღეს „სალაღობოდ“ ვიხსენებთ გარდასულ ამბებს, მაგრამ მაშინ რამდენი დრო და ენერგია დაიხარჯა, ხალხს ნერვები დააწყდა. ასეთი რამ უბრალო მოვლენა არ არის უნივერსიტეტის ცხოვრებაში.

ბედად მაშინ საზოგადოებაში ცოტანი იყვნენ ასეთ ადამიანები. ისინი ხომ ყოველთვის „მართალს“ ამბობენ. აი, ისეთ სიმართლეს, რომელსაც ეროსი მანჯგალაძემ „უკნიდან დანახული სიმართლე“ უწოდა...

კულტურის სამინისტროში ჩემი მუშაობის დროს, თეატრალური ინსტიტუტიდან ერთი თანამშრომლის საჩივარი იყო შემოსული. საკითხის გასარკვევად მივედი რექტორთან ი. თავაძესთან. რექტორმა იცოდა, მომჩივანი ვინც იყო (ს. ედიბერიძე) და კაბინეტში გამოიძახა. გაიმართა საუბარი:

— კაცო, აღარ მოგბეზრდა საჩივრების წერა? დაანებე თავი. რას ამწარებ ხალხს!. .

ჩემთვის მოულოდნელაფ ედიბერიძემ უპასუხა:

— ილია კაისაროვიჩ, ვერ დავანებებ თავს...

— რატომ, კაცო, რატომ? რა გჭირს გამაგებინე...

— რა ვქნა, მსიამოვნებს. აზარტის ამბავია, ხომ იცით.

— უყურე ერთი ამას! ინტრიგის აზარტი რაღა უბედურებაა! წადი, წადი, მომშორდი. — მკაცრად უთხრა ბ-ნმა ილიამ.

ედიბერიძე ღიმილით გავიდა კაბინეტიდან.

— ბ-ნო ილია, თქვენც ადექით და მოიშორეთ.

— მაგასაც ეგ უნდა. აზარტული საქმე გაუჩნდება, დაიწყებს სასამართლოებში სირბილს. გაძლება არ უნდა ასეთ კაცთან მუშაობას?

მე კი დიდხანს გავუძელი ასეთ ადამიანებს.

გამახსენდა მეორე შემთხვევა.

ერთხელ ნოდარ დუმბაძეს მასზე განაწყენებულმა მწერალმა უთხრა:

— ნოდარ, ნუ მაწყენინებ, თორემ ხომ იცი, ბრძოლაში მოგიგებ.

— რანაირად? — ჰკითხა ნოდარმა.

— რასაც მე ვიკადრებ, შენ იმას არ იკადრებ. აი, ასე მოგიგებ.

— მერე კაცობას რომ დაჰკარგავ და იტყვიან არაკაციო, მაგია

მოგება? – ღიმილით უპასუხა ნოდარმა.

მართლაც გასაოცარი ფენომენია ინტრიგანობა. სწორედ ასეთი ტიპი იყო „ჩვენი პრაქტიკის ხელმძღვანელი“. მას ჩემთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. როცა ინსტიტუტში პრორექტორად დავიწყე მუშაობა, უკვე დამხვდა კონფლიქტური სიტუაცია. რექტორმა ეთერ გუგუშვილმა მთხოვა:

– ვასო, ძალიან გთხოვ, როგორმე ჩააქრე კონფლიქტი, პირდაპირ „ნადაელა“ მაგენის ჩხუბი. არ ვიცი, რა უნდა ვუყო ამ ჟენიას, არ ისვენებს, სულ ჩივის.

გავიდა ხანი. ჩემს კაბინეტში შემოვიდა ჟენია ქართლელი და მაცნობა, რომ ამა და ამ აუდიტორიაში ლექცია ჩაიშალაო, ამა და ამ ლექტორმა ათი წუთით დააგვიანაო, ერთი თანამშრომელი ნახევარი საათით ადრე წავიდა სამსახურიდანო. თავისთავად ყველაფერი სიმართლე იყო, მაგრამ არც ერთი საკითხი უშუალოდ მას არ ეხებოდა. ამიტომ მისი საქციელი „ჩაშვებას“ ნიშნავდა, თუმცა მას ეგონა, რომ სიმართლისა და საქმისათვის (წესრიგისათვის) იბრძოდა!

მომხდარი დარღვევების შესახებ დეკანატის თანამშრომლებს ვუთხარი, მაგრამ ადმინისტრციული რეაგირება არ მომიხდენია.

ჟენიამ დაიწყო საჩივრების წერა, მაგრამ რა დაიწყო. რაც მეტ საჩივარს წერდა, მით უფრო კარგ ხასიათზე დგებოდა. ერთხელ ორი მკაცრი „მოხსენებითი ბარათი“ შემომიგზავნა მდივნის ხელით.

იმ დღეს დერეფანში შევხვდი, მღეროდა, ისე, თავისთვის მღეროდა, ბედნიერი ადამიანის სახით.

– ჟენია, რა კარგ ხასიათზე ხარ?

– ბ-ნო ვასო, მიიღეთ ჩემი მოხსენებითი ბარათები?

– მივიღე, – ვუპასუხე ცივად.

– მერე, პასუხი? – ველოდები! – მითხრა და დემონსტრაციულად გამშორდა.

ორი დღე არ იყო გასული, რომ კაბინეტში განრისხებული შემოვიდა.

– ვიცი, რომ თქვენი მასწავლებვლები იყვნენ ნინო შვანგირაძე და ნათელა ურუშაძე, თქვენ მათ მფარველობთ, არც ერთი პოლიტიკურად საიმედო არ არის, ზემოთ ყველაფერი იციან...

იმდენად გათავხედდა, რომ ინსტიტუტიდან მათი განთავისუფლება მოითხოვა. უსამართლოდ რეპრესირებულ მოღვაწეებს მოთმინების ფიალა აევსოთ.

1981 წელს, მცირე სცენაზე, გაიმართა უნივერსიტეტის კრება ჟენის საკითხის განსახილველად.

კრებაზე ერთ-ერთი პირველი გამოვიდა ნინო შვანგორაძე. მახსოვს მისი გამოსვლის დასაწყისი.

– მე ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი ვარ... ჟენია რუსთაველის თეატრის მუზეუმში მუშაობის დროსაც მებრძოდა... მდევნის... რა უნდა ჩემგან. ასეთ ადამიანს რა უნდა ინსტიტუტში.

მკაცრად და სამართლიანად ილაპარაკა.

ნათელა ურუშაძემ პირდაპირ დახატა კაცთმოძულის, გამოუსწორებლის, მარად მომჩივანის პორტრეტი. სიტყვის ბოლოს ხელმძღვანელებს, - მე და ეთერს მოგვმართა:

ჟენიას ჰგონია, რომ ინტრიგანობით პოზიციებს იმაგრებს. ვიცი, რომ ასეთი ადამიანის მოხნა თავის ტკვილია, მაგრამ რას იზამთ, ხელმძღვანელები ხართ და თქვენც აიტკივეთ თავი.

ნათელას გამოსვლა სიტყვა-სიტყვით არ მახსოვს, ,,თავის ატკივების'' ამბავი დამამახსოვდა, რადგან დარბაზმა ტაში დაუკრა და ნათელი გახდა, რომ კოლექტივს მეტის მოთმენა აღარ შეეძლო.

მაშინ მე და ეთერს რომ მეტი გაბედულება გამოგვეჩინა და ჟენიას განთავისუფლებისათვის იურიდიული საფუძველი მოგვენახა, მთელი ინსტიტუტის ინტერესებსა და უმრავლესობის უფლებებს დავიცავდით, მაგრამ ვერ გავრისკეთ. ყოველთვის მახსოვდა რუსთაველის თეატრის ერთ-ერთი რიგითი, ეპიზოდური როლების მოთამაშე მსახიობის, ჩიტიშვილისა და ა. ხორავას ამბავი.

აკაკი ხორავამ, როცა თეატრის დირექტორი იყო, სამსახურიდან მოხსნა ჩიტიშვილი.

ჩიტიშვილმა სასამართლოში იჩივლა, უკანონოდ მომხსნაო. სასამართლოზე წარადგინა რომელიღაც სპექტაკლზე დაწერილი რეცენზია, სადაც აღნიშნული იყო, რომ წარმოდგენას ხელს უწყობდნენ მასობრივ სცენებში ესა და მსახიობებიო. მათ შორის იყო ნახსენები ჩიტიშვილი. სასამართლომ ჩიტიშვილი აღადგინა თეატრში. აკაკი ხორავა, რომლის სახელიც ქუხდა მთელ საბჭოთა კავშირში, ხუმრობდა ხოლმე: ჩიტიშვილმა მაჯობაო.

პარადოქსებით იყო სავსე საბჭოთა სასამართლო (როგორც მთელი სისტემა). ზოგჯერ იცავდა კანონის უზენაესობას, თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ იყო. ჟენია რომ გარდაიცვალა, გასვენებაზე მივედით მე და თამილა ქამუშაძე. გასვენებაზე ხალხი არ იყო,

მხოლოდ ერთი თორმეტ თუ თოთხმეტკაციანი მიკროავტობუსი შეივსო. მეზობლებიც ემდურებოდნენ თურმე.

რა საოცარი ფენომენია ჩასაფრებისა და მოულოდნელად ზურგში დარტყმის სიხარული. ქართულ კულტურაში მოღვაწეობდა ერთი საინტერესო პიროვნება, რომელიც გამოირჩეოდა დაუნდობელი კრიტიკით. თუ გადაწყვეტილებებით. ჩვენ, „ახალგაზრდებს გვიხაროდა, როცა ამ მეთოდით ებრძოდა გარეშე მტერს, რუსებს. 1956 წლის 9 მარტის ტრაგედიის განხილვის დროს, ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა ქართველებს ბრალი დაგვდო, რომ ამ დღეებისათვის ქართველები იარაღს ყიდულობდნენო. ვითომ 9 მარტის ტრაგედიაც ჩვენი ბრალი იყო, საბჭოთა ჯარისკაცები კი საბჭოთა სახელმწფოს იცავდნენო.

სიტყვით გამოვიდა ხელოვნებათმცოდნე და მოღვაწე ოთარ ეგაძე: ამხანაგო! (სარდლის გვარი არ მახსოვს), თქვენ ცუდად მუშაობთ, თქვენი ჯარისკაცები სპეკულანტები არიან, იარაღით ვაჭრობენ. როგორც თქვენ ამბობთ, ქართველები იარაღს ყიდულობენო. საიდან? მაღაზიებში იარაღი არ იყიდება, თუ ყიდულობენ – თქვენი ჯარისკაცებისაგან ყიდულობენ!

ასე ოსტატურად შეუტრიალა ბრალდება. მაშინ ბომბის აფეთქების ეფექტი ჰქონდა ოთარ ეგაძის გამოსვლას. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნებას“, ახალგაზრდებს ხელს გვიწყობდა. თავდაპირველად პოეტი და დრამატურგი კ. კალაძე იყო რედაქტორად დანიშნული, მაგრამ თავი ვერ მოაბა ჟურნალის გამოშვებას, მოხსნეს. ცეკას მდივანმა, ვასილ მჟავანაძემ უთხრა: ჟურნალის დაგვიანებით გამოსვლის გამო კი არ გხსნით, არამედ იმიტომ, ავტორებს შემოსავალი, ჰონორარი რომ დაუკარგეო...

ო. ეგაძემ დამირეკა და მთხოვა შეხვედრა. მაშინ აკაკი ხორავა ახალი არჩეული იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ. ა. ხორავამ ზოგიერთი თანამშრომელი გაათავისუფლა, მათ შორის ო. ეგაძის ძალზე ახლობელი ქალბატონიც.

ო. ეგაძემ მითხრა, ხორავასთან მიმეგზავნეო. ხორავას უთხარი, რომ არ გაათავისუფლოს ჩემი ახლობელი, მე მის წინააღმდეგ მაქვს დოკუმენტი, ჰონორარიდან და პრემიიდან აღებული ფულიდან პარტიის საწევრო არა აქვს გადახდილი. შენ ხომ იცი, ეს რას ნიშნავს?!.

გავოგნდი.

— ბ-ნო ოთარ,  თქვენ ამას მართლა იტყვით ხორავაზე?

— შენ ხომ იცი, მე ვისაც ვებრძვი, ჯერ პირდაპირ შევხვდები, ვესაუბრები, თუ ვერ მოვრიგდებით, მერე მწარედ ვანანებ, მაგრად დავარტყამ..ა მალე საზოგადოების პლენუმი  გაიმართება და საწევროს შესახებ  ვიტყვი.

მართლაც ასე იცოდა და ამ კაცურ თვისებას ვაფასებდით. წინასწარ დაელაპარაკებოდა, გაუფრთხილებლად არ დაარტყამდა. მხოლოდ მაბეზღარებს არ შეუძლიათ წინასწარ ლაპარაკი ოპონენტთან.

— ბატონო ოთარ, მე ვიცი თქვენი ეს კაცური თვისება, მაგრამ თქვენ რატომ არ დაელაპარაკებით?

— ქალის საკითხზე არ მინდა დაველაპარაკო!

მძიმე დღეში ჩავვარდი. .ხორავასათვის როგორ უნდა მეთქვა პარტიის საწევროს გადაუხდელობის ამბავი.

გამოსავალი არ მქონდა.შევხვდი ბატონ აკაკის.

ზუსტით არ მახსოვს და ვერ მოვყვები ყველა დეტალს, მაგრამ კარგად მახსოვს ჩემი ემოციური მდგომარეობა, როგორი მიეთმოეთით ველაპარაკებოდი.

— ბატონო აკაკი,  ხომ იცით,  ჩვენს ირგვლივ რამდენი ჭორიკანა ხალხია. არ ღირს იმ ქალის განთავისუფლება, ათას რამეს ლაპარაკობენ...

— რას ლაპარაკობენ, ვასო,  რა უნდა თქვან? ილაპარაკონ!..

— ვითომ ოთარ ეგაძეს განუცხადებია, მე ძალინ მიყვარს აკაკი, გენიალური მსახიობია და საზოგადოების პლენუმზე მინდა გამოვიდე და ვთქვა, რომ ბედნიერებაა ხორავას თავმჯდომარედ არჩევაო, მაგრამ თუ მაწყენინა და ლ. გაათავისუფლა, ცუდ ამბავს მოვყვებიო...

— რა ამბავს? – მახსოვს, ბ-ნმა აკაკიმ, როგორ შეიჭმუხნა შუბლი, მოიღუშა.

— კარგად არ ვიცი, ვითომ საწევრო არა აქვს გადახდილი კინოს ჰონორარიდანო...

— არ ვიცი რას ბოდავენ...

ვიგრძენი, რომ ბ-ნი აკაკი უცებ მიხვდა ყველაფერს. ,,ვიცნობ, ვიცნობ,  ვაჟბატონს...

აფორიაქებული გამოვედი ბ-ნი აკაკის  კაბინეტიდან.

აკაკი ხორავამ არ გაანთავისუფლა ის ქალბატონი. მალე გაიმართა საზოგადოების პლენუმი. სიტყვაში გამოვიდა ოთარ ეგაძე. ქებათა-ქება უძღვნა  ხორავას.

თემის ამ კონტექსტში მინდა გიამბოთ ერთი შემთხვევა. ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ რედაქტორად დაინიშნა ჩვენი გამოჩენილი მწერალი და მოღვაწე თამაზ ჭილაძე, რომელმაც ჩვენს ინსტიტუტში დრამატურგთა კარგი კადრები მოამზადა. საამაყო და სასიამოვნო იყო მისი მოღვაწეობა ჩვენს ინსტიტუტში. მისი რედაქტორობისას ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში არ იყო შეყვანილი ყოფილი რედაქტორი ო. ეგაძე. კულტურის მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა მეგობარი ნოდარ გურაბანიძე... ოთარმა იცოდა ჩვენი მტკიცე მეგობრობის ამბავი. იცოდა, რომ დიდ ანგარიშს ვუწევდით ერთმანეთის აზრს. ერთ-ერთ „ბედნიერ“ დღეს ოთარი მეუბნება: ამხანაგო, შენ ერთი ამბავი უნდა გამიგო.

— რა ამბავი? — ვკითხე მე.

— როცა ჟურნალის კოლეგიის საკითხი წყდებოდა, ცეკაში, სხდომას ესწრებოდა თუ არა ნოდარი.

მივხვდი, რაც აინტერესებდა და ვუპასუხე: რამდენადაც მე ვიცი, არ ესწრებოდა, — წინასწარ დავიზღვიე თავი.

— შენ აზრს ნუკი მეუბნები, ამხანაგო, დააზუსტე, ესწრებოდა თუ არა, ორ დღეში მითხარი.

ორი თუ სამი დღის შემდეგ დამირეკა.

— არ ესწრებოდა, — ვუთხარი მე.

მას შემდეგ არ გასულა დიდი დრო და თეატრალური საზოგადოების პლენუმზე შევხვდით ერთმანეთს. მკლავში ხელი გამიყარა, გვერდით გამიხმო და მითხრა: აბა მითხრი, დამიზუსტე? ესწრებოდა თუ არა?

— ნამდვილად არ ესწრებოდა!

— შენ ეხლა სიმართლეს არ მეუბნები. მეგობრები ხართ. მე ინფორმაცია მაქვს, რომ ესწრებოდა. კარგი, დაიმახსოვრე... — თქვა და გაბრაზებული გამშორდა.

დაიწყო სხდომა. თავმჯდომარე იყო დოდო ალექსიძე. ბ-ნმა დოდომ თქვა, რომ აზერბაიჯანული თეატრი ჩამოდის საგასტროლოდო. სპექტაკლებს გამართავენ მარნეულში და სხვაგანაც აზერბაიჯანული მოსახლეობისათვის. მე ვიცოდი, რომ შეიძლებოდა რეგიონში აზერბაიჯანული თეატრის გახსნის საკითხი დასმულიყო. ამის გამო სხდომაზე განვაცხადე: ბ-ნო დოდო, ალბათ აზერბაიჯანული თეატრის საკითხი დაისმება. ნუ ავჩქარდებით, არარეალურია რეგიონში თეატრის გახსნა, თეატრს ვერ შეინახავს მაყურებლის

კონტინგენტი. საჭირო გახდება აზერბაიჯანიდან მსახიობების და რეჟისორის ჩამოყვანა, ბინების პრობლემაა გადასაწყვეტი. პრობლემის სირთულის აღსანიშნავად  დავასახელე სხვა ფაქტორებიც.

ჩემი გამოსვლის საპასუხოდ გამოვიდა ბ-ნი ოთარი: ჩვენ პარტია საბჭოთა ხალხის მეგობრობაზე გველაპარაკება, კულტურის სამინისტროს წარმომადგენელი  კიკნაძე კი გვაფრთხილებს, თავი შევიკავოთ აზერბაიჯანელებთან მეგობრობისაგანო. პოლიტიკურად მოუმზადებელი იყო ამხ. კიკნაძის გამოსვლა. როგორც ჩანს, ეს არის კულტურის სამინისტროს პოზიცია. არასახელმწიფოებრივი პოზიცია აურჩევიათ და აქ გაახმოვანა კიკნაძემ. ჩაწერეთ ყველაფერი, რაც მე ვთქვიო, - გააფრთხილა მდივანი.

ჩემდა გასაოცრად პრეზიდიუმის არც ერთ წევრს ხმა არ ამოუღია, ყველა გაჩუმდა.

გაცოფებული წამოვვარდი და განვაცხადე: ჩაწერეთ ოქმში, რომ ბ-ნი ოთარი არის დემაგოგი, ჩემზე განაწყენებულია და ყველაფერს კადრულობს. როგორ არ გრცხვენიათ. საკითხს სწორედ მე ვუდგები სახელმწიფოებრივად, სერიოზულად.

დამთავრდა სხდომა. ჩემთან მოვიდა ბ-ნი ოთარი, მკლავში ხელი გამიყარა, გვერდზე გამიყვანა და ღიმილით მითხრა: ხომ მაგრად გამოვედი, ასე გამოვალ ხოლმე შენს წინააღმდეგ, სანამ ზუსტად არ მეტყვი, ნოდარი სხდომას ესწრებოდა თუ არა.

— მეც ხომ მაგრად გიპასუხეთ. თქვენი გამოსვლა დემაგოგია და პროვოკაცია იყო.

— მერე რა მოხდა, — მიპასუხა ღიმილით.

გულთან არაფერი არ მიუტანია, ისე ეჭირა თავი, თითქოს არაფერი არ მომხდარა. მე კი ნერვები მომიშალა.

ეს ისტორია მოხდა მას შემდეგ, როცა მე ყოველთვის მხარში ვედექი ოთარის შვილს ედგარს, რომელიც ნიჭიერი ახალგაზრდა რეჟისორი იყო, განათლებული, ყოვლად კეთილი. მახსოვს, როგორ აქტიურად ვიცავდი, როცა რუსთაველის თეატრში დადგა არჩილ სულაკაურის მოთხრობა („წყალდიდობა“), რთულ სიტუაციაში მოუხდა წარმოდგენის დადგმა, ბევრ წინააღმდეგობას წააწყდა. მუდამ მხარში ვედექი, მოსკოვშიც წავედი მისი სპექტაკლის სანახავად. მერე ქუთაისის თეატრში მოღვაწეობდა. იმ ხანად ინსტიტუტს უნდოდა სამსახიობო ფაკულტეტზე ქუთაისის თეატრისათვის ჯგუფის შექმნა. ადრე დაიღუპა ეს კეთილი და ნიჭიერი კაცი, რაღაც აუხსნელი

ტკივილიც გაჰყვა.

ქუთაისში წინასწარ უნდა ჩატარებულიყო კონსულტაციები. საჭირო იყო მოსამზადებელი სამუშაოს შესრულება. პირველად რაღაც ვერ აეწყო საქმე. რექტორი ე. გუგუშვილი გაუნაწყენდა ედგარს და მკვახე წერილი მისწერა: „ქუთაისი. მესხიშვილის თეატრის დირექტიორს ამხანაგ ეგაძეს.

ამხანაგო ეგაძევ, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ ქუთაისის თეატრი არ არის თქვენი საკუთრება და ჯგუფი, რომელსაც ვქმნით, მომზადდება არა თქვენთვის, არამედ ქუთაისის თეატრისათვის. თქვენი მუქარა არავისზე არ მოქმედებს. ჩვენ გვინდა შევადგინოთ ქუთაისის ჯგუფი ისეთ აბიტურიენტებისაგან, რომელთა საერთო კულტურული დონე შეეფერება ელემენტარულ მოთხოვნილებებს.

მიხედეთ ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის თეატრს, რომელიც სამწუხაროდ დღეს მაინცა და მაინც არ ბრწყინავს, ამ ბოლო დროს.

რექტორი ე. გუგუშვილი“.

გაბრაზებული ტონით დაწერილი ეს წერილი არ გავაგზავნე. წერილზე ჩემი აზრი წამიწერია: „ამ სახით არ შეიძლება გაგზავნა. ივლისი. 1987“.

უნივერსიტეტის ცხოვრების „შავი ფურცლები“ ათასგვარ ასოციაციას აღძრავს.

ოთარ ეგაძის მებრძოლ სტილს ვინც მიბაძავს, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ იგი ჯერ გაარკვევდა საკითხს, პირდაპირ შეხვდებოდა, კაცურად გაურჩევდა საქმეს. ვისაც ეს თვისება არა აქვს, მის საქციელს რა შეიძლება ეწოდოს?!

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, რას ვუწოდებთ, მისთვის ხომ სულ ერთია!

რა თქმა უნდა, ცუდი ამბების გახსენებაც კიდევ შეიძლება, რადგან ერთ ჭერქვეშ თავს იყრის ამდენი ინდივიდუალობა და ინტერესთა კონფლიქტები.

მაგრამ ჩვენ ყველანი ხომ დაბადების დღიდანვე სიკვდილმისჯილები ვართ. უბრალოდ, ხშირად გვავიწყდება ეს გარდაუვალი სასჯელი, რადგან არ ვიცით, როდის, სად და როგორ აღვესრულებით.

გოგი დოლიძემ თავის საიუბილეო მოსაწვევ ბარათზე წამიწერა: „ჩვენს ძვირფას ვასო კიკნაძეს მადლობა ყველაფრისათვის, მეგობრობისათვის, სიყვარულისათვის, ცხოვრებისეული

გაკვეთილებისათვის, მოთმენისათვის. 18. IV. 99.“

მართლაც რამდენი რამ მოვითმინე ზოგიერთ ადამიანთა უმადურობისა და უსამართლობის გამო!

მე აღვასრულე ქრისტესმიერი შეგონება: „მოთმინებითა შენითა“...

# უკანონობის სინდრომი

რად იქნება სენტიმენტალობა, თუ ოთხმოცდასამი წლის ასაკში დავწერ მოახლოებულ სიკვდილზე, თუმცა ვიცი, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთდროულად იბადებიან.. მაგრამ საუბარია ცხოვრების დიდ გამოცდილებაზე და სიცოცხლის ფინალზე, უცნაურ დასკვნამდე რომ მიმიყვანა. რატომ ვართ უდისციპლინო, კანონდაუმორჩილებელი, ამბიციური ხალხი?!

რატომ და ჩვენ ხომ საუკუნეობით მეტწილად დაპყრობილნი ვიყავით?

დამპყრობელი კი ყოველთვის ჩვენზე ბევრად დიდი, მრავალრიცხოვანი ქვეყანა იყო.

დამიპყარი? წამართვი თავისუფლება? – მაშინ მე ჩემს ნებაზე მოქცევით, თვითნებობით გამოვხატავ ჩემს პროტესტს, წინააღმდეგობას, რადგან უცხო სახელმწიფო მკარნახობს თავის წესებს.

ერთხელ, დიდი მეცნიერს, პავლე ინგოროყვას ვკითხე: ბ-ნო პავლე, რატომ ვართ ასე ამბიციური ხალხი? – მთელი ერი და ყველა ცალ-ცალკე? ქუჩაში რომ ოცი კაცი გავაჩეროთ და თითოეულს ვკითხოთ: პრეზიდენტი რომ იყოთ,რას გააკეთებთ პირველად? ყველა დაფიქრდება და თავის ვარიანტს გეტყვით, არც ერთი არ იტყვის – ჩემი პრეზიდენტობა არ შეიძლებაო... ბ-ნმა პავლემ მიპასუხა: ვასო, ჩვენ ოდესღაც დიდი ერის ნამსხვრევები ვართ!.. საინტერესო პასუხია. გენეტიკურ კოდზე მიანიშნა.

ბევრჯერ ვთქვი და კვლავ უნდა გავიმეორო ილია ჭავჭავაძის სიტყვები: – დუშეთში მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის დროს ზოგჯერ კანონით კი არა, მორალური პრინციპით ვხელმძღვანელობდიო.

განა ილიასაგან გასაკვირი არ არის კანონისადმი ასეთი დამოკიდებულება? მაგრამ მისი სიტყვები რუსეთის სახელმწიფოს თავისებურების კონტექსტში უნდა განვიხილოთ.

დამპყრობისა და დაპყრობილის ურთიერთობის ფენომენს საქართველოში ყოველთვის ჰქონდა თავისი სპეციფიკური ხასიათი. ისტორიულად მებრძოლმა ქართველმა ხალხმა თავისი ღირსების დაცვის, შინაგანი თავისუფლების მოპოვებისა და დაუმორჩილებლობის ათასგვარი ფორმა მონახა. ზოგჯერ იგი ვლინდებოდა თვითნებობაში,

უდისციპლინობაში, ამბიციურობაში.

ქართველებს არ გვაქვს კანონმორჩილი ხალხის სახელი.. ამ მოვლენის გამართლებაზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მის გენეზისზე, მოტივირებაზე. უსაფუძვლოდ არაფერი არ ხდება!..

დააკვირდით მიწისქვეშა გადასავლელების ზემოთ როგორ სახიფათოდ, თვით სიცოცხლის რისკის ფასადაც კი გადადიან ადამიანები. შემთხვევითია? რა არის ეს? სიზარმაცის, ქედმაღლობის, თვითნებობისა და დაუმორჩილებლობის გაუცნობიერებელი იმპულსები?

ოთარ იოსელიანის მოკლემეტრაჟიან ფილმში „აპრილი“, რომელიც საბჭოთა ცენზურამ აკრძალა, ზუსტად არის გამოხატული ქართული ეროვნული ენერგიის დაუმორჩილებლობის ეს ფენომენი. ცხელი გუდრონის მასას ასხამენ გზაზე. გადაუვლის მძიმე სატკეპნი მანქანა, მაგრამ ასფალტს გააპობს პატარა ყვავილი თუ ბალახი, და თავაწეული „მღერის“. კვლავ გადაუვლის მანქანა, კვლავ ესხმება ცხელი გუდრონი. მაგრამ სიცოცხლისა და  თავისუფლების დაუმორჩილებელ ენერგიას ვერაფერი ვერ კლავს...

მხატვრული მეტაფორის აზრი ნათელია.

საბჭოთა რუსეთის ძალადობის, მისი ზეწოლის წინააღმდეგ ბრძოლის ათასგვარი ფორმები გაჩნდა ყოფაშიც, ჩვენს ხასიათშიც.

მხატვრულ ფაქტში მთელი ჩვენი ისტორიის არსია კოდირებული. კანონდაუმორჩილებლობამ შეიძინა თითქმის სისტემური ხასიათი, ერთხანს მან  საოცარი მასშტაბი მიიღო. ვასილ მჟავანაძის მოღვაწეობის პერიოდში, ცეკას ყოფილმა მდივანმა, დევი სტურუამ მიამბო: ენგურჰესის მშენებლობის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ხსნიდა ცეკას ბიურო, რადგან თურმე, მან გეგმიურზე სამჯერ მეტი ცემენტი დახარჯა. მოსკოვი მოითხოვდა მის დასჯას, გამოიკვლიეთ, სად წავიდა ამდენი ცემენტიო. ბიუროს წევრებმაც მკაცრად გააკრიტიკეს. დამნაშავეს ბოლოს ვ. მჟავანაძემ უთხრა: ხომ ხედავ, უნდა მოგხსნათ, პარტიიდანაც გაგრიცხავთ, გულახდილად თქვი: სად წაიღე ამდენი ცემენტი?!

– ვასილ პავლოვიჩ, ცემენტი მაღაზიებში არ იყიდება, ხან მეგობრები, ხან ნათესავები, ხან მეზობლები მთხოვდნენ, რადგან სახლებს იშენებდნენ შვილებისათვის, რა მექნა.. მოსკოვში ჩავდიოდი, პატივს ვცემდი და გაზრდილი ფონდები მომქონდა.

ვ. მჟავანაძემ ბიუროს წევრებს უთხრა: რას ერჩით ამ კაცს.

აშენებეულ სახლებს საფლავში ხომ არ წაიღებენ. შვილებს დარჩებათ. რუსეთი გაუძლებს, ცემენტის მეტი რა აქვს, არ უჭირს. თავისუფალი ხარო, — უთხრა განსასჯელს.

მეორე შემთხვევა ტრაგიკომიკურია. პენსიაში გასული მჟავანაძე ოზურგეთში მეგობარმა სადილად დაპატიჟა. სადილზე მიწვეული იყო ჩემი ყოფილი სტუდენტი, ოზურგეთის თეატრის რეჟისორი, ვასილ ჩიგოგიძე. ვასომ იცოდა, რომ იმ დროს ქობულეთში ვისვენებდი თეატრალური საზოგადოების დასასვენებელ სახლში, ჩამომაკითხა, იქ იყო გივი ბერიკაშვილიც, ორივე მიგვიწვია ოზურგეთში, მჟავანაძისათვის მოწყობილ სადილზე. გივიმ თქვა, რომ ნამცეცობაზე ჩასვლა სჯობიაო და არ წავედით. შემდეგ ვ. ჩიგოგიძემ მიამბო მჟავანაძის მონათხრობის შესახებ, სადაც მთელი მისი ეპოქის სახეც ჩანს.

თურმე, ერთხელ მჟავანაძეს შინაგან საქმეთა მინისტრმა უთხრა — ესა და ეს რაიკომის მდივანი უნდა დავიჭიროთ, ქრთამს იღებსო.

— როგორ დაიჭერთ? — ჰკითხა მჟავანაძემ.

— ფულით მივაგზავნით კაცს და ფაქტზე დავიჭერთ.

— რა თანხას აძლევთ?

დაუსახელა დიდი თანხა. რაიკომის მდივანს ცოტას ხომ ვერ შესთავაზებდნენ!

მჟავანაძემ ოპერაციას ოფიციალური ვიზა მისცა, მაგრამ როცა მინისტრი კაბინეტიდან გავიდა, მას უფიქრია: ხომ შეიძლება რაიკომის მდივანი არ იყოს მექრთამე, მაგრამ დიდ თანხას დახარბდეს. გამოდის, რომ სახელმწიფო ადამიანს აცდუნებს.

მჟვანაძემ, თურმე, დაურეკა მდივანს და გააფრთხილა, ფულს მოგიტანენ და არ აიღოო.

როცა მინისტრმა უთხრა, ოპერაცია ჩაგვივარდა, ფული არ აიღოო, მჟავანაძეს გაუკრიტიკებია მინისტრი, თქვენ პატიოსან ხალხს აცდუნებთ, სახელს უტეხთო.

საოცარი ფაქტია, არა?

ამგვარ მოვლენას თავისი რთული წინამძღვრები ჰქონია, რომელიც ვასილ მჟავანაძემ პენსიაში გასვლის შემდეგ უამბო ნინო შვანგირაძეს.

საუბარი შემდგარა ვასილ მჟავანაძის ოჯხში. როგორც ვთქვი, ნინო მჟავანაძეს ენათესავებოდა.

— ვასილ პავლოვიჩ, მაპატიეთ, რომ გიბედავთ, თქვენ ჩემს

ახლობელ ადამიანად მიმაჩნიხართ. ხალხმა თქვენს დროს ძალიან აიშვა თავი.

გაღიზიანდა მჟავანაძე და სიტყვის დამთავრება არ მაცალაო, მკვახედ მიპასუხა: შენ ხომ იცი, მე მთელი ცხოვრება რუსეთში და უკრაინაში გავატარე. როცა დავბრუნდი, აეროდრომზე დამხვდნენ მწერალთა კავშირის მდივანი ირაკლი აბასიძე და ცეკას მესამე მდივანი (გვარი დაასახელა, მაგრამ მე არ მახსოვს). ორივემ კონვერტები გადმომცა. ირაკლი მთხოვდა მ. ჯავახიშვილის, ტიციანის, პაოლო იაშვილის და სხვა რეპრესირებული მოღვწეების რეაბილიტაციას, ხოლო ცეკას მდივანი მირჩევდა, ვინ დამეჭირა და ვინ მომეხსნა თანამდებობიდან.

იმ დღიდან ირაკლი შემიყვარდა, მდივანი კი მოვიშორე.

ამ ამბის შემდეგ, თურმე, მოჰყვა საქართველოში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებზე. მოვიარე მთელი საქართველო, პირდაპირ გული შემიღონდა, როცა დავინახე, რა ღარიბულად ცხოვრობდა ხალხი. დასავლეთ საქართველოში სახლები მეტწილად გადახურული იყო ყავრით და ისლის კონებით, ქართლში საქონლის ნაკელით იყო გალესილი კედლები, კახეთი მიწურებში ცხოვრობდა. ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთ დღეში იყო საქართველო.

ნინო, თქვენს ინტელიგენციაზე ნაკლებად არ ვიცი, რომ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა დაგვაკარგვინა, მაგრამ ასე ცხოვრებაც არ შეიძლება. მე სხვა გამოსავალი ვერ დავინახე, ბიუჯეტი არ გვყოფნიდა და ხალხმა თვითონ მონახა გამოსავალი – სახელმწიფოსაგან იპარავდა...

ერთი „იაშიკი“ კონიაკით მოსკოვიდან მილიონობით ფონდები მოჰქონდათ. რა მექნა, ხის მოჭრაც კი ავკრძალე, რუსეთში ტყეების მეტი რა არის, იქიდან შემოგვქონდა.

ხალხმა სული მოითქვა, გაშენდა საქართველო. ასე რომ, ურთულესი პროცესები ხდებოდა და მასზე ერთნიშნა პასუხი არ შეიძლება. ათასი სოციალური, ფსიქოლოგიური და ისტორიული ფაქტორია გასათვალისწინებელი, როცა წარსულს ვაფასებთ, არ შეიძლება დღევანდელობის მიხედვით ჩვენი ყოფილი ცხოვრების ჩასწორება. ყველა დროს თავისი კონკრეტული ისტორიული პირობები აქვს, თავისი სოციუმი.

ვ. მჟავანაძის პოზიციაში არის ქართველი კაცის განცდაც, არის ცხოვრების სიბრძნეც და არის დიდი ზნეობრივი კომპრომისების

დაშვებაც.

ამას წინათ, ერთ-ერთი უცხოელი წერდა: საქართველოში თათბირზე, შეხვედრაზე დაგვიანება წესად არის ქცეულიო. ვერაფერი ვერ მოვუხერხე, მეც დავიწყე დაგვიანება, „გავქართველდიო“.

მოუთმენლობის სენი გვჭირს, ყველაფერი უცებ და ერთბაშად გვინდა. თავი ხშირად „დამიჭერია“, მეც როგორ ვიქცევი ქუჩაში, როგორ ვარღვევ წესრიგს. ერთხელ, მე და ალეკო შალუტაშვილი ესტონეთში ვიყავით. ესტონეთს სკოლებში ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის სფეროში დიდი გამოცდილება ჰქონდა. მივლინებით წავედით გამოცდილების გასაზიარებლად. დავესწარით სკოლის მოსწავლეთა „თეატრალურ“ კონფერენციას, კონკურსებს. გვიან ღამით გავისეირნეთ ტალინში. ქუჩის გადასასვლელზე მწვანე შუქი არ ენთო, მაგრამ მოძრაობაც არ იყო. ჩვენ გარდა, მარტო ერთი ესტონელი იდგა და ელოდებოდა მწვანე შუქს, რადგან მანქანის ჭაჭანება არ იყო, მეც და ალეკოც არ დაველოდეთ მწვანე შუქს და გადავედით, ესტონელი გაოცებული გვიყურებდა. მეორე მხარეს რამოდენიმე ესტონელი იდგა.

ერთ-ერთმა შეგვაჩერა და გვითხრა, საიდან ხართო.

— თბილისიდან, — ვუპასუხეთ.

— აა, საქართველოდან. გასაგებია. — გვითხრა მრავალმნიშვნელოვნად, რუსულ ენაზე, რომელზეც მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის დროს ლაპარაკობდნენ.

ჩვენ კი სიცილით გავაგრძელეთ გზა და გვეამაყებოდა, რომ „პედანტურად“ არ მოვიქეცით, არ დაველოდეთ მწვანე შუქის ანთებას.

გვეჩქარებოდა?!

არა!

მაშ რა ხდება?!

სანდრო ახმეტელს სარეპერტუარო დღიურში ჩაუწერია: მსახიობი, რომელიც დაიგვიანებს რეპეტიციაზე, მოხსნილი იქნას როლიდანო.

პრორექტორად მუშაობის დროს თბილისის საქალაქო საბჭოს წერილი მივწერე: ინსტიტუტის წინ, — რუსთაველის თეატრსა და თეატრალურ ინსტიტუტის წინ გაეკეთებინათ გადასასვლელი. ერთხანს გააკეთეს კიდეც, მაგრამ შემდეგ გააუქმეს დროთა მანძილზე. ჩვენი ინსტიტუტიდან ოპერის თეატრამდე მეორე მხარეს გადასვლის

დროს შვიდი კაცი დაიღუპა, მათ შორის ჩვენი სტუდენტებიც და კურსდამთავრებულებიც.

ლექციას ისე არ დავამთავრებ, რომ ჩვენს განუკურნებელ თვითნებობაზე  რამე არ ვთქვა...

# დრამატული პარადოქსები

პრორექტორად მუშაობის წლებში იშვიათად გავდიოდი თბილისიდან. რექტორებს კი ხშირად უწევდათ ხან ქალაქიდან გასვლა, ხან კი თეატრში სხვა საქმით იყვნენ დაკავებულნი. ამ დროს მათი შემცვლელის ფუნქციას ვასრულებდი. ხშირად მეკითხებოდნენ ხოლმე – რექტორობა მართლა არ გინდა?!

– არ მინდა – ვპასუხობდი გულწრფელად.

– რატომ?

– მეორე რიგიდან უკეთესად ვჩანვარ  და პასუხისმგებლობაც მეორე რიგისა მაქვს.

ოთხ რექტორთან ვიმუშავე. არც ერთ რექტორს არ დაამთავრებინეს კანონით განსაზღვრული დრო. არავის არ აცალეს არჩეული ვადის დასრულება. გოგი მარგველაშვილს სულზე მოუსწრო „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ. მანამდე კულტურის მინისტრმა, ჩვენი კინოფაკულტეტის კურსდამთავრებულმა, პირდაპირ სული ამოხადა რექტორს – გ,. მარგველაშვილს, სანამ არ დააწერინა განცხადება გადადგომის შესახებ. მინისტრს მზაკვრული ჩანაფიქრი ჰქონდა უნივერსიტეტის წინააღმდეგ. მადლობა ღმერთს, არ დასცალდათ და ქვეყანას მხსნელად მოევლინა ბატონი ბიძინა ივანიშვილი. უნივერსიტეტში სამართლიანობა აღსდგა. კოლექტივი მხარში ამოუდგა გოგი მარგველაშვილს. ეს ჩვენი ერთიანობის საუკეთესო მაგალითი იყო.

დრამატული იყო ეთერ გუგუშვილის განთავისუფლების ისტორია. ამაზე ღირს საუბარი, რადგან მისი განთავისუფლების საკითხი სცილდება უნივერსიტეტის პრობლემას.

ე. გუგუშვილი დეპუტატი გახდა კომუნისტური პარტიის სიით. მაშინ ზ. გამსახურდია პარლამენტის თავმჯდომარე იყო.

ეთერმა მითხრა:  ვასო, საოცარი ამბავი მოხდა, ზვიადმა სალამი არ მომცა. ბესოს როგორ უყვარდა კონსტანტინე გამსახურდია, მეგობრობდნენ.

– ალბათ, შემთხვევით მოხდა, ვერ შეგნიშნა, – დავამშვიდე ეთერი და მეც მჯეროდა, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა.

გავიდა ცოტა ხანი და ეთერმა მითხრა, რომ ის საგანგებოდ დადგა ისეთ ადგილას, სადაც ზვიადს უნდა გაევლო. გამოიარა, მომესალმა  ძალიან ცივადო.

ეთერი არ ცდებოდა. როცა კულტურის მინისტრი გახდა ნიჭიერი მწერალი და მაღალზნეობრივი კაცი ნოდარ წულეისკირი, სამინისტროში დამიბარა. მისაღებში აურაცხელი ხალხი ელოდებოდა, მაგრამ მე ურიგოდ მიმიღო. მდივანი გაეფრთხილებინა – კიკნაძე უნდა მოვიდეს და პირდაპირ შემოუშვიო. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობდით. მე აღტაცებული ვიყავი მისი მოთხრობით „თუთარჩელა“. ცოტას წერდა, მაგრმ რასაც წერდა, ნაღდი, ხალასი იყო. ძალიან გული მწყდება, რომ ამ ნიჭიერმა კაცმა მწერლობას თავი დაანება. ეტყობა, ცხოვრებაში რაღაც დიდი ტრავმა მიიღო, ან ცხოვრების ამაოებაზე ფილოსოფიური ჩაფიქრების გამო ჩაიკეტა, გამოეთიშა საზოგადოებრივ ცხოვრებას, სოფელ წერაქვში წავიდა. ვინ იცის, იქნებ მის არჩევანში დიდი სიბრძნეც იყო. დიდი ხანია აღარ მინახავს.

კაბინეტში მინისტრთან ერთად ჩემთვის უცნობი კაცი იჯდა, მგონი პარლამენტიდან იყო.

– ბატონო ვასო, მე ხომ ვიცი, რომ ინსტიტუტი თქვენს ზურგზეა, სხვებმაც ასე მითხრეს. თქვენ უნდა დაგნიშნოთ რექტორად.

– არ შეიძლება, ბატონო ნოდარ, აცალეთ ეთერს, დაამთავროს არჩევის ვადა, სულ რაღაც შვიდი-რვა თვე დარჩა. მერე ვნახოთ. მერე ვილაპარაკოთ.

– არ შეიძლება, რა ვქნა, ზვიადმა დამავალა განთავისუფლება, პირდაპირ მითხრა – გაათავისუფლეო გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, აკაკი ძიძიგური საჯარო ბიბლიოთეკიდან და ეთერი რექტორობიდანო.

მე ვუთხარი, რომ გიგა არჩევით თანამდებობაზეა და ვერ მოვხსნი-მეთქი. ყველაზე მეტად რეზოსი მერიდება, ჩემი უმუშევრობის დროს კაცურად ხელი გამომიწოდა, დამიდო ხელშეკრულება, ავანსი მომცა.

– ბატონო ნოდარ, ეთერიც არჩეულია.

ამ დროს ჩემთვის უცნობმა კაცმა თქვა: რა პრობლემაა, პარლამენტში ახლავე შევიტანთ შესწორებას, რომ რექტორის თანამდებობა აღარ იყოს არჩევითი.

მინისტრს შევატყვე, რომ ჩემთან ცალკე უნდოდა საუბარი და მეორე დღისთვის, 9 საათზე დამიბარა. მეორე დღეს კაბინეტის უკანა კარებიდან შემიყვანა მინისტრის მოსასვენებელ ოთახში. გაიმართა გულახდილი საუბარი.

— მე ბესო ჟღენტისაგან სიკეთე მახსოვს, რას ვერჩი ეთერს, მაგრამ რა ვქნა. შენ უნდა დამეხმარო, იქნებ ეთერმა დაწეროს განცხადება და პირადი განცხადებით წავიდეს. რაღაც მოიფიქრე. შენ გარდა სხვა კანდიდატურა ამ მყავს.

მეორე თუ მესამე დღეს, კულტურის სამინისტროს კადრებიდან მაცნობეს, რომ ეთერი, პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით, გაათავისუფლეს, ბრძანების პროექტი უკვე დაწერილიაო. ინფორმაცია ზუსტი იყო. იმავე წუთს დავტრიალდი, დავურეკე ბატონ ნოდარს, მივედი და ავუხსენი, რომ ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლებოდა. ეთერი ტრაგიკულად განიცდიდა ასაკს, ფარავდა დაბადების წელს. მინისტრმა ბრძანება შეაჩერა იმ იმედით, რომ მე ვურჩევდი ეთერს, გადადგომის შესახებ განცხადება დაეწერა მე დროის მოგება მინდოდა, რაღაცის იმედი მქონდა, იქნებ პრეზიდენტს გაეუქმებინა გადაწყვეტილება.

მეორე დღეს, ეთერმა მითხრა, ბუფეტში ერთად ვისადილოთ, რაღაც უნდა გითხრაო.

ჩავედით სასადილოში.

— ვასო, წუხელ უცნაური სიზმარი ვნახე. ჩემი მუშაობა აღარ ღირს, განცხადება უნდა დავწერო, უნდა გადავდგე.

— ეთერ, სერიოზულად მეუბნები? რა სიზმარი ნახე ასეთი?

— ბესო ვნახე, მოშორდი მაგენსო - მითხრა.

— შენ წამომყევი სამინისტრომდე (რომელიც მაშინ რუსთაველზე ე.წ. „კაზარიანცის“ შენობაში იყო).

ერთად წავედით. შენ აქ დამელოდეო — მითხრა და მინისტრთან ავიდა. ნახევარი საათის შემდეგ დაბრუნდა: ნოდარს შევატყვე, რომ ესიამოვნა ჩემი გადაწყვეტილება. მინისტრმა მკითხა, ვის მირჩევთ რექტორადო, — მე შენზე ვუთხარი, გაეხარდა.

იმავე დღეს დამირეკა ნოდარმა და ეთერთან საუბრის შესახებ მიამბო, კმაყოფილი იყო, რომ თავისი განცხადებით გადადგა. ბრძანება მოგივათ, არ ვიცი, სხვა რაღაა საჭირო. მე ვთხოვე, რომ მოსულიყო ინსტიტუტში, ეთერისათვის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ბრძანებით მადლობა გამოეცხადებინა, თუ შესაძლებელი იყო, ერთი თვის ხელფასიც მიეცათ.

ნოდარ წულეისკირი ისე იქცეოდა, როგორც ნამდვილ ჰუმანისტ, კეთილშობილ ადამიანს შეეფერებოდა. მოვიდა ინსტიტუტში, შეხვდა რექტორატის წევრებს, ეთერს მადლობა გამოუცხადა.

ეთერის შემცვლელის დანიშვნის ამბავი პირდაპირ ტრაგიკომიკური ისტორია იყო.

მეორე დღეს დამიბარა მინისტრმა და მითხრა, რომ ჩემს კანდიდატურას წარადგენდა პრეზიდენტთან, რომელსაც საღამოს უნდა შეხვედროდა.

— ბ-ნო ნოდარ, ეგ საქმე  არც გამოვა და არც მინდა. პრეზიდენტი პირადად არ მიცნობს, ჩემზე ნუ ეტყვით, სჯობია, სხვა კანდიდატურა მოვიფიქროთ.

მეორე დღისათვის დამიბარა.

მეორე დილით შევხვდით: პრეზიდენტს შენს შესახებ ვუთხარი, ჩაფიქრდა, მაგრამ ვერ გაგიხსენა, არ ვიცნობო. მანდ გოგი გეგეჭკორი უნდა დავნიშნოთო. გაიგე, მის კანდიდატურას როგორ შეხვდება ინსტიტუტი, რას იტყვიან, მიიღებს კოლექტივი? ისე, ვინც არ უნდა დანიშნოს, მაინც მთავარი სამუშაო შენზეაო.

ვგრძნობდი, რომ ნოდარს თითქოს ეუხერხულებოდა, ჩემი კანდიდატურა რომ ვერ გაიტანა.

— გოგი დიდი პროფესიონალი და უაღრესად პატიოსანი ადამიანია, ნამდვილი ინტელიგენტი, დიდი სიამოვნებით ვიმუშავებ მასთან, ინსტიტუტიც კარგად შეხვდება, — ვუთხარი მინისტრს. გაეხარდა.

— ხვალ ცხრა საათზე მოდი. პრეზიდენტის გადაწყვეტილებას გეტყვი, — მითხრა მინისტრმა.

მეორე დღეს შეწუხებული დამხვდა. გეგეჭკორისათვის ჯერ ხომ არაფერი გითქვამსო — მკითხა.

ვუპასუხე, რომ ჩვენი საუბრების შესახებ არავინ არაფერი იცოდა. მართლაც ასე იყო.

— პრეზიდენტმა გეგეჭკორზე მითხრა, რომ ჩემს წინააღმდეგ რაღაც კოლექტიურ წერილზე ხელი მოუწერიაო, ამიტომ გურამ საღარაძე დავნიშნოთ, კარგი მეტყველება აქვს, მაგ ინსტიტუტს გამოადგებაო.

შევხვდი გურამის მეუღლეს ტანია ბუხბინდერს, ვუთხარი ეს ამბავი.

— „ჩტო-ტი“, ვასო?, როგორ შეიძლება გურამის რექტორობა, შენ აქ ხარ. „პრიჩომ გურამი?“ გურამი არაფრით არ დათანხმდება. შენი ძმაკაცია.

— ტანია, ჩემს ინტერესში შედის, გახდეს რექტორი ჩვენიანი

კაცი, რა ვიცი, შეიძლება ვიღაც გარედან დაგვინიშნონ.

დილით ადრე დამირეკა მინისტრმა, — ახლავე მოდი, თუ შეგიძლიაო. მივხვდი. საღარაძის კანდიდატურა მოიხსნა, გურამსაც ჰქონია ხელი მოწერილი პრეზიდენტის წინააღმდეგო. რას იტყვი გიზო ჟორდნიზე?..

— ჩვენ მეგობრები ვართ, კათედრის გამგეა. რუსთაველის თეატრში კონსტანტინე გამსახურდიას „ხოგაის მინდია“ დადგა, ინსტიტუტიც არ წავა წინააღმდეგი.

ნოდარ წულეისკირმა მთხოვა, რომ დავლაპარაკებოდი გიზოს.

შევხვდი გიზოს და ვუამბე, რაც მოხდა. შთაბეჭდილება დამრჩა, რომ გიზოს ამ თემაზე უკვე გარკვეული ინფორმაცია ჰქონდა, მაგრამ მორიდებით მითხრა: ვასო, ამდენი წელია შენ აქ ხარ და რა ვიცი. თავს უხერხულად ვგრძნობო.

— გიზო, მე მხარში ამოგიდგები. უარი არ თქვა, მეშინია ვინმე არ მოგვახვიონ თავზე...

გადაწყდა. გიზო დაინიშნა. გავიდა ცოტა ხანი და განათლების სამინისტროში მაღალი დონის თათბირზე დაგვიბარეს რექტორი გიზო ჟორდანია და მე. თათბირს ატარებდა პრეზიდენტი. არასოდეს არ დამავიწყდება ეს თათბირი, მიუხედავად იმისა, რომ ათასგვარ თათბირს დავსწრებივარ.

ეს მართლაც განსაკუთრებული, ისტორიული თათბირი იყო, სადაც მთელი იმ დროის სახე და მუშაობის სტილი ჩანდა, უმწეონი იყვნენ სახელმწიფოს მართვაში. არავინ არ იცოდა დღის წესრიგი, ყველა ერთმანეთს ეკითხებოდა, თუ რაზე იყვნენ დაბარებულნი.

მაგიდასთან მარტო იჯდა ზვიად გამსახურდია, პირველი სიტყვა უნივერსიტეტის რექტორს როინ მეტრეველს მისცა. ბ-ნ როინს არ უთხოვია სიტყვა, პრეზიდენტმა დაასახელა. რ. მეტრეველმა ძალიან მოკლედ თქვა, თუ როგორ მუშაობს უნივერსიტეტი.

პრეზიდენტი საოცრად ინდიფერენტულად ისმენდა რექტორების გამოსვლებს, გიზოსაც მისცა სიტყვა. არავის გამოსვლაზე არ გაუკეთებია არავითარი კომენტარი, აშკარად ჩანდა, რომ თათბირს რაღაც სხვა მიზანი ჰქონდა. ბოლოს სიტყვა მისცა ზოოვეტის რექტორს კამო ქართველიშვილს. ამ დროს შეიცვალა პრეზიდენტი, გააქტიურდა და თათბირის მიზანიც ნათელი გახდა.

— აბა, თქვით, რა ხდება თქვენს ინსტიტუტში, თქვენთან არიან სტუდენტები, რომლებიც მე მებრძვიან! რას იტყვით ამის შესახებ,

მოგვახსენეთ!

— ბატონო პრეზიდენტო, ოთხი-ხუთი სტუდენტია, რომლებიც კი არ გებრძვიან, გაკრიტიკებენ.

— მე ყველაფერი ვიცი, დღესვე ხუთივეს გარიცხავ ინსტიტუტიდან!

— ვერ გავრიცხავ! — უპასუხა კამომ.

— რას ქვია  ვერ გარიცხავ, მაგ ხულიგნებს!

— ფრიადოსანი სტუდენტები არიან. ვერ გავრიცხავ.

ზვიად გამსახურდიამ განრისხებული გამომეტყველება მიიღო. წუთით დაფიქრდა.

— მაშინ დაუსწრებელ განყოფილებაზე გადაიყვანეთ!

— ვერ გადავიყვან! — უპასუხა რექტორმა.

— რატომ ვერ გადაიყვანთ!?

— სტუდენტმა უნდა მოითხოვოს დაუსწრებელზე გადაყვანა, ასეთია კანონი.

გაოცებულნი ვუყურებდით პრეზიდენტისა და რექტორის კამათს. თითქოს გამოუვალი სიტუაცია შეიქმნა. აშკარა გახდა თათბირის მიზანიც, რომ რექტორებს მკაცრი კონტროლი უნდა დაეწესებინათ აქტივისტ, კრიტიკულად განწყობილ სტუდენტებზე, ამიტომ სამაგალითოდ სჯიდა ამ ხუთეულს.

— როცა თათბირი დამთავრდება, მიბრძანდით ინსტიტუტში, მოიწვიეთ პროფესრო-მასწავლებელთა კრება და გააცანით ჩემი გადაწყვეტილება, — განაცხადა პრეზიდენტმა და განათლების მინისტრისაკენ გაიხედა.

— თუ იმ სტუდენტებს კოლექტივი არ გარიცხავს, მე დავხურავ ზოოვეტინსტიტუტს და ფაკულტეტად შევუერთებ სასოფლო უნივერსიტეტს. აირჩიონ პედაგოგებმა, რა ურჩევნიათ!

თქვა, წამოდგა და დარბაზიდან გავიდა.

კამო ქართველიშვილის ვაჟკაცურმა საქციელმა ყველა გაგვაოცა და გაგვახარა, მაგრამ როცა ამ ფაქტს ვიხსენებ, ჩვენს ბედს ვწყევლი ხოლმე. პრეზიდენტად გვყავდა პატრიოტი, დისიდენტი, ათას გასაჭირგამოვლილი, დიდი მამულიშვილის და დიდი მწერლის კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა საქართველო, იყო განათლებული, რომელმაც ისტორიული საქმე გააკეთა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ პრაქტიკული საქმიანობნის გამოცდილება არ ჰქონდა. ვიდრე ქვეყნის სათავეში

მოექცევი ადამიანი, მანამდე პატარა საქმის უფროსად ხომ მაინც უნდა იყო ნამუშევარი, რაღაც გამოცდილება ხომ უნდა გქონდეს, რომ ქვეყანა მართო. პრეზიდენტი ისევ დისიდენტად დარჩა, ორშაბათობით „საინფორმაციო“ მიტინგებს აწყობდა ტელევიზიის ეპოქაში.

მიტინგებზე გამოსვლა უნდოდა.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან ის თათბირი ჩემი ერთ-ერთი სევდიანი მოგონებაა.

ერთ მუშტად შეკრულმა, რუსული იმპერიის წინააღმდეგ ამხედრებულმა, ემოციურად დამუხტულმა თავისუფალმა გაერთიანების სიხარულის ნაცვლად მალე ერთმანეთს დაუწყო ბრძოლა.

ნუთუ ჩვენთვის მონობაზე უფრო მძიმე ტვირთი თავისუფლება აღმოჩნდა?!.

# პარალელები

ჩემი ცხოვრების გამოცდილების საფუძველზე, ჩემს მოწაფეებს მუდამ ვაფრთხილებდი, რომ თუ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მოუწევდათ მუშაობა, არ დაევიწყებინათ თავიანთი პროფესია. ხშირად თანამდებობამ ჩათრევა იცის, იგი ენაცვლება პროფესიულ ცხოვრებას, ადამიანურ ამბიციებს აკმაყოფილებს. ამ დროს იკვეთება ორი ტენდენცია. ერთნი სავსებით კმაყოფილები არიან თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით. ამ შემთხვევაში მათი პროფესია პრაქტიკულ „მოქმედებაშია“ გადატანილი. მათ პრაქტიკულ საქმიანობაში ვლინდება პროფესიონალიზმი, ამით საზოგადოების პატივისცემასაც იმსახურებენ. ისინი თავიანთი პროფესიის „მეორე მხარეს“ (ვთქვათ წერას) მაღალი კრიტერიუმებით უდგებიან: ან კარგი, ან არაფერიო. ეს თვითკრიტიკული განწყობა განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებს. პრაქტიკული საქმიანობა, რომელსაც ისინი ეწევიან, ზოგჯერ ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, საქმისათვის უფრო საჭიროა და უფრო დასაფასებელიც, ვიდრე პირველადი პროფესიული ცხოვრება. პრაქტიკული საქმიანობიდან მიღებული კმაყოფილება სავსებით საკმარისია მორალური კომპენსაციისათვის. მათი საქმიანობა არის ადეკვატური, ასეთ ადამიანეში მეტია მოღვაწის თვისებები. გამოირჩევიან სხვებზე ზრუნვითა და კეთილი საქმის კეთების ნიჭით. ამგვარი მოღვაწეების გვერდით მომიწია მუშაობა და კარგად ვიცოდი საქმისათვის მათი თავდადების ფასი. ამ მხრივ განსაკუთრებული მოვლენა იყო რეჟისორი აკაკი დვალიშვილი. როცა რუსთაველის თეატრიდან მინისტრის მოადგილედ გადაჰყავდათ, მე ერთ-ერთ პირველს გამანდო მთავრობის სურვილი და რჩევა მკითხა. დიდხანს ვიმსჯელეთ. ძალიან გამეხარდა. ჩვენ მეგობრები ვიყავით. ვიცნობდი მის შესანიშნავ მშობლებს, მათ ოჯახშიც ხშირად დავდიოდი. გამეხარდა მრავალი მიზეზის გამო. სამინისტროში ბევრ ეროვნულ საქმეს გააკეთებდა, სიმართლესა და სამართლიანობას დაიცავდა. ამბობენ, „ცოდვა გამხელილი სჯობიაო“, თუ ასეა მეც „ვამხელ“ ჩემს სურვილს და გამოტეხილად ვიტყვი: ვიფიქრე, რომ პატრონი მეყოლებოდა. მაშინ ძალიან დიდ თანამდებობად ითვლებოდა მინისტრის მოადგილეობა. თეატრში კი რიგითი რეჟისორი იყო, თუმცა როგორც არაერთხელ დავწერე, მან დიდი როლი შეასრულა 50-იანი წლების რუსთაველის ეატრის გარდაქმნების პროცესში.

— კაკო, შესანიშნავი ამბავია. უნდა წახვიდე. აქ მარტო იმ არტისტებს სჭირდები, ვისაც როლს მისცემ, სამინისტროში კი ყველასათვის საჭირო კაცი გახდები.

აკაკიმ რაღაც სევდიანი ღიმილით შემომხედა და უცებ მივხვდი, რომ მე საკითხს მაინც ზედაპირულად შევხედე. თუმცა მჯეროდა, რომ თეატრში ერთ სპექტაკლს მაინც დადგამდა. ამის შესახებაც ვისაუბრეთ, მაგრამ შინაგანად მაინც უჭირდა გადაწყვეტილების მიღება. დაინიშნა მინისტრის მოადგილედ, მერე კინოკომიტეტის თავმჯდომარე გახდა. ვით მოთვლის რამდენი სიკეთე გააკეთა. კაკო იყო ეროვნული მოღვაწე და კაცური კაცი, რომელიც მხარში ედგა მთელ ქართულ კულტურას. რამდენჯერ ვთხოვე, რომ ინსტიტუტში გაეგრძელებინა პედაგოგიური მოღვაწეობა. რა პირობები არ შევთავაზე ხელშეწყობის მიზნით, მაგრამ იმდენად მომთხოვნი იყო თავისთავისადმი, რომ ვერ დავითანხმე.

მეორე მაგალითი. პავლე კანდელაკმა იმთავითვე ხელოვნებას დაუკავშირა თავისი ცხოვრება. იყო ახმეტელის თეატრში უბრალო მსახიობი. „სცენის მტვერის“ გემო იგემა, მაგრამ შემდეგ მთელი ცხოვრება ადამინისტრაციულ საქმიანობას მოახმარა. იყო ბრწყინვალე ორგანიზატორი. რუსთაველის თეატრის დირექტორობის დროს მან ბევრი რამ მასწავლა, მისი სალიტერატურო ნაწილის გამგე ვიყავი. სამხატვრო საბჭოს მდივნის ფუნქციასაც ვასრულებდი. მომთხოვნი კაცი იყო, მაგრამ სამართლიანი. ვუყვარდი და უფრო მეტად მაფასებდა, ვიდრე ზოგჯერ ვიმსახურებდი. ძალიან პირდაპირი კაცი იყო. არ მავიწყდება, ხორავასა და ვასაძეს მათი განთავისუფლებიდან სულ რაღაც ორი კვირის თავზე რომ უთხრა: სანამ თქვენ იქნებით, მე გამიჭირდება მუშაობაო.

— ხელს არ შეგიშლით, — უპასუხა ვასაძემ.

პ. კანდელაკმა შეძლო თეატრში დისციპლინის დამყარება და ბევრი გაუკეთა თეატრს.

მესამე მაგალითი. ჩემი ხანგრძლივი მუშაობის პრაქტიკიდან საინსტიტუტო პერიოდიდან ასევე გამოვყოფ სასწავლო სამმართველოს დეპარტამენტის ხელმძღვანელს თამილა ქამუშაძეს. მან წმინდა თეატრმცოდნეობითი ცხოვრება ჩაანაცვლა პრაქტიკული საუნივერსიტეტო საქმიანობით, სადაც იგი თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალია. დისერტაცია დაიცვა, მე ვიყავი ხელმძღვანელი. ჩემი ხელმძღვანელობით

ბევრმა დაიცვა დისერტაცია, მაგრამ ყველაზე ნაკლებად თამილასთან მომიწია მუშაობა.

მე კარგი მაგალითების საილუსტრაციოდ სამი სხვადასხვა თაობის (უფროსი პ. კანდელაკი, საშუალი ა. დვალიშვილი და ახალი თ. ქამუშაძე) მაგალითი დავასახელე. თუმცა ამ ტიპის სხვადასხვა მასშტაბის მოღვაწეები ცოტანი არ არიან.

კარგად მახსოვს, ერთხელ თეატრმცოდნე მარინა ხარატიშვილმა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მითხრა: რჩევა მინდა თქვენი, კომკავშირულ სამუშაოზე მივყავარ, როგორ მოვიქცე?

— უნდა წახვიდე, მხოლოდ პროფესია არ დაივიწყო.

ასეც მოხდა. წავიდა, დიდი თანამდებობა დაიკავა, მაგრამ დაუბრუნდა თავის პროფესიას. დღეს დეკანია და დისერტაციაც წარმატებით დაიცვა.

აღნიშნული ტენდენციის გვერდით არის სხვა ტენდენციებიც. ყოველი ადამიანი დიდი ინდივიდუალობაა და ყველა თავისებურად ცდილობს თავის გამოჩენას და თვითდამკვიდრებას. „მცოდნეობაში“ კრიტიკოსის „საყმაწვილო სენი“ საწყის ეტაპზე ხშირად იჩენს თავს. ამბიცია ეძალება და „მაგარი კრიტიკოსის“ სახელის მოპოვებისათვის თუ რამე „გამოიჭირა“ მისი რეკლამირებისა და ტირაჟირებისათვის უკადრისსაც კადრულობს. ნარკოტიკივით მაცდუნებელი სენია ინტრიგანობა. ბევრი დროულად ხვდება, რომ ეს უღირსი გზაა და თავს აღწევს მას, ცალკეული ცდუნებანი კი სევდიან მოგონებად რჩება. დღეს იუმორით ვიგონებ ჩემი სტუდენტობის წლების ერთ-ერთ პირველ მძაფრ კრიტიკულ წერილს.

დღემდე ვნანობ, რომ დავით რონდელის ფილმი „ენგურის ნაპირებზე“ მწარედ გავაკრიტიკე გაზ. „კომუნისტში“, მყვირალა სათაურით — „ეგზოტიკის საფარ ქვეშ“. კარგად ვიცი, რომ მონანიების გრძნობა ღირსეული თვისებაა და მეც მსიამოვნებს ამ სიმაღლეებთან ლაციცი.

ერთხელ, ქობულეთში სანატორიუმ „საქართველოში“ ვისვენებდი, მოულოდნელად დავით რონდელს შევხვდი. რეჟისორს პირადად არ ვიცნობდი, მეგონა, რომ არც რონდელი მიცნობდა. მოხდა ისე, რომ ზღვის სანაპიროზე  დამსვენებელთა სეირნობის დროს, მე და ბატონი დავითი ერთად აღმოვჩნდით. ძალიან უხერხულად ვიგრძენი თავი. ჩემთვის მოულოდნელად ბატონმა დავითმა მითხრა: ბატონო ვასო, აგერ ჩამოვჯდეთ, — და იქვე სკამზე ჩამოჯდა. რა უნდა მექნა,

ჩამოვჯექი.

— თქვენი წერილი წავიკითხე. თქვენ მართალი ხართ, — მითხრა. მე შევცბი, არ ველოდებოდი ასეთ რამეს. ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა. დავიწყე მობოდიშება, ვთქვი, რომ მე გადავაჭარბე, ახალგაზრდული გამოუცდელობით მომივიდა.

ბატონმა დავითმა მაღლი რანგის ინტელიგენტობის გაკვეთილი ჩამიტარა ახალგაზრდა კრიტიკოსს.

ზოგჯერ, როცა იძულებული ვარ,დავწერო კრიტიკული წერილი, ყოველთვის მაგონდება ბატონ დ. რონდელთან შეხვედრის ისტორია. მე სულ მეშინია, რომ ჩემს სტუდენტებში არ იძალოს ჩასაფრების მაცდუნებელმა სენმა. კრიტიკა შეურაცხმყოფელი არ უნდა იყოს. ეს არის მთავარი!...

არაერთხელ გამომიხატავს ჩემი კოლეგების წიგნებისადმი კეთილგანწყობა, დამიწერია რეცენზიები. ვერ ჩამოვთვლი რამდენი, მაგრამ სასიხარულო ისაა, რომ მათაც გამოუხატავთ პატივისცემა ჩემი შრომისადმი. საერთოდ ჩემს წიგნებზე 100-მდე დადებითი რეცენზიაა გამოქვეყნებული.

ჩემი მასწავლებელი ბ-ნი დიმიტრი ჯანელიძე შემომიჩნდა, — შენ უნდა დაწერო ,,ქართული თეატრის ისტორია". რამდენი არ ვეცადე დამერწმუნებინა, რომ მას უნდა დაეწერა, მაინც ვერ დავითანხმე. ერთხელ ეშმაკურ ხერხსაც მივმართე. გამომცემლობა ,,ხელოვნებაში" წინასწარ მისი ხელშეკრულებაც გავაფორმეთ. დონარა კანდელაკი მუშაობდა გამომცემლობაში და მხარი დამიჭირა. ფორმაში მაქსიმუმს 400 მანეთს აძლევდნენ. ბატონ დიმიტრის სიურპრიზი გავუკეთე. როცა ჩემს კაბინეტში შემოვიდა, მაგიდაზე დავახვედრე ხელშეკრულება. ვუთხარი, რომ ავანსად 40 %-ს მიიღებდა მომავალ კვირაში. არ ელოდებოდა ასეთ რამეს, შეცბა, აწრიალდა, ბოლოს მითხრა: ვასო, გულხადილად გეუბნები, შენ უნდა გააკეთო, ჩემი საქმე არ არის ეგ პერიოდი, უკვე სულ სხვა პოლიტიკური პროცესები იწყება. მე ძველი თეატრის მკვლევარი ვარ, ცალკეულ სტატიებს ვწერ და კიდევ დავწერ. ისტორიის დაწერა სხვა საქმეა. გ. ჟორდანია, რექტორი რომ იყო მწერდა: სულ მაწუხებს უდიდესი პრობლემა, ქართული თეატრის ისტორია დასაბამიდან დღემდე. დავსტამბავთ, ფულსაც ვიშოვით, ,,ოღონდ დაწერე, დაწერე, დაწერე"...

დიდი მეცნიერის საკადრისი სიტყვა იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული მე-19 და მე-20 საუკუნეების

ქართულ თეატრზე, მაინც მიაჩნდა, რომ ძველი ქართული თეატრის სპეციალისტი იყო.

ისტორიის დაწერა მართლაც ურთულესი პროცესია, პირდაპირ სიზიფის შრომაა. მით უფრო თეატრის ისტორიისა. ბ-ნი დიმიტრის გარდა სხვებმაც წამაქეზეს და მეც შევუდექი გოლგოთას. მარტო ოთხასზე მეტი წყარო მაქვს დასახელებული. ორტომეული, რომელიც 1500 გვერდს მოიცავს, მთელი ქართველი თეატრმცოდნეების შრომების შედეგია. ავად თუ კარგად ერთგვარად შეჯამდა ჩვენი თეატრმცოდნეების მიერ გაწეული შრომა. პირველად დაიწერა ქართული თეატრის ასე ხანგრძლივი პერიოდის ისტორია. ბ-ნი დიმიტრი ჯანელიძის ფუნდამენტური წიგნები ისტორიაზე XVIII ს-მდე პერიოდს მოიცავს. ისტორიის ოცწლეულზე (1921-1941) დაწერა შალვა მაჭავარიანმა, ორი წიგნი, უდავოდ კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ ჩვენ ყველანი გარკვეული ეპოქის შვილები ვართ და ვერც შალვა მაჭავარიანი აცდებოდა საბჭოთა იდეოლოგიის გავლენას. განა იმ პერიოდში, იმ იდეოლოგიის პირობებში ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით კონიუნქტურას? ჩვენ და პირადად მე რამდენი რამე მაქვს ისეთი დაწერილი, რომელსაც დღეს იუმორით ვუყურებ, დროის მიღმა ვის უცხოვრია?

ამ რთულ რეალობაში აქტიურად დავუჭირე მხარი შალვა მაჭავარიანის წიგნის გამოცემას, იგი გამოიცა 1966 წელს ჩემი რედაქტორობით. როგორც რედაქტორმა, წიგნს მივეცი ასეთი შეფასება: „თეატრმცოდნე შალვა მაჭავარიანის წიგნი „ქართული საბჭოთა თეატრი“ (1926-1932) ქართული თეატრალური ხელოვნების ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მნიშვნელოვან პერიოდს ეხება. სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით არსებული მეორე აკადემიური თეატრი. საბოლოოდ გამოიკვეთა რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი პროფილი. შემოქმედებითი ძიებებით, აზრთა ბრძოლით, წინააღმდეგობებით აღსავსე ეს ეტაპი მრავალმხრივ განმსაზღვრელი აღმოჩნდა ქართული თეატრის შემდგომი განვითარებისათვის. შ. მაჭავარიანმა წიგნში მრავალ ისტორიულ, საარქივო მასალას და ფაქტობრივ მონაცემებს მოუყარა თავი, რომელიც გაანალიზებული იქნა“

შალვა მაჭავარიანმა, როგორც პატიოსან ადამიანს ეკადრება, კარგად იცოდა ჩემს მიერ გაწეული სარედაქციო მუშაობის ფასი. გვქონდა ძალიან კარგი ურთიერთობა და სრულიად გულწრფელი

სტრიქონები მიძღვნა „ჩემს ძვირფას რედაქტორს და საყვარელ მეგობარს ვასილ კიკნაძეს. ავტორი. 20.X.66“

არც ის იყო შემთხვევითი, რომ მისი შვილის – ნ. მაჭავარიანის დისერტაციის ხელმძღვანელიც მე ვიყავი.

ვინც შალვა მაჭავარიანის და მისი „საყვარელი მეგობრის“ გულწრფელ ურთიერთობას ჩრდილს მიაყენებს, ის არც მკვდარს ინდობს და არც ცოცხალს – მის საქციელს კი, უბრალოდ – უზნეობა ჰქვია!..

რუსთაველის თეატრზე დაწერილია ა. ფევრალსკის წიგნი, რომელიც რუსულად გამოიცა. თავის დროზე მე და ნოდარ გურაბანიძემ პრესაში გავაკრიტიკეთ, რადგან რუსთაველის თეატრის ისტორია „მრუდე სარკეში“ იყო წარმოდგენილი. განა შეიძლებოდა 1959 წელს გამოცემულ წიგნში ს. ახმეტელზე ბერიასეული ბრალდებებით წერა? რა ბრალდებებითაც ახმეტელი დახვრიტეს, ფევრალსკიმ იგივე ბრალდებები წაუყენა რეაბილიტაციის შემდეგაც. ამის პატიება შეიძლებოდა?! მერედა როდის დაწერა, სწორედ მაშინ, როცა ახმეტელი იურიდიულად რეაბილიტირებული იყო (1956), მაგრამ მის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც გრძელდებოდა საქართველოშიც და რუსეთშიც (მოსკოვში მაგ. გოიანი და სხვა). აღმაშფოთებელი იყო ა. ფევრალსკის მიერ უსამართლოდ დახვრეტილი კაცის ასეთი კრიტიკა, მაგრამ დღეს კარგად მესმის, თუ რატომ დაემართა ასე. ულმობელი დრო გამოიარეს იმ თაობებმა, დიდი იყო რეპრესიების შიშის ინერცია და იდეოლოგიური სქემების გავლენა. ადვილი არ იყო დოგმატური შეხედულებებიდან განთავისუფლება. ამასთანავე ა. ფევრალსკიმ არ იცოდა, თუ რა იდო „სუკის“ არქივებში ახმეტელის, ა. ხორავას, ა. ვასაძის და სხვათა შესახებ.

ასე რომ, ჩემს „ქართული თეატრის ისატორიას“ ძალიან ბევრი რამ უნდა გაეთვალისწინებინა, ურთულესი პროცესები უნდა გამოეხატა, ბევრი რამ ახლებურად უნდა გამეაზრებინა. მე როგორც შევძელი, ისე გავაკეთე. ზოგიერთი რამ კარგად გამომივიდა, ზოგი რამ ბოლომდე ვერ დავამუშავე, ზოგი მხოლოდ ინფორმაციის დონეზე მივაწოდე მკითხველს ვრცელი კომენტარებით. ერთგვარი ენციკლოპედიური ცნობარი გამოვიდა ფართო მკითხველისათვის.

ყველა წინაპირობის გათვალისწინებით, პროფესიონალებმა კარგად იცოდნენ, თუ რა სიძნელეებს წააწყდებოდა ის მკვლევარი, ვინც პირველი შეეჭიდებოდა ასეთ დიდ საქმეს და სიხარულით

შეხვდნენ პირველ ცდას. პრესაში გამოქვეყნდა მხარდამჭერი სტატიები, მოეწყო საჯარო განხილვები. მათ შორის ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ“ მოაწყო „მრგვალი მაგიდა“ (იხ. „თეატრი და ცხოვრება“, № 4, 2004).

პრესაში გამოქვეყნებული წერილები და „მრგვალი მაგიდის“ წევრთა ძირითადი დასკვნები ისეთია, როგორც ქვემოთ მომყავს ციტირების ფორმით. თუმცა მეც ავღნიშნე და რეცენზენტებმაც შენიშნეს (ალ. შალუტაშვილი, გ. ცქიტიშვილი), რომ წიგნის კორექტურა „საშინელი იყო“!..

გამოხმაურება კი ასეთ იყო:

<u>თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძე</u>: „ეს წიგნი არის ჩვენი საერთო დიდი გამარჯვება, ყველას გამარჯვება, ვისაც თეატრთან რაიმე შეხება აქვს. ძალიან დიდი ხანია, ასეთი სიხარული არ განმიცდია. ამ წიგნს ბ-ნი ვასო მგონი მთელი ცხოვრება წერდა“.

<u>თეტრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე</u>: „ის, რაც ბა-ნმა ვასომ გააკეთა, ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ შევძელით. ავტორი ცდილობს არ დაუკარგოს თითოეულ ჩვენთაგანს რაიმე ოდნავი დამსახურებაც კი, თუკი ის მიგვიძღვის ქართული თეატრის ისტორიის შესწავლის საქმეში. წიგნის დიდ ღირსებად მიმაჩნია ისიც, რომ ქვეყანა წარმოდგენილია არა იზოლირებულად, არამედ როგორც ორგანული ნაწილი ევროპული კულტურისა.

<u>თეატრმცოდნე მერაბ გეგია</u>: „ბა-ნმა ვასომ შექმნა ნამდვილი ეპოპეა ქართული თეატრალური ცხოვრებისა. ქართული თეატრის თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორია გადმოცემულია მსოფლიოს თეატრალურ კულტურათა მიმართებაში. მივულოცოთ ჩვენს საზოგადოებას აღნიშნული ნაშრომის მოვლინება“.

<u>რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე</u>: „ჩემი ღრმა რწმენით, ეს არის ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომი, დიდი მოვლენაა ქართული თეატრის ისტორიაში, ჩვენთვის დიდი შენაძენია“.

<u>თეატრმცოდნე მიხეილ კალანდარიშვილი</u>: „ვასილ კიკნაძის წიგნს თავისი ფართო, განზოგადოებული პერსპექტივით ძნელია ანალოგი მოეძებნოს ქართულ თეატრმცოდნეობაში. ვასილ კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ მიეკუთვნება არა მხოლოდ თეატრალურ მკითხველს, არამედ მთელ ქართველ ერს, მის კულტურას“ („საბჭოთა ხელოვნება“, 2002, № 1).

<u>თეარმცოდნე გიორგი ცქიტიშვილი</u>: „ქართული დრამატული

თეატრის ისტორიის“ პირველი ტომის გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანია არამარტო თეატრის მოღვაწეთათვის და მკვლევარებისათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის, რადგან ქართული კულტურის, ქართული აზროვნების, ქართული სულიერების ისტორიაა“ (ჟურნ. „მნათობი“, 2011, 11-12).

<u>თეატრმცოდნე ალექსანდრე შალუტაშვილი</u>: „ეს უდიდესი შრომა, რაც მკვლევარმა გასწია, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კოლექტიური შრომის მასშტაბებს უტოლდება. ამ ფუნდამენტურ ნაშრომში ძველი სტერეოტიპები უკუგდებულია. სიმართლისა და ობიექტურობის პრინციპს, შეფასების ისტორიულ სამართლიანობას ავტორი არსად არ ღალატობს და სრულიად ახალი კრიტერიუმებით აშუქებს საქართველოს თეატრალურ პროცესებს“ („გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001).

<u>დრამატურგი გურამ ბათიაშვილი</u>: „ვასილ კიკნაძის „ქართული დრამატული თეატრის ისტორია“ ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული თეატრალური აზროვნების ისტორიაში, ქართული თეატრმცოდნეობის გამარჯვებაა საერთოდ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს წიგნი ჩვენი საზოგადოებრივი აზრის მონაპოვარია“ („თეატრი და ცხოვრება“, 2002, № 4).

<u>თეატრმცოდნე ნადია შალუტაშვილი</u>: „ეს არის დიდი შენაძენი, დიდი შრომა. პოეტის დაწერილია ეს წიგნი, პოეტურად არის დაწერილი, ამიტომ იკითხება ასე იოლად და თანაც დიდ ინფორმაციას იტევს. აქ თეატრალური ცხოვრება ნაწილია ერის სულიერი ცხოვრების.ა ამით ეს წიგნი ჩემთვის ძალიან ძვირფასია“ („თეატრი და ცხოვრება“, 2001, № 4).

<u>თეატრმცოდნე დალი მუმლაძე</u>: „ამ წიგნს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა საერთოდ საქართველოს ისტორიაში, ქართული კულტურის ისტორიაში“ (იქვე).

<u>ფილოსოფოსი რეზო ბალანჩივაძე</u>: „წიგნში დიდი მეცნიერული სიღრმით და ღრმა პროფესიული კომპეტენტურობით არის ნაკვლევი საძიებელი პრობლემა. იგი ფუნდამენტური მეცნიერული ნაშრომია“ (იქვე).

<u>რეჟისორი დავით კობახიძე</u>: „აბსოლუტურად ვუერთდები განხილვაზე გამომსვლელებს, რომ მართლაც მოსალოცია ქართულ თეატრმცოდნეობაში ამ წიგნის გამოჩენა“.

<u>თეატრმოცნე ნანა ღვინეფაძე</u>: „წიგნში (II ტ.) სარკესავით ჩანს

არა მხოლოდ ქართული თეატრის მიღწევათა გზა და ბედი, არამედ ბედი ჩვენი ქვეყნისაც“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002, 27. III),

ასე მხარი დაუჭირეს ქართული თეატრის ხანგრძლივი ისტორიის დაწერის პირველ ცდას...

გულწრფელი აღიარებით მივიღე მათი მხარდაჭერა, ეჭვის შეტანა მათი შეურაცხყოფა და ჩემი უმადურობა იქნებოდა.

ასევე გულწრფელად მივიღე მრავალთა გულთბილი წერილი, წიგნებზე თუ ბარათებზე წარწერები და ლექსებიც, ინსტიტუტში თანამდებობებზე დასანიშნად, ჩემგან ორჯერ რეკომენდებულმა გ. დოლიძემ რომ მიძღვნა – „ჩვენო დიდო ხაზეინოო“...

ცხოვრება არც ერთი დღეა და არც ერთჯერადი განცდები.

ჩემს არქივში წავაწყდი ერთი უცნობი, უბრალო კაცის წერილს. ფანქრით დაწერილი წერილი გოგი დოლიძისთვის გაუგზავნია, გოგიმ კი მე გადმომცა. უცნობი წერს: „ ამხანაგ გ. დოლიძეს. პატივცემულო ამხანაგო! ამ რამდენიმე ხნის წინათ მე შემთხვევით წავიკითხე გაზ. „კომუნისტში“ 3/III თარიღით თქვენი რეცენზია ამხ. ვ. კიკნაძის მიერ გამოცემულ წიგნის შესახებ სათაურით „სანდრო ახმეტელი“. ამან მე ძალიან დამაინტერესა, რათ? იმიტომ, რომ საშა (მაშინ ასე ვეძახდით) ჩემი ნამოწაფარია. იმის მშობლებსაც ვიცნობდი, ჩვენს ახლოს ცხოვრობენ და ერთმანეთში მიმოსვლა გვქონდა. მე არც კი ვიცოდი, თუ ასეთი წიგნი გამოსული იყო და მაშინვე შევუდექი ძებნას. ბევრგან ვაკითხვინე წიგნის მაღაზიაში, ვერსად ვიშოვე. ბოლოს გადავწყვიტე მიმემართა თვითონ ამხანაგ კიკნაძისათვის დამხმარებოდა წიგნის შოვნაში. სამწუხაროდ იმის მისამართი ვერ გავიგე. ეხლა მოგმართავთ თქვენ, ხომ არ შეგიძლიათ შემატყობინოთ სად შეიძლება იშოვოს კაცმა ეს წიგნი, ან ხომ არ მოგეპოვებათ ზედმეტი ერთი ეგზემპლარი, ან იქნებ გვათხოვოთ რამდენიმე დღით, რაზედაც წინასწარ დიდი მადლობას მოგახსენებთ. პატივისცემით: ინვალიდი, პენსიონერი ვლად. ედილაშვილი. 12/II-65“.

ცხოვრება უკიდეგანოა და ყოველ დღე, ყოველ წამს ჩვენს ირგვლივ ათასი პარალელური დინებაა. ერთი ადამიანის ცხოვრებაც კი სამყაროსავით „უთვალავი ფერით“ არის სავსე. თუმცა ყველაფერში გულუხვ ქართველებს მაინცადამაინც ორი ფერი გვიყვარს – თეთრი და შავი. აი, ამ წუთს რაღაც გამახარე, ამიტომ გაღმერთებ. აი, მეორე წუთს, რაღაცაზე გული მატკინე – მოგკლავ (ფიზიკურად

თუ სულიერად).

ვერაფერს ვერ შევცვლით, ორფეროვნება ქართველების ბედისწერაა!

მგონი თემას გადავუხვიე. ასე იცის ასოციაციებმა და იმპროვიზაციებმა. აგერ უცებ არქივში ჩვენი სახელოვანი რეზო ჩხეიძის „უცნაურ“ წერილს წავაწყდი. ბატონი რეზო მწერს: „ბატონო ვასო! I კურსი, რომელიც ითვლება თენგიზ აბულაძისა და ჩემ სახელოსნოდ, შემიძლია წავიყვანო პრაქტიკის ჩასატარებლად 6 თვით ჩემს ფილმზე. ე.ი. მათ სასწავლო გეგმით უნდა ჩაუთვალოთ როგორც პრაქტიკა და I მეოთხედში განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ სხვა საგნებიდან (ლექციებიდან). ეს კარგი შემთხვევა იქნება პრაქტიკის ჩასატარებლად. მომწერეთ თქვენი აზრიი. რეზო ჩხეიძე. 22. V. 79.“.

ამ დოკუმენტზე მიმიწერია: „თ. ბაბლუანის, ი. კვაჭაძისა და ა. აბაკაროვის დიპლომების დაცვის დღე“.

სასწავლო მუშაობის დარგის პირველი პრორექტორი, რომელიც უპირველესად პასუხს აგებდა ინსტიტუტის მთელ სასწავლო პროცესზე, როგორ უნდა მოქცეულიყო? წინადადება მრავალმხრივ საინტერესო იყო და მომავალი რეჟისორებისათვის პირდაპირ დიდ საჩუქარი იყო პრაქტიკა, მაგრამ ექვსი თვით სასწავლო პროცესის შეწყვეტა და მხოლოდ პრაქტიკის ჩატარება, საბჭოური დისციპლინის და კონტროლის პირობებში, ძნელად გადასაწყვეტი საკითხი იყო!

ჩვენი კინოსტუდია (დირექტორი გური შენგელაია) ურთულეს ტექნიკურ პირობებში მუშაობდა, „ქართული ფილმი“ იყო ჩვენი იმედი.

დღეს სხვა პირობები აქვს კინოფაკულტეტს (დეკანი დ. ჯანელიძე) მეორე კორპუსში, გაფართოვდა მასშტაბები, თუმცა ისე იზრდება ტექნიკური ნოვაციები, რომ ძნელია „მსოფლიო სტანდარტების“ მიღწევა. მაგრამ, თითქოს უცნაურია, რომ ჩვენი სტუდენტები ყველა პირობებში აღწევენ საერთაშორისო წარმატებებს!

როცა დღევანდელი სტუდენტები ჩემი სტუდენტობის პერიოდის ამბებს ისმენენ, ამას ისე აღიქვამენ, თითქოს რაღაც ზღაპრებს ვყვები. გაოცებული თვალებით მიყურებენ, თითქოს მართლაც მითია.

სტუდენტობის წლებში ინსტიტუტში მუშაობდა ერთი ადმინისტრაციული დარგის მუშაკი, სონღულაშვილი, დღევანდელი ბიჭიკო ნიკვაშვილის წინამორბედი. დილით მოსვლას ვერავინ

დაასწრებდა, მთელი დღე ინსტიტუტში ტრიალებდა.

ჩემი ჯგუფელები ნოდარ გურაბანიძე და თენგიზ ჯანელიძე ხშირად მაგიდის ჩოგბურთის სათამაშოდ მიდიოდნენ კვირა დღეს. მაგიდა მე-2 სპორტულ აუდიტორიაში იდგა. ზოგჯერ რექტორი მ. კვესელავაც კი თამაშობდა.

ერთ-ერთ კვირა დღეს, მათ სონღულაშვილმა ინსტიტუტის კარები არ გაუღო, არ შემოუშვა. ბიჭების ხვეწნამ არ გაჭრა, მერე დაემუქრნენ და მუქარა შეასრულეს: კედლის გაზეთში გაწერეს სონღულაშვილის საქციელი, სტუდენტებს სპორტულ თამაშებს გვიშლისო, იყო ბრალდება.

ინსტიტუტის პარტბიურომ განიხილა ინციდენტი, მაგრამ მხარი დაუჭირეს სონღულაშვილს. კომკავშირლებს უფლება არ ჰქონდათ პარტიული ამხანაგი გაეწერათ კედლის გაზეთში...

სტალინის ეპოქაში უცნაური იერარქიული სისტემა იყო. ყველა საფეხურს (ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი, პარტიული) თავისი უფლება-მოვალეობანი ჰქონდა.

თუ დღევანდელობასთან პარალელს გავავლებთ, დღეს სტუდენტებს ზედემოკრატიული პირობები აქვთ.

დღეს თითქოს დაუჯერებელია, რომ სულ რაღაც ოცდაათი წლის წინ, ჭიათურის აკაკი წერეთლის სახ. თეატრში რელიგიური მოტივით მოხსნეს დ, კლდიაშვილის „სოლომან მორბელაძე“, რომელიც ჩემი ინსცენირებით დადგა რეჟისორმა ოთარ გვიჩიამ. სპექტაკლის ფინალში, სცენის სიღრმეში ქრისტეს სურათი ილანდებოდა. სოლომანი ღმერთს სთხოვდა, დამეხმარეო. ყველგან სიცრუეა გამეფებული. საჩხერეში გამოჩნდნენ მონაზვნებიო, — შეშფოთებული მელაპარაკებოდა რაიკომის ერთ-ერთი მდივანი, სცენაზეც რელიგიის აქცენტიაო.

ინსტიტუტის დიდი ისტორიის ერთ-ერთი ნათელი და გამოჩენილი ფურცლებია დრამატურგთა მომზადების სპეციალობის შექმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ჩვენი გამოჩენილი მწერალი თამაზ ჭილაძე. მან ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლები გამოავლინა, დააოსტატა და ფართო ასპარეზზე გაიყვანა. თამაზის პირველი ლექცია და მეცადინეობა „მასტერ კლასის“ ჩატარება იყო.

# მარად და ყველგან!!!...

ილია ჭავჭავაძემ საქართველოს უთხრა: „მარად და ყველგან შენთანა ვარო“...

ილიას შეეძლო ასე ეთქვა საქართველოსთვის.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ მე იმავეს ვიტყვი ქართულ თეატრზე - „მარად და ყველგან შენთანა ვარ!“...

იმავეს გავიმეორებ უნივერსიტეტში გატარებულ ნახევარ საუკუნეზეც...

წერის დროს ხსოვნის სალაროდან წამოტივტივდება ხოლმე ათასი ფაქტი, დეტალი თუ მოვლენა.

ჩემი პრორექტორობის პირველ წლებში სულ აღვიკვეთე ქალაქიდან გასვლა, მაგრამ, ერთხელ თელავის თეატრში მაინც მომიწია სპექტაკლის სანახავად ჩასვლა. მეორე დღესვე, თეატრის დირექტორის კაბინეტში გაისმა ინსტიტუტის რექტორის ეთერ გუგუშვილის ტელეფონის ზარი: ვასო, სასწრაფო წერილია გასაგზავნი სამინისტროში, მე არაფრის საქმის კურსში არა ვარ... ჩამოდი... იქნებ დღესვე გამოჰყვე რამეს...

რა უნდა მექნა, წამოვედი იმავე დღეს.

შაბათობით მუშაობა ხომ წესად მქონდა. ერთხელ, ინტერესისათვის, დავიანგარიშე და თითქმის 900 დღე მიმუშავია ზედმეტად.

მივლინებებშიც იშვიათად მივდიოდი. გამონაკლისი იყო ლენინგრადში წასვლა, მ. კალანდარიშვილი იცავდა დისერტაციას. ეთერი, მე და ნათელა ურუშაძე წავედით (ნათელა ოპონენტი იყო). მიშამ კარგად დაიცვა დისერტაცია. ქალაქი დავათვალიერე და მოვიხიბლე. გოგი ყაჯრიშვილი იქ იყო, როგორც „ძველი ლენინგრადელი“, იქ სწავლობდა. ლენინგრადში გატარებული ორი დღე სასიამოვნო მოგონებად დამრჩა. მიშას დისერტაცია ს. ახმეტელის შემოქმედებას ეხებოდა და მაშინ ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ჩემს თანამოაზრეს და „მოკავშირე ახმეტელისტს“, მეცნიერული დონითაც გამოირჩეოდა.

ვინ გაძალებდაო ზედმეტ მუშაობას, გაიფიქრებს ან იტყვის ვინმე. ვინ და ჩემი მუშაობის სტილი, საქმე და მოვალეობის გრძნობა მაძალებდა. მართალი იყო ჩემი მეგობარი ალეკო შალუტაშვილი, ერთხელ გაბრაზებულმა რომ მითხრა: მუშაობის ხარბი ხარ... საქმეებს იგონებო...

თუმცა რ გამოგონება უნდოდა, ბავშვობიდანვე შრომაში ვიყავი ჩაბმული. შემოთენდებოდა თუ არა, ძილ-ღვიძილში ჩამესმოდა მამაჩემის ხმა: ადექი ბიჭო!..გაკეთდა ქვეყანაო!..

გაღიზიანებული ვფიქრობდი: ,,გაკეთდა, არა!!!

დიდხანს არ მესმოდა: ,,გაკეთდა ქვეყანაო!" – გლეხკაცის სიბრძნეს გვიან ჩავხვდი.

ინსტიტუტში (უნივერსიტეტში) ბევრი რამ კეთდებოდა, მთელი დღე ხალხით იყო სავსე. ჩემს კაბინეტთან მუდამ რიგი იდგა, ყველას ვჭირდებოდი, ყველა რაღაცას მთხოვდა. რაც უფრო მეტს ვმუშაობდი, უფრო მეტი საქმე ჩნდებოდა. პირდაპირ ,,აღუვსებელი" იყო საქმე, მაგრამ ხანდახან ტურისტულ მოგზაურობაშიც მივდიოდი.

1986 წლის ოქტომბერში ესპანეთში წავედი ტურისტულ მოგზაურობაში. 9 ოქტომბრის დღიურში ჩამიწერია: ,,ნეტავ ნოდარ გურაბანიძე თუ დანიშნეს ისევ მინისტრის მოადგილედ, თავად შეიზღუდება, მაგრამ ეს ხომ ბოდიშის მოხდასავით იქნება იმ უსამართლობაზე, მაშინ მის მიმართ რომ ჩაიდინეს".

მოგზაურობისას ინსტიტუტი მომენატრა, მომენატრნენ ყველანი. საკმარისია ცოტა ხნით მოშორდე შენს გარემოს, რომ იგრძნო, თუ როგორ ხარ მთელი შენი შინაგანი სამყაროთი, მთელი არსებით დაკავშირებული შენს ხალხთან. ეხ, სტუდენტებო, სტუდენტებო!... თქვენი და ჩემი ცხოვრება, – ყველაფერი მაგ კედლებში მიმდინარეობს. რა სასაცილოა, სტუდენტებს რომ ვუწყრები ხოლმე, რატომ აცდენთ ლექციას?... როგორ იქცევით? აი, აქედან, ესპანეთიდან რაღაც საბავშვო ბაღად მეჩვენება ყოველივე. რაც უფრო დიდხანს, სწავლი ახალგაზრდებს ჭკუას, აკონტროლებ, მით უფრო გვიან ხდება დამოუკიდებელი. ჩვენი უმაღლესები ახალგაზრდებს ბავშვობას უხანგრძლივებენ. ერთხელ რექტორმა ეთერ გუგუშვილმა დაწერა თავისუფლი დასწრების შემოღებაზე. ერთი-ორი წელი იქნება ძნელი, მერე შეეჩვევიან, ყველაფერი ჩადგება კალაპოტშიო. ასეა ყველა ქვეყანაში, გარდა საბჭოეთისა, არ ვიცი, მზად ვართ კი ქართველები ამისათვის?!... ,,ახალგაზრდობა მომავალ დღეთა"– თქვა პოეტმა. როგორ მყვარებია ჩემი სტუდენტები. ნეტავ რას აკეთებენ ახლა? ალბათ ისევ უდარდელად ხორხოცობენ, ხმაურობენ, ამტვრევენ, ვნება არ ასვენებთ... ასე რომ არ იყოს, რას ემგვანებოდნენ? ,,ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" – არჩილ სულაკაურის მოთხრობის სათაურია. ზუსტია.

X X X

შრომაში დრო მალე გადიოდა, მით უფრო ჩემი დრო ინსტიტუტში, სადაც ბევრი რამ იყო სანახავი. სტუდენტთა ამდენ სპექტაკლს და ფილმს ნახვა არ უნდა? მერე ეწყობოდა მათი განხილვები, იმართებოდა კამათი. უსაშველოდ ვიღლებოდი, მაგრამ სახლში რომ მივიდოდი, ჩემი ბავშვები მაია და ბექარი ყველაფერს მავიწყებდნენ. ოჯახში სულ სხვა სამყაროში გადავდიოდი. თავს ბედნიერად ვგრძნობდი, თუმცა მუდამ სევდიანი ფიქრებით ვიყავი გატაცებული, ეს ჩემი ჰობია.

ერთ დღეს ინსტიტუტში თავი ცუდად ვიგრძენი, გულმა დამიწყო ჩხვლეტა. გადავწყვიტე ზღვაზე წასვლა დასასვენებლად. კინოკავშირს ბიჭვინთაში დასასვენებელი სახლი ჰქონდა. მგონი, მე ერთადერთი თეატრმცოდნე ვიყავი კინოკავშირის წევრი. ლალა თაბუკაშვილმა მომიტანა კავშირიდან დოკუმენტები, ერთად შევავსეთ. მოვიძიე ჩემი წერილები კინოფილემებზე, საკმაოდ ბევრი აღმოჩნდა. მეამყება, რომ მერაბ კოკოჩაშვილის პირველ ფილმს „მიხოს“ მე დავულოცე გზა. ახალგაზრდა რეჟისორს კარგი მომავალი ვუწინასწარმეტყველე. „კოჭებში ეტყობოდა“,ნიჭიერი რომ იყო. მერაბი ღირსეული მოღვაწეა, ნამდვილი მამულიშვილი, ნიჭითა და ეროვნული ენერგიით სავსე.

ეთერმაც მითხრა, ათი დღით წადი, გულს მოუხდებაო. წავედი.

დასასვენებლ სახლში მოულოდნელად ნათელა არველაძეს შევხვდი. ნათელა დასასვენებლად „გამოპარული“ იყო ინსტიტუტის სამეცნიერო სექტორიდან. დღეს რომ ვიხსენებ, სექტორი უნივერსიტეტში „მიკროკომუნიზმი“ იყო. კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ, ერთმანეთის შრომებს იხილავდნენ, კამათობდნენ. წელიწადში ერთ ფორმასა თუ ფორმანახევარ შრომას წერდნენ. სულ ეს იყო და ეს. პედაგოგები, რომლებიც კვირაში 18-20 საათს კითხულობდნენ ლექციებს, სულ მსაყვედურობდნენ სექტორის განსაკუთრებული კომფორტულობის გამო (პედაგოგებს ხომ სამეცნიერო შრომების დაწერაც ევალებოდათ).

სექტორში ერთი სხდომის გაცდენა ორკვირიან თავისუფლებას ნიშნავდა. ასეთი მდგომარეობა პედაგოგისათვის წარმოუდგენელი იყო. უნივერსიტეტს ამთავრებდნენ თეატრმცოდნეები და კინომცოდნეები. მათი დასაქმებისათვის სექტორი სულის მოთქმასავით იყო, თუმცა ჩემმა სტუდენტებმა გ. ცქიტიშვილმა, ლ. ხეთაგურმა, კ.

აბაშიძემ არ ისურვეს სექტორში დიდხანს დარჩენა. გ. ჩართოლანი ტელეჟურნალისტიკაში დაოსტატდა, საინტერესო წიგნიც დაწერა და ტელევიზიაშიც დაიწყო მოღვაწეობა დიდი ხანია. კოტემ პროფესია შეიცვალა, რეჟისურის პროფესიას დაეუფლა და აქტიურად მოღვაწეობს თეატრში.

ერთხანს, ეთერს ნათელასთან არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება. არ ვიცი, მათ შორის რა მოხდა, მაგრამ ეთერი, ,,ფეხებში მისჩერებოდა" მას, აკონტროლებდა მის ყოველ ნაბიჯს. სწორედ ამ პერიოდში შევხვდი ნათელას ბიჭვინთაში. იგი კურორტზე გულღია და ხალისიანი იყო, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს დასვენების დროს. ერთ-ერთ დღეს ფოიეში ვიღაც წითელთმიანი, ასაკოვანი, უზარმაზარი ქალი ამეკიდა. საგანგებოდ გამოწყობილმა ქალმა მიტრიალა ერთი დღეს, ორ დღეს. სანატორიუმის ფოიეში იჯდა და მელოდებოდა, როდის ავუხსნიდი სიყვარულს. მგონი, მესამე თუ მეოთხე დღე იყო, როცა ნათელა გამომიტყდა და სიცილით მითხრა: ერთ ქალს მე ვუთხარი, რომ მოგწონს, მაგრამ ვერ უბედავ სიყვარულის ახსნას, ამიტომ გიტრიალებსო. მივხვდი, ვისზეც იყო ლაპარაკი, – იმ ეშმაკის მაშხალაზე ამბობ?

ნათელა ერთობოდა.

– მეტი ვერ გაიმეტე? – ვუთხარი საყვედურით.

– მაშინ გასართობიც არ იქნებოდა, – მითხრა ნათელამ.

დამთავრდა დასვენების დღეები. ნათელამ მითხრა, კი არ ,,გამოვიპარე", დავეთხოვე ხელმძღვანელსო...

მოვსულიერდი, დავუბრუნდი სამსახურს. მეორე დღეს ეთერი მეუბნება: ვასო, რა უსინდისო ჭორიკანები არიან ჩვენთან, პირდაპირ გააჭირეს საქმე სისულელეებით.

– რა იყო, მოხდა რამე?

– წარმოგიდგენია? ვითომ ბიჭვინთაში შენ და ნათელა არველაძე ერთად ისვენებდით, ვითომ ნათელა შენ გაათავისუფლე სამსახურიდან ორი კვირით, ჩემს უკითხავად...

– ვინ გითხრა ეგ სისულელე!

– რა თქმა უნდა, სისულელეა!

– ხომ ხედავ, რაზე მიდის ხალხი, უნდათ ჩვენ შორის ,,ჩორთი" ჩამოაგდონ...

არ ვიცი, ვინ მიუტანა ამბავი, არც დავინტერესებულვარ, ტყუილი ხომ არ იყო...

ასე მშვიდობიანად დამთავრდა „მოჭორილი ამბავი“. მაგრამ სექტორის გახსენებამ ათასგვარი ფიქრები წამომიტივტივა. მაინც რა საოცარი იყო საბჭოთა განათლების სისტემა. რამდენ ფულს ხარჯავდა უმაღლესებში სამეცნიერო დარგში. ხელთ მაქვს უნივერსიტეტის 1995 წლის გაზეთი „თეატრი და კინო“, რომლის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის თამაზ ქვარიანს. თამაზი ენთიზიასტი, მხარში მდგომი კაცი იყო, ჩემი ინიციატივით მოვიყვანეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პრორექტორის თანამდებობაზე. 1996 წლის 1 იანვრის საშტატო მონაცემებს რომ გადავხედე, თვალებს არ დავუჯერე (ვითომ არ ვიცოდი!), რამდენი შტატი ყოფილა დ. ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრში: მთავარი და წამყვანი მეცნიერ-მუშაკი იყო 23, უფროსი მეცნიერ-მუშაკი – 10, უმცროსი მეცნიერ-მუშაკი – 4, მეცნიერ-მუშაკი – 11, უფროსი ლაბორანტი – 5, ამას დაუმატეთ დარგის პრორექტორი (თ. ქვარიანი), სულ – 54 კაცი.

54 კაცი – ეს ხომ მთელი სამეცნიერო ინსტიტუტია!.. წლების განმავლობაში დარგს ნ. გურაბნანიძე ხელმძღვანელობდა, გ. ჟორდანიამ და მე გადავწყვიტეთ დარგის სამეცნიერო და საერთო ავტორიტეტისათვის პრორექტორად მოგვეწვია ნოდარ გურაბანძე.

ორმოცდარვა მეცნიერ-მუშაკის მიერ შექმნილი პროდუქცია, რა თქმა უნდა, ადეკვატური არ იყო (ეს საკამათო არ არის და ცალკე საუბრის თემაა), მაგრამ ამ დროს სამი ფაკულტეტის დეკანები (დ. კობახიძე, ზ. მანაგაძე, ი. გობეჯიშვილი) მართავდნენ მთელ სასწავლო პროცესს, მის ყოველდღიურ ცხოვრებას, სულ 20 კაცი მუშაობდა.

შტატების გაბერვის ტენდენცია მარტო ჩვენს ინსტიტუტში არ შეიმჩნეოდა, იგი მთელ საბჭოთა სახელმწიფოში მიმდინარეობდა და ხალხის დასაქმების პოლიტიკის ნაწილი იყო. უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა და კაპიტალისტურ სამყაროსთან შეჯიბრი საბჭოთა კავშირს აიძულებდა შეექმნა ახალ-ახალი შტატები.

უმუშევრობა კაპიტალიზმის ყველაზე სუსტი ადგილი იყო და არის, ხოლო ყველას სამუშაო ადგილი! – სოციალიზმის დიდი უპირატესობა იყო, ასეთად დარჩა ისტორიაში.

ეს ისტორიული რეალობაა!

ინსტიტუტს ზრდასთან ერთად მატერიალური ბაზაც სჭირდებოდა. მახსოვს, როგორ გადმოგვცეს მესამე სართული – კულტურის

სამინისტროს ნაწილი.

ჩვენს სასწავლო თეატრში გიზო ჟორდანიას ჯგუფის სპექტაკლის (დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“) ჩვენება იყო. სპექტაკლს ესწრებოდა ცეკას მდივანი ჯ. პატიაშვილი. წარმოდგენა ძალიან მოეწონა. ე. გუგუშვილმა იხელთა დრო და უთხრა: ბატონო ჯუმბერ., აი, ასეთ კარგ ახალგაზრდებს შეიძლება ნორმალური მუშაობის პირობები არ ჰქონდეთ? ვიცი, რომ კულტურის სამინისტრო გადადის სხვაგან. მოგვეცით ჩვენს ინსტიტუტს ის შენობა, თქვენგან კარგი საჩუქარი იქნება ახალგაზრდებისათვის. თუმცა, მე რა უნდა გთხოვოთ, როცა თქვენ ყოველთვის ახალგაზრდებთან იყავით და ხართ. – ეშმაკური ღიმილით დაამთავრა და ხელი გაუწოდა ბ-ნ ჯუმბერს (დაარტყიო), ბ-ნმა ჯუმბერმა გაიღიმა და ხელი ჩამოართვა დასტურის ნიშნად.

ასეც გადაწყდა კულტურის სამინისტროს შენობის ბოლო სართულის უნივერსიტეტისათვის გადაცემის საკითხი. შემდგომ კულტურის უნივერსიტეტის შემოერთებას მისი სოლიდური შენობის გადმოცემა მოჰყვა, რომელიც დღეს უნივერსიტეტის მეორე კორპუსის სახელწოდებით არის ცნობილი.

დ. ჯამელიძის გარდაცვალების შემდეგ, სამეცნიერო-კვლევით სექტორს მისი სახელი მიენიჭა, ხოლო შემდეგ „ბოლონიის პროცესმა“ თავდაყირა დააყენა უმაღლესების სამეცნიერო მუშაობა.

გაუქმნდა პრორექტორების თანამდებობა. შეიცვალა ორგანიზაციული სტრუქტურა. 2005 წლიდან პრორექტორი აღარ ვარ და ყოველთვის ვცდილობ, სხვის საქმეში არ ჩავერიო. თანამშრომლების მიღება-განთავისუფლების პრობლემაც მომეხსნა. რეფორმისა და რეორგანიზაციის შედეგად გაუქმნდა სამეცნიერო სექტორი და ცხადია, არარსებულ სტრუქტურას აღარც დიმიტრი ჯანელიძის სახელი დარჩა. უნივერსიტეტში აღარ არის სხვა, დიდი, ერთიანი სამეცნიერო ცენტრი, დ. ჯანელიძის სახელს რომ ეკადრება... უვიცების გარდა, ეს ალბათ ყველამ იცის.

უნივერსიტეტმა ყველაფერი მომცა, რისი მოცემაც შეეძლო. მიწამდე თავს ვხრი მისი დიდი სახელის წინაშე.

უნივერსიტეტზე ფიქრში, როგორც „დაბურულ ნისლში“, ცოცხლდებიან ათასგვარი სტუდენტური საღამოები. არ მავიწყდება ცეკვის საჯარო პრაქტიკის კონცერტები. ერთხელ, ჩვენს მცირე სცენაზე ცეკვის პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისეთი ცეცხლი

გააჩინეს, ისეთი ვნებით და სილამაზით ცეკვავდნენ, რომ სიხარულისა და სიამაყის გამო მე და ნოდარ გურაბანიძე აღტაცებულები დავრჩით... სიჭაბუკის ნამდვილი დიონისური, არტისტული ზეიმი იყო.

მაგონდება ძველი ებრაული პოეზიის საღამო (ჯ. ავჯიაშვილის ბრწყინვალე თარგმანი), რომელიც მანანა ბერიკაშვილმა დადგა. ანდა მისივე დადგმით ო. ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, რა პოეტური ატმოსფერო იყო, როგორი სიამაყით გვევსებოდა გულები, როცა ახალგაზრდები ვარსკვლავებივით ანათებდნენ.

კონსტანტინე გამსახურდიამ, ოპერისა და ბალეტის თეატრში თავის საიუბილეო საღამოზე თქვა: მე დავიბადე მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პატარა მდინარის პირას. ჩემს თავს შევძახე: შენ ეი, ყველაზე პატარა მდინარის პირას დაბადებულო, არ გაჯობონ დიდი მდინარის პირთა დაბადებულთა. ჩვენი უნივერსიტეტიც დიდი უნივერსიტეტების გვერდით დაიბადა, სადაც თავდაპირველად ოცი ოდე სტუდენტი სწავლობდა და ოთხი განხრა იყო. 2005 წლის 11 აპრილის მონაცემებით კი ორმოც სპეციალობამდე გაიზარდა (დასწრებული და დაუსწრებელი), სადაც ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობდა.

უნივერსიტეტმა ყველაფერი მომცა, რისი მოცემაც შეეძლო. მიწამდე თავს ვხრი მისი დიდი სახელის წინაშე.

მაგრამ გინახავთ კი ისეთი ადამიანი – „ვის თვის გული ერთხელ აღევსოს და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს“?... (ნ. ბარათაშვილი).

მე არ მინახავს!...

უნივერსიტეტზე ფიქრში, როგორც „დაბურულ ნისლში“ ცოცხლდებიან ათასგვარი სტუდენტური საღამოები. არ მავიწყდება ცეკვის საჯარო პრაქტიკის კონცერტები. ერთხელ, ჩვენს მცირე სცენაზე ცეკვის პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისეთი ცეცხლი გააჩაღეს, ისეთი ვნებით და სილამაზით ცეკვავდნენ, რომ სიხარულისა და სიამაყის გამო მე და ნოდარ გურაბანიძე აღტაცებულები დავრჩით... სიჭაბუკის ნამდვილი დიონისური, არტისტული ზეიმი იყო.

მაგონდება ძველი ებრაული პოეზიის საღამო (ჯ. ავჯიაშვილის ბრწყინვლე თარგმანით), რომელიც მანანა ბერიკაშვილმა დადგა. ანდა მისივე დადგმით ო. ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, რა პოეტური ატმოსფერო იყო, როგორი სიამაყით გვევსებოდა გულები, როცა ახალგაზრდები ვარსკვლავებივით ანათებდნენ.

1980 წლის 15 ივნისს ე. გუგუშვილმა გადმომცა მირზა გელოვანის დის – როენას წერილი. როენა წერდა: „ქალბატონო ეთერ! მე გაწუხებთ პოეტ მირზა გელოვანის და როენა. დავესწარი თქვენი ინსტიტუტის სადიპლომო სპექტაკლს „რეკვიემს“, რამაც ძალიან აღმაფრთოვანა. ამ ახლგაზრდებმა ისე ძლიერად, ისე კარგად განახორციელეს თითოეული ეპიზოდი, რომ საყოველთაო ქებას იმსახურებენ. მე პირადად მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თქვენს ინსტიტუტს ასეთი კადრების აღზრდისათვის. გადავუხადო მადლობა სპექტაკლის შემოქმედებით კოლექტივს: რეჟისორს, კომპოზიტორს, მხატვრებს და მსახიობებს, რომლებმაც თავისად გაიხადეს თითოეული პერსონაჟი და ისეთივე ახალგაზრდული გატაცებით წარმოგვიდგინეს, როგორც ის თაობა იყო.

ვფიქრობ, თუ მირზას თაობამ თავი გასწირა მომავლისათვის, ამ ბავშვებმაც თავიანთი თამაშით ღირსეულად მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი ყველა მებრძოლის წინაშე.

კარგი იქნება, თუ ეს სპექტაკლი დარჩება თეატრის რეპერტუარში და ტელევიზიითაც გადაიცემა.

პატივისცემით, საქ. დამსახურებული არტისტი როინა გელოვანი“.

მირზა გელოვანის მიერ ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები პირველად მე გამოვაქვეყნე. თიანეთში მირზას დას მივწერე და მან გამოგზავნა მირზას წერილები, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ დავბეჭდე.

ასე რომ, ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მირზას დის წერილი.

X X X

უნივერსიტეტში იმდენად ფართო გასაქანი მიეცა სტუდენტთა შემოქმედებით აქტიობას და მათ საჯაროობას, რომ გურამ საღარაძემ „ლიტერატურული თეატრი“ შექმნა, მშვენიერი სცენა გაკეთდა „სხვენში“. გურამი მხატვრული კითხვის დიდოსტატი იყო და წინ მიუძღოდა სტუდენტებს. ეწყობოდა პოეტებთან შეხვედრები, მათი ლექსების მხატვრული კითხვა. საღამოებში დიდი ინტერესით მონაწილეობდნენ ლექსის ორიგინალური კითხვის ოსტატები ზინა კვერენჩხილაძე და მურმან ჯინორია.

ჩვენს პატარა ინსტიტუტს ბევრჯერ გადახდა დიდი ამბები. მარტო ხანძრის ორი შემთხვევის გახსენებაც კი შემზარავია. პირველად, რუსთაველის თეატრი რომ დაიწვა, მაშინ ბევრი რამ განადგურდა ჩვენს კორპუსში, მეორედ – სულ ახლახანს სამიოდე წლის წინ გაჩნდა ხანძარი, ჩვენს კორპუსში მოსახლეობა ცხოვრობდა და მათი მხრიდან დაიწყო უბედურება. დაიწვა არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი. დამწვარი დოკუმენტების გორები იდგა. სასწაულებრივად გადაურჩა მოწამვლას ჩემი ძმისშვილი, ეკა კიკნაძე, რომელიც ნამწვავისაგან თვალებდასიებული, ნაკუწ-ნაკუწ აგროვებდა დოკუმენტებს. მანანა ამაშუკელი კი, როგორც ყოველთვის, დიდი ერთგულებით მხარში ედგა მას და მუზეუმის ინტერესებისათვის იბრძოდა, სხვებიც ეხმარებოდნენ. ამ დროს ქართველებმა ვიცით მხარში დგომა...

ყველაზე მეტად ჩემი უნივერსიტეტის გაუცხოების მეშინია. თაობები იცვლებიან, მაგონდება გალაკტიონის მწარე სტრიქონები „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“...

არა, სხვა ხალხი არავინ არის, ყველა ჩემიანია!..

და მაინც!..

X X X

უფასოდ სწავლების საბჭოურ წლებში, უმაღლესებში ერთი დღით დაიგვიანა სტიპენდიამ და ცენტრალურ კომიტეტში, პირველ მდივანთან (ჯ. პატიაშვილი) გამოგვიძახეს უნივერსიტეტების ხელმძღვანელები. მკაცრად გაგვაფრთხილეს, მაგრამ სასჯელს გადავურჩით, რადგან გაარკვიეს, რომ ფინანსთა სამინისტროს მიზეზით შეფერხებულია.

რით იყო ცუდი ასეთი სიმკაცრე?

მთელი საქართველო მოფენილი იყო კულტურის სახლებით, კლუბებით, კინოთეატრებით. ახალგაზრდობას, და საერთოდ რაიონებისა და სოფლის მცხოვრებლებს გართობისა და დასვენების საშუალება ჰქონდათ.

ერთი სიტყვით, იცხოვრებოდა. დრამატული, სიმღერისა და ცეკვის, ლიტერატურისა თუ ათასი სხვა წრეებით იყო მოფენილი ქვეყანა, ოლიმპიადებზე ბრწყინავდნენ ახალ-ახალი თაობები, ნიჭიერი ახალგაზრდები. ხალხური შემოქმედების მასშტაბების ზრდამ, კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის გაფართოებამ,

ინსტიტუტი ლოგიკურად მიიყვანა კულტურულ-საგანმანათლებლო ფაკულტეტის შექმნამდე. ელიტარული სპეციალობების გვერდით, გაჩნდა „დემოკრატიული“ სპეციალობაც. კარგად მახსოვს,სამსახიობო ფაკულტეტის იმ აბიტურიენტებს, რომლებსაც „არტისტული ჰაბიტუსი“ არ ჰქონდათ, ვურჩევდით, „კულტზე“ შეეტანათ საბუთები.

წესად გვქონდა გამოცდებზე აბიტურიენტისათვის უნდა გვეკითხა:

თბილისელისათვის: გვითხარი, მთაწმინდაზე ვინ სად არის დასაფლავებული?..

რაიონიდან ჩამოსულთათვის: როდის ჩამოხვედი თბილისში? მთაწმინდაზე იყავი?..

თუ აღმოჩნდებოდა, რომ თბილისელი ახალგაზრდა არ იყო ნამყოფი მთაწმინდაზე, გასაუბრებაში ნიშანს ვაკლებდით. ასევე რაიონიდან ჩამოსულს, თუ ორიოდე კვირა მაინც ცხოვრობდა თბილისში. არ ვიცი, ეს ჩემი აკვიატება იყო თუ პრინციპი, ვერ ვეგუებოდი, ვისაც ილიას ან ბარათაშვილის საფლავი არ ჰქონდა ნანახი. როგორც ჩანს, გარკვეულ როლს ჩემი ბიოგრაფიაც ასრულებდა. როცა სოფლიდან პირველად ჩამოვედი თბილისში, იმავე დღეს წავედი მთაწმინდაზე. ვიდექი ბარათაშვილის საფლავთან და ვჩურჩულებდი მის ლექსს „შემოღამება მთაწმინდაზე“, ჯერ კიდევ მოხდილი არ მქონდა პოეტობის „საყმაწვილო სენი“. ბარათაშვილის გავლენით ლექსების ციკლიც მქონდა დაწერილი, მაგრამ ბედად მალე დავიწყე თვითკრიტიკული აზროვნება და თავი დავანებე ლექსების წერას...

იმას კი ვერ შევეგუე, თბილისელი ახალგაზრდა რომ მთაწმინდაზე არ იყო ნამყოფი.

არ ვნანობ. დიდ წინაპართა საფლავებთან არის დაკავშირებული ჩვენი ეროვნული ღირსებაც და ისტორიის გენეტიკური კოდიც...

პირველკურსელებს, ფიცი მთაწმინდაზე მივაღებინეთ, შემდეგ ფიცის მიღება დამკვიდრდა ყვარელში, კოტე მარჯანიშვილის სახლ-მუზეუმში...

ფიცის ტექსტი მე შევადგინე, რომელმაც შემდგომ თანდათან სახე იცვალა. ორი წელი, მიუხედავად რექტორის მიპატიჟებისა, მაინც ვერ წავედი ყვარელში. არადა, ტრადიციად იყო ქცეული, მე უნდა მეთქვა პირველკურსელებთან სიტყვა და გზა დამელოცა.

ამასწინათ, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შევიარე.

დეკანატში მარინა ხარატიშვილთან და მის მოადგილესთან – მერი დადიანთან ორი სტუდენტი გოგონა იყო, მგონი პირველკურსელები იყვნენ, რომლებიც ამ დღეებში მეორეზე გადადიოდნენ.

– ბატონო ვასო, გთხოულობენ, მსახიობებს მეორე კურსზე ხომ წაუკითხავთ ლექციებს? – მკითხა მერიმ.

გოგონები გაბრწყინებული სახეებით მიყურებდნენ

– წავიკითხავ, – ვთქვი და გამოვბრუნდი. მთელი დღე სასიამოვნო განცდა გამომყვა. არ მავიწყდება გაღიმებული გოგონების სახეები. და გამახსენდა ვერიკო ანჯაფარიძის სიტყვები – მსახიობისთვის სცენაზე არ არსებობს სიბერეო.

არც ჩემში ბერდებიან ლექციის კითხვის სურვილები...

მაგრამ როდემდის?!

X X X

კულტსაგანმანათლებლო ფაკულტეტზე ბევრი საინტერესო ახალგაზრდა სწავლობდა, რომლებიც მიმოიფანტნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ზოგი პროფილით მუშაობს, ზოგი ბედმა სხვა გზას გაუყენა. უნივერსიტეტში დარჩნენ და აგერ რამდენი წელია მოღვაწეობას აგრძელებენ ზურაბ ზანგურაშვილი და სოსო გობეჯიშვილი. სამეცნიერო ხარისხებიც დაიცვეს.

მუდამ გულისყურით ვადევნებ თვალს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ცხოვრებას. ვამაყობ მათი წარმატებებით. ვგრძნობ, რომ „ჩვენი ფირმის“ გამოშვებაა, იუმორით ვუყურებ ჩემს ასაკს, როცა ჩემს ყოფილ სტუდენტებს გაჭაღარავებულს ვხედავ. როცა დიდი ხნის უნახავ ყოფილ სტუდენტებს შევხვდები ხოლმე, ტაქტიანად მეტყვიან – მე ესა და ეს ვარო. არ მავიწყდება ასეთი შემთხვევაც: ორი წლის წინ შემხვდა ერთ-ერთი ჩემი ყოფილი სტუდენტი, გადამკოცნა და ღიმილით მითხრა: მე თქვენი ყოფილი სტუდენტი ვარ... მიცანით?... აბა, რა გვარის ვარ?

გამოცდა მომიწყო, შემრცხვა, გვარი არ მახსოვდა. იუმორმა მიშველა: რა გვარისაც იყავით, იგივე დარჩით...

ორივეს გაგვეცინა.

ჩემს ყოფილ სტუდენტებზე ზრუნვა მთელი ცხოვრება გამყვა. როცა თანამდებობა საშუალებას მაძლევდა, მეტს ვფიქრობდი მათზე,

ოცდათორმეტი წლის მანძილზე ისე შეეჩვივნენ მზრუნველობას ჩემო კოლეგები, სტუდენტებიც და სხვა თანამშრომლებიც, რომ პრორექტორის თანამდებობიდან გადადგომის შემდეგაც ჩემგან იმავეს მოითხოვენ, დახმარება და ყურადღება უნდათ. არავინ არ ფიქრობს, რომ „მე ის თამრო აღარ ვარ“...

არაო, – მაინც შეგიძლია დამეხმაროო, – იტყვიან და მათიც მესმის.

ჩემიანებზე რა უნდა ვთქვა, მაშინ როცა ჩემს სახლთან ახლოს, ნაცნობი ტაქსისტიც კი მოღუშული მიყურებს ხოლმე, როცა საქალაქო ტრანსპორტში ვჯდები.

ხალხური სიბრძნეა – „მიუჩვეველს ნუ მიაჩვევო“... მაგრამ დიდიხანია „მიუჩვევლები მივაჩვიე“...

„ბუნება მბრძანებელიაო“ – ამბობს ვაჟა და მართალიც არის. „ადამიანის ბუნებაც“ მბრძანებელია. ჰოდა, მეც ჩემი ბუნების ძახილს მივყვები. სადაც ჩვენს უნივერსიტეტელს შევხვდები, ყოველთვის გამოვხატავ საგანგებო კეთილგანწყობას. საერთოდ, დღეს იშვიათი ხილი გახდა კეთილგანწყობა. ჩამოყალობდა გაავებული და აგრესიული საზოგადოება. ამიტომ, განსაკუთრებით მიხარია, როცა კეთილგანწყობილი ატმოსფერო მხვდება ქალაქის მერიის კულტურის სამსახურში ნეკა სებისკვერაძისა და სოფიო სიხარულიძის სახით. ისინი ტაქტიანი ახალგაზრდები არიან, მუდამ კეთილგანწყობილნი. ასე რომ, კეთილშობილურ საქმეს აკეთებს მამუკა ქაცარავა თავისი სამსახურით, მათი ხელშეწყობით მუშაობს კულტურული ღონისძიებების, კერძოდ კი – თეატრებში სპექტაკლების პროექტების განმხილველი და დამაფინანსებელი კომისია.

ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების პერიოდში თითქმის ძალზე ხშირად ვიყავი სხვადასხვა ჟიურიში, კომისებში, საბჭოებში, კოლეგიებში. ყველას ჰქონდა თავისი ხიბლი და სირთულეები, მაგრამ რაღაც განსხვავებულად, კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ კომისიაში. კომისიაში არიან ჩემი ახლობლები, თეატრმცოდნეები: დ. ხურცილავა, მ. გეგეჭკორი, ნ. წულუკიძე. ისინი კვალიფიციური, პროფესიონალი თეატრმცოდნეები არიან, რომელთა აზრსა და გემოვნებას ვაფასებ და ვენდობი. კომისიის წევრები ერთმანერთს ადვილად ვუგებთ, ზოგჯერ ნიუანსებშიც კი. შექმნილია პროფესიული ატმოსფერო, სადაც განმსაზღვრელია ნიჭიერთა დახმარების სურვილი.

მიხარია, რომ სიბერის ჟამს ასეთ გარემოცვაში ვარ, მეიმედება

ჩემი „ნაბოლარა“ მოწაფე, მუდამ მოძრავი და მოუსვენარი ნიკა წულუკიძე, თავისი სიკეთის ნიჭით.

სიკეთის ნიჭი ბუნების ჯილდოა.

ერთხანს თეატრმცოდნეობაზე მიღება ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა. ამას იმიტომ ვაკეთებდით, რომ კადრების სიჭარბე არ ყოფილიყო. თვალს რომ გადავავლებ თეატრმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩემი სტუდენტების სიას (თეატრის მართვის პროფილის ჩათვლით), გული სიხარულით მევსება. კარგმა ახალგაზრდობამ გაიარა „ჩემს ხელში“. ცხოვრებამ ყველას თავისი გზა მიუჩინა, სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ. დიდმა რეჟისორმა გიორგი ტოვსტოგონოვმა თქვა: აბიტურიენტების შერჩევა, სიბნელეში ხელების ცეცებით ძებნას ჰგავსო. მართლაც, ზოგიერთი ჯგუფიდან მხოლოდ ერთი თუ ორი შემორჩა პროფესიას. როგორც ავღნიშნე, ჯგუფებს შორის თეატრმცოდნეობის პირველი ჯგუფი სრულიად განსაკუთრებული მოვლენა იყო. ათი სტუდენტიდან შვიდმა სხვადასხვა დროს გააგრძელა მუშაობა უნივერსიტეტში (ლ. ხეთაგური, მ. ტურიაშვილი, გ. ჩართოლანი, გ. ცქიტიშვილი, მ. ვასაძე, კ. აბაშიძე, ა. ჭავჭავაძე, მ. გაბუნია), კარგი თეატრმცოდნე დადგებოდა ა. ჭავჭავაძე, მაგრამ სხვა სფეროში გააგრძელა მოღვაწეობა. ჩვენი სემინარები ნამდვილი სადისკუსიო კლუბი იყო. იმართებოდა მძაფრი პოლემიკა, ჩემი ოთახიდან ხმა კაბინეტის მოსაცდელში გადიოდა. 1995 წლის კურსდამთავრებულებიდან მხოლოდ მ. გურგენიძემ გააგრძელა პროფესიული ცხოვრება. ქართულ თეატრს ნაყოფიერად ემსახურებიან ზაზა სოფრომაძე, თ. ლალიაშვილი, თ. კახიანი, ნ. კალანდაძე. ნ. კალანდაძე და სხვები.

თეატრმცოდნეობის ბოლო გამოშვებიდან (2005) გული მწყდება თ. ცერცვაძეზე, რომელიც კარგად წერდა, შეეძლო აქტიურად ემუშავა თეატრმცოდნეობაში, მაგრამ სპორტმა გაიტაცა და ბევრ წარმატებასაც მიაღწია. ჩემი ყველა სტუდენტი მიყვარს. ყველას როგორ ჩამოვთვლი.

ყველამ თავისი გზა აირჩია.

ცხოვრება დაუნდობელია, მაგრამ თუ რამე არ მოგვწონს, ყველამ, უპირველესად, ჩვენს თავში უნდა ვეძებოთ სიხარულისა და მწუხარების სათავე. ჩვენი შეცდომებისა თუ წარუმატებლობის სხვაზე გადაბრალების ოსტატები ვართ ქართველები...

ცხოვრება, უპირველესად, ადამიანთა ურთიერთობაა.

ურთიერთობანი კი ყველაზე რთული მოვლენაა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის
პრორექტორს, ბატონ ვასო კიკნაძეს

მიხეილ თუმანიშვილისაგან

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

იმის გამო, რომ სამსახიობო ფაკულტეტის II-ჯგუფის
ახალგაზრდებს არ ძალუძს სერიოზულად იმუშაონ და დაეუფლონ
მსახიობის ხელოვნების საიდუმლოებას, მე კი არავითარი
სურვილი არა მაქვს ტყუილად ვკარგო დრო, გთხოვთ გამან-
თავისუფლოდ ამ ჯგუფისაგან და დამტოვოთ მხოლოდ სარეჟისორო
ჯგუფის ჰედაგოგათ.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი,
პროფესორი მიხეილ თუმანიშვილი -

21 ოქტომბერი 1981 წელი

[illegible]

[illegible]

[illegible]

№ 3-5956

18/III-86.

საქართველოს შ.რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
პედაგოგიკური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ
ე.ნ. გუგუშვილს

რესპუბლიკის სახალხო არქივისის,
ლოცენზ ანზორ კონსტანტინეს ძე
ქუთათელაძის

49/01/23.
18.03.86

# მ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა

გთხოვთ ჩამანთავისუფლოთ მქონდა ნებადართული ინსტიტუტი-ლან ვინაიდან როგორც იქვევა საჭირო არ ვყოფილვარ.

მანცხ. ა.ქუთათელაძე

7/IV-86 წ.



შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ინსტიტუტის დირექტორს ამხ. ე. ნ. ტაბაღუაშვილს,

ამავე ინსტიტუტის კონსერვატორიის სახელობის ხელმძღვანელ-პედაგოგის, იუნგერ ანზელიძის -

განცხადება.

ვინაიდან თქვენთან არსებული მნიშვნელობა არ აქვს, გიმეორებ თუ რა მე უნივერსიტეტის ინსტიტუტში კონსერვატორიის სახელობის ხელმძღვანელად, ქვემოთ გადმოგიგზავნიდა ჩემგან ამ შეფერ ნაბეჭდი, სასახელო და სასოებნელი მოსაზრებების შესრულებისაგან.

თანა ნელ საქმეთა ხანია იმის გასინჯვაზე და დასაბუთებულ. თუ რაგვარი ღირებულებაა აქვს ინსტიტუტის ჩვენთან სულიერ კონოვანტურებლად და ეროვნულ ჩვენ კონკურენტულ სამეცნიეროებლად.

ჩვენ წინააღმდეგობა გაწევდენ ეროვნულ მეცნიერებაში ჩვენ ეროვნულ ეროვნული ეროვნული ეროვნული, დამეტებია ბოლოს ქვეყნის ეროვნულად ახალი ეროვნული მოვლენის, ავალსაზრდოა, და თუ ეს ეროვნული ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული ...

Prof. J. Kylebergs vid Ch. Ist. Arbetsfysiologen och Arbetsmedicinska klinikens

Stockholm S.

Arbetsmedicinska klinikens 66:e

D.P. Jonsthövel

Ordförande i Arbetsmedicinska sektionen av Europeiska Samfundet för Arbetsmedicin och Industriell Hygien, vill jag hänvisa till min skrivelse av den 4 februari i år.

Jag ber ödmjukast om ursäkt för det jag av misstag skrivit i min skrivelse.

Med vänlig hälsning

D. Smith

28/3-1987

Ej nu en
Sjukgymnast – 21 år
Ej gift – barnlös
Ej religiös – hedonist
Jag tycker om sexuella
avvikelser och
Ej politisk intresserad
Ej rökare
Ej alkoholist
Ej vegetarian
Ej sportfånig
Ej i fl. st.

ქ. სოფლაძეს! ნახ. სრულ. ოპერაციათა თანმიმდევრობის
ფრთხილად! ისინ. ავტ. ტექსტში წაკ. ვ. ეთანხმები.

პროფესორ ალექსიოსთან! ეცადეთ ნიკოლოზ
ეაძეს! ხელ. ინფ. მიიღ. ვ. ნაღდაძე.
ანდრეევი ნა.

ეს ყველი ჯანმრთელობისთვის ეაძეო, ეგზოტიკა
ეაძეო ანავლილ-ყვითელი, პროფესორ ალექსიოსთან
ეცადეთ ნიკოლოზ ეაძეს! ანაზეიმ ნა ნიდან

ვ. ნაღდაძე.

15/IX 1965

ეს ეაძეს
1965 წ. ვ.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

ქ. ხონის ხალხური ხელოვნების სახელმწიფო თეატრალური
ინსტიტუტის ხელმძღვანელს ამოგვაფარს
ვ. ნ. ბებეშვილს

ამავე ინსტიტუტის ხელოვნებათმცოდნეობა-ხელოვნებათმცოდ-ლ XX-ე საუკუნის III-ე კურსის სტუდენტთა
ხელმოწერა

# ქ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ ჩვენს ჯგუფს III-ე კურსზე სახელმწიფო შრომათაბაში შეგვრცხვა ბედნიერი დრო ყ ბაღრიძე, ს. ითანაშვილი ჩვენი საერთო თხოვნაა დაგვიბრუნოთ ჩვენი საყვარელი ბელადი ყ. ბაღრიძე.

9/IX-1977 წ.

1. ნ. ლობჟანიძე
2. ვ. [illegible]
3. ნ. ტყეშელაძე
4. ო. ბოლოქავა
5. ნ. ზვიადაძე
6. ქ. [illegible]
7. ა. [illegible]
8. ვ. ფაიფულაძე
9. ა. [illegible]
10. ვ. ნიკოლაძე
11. ვ. [illegible]
12. ნ. [illegible]
13. [illegible]

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის
სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორს
პროფ. ე. ნ. გუგუშვილს

ამავე ინსტიტუტის IV კურსის 30-ე ჯგუფის

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ IV კურსზე ჩვენ უნდა ვითამაშოთ ორი სპექტაკლი, რაც ჩვენგან განსაკუთრებულ შრომას და შესაბამისად დროს მოითხოვს. ხანდახან ჩვენ დღეში ორი რეპეტიცია გვაქვს 6-8 საათი. დაძაბული შემოქმედებითი შრომა. ამას ემატება მეცადინეობის საათები: ფაქტიურად ჩვენი დრო არ გვრჩება სხვა საგნებზე დასასწრებლად. ცხრილის მიხედვით ჩვენ დანიშნული გვაქვს ისეთი საგნები როგორიც არის: პოლიტოლოგია (მეცკომი), ესთეტიკა (მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა), სამამულო და მსოფლიო კულტურის ისტორია (მარქსისტულ-ლენინური კულტურის ისტორია), ეთიკა. აღარაფერს ვამბობთ სპეციალურ საგნებზე, როგორიცაა სახვითი ხელოვნების ისტორია და კოსტუმების ისტორია.

პატივცემული რექტორო! თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, როგორი არის პლურალიზმი, დემოკრატიზაცია და განსაკუთრებით დეპოლიტიზაცია, მაშინ თქვენთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენ არავითარი სურვილი არ გაგვაჩნია ზემოთ აღნიშნულ ლექციებზე დასწრებისა.

ძალიან გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩვენ კონკრეტულად რომელიმე პედაგოგის მიმართ პირადული პრეტენზია არ გაგვაჩნია.

გთხოვთ ეს საშვილიშვილო საქმე უყურადღებოდ არ დატოვოთ.

წინასწარ გიხდით მადლობას მომავალი თაობის სახით.

[illegible]

[illegible]!

[illegible]

[illegible]

[illegible]

ნ. დემეტრაშვილი, ს. ბაკურაძე, თ. ჩხეიძე
ახალციხეში

მარცხნიდან მარჯვნივ: ვ. კიკნაძე, ე. გუგუშვილი, თ. ქამუშაძე,
ნ. შალუტაშვილი, ლ. იოსელიანი
უნივერსიტეტში

უნივერსიტეტში

I კურსელ სტუდენტთა გრიმის ცხება

უნივერსიტეტში 70 წლისთავის იუბილეზე

ვ. კიკნაძე ცოლ-შვილთან
(მაია, ბექარი, თინა)

ვასილ კიკნაძე

მარცხნიდან პირველ რიგში: დ. ჯანელიძე, ე. გუგუშვილი, ვ. ანჯაფარიძე, მ. ხარატიშვილი, გ. სალარაძე
მეორე რიგში: შ. გოგიძე, ვ. კიკნაძე, ვ. ასათიანი, გ. ლორთქიფანიძე, თ. ქვარიანი, გ. ჟორდანია, ნ ანდრონიკაშვილი.
უნივერსიტეტში I კურსელებთან შეხვედრაზე

უნივერსიტეტში

მარცხნიდან მარჯვნივ: ალ. შალუტაშვილი, გ. გეგეჭკორი,
ნ. გურაბანიძე, გ. ბათიაშვილი

70 წლისთავი
ულოცავენ გ. ლორთქიფანიძეს ა. ქუთათელაძე

**უნივერსიტეტის კინორეჟისურის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტებთან 1979 წელი**

**გ. მეგრელიძე, დ. მუმლაძე, გ. ჯავაშვილი, ვ. კიკნაძე, ნ. აბულაძე**

ახალციხეში, სახელმწიფო კომისია დიპლომის დაცვაზე
შ. გოგიძე, რ, ნათაძე (კომისიის თავმჯდომარე), ვ. კიკნაძე,
ბ. ნიკოლაიშვილი, ე. გუგუშვილი
1967 წელი

## სარჩევი


წინათქმა .....3
ბედნიერი შემთხვევა .....6
კურიოზები და სხვები .....9
იწყებოდა ახალი ცხოვრება .....21
,,უკანონობის მადლი'' .....39
სიმართლისა და კონფლიქტების სამყაროში .....43
უსამართლობისა და უმადურობის ტკივილი .....53
გამოთხოვების სევდა .....65
მისაღები გამოცდების პარადოქსები .....70
სტუდენტები - ჩემი სიყვარული .....96
საუბარი ლექციებზე .....138
უნივერსიტეტი ქმნიდა თეატრებს .....144
,,ქართველი კარუზოს'' გვერდით .....166
,,ტერორისტი'' .....170
რეფორმები რისთვის და ვისთვის? .....175
,,შავი ფურცლები'' .....199
უკანონობის სინდრომი .....211
დრამატული პარადოქსები .....217
პარალელები .....224
მარად და ყველგან .....235
დოკუმენტები .....248

დაიბეჭდა სტამბაში „კენტავრი“

---

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 40